ანეული

ლიტერატურული ჟურნალი
N4, 2018

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

„ევროპეიზმის ღაბრუნება ლიტერატურაში“

მიხეილ მაჩავარიანი – „მუქთა ღვინი ოხრად“

გამოსათხოვარი

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მწერლისა და მამულიშვილის, რევაზ ინანიშვილის მეუღლის – როზა ინანიშვილის გარდაცვალების გამო. ქალბატონი როზა „ანეულის" ქომაგი და თანამდგომი იყო. იშვიათი კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება. რევაზ ინანიშვილის ხსოვნა ულამაზებდა და უადვილებდა ცხოვრებას.

ქედს ვიხრით როზა ინანიშვილის ხსოვნის წინაშე, რომელმაც ღირსეულად და მოკრძალებით ატარა უძვირფასესი მეუღლის სიყვარული... მადლობა მას იმ დაუღალავი მოღვაწეობისთვის, რასაც რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაზე ზრუნვა და ამაგი ჰქვია.

უმრავლოს საქართველოს ასეთი დიდებული ქალბატონები!

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის" რედაქცია

რევაზ ინანიშვილის ნახატი

„თქვენ შეგიძლიათ, თვით ჩემი თანდასწრებით ლანძღოთ ქართველი ხალხი იმის გამო, რომ იგი მარცხენა ხელით მუშაობას არის მიჩვეული და მომხვეჭელობაზე დახარბებულს გაჭუჭყიანებული აქვს სული, მაგრამ მე უფლებას არ მოგცემთ, იგივე გაიმეოროთ ერზე, ქართველ ერზე. ხალხი ესაა, რასაც ახლა უყურებთ, ერი კი სხვაა. ისაა მთლიანობა ხალხისა და დროისა, რომელიც საუკუნეებით იზომება მხოლოდ და მხოლოდ."

რევაზ ინანიშვილი



ანეული

№4. (№23) დეკემბერი. 2018 წ.

ლიტერატურული ჟურნალი

რევაზ ინანიშვილს სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი – მეცხრე დაჯილდოება 3

ბიოხბი სოსიაშვილი მავთულხლართი 4

დავით შემოქმედელი რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში? 10

ზურაბ პაპიაშვილი უფლის რჩეული 12

ერთი ლექსი

თამარ შაიშმელაშვილი გიში 14

თეატრი

ნინო ჩხიკვიშვილი როცა უფლის სკამი ცარიელია 15

პოეზია

ზეინაბ მეტრეველი 19

ლია ხარჭამაძე 23

ნიკო მარის დაბადებიდან 155 და გარდაცვალებიდან 85 წლის გამო 26

ანალიტიკური ესე

ბერნაზ ბვალია რევაზ ინანიშვილის „ეთერი“ 28

ქეთევან შენგელია ევროპეიზმის დაბრუნება ლიტერატურაში 31

თარგმანი

მარიან მაშტევიჩი მუქთა ლუდი ოხრად, თარგმნა რუსუდან კიკალეიშვილი – დომუხოვსკიმ 34

პრეზა

მედეა ხახიძე სახვალიო მოლოდინი 37

ვაჩე ხუციტაძე Hit Stronger 39

პოეზია

სალომე მჟელიშვილი 43

თამარ ლომსაძე 45

ლელა ქიტოშვილი-სახლთხუსიშვილი თოვლით ნაფერი ჩანაწერები – გვიყვება რევაზ ინანიშვილი 47

ჩევაზ ბალანჩივაძე თეიმურაზ მეტრეველი – ჟურნალისტიკის რაობისა და ჟურნალისტური ოსტატობის შესახებ 54

ინტერვიუ

„რეზომ სიკვდილის წინ ნამდვილად ნახა სამი ანგელოზი“... 57

მარინა ბობოლაშვილი კახა დოლიძე – ტრადიციის ნოვატორი 61

პოეზია

ფიქრია ჩუბინიძე 63

ილია მამელაძე 66

ასალი წიგნები

ლელა ნოდია მოსეს შთამომავალი ქართული სულით 68

პოეზია

ჯუბა ლებელი 69

ჩანასაფები

სალომე ნოჩაჯიძე 70

ვულოცავთ! 72

ISSN 1987-9717

ჯეტეხეი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახლოს მდგომი
ლიტერატურული გაერთიანება:

რევაზ ბალანჩივაძე
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ლებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი redaქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი redaქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოხბი ზუხებიანი

გარეკანის პირველი გვერდზე: ნინი მენაბდის ნამუშევარი
გარეკანის ბოლო გვერდზე: ხეზო (ემელიანე) ადამიას ნამუშევრები სერიიდან – „ოლიხური ოდა“

redaქციის ტელეფონი: 551 00 50 58

redaქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

ჟურნალი დაბეჭდილია სოციალური თერაპიის სახლში, შშმ პირების მონაწილეობით



რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი – მეცხრე დაჯილდოება

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი წელს მეცხრედ გაიმართა. სულ 100-ზე მეტი საკონკურსო მოთხრობა და ნოველა შემოვიდა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ნინო ჩხიკვიშვილი, ჯუმბერ გოგრიჭიანი (ჯუბა ღებელი), თამაზ ხმალაძე, ქეთევან შენგელია (თავმჯდომარე), გამოავლინა გამარჯვებულები.

პრემიები ასე განაწილდა:

I პრემია – გიორგი სოსიაშვილი („მავთულხლართი);

II პრემია – დავით შემოქმედელი („რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში“);

III პრემია – ზურაბ პაპიაშვილი („უფლის რჩეული“).

გარდა ამ სამი მოთხრობისა, ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო მოთხრობები. მათი ავტორები პრიზებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ტრადიციისამებრ, ჟურნალ „ანეულის“ მეგობარმა მხატვარმა რეზო (ემელიანე) ადამიამ არც ამჯერად დაარღვია ტრადიცია და პრიზიორი ავტორებისთვის საკუთარი ნახატები შემოსწირა კონკურსს. შესანიშნავია პრიზები, რომელთა ავტორები არიან: ნატო სირბილაძე, ნინი მენაბდე, ქეთევან დიდიშვილი, მარი თაბაგარი, ნელი გოგუაძე.

განსაკუთრებული მადლობა მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლას და მის პედაგოგებს: ქალბატონებს – იზო სამუშიას და ცისმარი ყურაშვილს, რომელთაც დააწესეს სპეციალური პრიზი პირველი პრემიის მფლობელისთვის და ყოველწლიურად კონკურსის გამარჯვებულს აჯილდოვებენ.

წლევანდელი კონკურსი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა დააფინანსა.

კონკურსის მხარდამჭერია საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება.

მადლობა „ანეულის“ შემოქმედებითი გაერთიანების წევრებს, კონკურსის ორგანიზატორებს, ჟიურის წევრებს, ყველა იმ ადამიანს, ავტორს და მკითხველს, ვინც ჟურნალ „ანეულისა“ და რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის თანამდგომი და გულშემატკივარია.

ქვემოთ გთავაზობთ სამ პრემირებულ მოთხრობას.

ბიოხბი სოსიაშვილი

მავთულხლართი

ყველა იმ ჩემს მეზობელს
ვუძღვნი, ვისაც „განაპირა“ სოფელში
არგუნა უფალმა ცხოვრება

ე, მამალი... მამალი რო მამალია, ისიც კი ვეღარ არი თავი ჭკუაზე, აქშა, აქშა, შენი პატრონის დედა! — ხელს უქნევს თედო. მსხლის ტოტზე შემომ-ჯდარა დეზებშემოცვეთილი, თეთრ-ჭრელი, ბაჩაჩებიანი მამალი. დილით რო ამის ყივილი გაიგო, ცოდვით დაიწვები. მამალი რო ყოჩაღად შეჰყივლებს ხოლმე, სიცოცხლე მოგწყურდება დალოცვილი. დილას რო ჩამოხევს ნისკარტით, აი, ჩემი მამალი ჩემსავით და-ბერდა, ჩემსავით გამოჩერჩეტდა, ყივილის თავი აღარ აქ, კი არ შეჰყივის დილას, შესტირის. იტყვი, რო ნაწყენია დალოცვილ ღმერთზე, კიდევ ერთი ღამე რო გაუთენა.

— მოკიდე ხელი და წაიყვა, დაუკალი შენ ბავშვებს და აჭამე. მე უამისოდაც ვიგებ გათენებას, აღარ უხ-დება ამ ადგილს მამალი, არც ამისი ყივილი უხდება დილას, უღიმღამო ყივილი.

ავთო, თედოს მეზობელი, უარზეა. თედო კიდევ არ ეშვება.

— კი არ გეხუმრები, წაიყვა, რო გეუბნები. ხომ ხედავ, რა გაჭირვებაა, საჭმელიც სანატრელია და სასმელიც. წაიყვა და მოუხარშე. სიმართლე გითხრა, მეც ხო ბებერი ვარ, მაგრამ ამ დაბეხრეკებული მამლის ცქერა სიცოცხლის წყურვილს მიკარგავს. რაღა დროს ჩემი სიცოცხლის წყურვილია, ფეხზე გამობმული ცხვარი სადაცაა გადაბრუნდება და მოკვდება ამდენი ლოდინით, მაგრამ ეს ჩემი მამალი რო ეგრე უგულოდ დაიყივლებს ხოლმე, მგონია, რო მტრის ყურს სწვდება მაგის ჩახრინწული, უფხო ხმა და ახარებს გადამთიელს.

მამალი თითქო სიტყვა-სიტყვით ისმენდა თედოს საუბარს. იჯდა მსხლის ტოტზე, ერთი-ორჯერ თითქო წონასწორობა დაკარგა, გადაქანავდა, მაგრამ ისევ ქანდაკებასავით გაშეშდა. თვითონაც ხვდებოდა, რო მობეზრებოდა პატრონს, მის გარდა საქათმეში ორი ბებერი დედალიღა დაღანღალებდა, კვირაში ერთხელ რო შემთხვევით გაუვარდებოდათ კვერცხი, იმასაც — თრითინა ეტაკებოდა ხოლმე.

ქრებოდა სიცოცხლე თედოს სახლში თანდათან. ძაღლი მოუკვდა თედოს, მოზვრები გაყიდა, ქათმებიც შემოეცალა, ზოგი დაკლა, ზოგიც ჭირმა წაიღო, ერთი სული ბებერი ძროხა ჰყამდა და იმით ედგა სული. წველიდა, დღვებავდა, ყველს აყენებდა, თედოს სხვა რა უნდოდა, ამ განაპირა უბანში მცხოვრებ მოხუცს ამ ძროხით გაჰქონდა თავი და თვის ბოლოს მოტ-ანილი პენსიით, რომელზეც აგერ ოთხი თვე იქნებოდა, რაც უარი თქვა. ვიღაც დიდი კაცები მოსულიყვნენ, ტელევიზიიდან გადამღები ჯგუფი მოეყვანათ, მა-გრამ თედოს ჯავრი ვისა ჰქონდა, გადაიღეს თედოს სახლ-კარი, სახლის წინ გაბმული მავთულხლართი, ერთი-ორი პარკი მაკარონი მიუტანეს თედოს. ილ-აპარაკეს და რა ილაპარაკეს. აი, ეს კაციო გაუტეხავი ქვეყნის სახეაო, როგორც ჩვენი ქვეყანა ვერ დააჩოქა რუსეთმა, ვერ გატეხა, აი, ეს მოხუციც ეგრეთიაო. მარტოდმარტო ცხოვრობს, მარტოდმარტო ამაგრებს ამ ადგილს, ჩვენს მის გვერდით ვდგავართ, არაფერს გავუჭირვებთ ამ კაცსაო, ძირს ოკუპანტი რუსეთიო, არა ძალადობასა და მავთულხლართებსაო და რა ვიცი კიდე...

თედო ჯოხზე ჩამოყრდნობილი უყურებდა მიკრო-ფონთან ყელმოღერებულ „დიდ კაცებს“, ხან მათ აკ-ვირდებოდა, ხან იქვე, სახლის წინ გამოსაჩენ ადგილზე მიწყობილ მაკარონის პარკებს... მხრებს იჩეჩავდა, რამ მოუარათ, რა ჯიგარმა... მაგრამ ხვდებოდა, რო მისთვის კი არ იყვნენ მოსულები, არამედ საკუთარი თავის გამოსაჩენად. ბოლოს დაეღრიჯა კიდეც ერთი,

ჟურნალისტებმა რო კამერები გამორთეს.

— პაპა პიარი რა არი, იცი? არ იცი, აბა შენ დროს სად ეცოდინებოდათ პიარი, ჩვენი დრო კიდე რას არ მოაგონებინებს ადამიანს. ჩვენ გოთვერან დროში ვცხოვრობთ, და იძულებულები ვართ გავა-პიაროთ ყველაფერი. აი, შენ რო აქა ხარ ახლა, ეს იცი რამხელა პიარია ჩვენი ქვეყნისთვის? ამიტომ დიდხანს უნდა იყვე პაპა, როცა მოვახერებთ მერე კიდე ამოვალთ. რუსები არ გაახარო, მაგრად იდექი

თედო უყურებს გაშტერებული.

— რა იყო, პაპა, ხო არ გეწყინა, — ისევ იღრიჯება ნაცრისფერჰალსტუხიანი.

— ცუდად კი არაფერი გითხარი, ცოტა რაღაც წამოგიღეთ, რაც მოვახერხეთ, პენსიაც ხო მოგდის?

ბოღმა მოაწვა, თვალებში ცრემლის გუბეები ჩაუდგა, ნაცრისფერი კაკლები თითქო გაუდიდდა, რისხვა მოემატა.

— აკრიფეთ ეგენი და გამშორდით აქედან. ახლა ისინი უყურებენ გაშტერებულები.

— აკრიფეთ ეხლავე, — ნაბიჯი წადგა და ჯოხი მიჰკრა მაკარონის პარკს.

— ეე, — წაიზმუკუნა შავჰალსტუხიანმა, — კამერა არ ჩართოთო, — ჟურნალისტებს უბრძანა.

— რა იყო,რა გითხარი ეგეთი,— ისევ ნაცრისფერ-ჰალსტუხიანი ჩაერთო. ქოფაკი ყეფით მოვიდა და თედოს ფეხებზე მიეგლისა.

— აკრიფეთ-მეთქი.

მაკარონებისთვის ხელი არავის დაუკარებია. აღარც ხმა ამოუღიათ. „აჰკეცეს კარვები“ პოლიტიკოსებმა და გაეცალნენ იქაურობას. მანქანების ხმა რო მიწყდა, თედო, ჯოხზე ჩამოყრდნობილი, ისევ ისე უძრავად იდგა. თითქო მიწას შეხორცებოდა და გასცქეროდა მკვდარ სივრცეს მავთულხლართს იქით, გამხმარ ჭადრებზე ისხდნენ ყვავები და ჩხაოდნენ როგორც ბებერი ჭირისუფლები...

* * *

შენც დაბერდი, არა, თებრა? მეთოთხმეტე გააჩინე უკვე, ჩემს სამსახურში დაბერდი, მე რა კაცი ვარ, ერთი შვილი არ გაგიჩერე, რამდენი ხბოც მოიგე, იმდენი გავყიდე, ზოგი ძუძუს ხბო გავყიდე, ზოგი კიდე მოზვრად გავზარდე, ან დეკეულად და ისე გავყიდე, შენ კიდე მაინც მასმევ შენს რძეს, თებრა, მაინც არ გენანება, ერთხელ არ გირჩოლია, კაცის ხელი გწველის ამდენი წელია და ერთი ფეხი არ გამოგიკრავს ჩემთვის, შენ ისეთი გულკეთილი ხარ, ადამიანებს არც დაესიზმრებოდა. მერამდენე თვეში ხარ ახლა... თითებზე ჩამოითვალა თედომ, მეექვსეში, მეექვსეში, იმიტომ მოგეჩმაჩნა ჯიქანი, გაშრები უკვე, წესი ეგრეა. ფეხზე წამოდგა, საურველი ჩამოუსვა თაფლისფერ ფერდებზე, შემხმარი ნეხვი ჩამოაცალა. დასაბანი ხარ, თებრა, მერე გაბანავებ, თავზე გადაუსვა ხელი, თოთხმეტნაყოლი ფური გატვრინდა, სიამით სავსე მზერით შეხედა პატრონს.

— თედოო!

ავთოს ხმა იცნო. მუხლები კი მოუსუსტდა თედოს, მაგრამ ყურთასმენა პატარა ბიჭივით ჰქონდა.

ავთოს მამალი ამოეჩარა იღლიაში.

— ეგ რა არი,— შეაცქერდა თედო.

— ახლა კი არ გაბრაზდე შენებურად,— უხერხულად იშმუშნება ავთო.

— რა იყო, ეგა რა გიჭირავს.

— ბებერი მამლის მაგივრად ამოვიყვანე, მოუსვენარი რამეა, ყურთასმენა მიაქვს ამ ოხერს და იყივლოს, რუსებს „გულს გაუხარებს“.

ახარხარდა თედო, ჩაბჟირდა, სულს ვეღარ ითქვამს, ხველაში გადაუვიდა, შეეშინდა, ავთოს გული არ წაუვიდესო. მამალს ხელი გაუშვა, თედოს მიასკდა.

— რა იყო კაცო, რა დაგემართა.

თედომ სული მოითქვა, მაგრამ ისევ იცინოდა.

— ეს რამ მოგაფიქრა, შენ რა გითხარი, შენა.

— ჩვენ არაფრის თავი გვაქ და მამლები მაინც ვაყივლოთ საზღვართან, მამლის ყივილით მაინც მოვუშალოთ მტერს ნერვები, ჰა,— ისევ ახარხარდა.

* * *

ისე დამაბერა მარტოობამ, რომა. ეს რა საშინელა ყოფილა, კაცო. ორი მგელი ერთად დამეტაკა. სულის მოთქმა არ მაცალეს, მეცნენ ეგრევე, დამიუკაცურეს, დამიბრიყვეს, აქეთ სიბერე, იქით მარტოობა. აქეთ მარტოობა, იქით სიბერე. ერთნაირები, პირქუშები, სასტიკები. აბა, ახალგაზრდა რო ვიყა, ამას რა მომაფიქრებდა, რო ერთი დღე გათენდებოდა და ამათ ლუკმა უნდა გამვმხდარიყავი. რო ეთქვა ვინმეს, დავიჯერებდი? ახლა კიდევ შენს მაგივრად ბებერი, მშიერი ძაღლივით ყეფის ილაჯი რო აღარ აქვს თავს რო ძლივსა სწევს, მთვარეს შევყმუივარ, მთვარეს ვეჩურჩულები შენს მაგივრადა. მომენატრე, ტირილი მინდა, მაგრამ ცხოვრება ისე გავლიე, არ მიტირნია, კურცხალი არ გადმომსვლია თვალზე და თითქო ჩემი თავისა მრცხვენია, არადა მარილნალოკ ფურს რო წყალი მოსწყურდება, ისე მწყურია ტირილი, ცრემლი მინდა, ცრემლი. თითქოს გამშრალია ეს სატიალე. ეს რა გვიყვეს ამ ოხრებმა, ეს რა ჩაიდინეს, შენი საფლავი მომანატრეს, სანთელი, სანთელი ვერ ამინთია. შენს სურათსღა ვებუტბუტები. ასე მგონია, გულზე მე გადამიარა ბალახმა და სულში შემოძვრა თავისი წვეტიანი ფესვებით ოხერ-ტიალი ჭანგა. სული შემოხვრიტა, სული, შენ გენაცვალე შენა. მთვარეს აჰხედა, ბოღმამოწოლილ სახეზე დაჰყურებდა აპრილის ღამის მნათობი და მიიწევდა ჩრდილოეთით.

როგორ დამტოვე, როგორა. სიმარტოვის ლუკმა ვარ. რაც სიბერემ გამამხრა, სიმარტოვეს დარჩა სახრავად და საძიგნათ. უძილო თვალებით გასცქეროდა მთვარის შუქით მოფენილ მინდორს, მაგრამ სასაფლაო არ ჩანდა.

* * *

— დოკუმენტურ ფილმს ვიღებთ, პაპა.

შეჰყურებს ეგრე გამტკნარებული სახით.

— ჩამოვჯდები, ხომ შეიძლება, — იღიმება სიფრიფანა, ჭრელთვალა გოგო, ოპერატორს ანიშნებს, მოხერხებულ ადგილზე დადექიო. იქნებ მოხუციც აქეთ მოატრიალოო. გოგომ ცერად შეხედა. ნეტავ ორიოდე სიტყვის თქმაზე დავითანხმო, ვერ ამჩნევ, რა სიტყვაძუნწი და კერპი კაცი ჩანსო.

კიბის გვერდით საზურგემომტვრეულ სკამზე ჩამოჯდა ჟურნალისტი.

თედო ისევ უძრავად იდგა. თითქო ვერავის ამჩნევდა, ტრიალ მინდორს გასცქეროდა, აპრილი შესთამაშებდა ჭადრის ზოლს, ღელის პირზე გაბარდღული ფშატების იქით სასაფლაო მოჩანდა. ათიოდე ცხედარი მოყოლილიყო მავთულხლართს იქით, მათ შორის ორიოდე წლის წინათ გარდაცვლილი თედოს მეუღლე.

ის იყო, წვალებ-წვალებით მოგროვილი პენ-

სიით ქვა უნდა დაედგა, ხეობელ მხატვართან ავიდა, მეუღლის ფოტოებიც აუტანა,მაგრამ ვეღარ მოასწრო. ატყდა ერთი უბედურება. იღბალი... ჯერ ცოლი რო მოუკვდება კაცს და მერე იმის იღბალი არ აღმოაჩნდება,რო ხეირიანად დაიტიროს და გააპატიოსნოს, ქვა დაადგას. ქვას ვინღა ჩივის,ომის მერე ის მხატვარიც დაიკარგა და თედოს მეუღლის ფოტოებიც.

სასაფლაოსკენ იმზირება თედო,თვალებში ცრემლი უბრწყინავს,მაგრამ ეს აპრილის ქარის ცრემლია. მინდვრიდან უბერავს სასაფლაოგამოვლილი ქარი და ცრემლი მოუჩანს თვალებზე მოხუცს.

– პაპა,თქვენ ხომ თავიდანვე აქ იყავით,როგორც გვითხრეს,ომის დაწყების დღიდან აქ ხართ,ფეხი არ მოგიცვლიათ, ომზე ბევრი რამ დაიწერა, ბევრი რამ გაშუქდა,თუმცა... რას იტყვით ომის შესახებ. თქვენ მარტო დარჩით აქ და დღემდე მარტოდმარტო ცხოვრობთ. ხომ ასეა? თედომ მზერა მინდორს მოსწყვიტა და ჭრელთვალა გოგოს შეაქცერდა.

– ვიცი, მძიმეა თქვენთვის, მესმის, აქ ყოფნა გმირობის ტოლფასია... ენა დაება გოგოს,თედოს კერპმა თვალებმა დააბნია.

– სულ მარტო ხართ? – უადგილოდ ჰკითხა.

თედომ თავი დაუქნია და ისევ მინდორს მიაჩერდა.

– ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმხილველის მიერ მოწოდებულ ამბებს. ტყუილ-მართალი ერთმანეთში აურიეს. ნაწილი ამბობს,რომ ომი რუსებმა დაიწყეს, როდესაც შემოვლითი გზები დანაღმეს და ქართველი პოლიციელების მანქანები ააფეთქეს, თურმე აგვისტოს დასაწყისში შუა სოფელში რუსების მიერ გამოსროლილი ჭურვები ცვიოდა,ზოგი ამბობს,რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო. თქვენ რას იტყვით, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, ვინ დაიწყო ომი.

თედომ ცრემლიანი თვალები მჯიღით ამოიმშრალა და გოგოს შეხედა.

– მე დავიწყე, შვილო, მე... – ამოიხავლა ყელში ბაწარწაჭერილივით, რითი ვერ გაიგეთ, კაცო...

* * *

,,სიკვდილისა ისე მეშინოდა თავიდანა, რო... ვის არ ეშინია, ყველა სულიერს ეშინია და მე რაღა ვარ, მარტო თედო ხო არ იქნება სიკვდილზე გამარჯვებული. რაც შენ წახვედი, სიკვდილი დასახლდა ჩემ გვერდით,აქვეა,ამ ცარიელ არემარეზე მე და სიკვდილი ვბინადრობთ,ერთათა ვართ, თედოს ლოგინიდან ამოუყვია გალეული ხელები, რომლებზეც ლურჯი ძარღვები და ორმოცდაათი წლის წინ ჯარში, გერმანიის ერთ პატარა ქალაქში ტუშით შესრულებული წარწერები მოუჩანს. თ.ს. ოდნავ ზემოთ ,,ნუ ენდობი ქალს", მეორე მკლავზე, მხარს ქვემოთ ქალის სახე და მ.ლ. ამ წარწერებმა თედოსთან ერთად გაუძლეს წუთისოფელს.

იტყვი, ჭერში გარდაცვლილი მეუღლის სახეს ხედავსო, ერთ ალაგას მიშტერებია და ლაპარაკობს თავისთვის.

რო წახვედი და დამტოვე ასე,სიზმრებში გახვეულ ბერიკაცად გადამაქციე, თუმცა... სიკვდილი გამიშინაურდა, აღარ მეშინია, აქ არის, ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რო სადღაც აქვეა და შემომცქერის, მითვალთვალებს. გეგონება, სადმე გავექცევი, გაქცევის თავიც რო მქონდეს, მაინც არ გავექცევი, მეც სიკვდილის ლუკმად უნდა ვიქცე და ეს ბებერი ხორცი მიწას უნდა მივუგდო, მშიერი მიწა ეცემა ჩემს გალეულ სხეულს,დააცხრება და წელიწადიც არ დასჭირდება, ძვლამდე დაიყვანს. მიწამ შებრალება არ იცის, მიწას არაფერი ესმის. შეიძლება, პირიქითაც არი, რო ვებრალებით, მაგიტომ გვხრავს და მიწად გვაქცევს, თავის ნაწილად გვაქცევს.

რამდენჯერმე ვიგრძენი, რო სხეულთან გაყრის წამი იდგა. სული ვიგრძენი,ასე ვიწექი,უძრავად,მეღვიძა,ოღონდ თვალდახუჭულს მეღვიძა,ვერც თვალს ვახელდი და ვერც სხეული მემორჩილებოდა,თითის განძრევაც არ შემეძლო. ვგრძნობდი,რო სული ვიყავი და სხეულში ვიყა,მაგრამ სხეულს ვერ ვგრძნობდი.

ეს ერთხელ კი არა,რამდენჯერმე განმეორდა,ალბათ ნელ-ნელა მაგუებს სიკვდილი. აღარ გამიჭირდება მერე, როცა საბოლოოდ დავტოვებ ცხოვრებისგან ნათრევ სხეულს და გამოვეშვები ცისკენ. რაც არი, არი,ეგრე ყოფილა,რა იქნება,ღმერთმა იცის,იქა ვისა ვნახავ, ვის გადავეყრები. რაც აქა მქონდა ბედი, ის იქ მექნება. თუ შეგხვდი, ბედნიერი ვიქნები.

ლოგინიდან ამოყოფილ გალეულ ხელებზე სთვლემდნენ ლურჯი ძარღვები და ჯარისკაცობის დროინდელი წარწერები.

* * *

ბედნიერი ხარ ამ ამბებს რო არ მოესწარი. თითქო იღბალი გქონია, იღბალი...

შორიდან გასცქერის სასაფლაოს თედო და გული უკვნესის. რამდენ რამეს გაუძლო ამ სატიალემ, ეს რა ქვა რამე ყოფილა. ბევრჯერ უნდა გახეთქილიყო წესით და რიგით, იმდენ რამეს გაუძლო, იმდენი რამე გადაიტანა, მაგრამ ქვადქცევა იცის თურმე. ერთი გაქვავდება და მორჩა, ლოდს რაღა უნდა დაემართოს, თუ ურო არ ურტყი და არ ჩამოაყრევინე ნატეხები. ლოდივით გახდა ჩემი გულიც, თუმცა გულობისა ის დარჩა, რო მარტო კვნესის. ფშატები ეფარება ახალ სასაფლაოს,კიბეზე ადის თედო და იქიდან გასცქერის მეუღლის სამუდამო განსასვენებელს.

ეს რა ყოფილა, ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთი უნდა დაერქმია გამჩენს, ჯოჯოხეთი.

ბედნიერი ქალი ხარ, ბედნიერი-მეთქი. ვიცი, რო ჩემი სიტყვები არ გესმის,მაგრამ მე ჩემსას ვცდილობ, მაშ რა ვქნა. ჩემს გულზე გაატარეს ამ უპატრონოებმა ეს ეკლიანი მავთულები. გულში გაიხლართ-გამოიხლართა. ამ ამბებს რო ვერ მოესწარი, ნეტა

იცოდე, რა ბედნიერი ხარ. შენი გული მაინც ვერ გაუძლებდა. ნეტა მეც წამოგყოლოდი მაშინვე. ამიკლეს... ამიკლეს... სტუმარი არასოდეს გამიგდია, შენ ხო მაინც გახსოვს ჩემი პურ-მარილიანობა, სუფრა არა ლაგდებოდა ხოლმე, შენს ხელებს ვენაცვალე, როგორი სუფრები იცოდი ხოლმე, ერთი წუთი მაინც დაბრუნდებოდეს ის დრო... ხელები უკანკალებდა თედოს, ჰაერი აღარ ეყო, ღრმად ჩაისუნთქა, ცას ახედა.

წითელი პარასკევის სისხლისფერი მზე ნაგვემივით მიცურავდა საავდრო ღრუბლებში, ხანდახან დაგლეჯილი ფთილებიდან გამოჩნდებოდა, შედედებული სისხლი უჩანდა მნათობს.

დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ, სამშობლო დავკარგეთ, თავი დავკარგეთ, მე თვითონაც აღარ ვიცი, ვინა ვართ და რა გვინდა, სად მივდივართ, რა გზა გვაქვს არჩეული, სამშობლო... — ჩაილაპარაკა თედომ, — სადღაა სამშობლო. თედოსნაირების იმედადღაა სამშობლო და ეს არის სწორედ ჩვენი უბედურება. ამიკლეს, ამიკლეს, მოდიან და მოდიან, რუსების ბოღმას გავუძლო, შენს ტკივილს თუ ამათ ტლიკინსა, შენ უფრო კარგად იცი, ვინც დაიწყო ომიო, გვითხარიო, შენს სიტყვას სხვა ფასი აქვსო. რა ფასი აქვს ჩემს სიტყვას, ვერ გამიგია. რომელი სოლომონ ბრძენი მე ვარ... ვაი, ამათ პატრონს, არაფრის თქმა არ მინდა, ერთმანეთს ჭამენ, ერთმანეთს ხრავენ, ლანძღავენ, თათხავენ, თედო კიდე ძაღლივით გდია ამ მკვდარ არემარეზე და ორი მგელი ჭამს, სიბერე და სიმარტოვე. მე რა ვთქვა, სამშობლოდაკარგულმა კაცმა, ცოლდაკარგულმა, უშვილძირომა, რა ვთქვა, გასკდებოდეს ეს გული, კარგი იქნებოდა, მაგრამ ხო ვთქვი, ლოდათ გადაიქცა-მეთქი.

გმირი ხარ, პაპა, გმირიო, სანამ შენისთანები არსებობენ, საქართველო არ დაიჩოქებსო.

მე ხომ ვიცი, ვინც ვარ... ტყუილში ვართ, ტყუილში და ამ ტყუილით დაბანგულებს აგვართვეს მიწები, წაგვგლიჯეს ეს ამხელა ტერიტორია. ვის გაახსენდება, იარაღი აისხას, მოუვარდეს ამათ და თავი შეაკლას. მარტო მიტინგებისთვის ამოდიან, ერთ-ორ სიტყვას წამოიყვირებენ ჩემს სახლთან და გარბიან. აი, სამშობლო... თუ გესმის ჩემი. ვინა ვარ... ვისი შთამომავალი ვარ? ან ესენი ვინ არიან ჰა, ვერ გამიგია.

რუსებთან მარტო ერთი რამე მაქვს სათხოვარი, უნდა შევპირდე ამ უპატრონო მესაზღვრეებს, ახლოს კი არ მიკარებენ, ერთი-ორჯერ ვეცადე, გავიხსენე ჩემი ჯარის რუსული, ახლოს მივედი. ჩვენმა გამგებელმა, არ გაეკაროო, მერე მე პასუხისმგებელი ვერ ვიქნებიო, წადი შენი-მეთქი, ლამის ამოვუპანღურე. არ დაგინდობენო, ცოლი იქით მყავს, რას მიზამენ, ბოლო-ბოლო მომკლავენ და ეგ იქნება, ეგენიც დაისვენებენ ჩემი ცქერით და მეც დავისვენებ, ბოღმას საფლავში წავიღებ, მტრის ბოღმას, ასე მეწერა ალბათ. მივედი, შორიდან მიყურებდნენ მშიერი მგლებივით, ხელი დავუქნიე. ორნი იყვნენ, ჯერ ყურადღება არ მომაქციეს. დავუყვირე, მოდით აქა-მეთქი, რუსულად დავუძახე, ისევ არ მომაქციეს ყურადღება, ღობეზე ასვლა დავაპირე, დავეჯაჯგურე, ძლივს აგბობღდი, ეკლიანმა მავთულმა გამკრა კბილი. სისხლი კი გამშრალი მაქვს, მაგრამ მაინც შემეღება წითლად ხელები. მოსვლა იკადრეს, რას აკეთებო, შემომიტია ერთმა. ჭანდარივით იყო ის უპატრონო, მევალესავით მიბღვერდა, მოშორდი აქედანო. ისევ დავეჯაჯგურე ღობეს, თან როგორ ჩააბეტონეს, გულიანად.

— აიმ სასაფლაოს ხო ხედავთ-მეთქი.

არც გაუხედავთ.

— ვოტ, ვოტ, კლადბიშე-მეთქი, — თითს ვიშვერ მიამიტი ბალღივით.

მერეო? — შედარებით დაბალმა,— წითელი ლენტი ჰქონდა წაკრული ხელზე, ალბათ მორიგეობის ნიშანი.

— სამი წელია, ცოლის საფლავზე არ ვყოფილვარ, შემიშვით, ცოტა გულს მოვიოხებ და ისევ გამოვალ-მეთქი.

არაო, ხელები გაატატანა ,,ჭანდარმა".

— ამერიკელები მოვლენ ცოტა ხანში და ისინი გაჩვენებენ ცოლის საფლავსაო.

— აქ თქვენი და იქ ამერიკელებისა-მეთქი.

გამოვბრუნდი პირშიჩალაგამოვლებული, ხმამაღლა წავიბურტყუნე, ქართულად, თორემ ბურვაკივით გამაგორებდნენ. ერთი ხანობა გავჩერდი, მოვბრუნდი და შევხედე რუსებს, ისევ იქ იდგნენ. იქნებ გული მოულბეთ, გასაცოდავებულ მოხუცს რო მიყურებენ, ეგენიც ხო ადამიანები არიან-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი. მერე კი გავბრაზდი, შესაცოდი არაფერი მინდა, მივაფურთხე და მოვტრიალდი.

სამშობლო, სამშობლო, — ბუტბუტებს თედო, — რა ვთქვა, აღარ ვიცი, ასე მგონია, რაც კი სადღეგრძელოები დამილევნია, ყველაფერზე ტყუილად გავრჯილვარ. ეხ, ვინ არი ჩვენი პატრონი, ვინა. ისევ უნდა მივუცუცქდე რუსებს, დაველაპარაკო, რო იქნებ რო გავფშიკავ ფეხებს, შენს გვერდით დაასაფლავებინონ ჩემი თავი აქაურებს. ვიცი, გიჟური რაღაცეები

მამდის თავში, მაგრამ ჭკვიანი როდისღა ვარ?

სისხლისფერი მზე ესვენებოდა მიწისფრად დაფერილ მთებში, ესვენებოდა, ნაგვემი და ნაწამები, როგორც ჯვარცმიდან გარდამოხსნილი მაცხოვრის ნატანჯი სხეული.

თედო გარდამოხსნილ მზეს გასცქეროდა.

* * *

აი, გადაჯიშება ამას ჰქვია, თედო.

თედო აქეთ-იქით იხედება, რომელი ხარ?

— ვერ მიცანი? ვერც მიცნობ, მე შენში ვსახლობ, მაგრამ შენ ჩემთვის თვალი არასოდეს მოგიკრავს.

— ვინა, ხარ მეთქი, კაცო, — საარაყე ქვაბს თავი მიანება ბერიკაცმა. იყურება აქეთ-იქით, თვალებს აცეცებს, კვამლისგან აცრემლებული მზერით იყურება, — ერიჰაა, მართლა ვეღარა ვარ, ამ სიმარტოვემ მოჩვენებები დამმართა.

— მოჩვენება არ ვარ, მე ვარ.

— ვინ შენა ხარ? დამენახვე, — ცეცხლს თავი მიანება, წამოდგა, ეზოში მიხედ-მოიხედა.

— ვერ მხედავ?

— ვერა.

— ვერც დამინახავ და არც არის საჭირო.

სახეზე მიისვ-მოისვა ხელი.

— ეშმაკია, ჩემი ბრალია, რა არაყის გამოხდა ამიტყდა ამ დიდშაბათის დღეს,— პირჯვარი გადაიწერა.

— ეშმაკი არა, ტოროლა.

თედოს ფიქრი უცბათ ამოიკითხა უჩინარმა, იტყოდი, რო ბერიკაცის გულის კედლებს აცქერდებოდა და მის ნაფიქრს ასო-ასო კითხულობდა.

— მაშ ვინა ხარ?

— ვინა ვარ? – ჩაიცინა.

ბერიკაცი ქანდაკებასავით დგას და ვის უყურებს, თვითონაც არ იცის.

— თედო ვარ, თედო, — ისევ ჩაიხითხითა.

— რომელი თედო?

— ვერ მიცანი, ბეროაანთ თედო ვარ.

— ვინა? – დაიბნა მოხუცი. ცეცხლზე გაწითლებული სახე უარესად წამოუხურდა. ახლა უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რო ეშმაკი ესაუბრებოდა.

„ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია, დიდშაბათის დღეს რა არაყის გამოხდა მოვინდომე“ — პირჯვარი გადაიწერა აკანკალებული ხელით, ცას ახედა. დიდშაბათის მზე არსად ჩანდა, დიდშაბათის მზეც თითქო ცის სამარხში გაუჩინარებულიყო, ვეება ლოდივით გადაფარებოდა ღრუბელი.

— მაპატიე, ღმერთო, მაპატიე.

— ღმერთს შენი არ ესმის ახლა, ტყუილად აწუხებ, ღმერთი აღდგომის მოლოდინშია, თედო. კიბეზე თიხის საღვინით წყალი ედგა, მოიყუდა, ყელი გაისველა, მკერდზე უფრო მეტი ჩამოეღვარა.

— დამთავრდა ყველაფერი, — ჩაიბუტბუტა, — ეშმაკებმა დაიბუდეს ჩემს სახლში. მოვიდა სიკვდილის ჟამი.

— ვინ არის ეშმაკი? — ისევ გაისმა ხმა და შეხტა მოხუცი.

— არ გჯერა, რო თედო ვარ? აი, შენ რა გითხარი, შენი ახალგაზრდობა ვარ, შენი სიჭაბუკე, შენი წარსული წლები... გეგონა, რო ყველაფერი გაქრა და გაიფანტა?

— არაფერი გამქრალა, ბუნებაში არაფერი იფანტება, არაფერი. სიკვდილი არ არსებობს. ყველაფერი არსებობას აგრძელებს. წამი რო წამია შენი ცხოვრებისა, ისიც არსად გამქრალა, ყველაფერი აქ არის თავმოყრილი ჩემში და მეც თედო მქვია, მეც „შენ“ ვარ, ოღონდ დავიწყებული, მოგონებების გროვად გადაქცეული. ხმა შეეცვალა უჩინარს, თითქო გული აუჩუყდა. გაშტერებული იდგა ბერიკაცი, ძალა ერთმეოდა მუხლებში, წაქცევას იყო. ბევრი რამ დაგავიწყდა, ბევრი რამ დრომ წარეცა, მაგრამ ხომ გითხარი, არაფერი ქრება-მეთქი.

— არაყს რატო ხდი, თედო?

თედო დუმს.

— რუსებს უხდი არაყს, გული გინდა მოიგო, მტრის გული, არაყს მიართმევ და იქნებ როგორმე გადაგიშვან იქით, მავთულხლართს იქით, შეეხვეწები, ასე გაქვს ჩაფიქრებული, ყელს გამოუწევ, თუ გეტყვიან, მუხლებზე დაუდგები, ოღონდ ცოლის საფლავი გაჩვენონ...

შენი გამოხდილი არაყით სავსე ჭიქებს მიუჭახუნებენ რუსები ერთმანეთს, მერე გადაკრავენ, პურის ნატეხს დასუნავენ. კარგა ხანს ვერ ამოიღებენ ხმას.

— ეს არაყი გამოუხდია მაგ ბებერს, ბიჭებს არაფერი ვუთხრათ, თორემ მიეჩვევიან და გამოუწაფავენ, ჩვენ აღარაფერი შეგვხვდება. — საუბრობენ რუსები, შენ კი ამ დროს რამდენიმე ათეული ნაბიჯის იქით, ცოლის გაჯადავებულ საფლავზე დამხობილი ბღავი...

— კარგი... — შეჰყვირა თედომ.

დამცინავი სახეებით გაცქერდებიან რუსი მესაზღვრეები, სიამე ეღვრებათ გულში, ბებერ, დამცირებულ, ღირსებააყრილ „მტერს“ რო ხედავენ.

— კარგი-მეთქი! — ყელის ძარღვები დაებერა თედოს, გულს მკერდი ლამის გამოერღვია.

საარაყე ქვაბს ოთხივე მხრიდან კბენდა ცეცხლის ალი. დუღდა ჭირნახული და გეჯის მილიდან მოწვეთავდა ჯაჭვიანი სითხე. ერთხანს ცეცხლს მიშტერებოდა თედო, მერე თითქო უცნაური ძალა მიეცა, იტყოდი, ის გარდასული წლები დაუბრუნდა, გაახალგაზრდავდა, ცეცხლთან მიიჭრა და ქაფქაფა ჭირნახულით სავსე ქვაბი წიხლით მოაპირქვავა... ალი თანდათან ჩაცხრა, ჩანელდა, კვამლი ზანტად, უმისამართოდ მიირწეოდა ცისკენ...

* * *

თითქო ვიღაც უთვალთვალებს. კუნაპეტ ღამეში უაზროდ აცეცებს თვალებს.

სულ რამდენიმე საათიღა დარჩა. სულ რამდენიმე და... აღდგომაა, სადღაც, რომელიღაც ბედნიერი მამალი ახარებს დილის სოფელს. ლოდი უკვე გადაგორებულია, არიმათიელის ქსოვილი ასვენია გამოქვაბულში, მცირე ხანში ცეცხლოვანი ანგელოზი შევა და ქვის სარეცელზე ჩამოჯდება, მერე მენელსაცხებლე დედებიც გამოჩნდებიან...

სადღაც, სოფლის შუაგულში, ძილგამფრთხალი მამალი დასაყივლად ემზადება. აღდგომის დილა ახლოვდება.

თედო ქანდაკებასავით დგას, იტყვი, რო ისევ სიზმარშია. ასე ცხადად არასოდეს დასიზმრებია მეუღლე. მასთან ერთად იჯდა მწვანე მოლზე, ორივეს წითელი კვერცხი ეჭირა.

— ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად! დაკა,— კვერცხი მიუშვირა ცოლს.

ქალმა ჩახანი გაადინა.

— ვიცოდი, რო გატეხავდი.

— საიდან იცოდი?

— მე სად მაქვს იღბალი.

— კვერცხს რა იღბალი უნდა.

— იღბალი ყველაფერს უნდა.

— კაცი ხარ და წუწუნი არ გეკადრება.

მწარედ ხასხასებდა ირგვლივ ბალახი, ნამიან ძურწას ხარბად წიწკნიდნენ წითელბაფთიანი ბატკნები...

— ისევ ისეთი ხარ?

— მაშ, როგორი უნდა ვიყო.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა თედომ.

— ასეთი ახალგაზრდა აღარ მეგონე.

ჩაიკისკისა ქალმა.

გამოეღვიძა თედოს და მარტოდმარტო იყო სიბნელეში, სარკმელს რუსების სამხედრო ბაზიდან გამოტყორცნილი შუქი სცემდა. მაგიდაზე პატარა რკინის ჯამში შეღებილი კვერცხები ელაგა. რაღაცნაირი სითბო იგრძნო ბებერ თითებში, როცა ახლად დაღებილ სააღდგომო კვერცხებს, თბილ-თბილ კვერცხებს მიუტანდა ხოლმე ჭონაზე მისულ ბავშვებს. ის სითბო იგრძნო თედომ, ფრთხილად ჩაიწყო კვერცხები ჯიბეში.

სანთელი... სანთელი არ დამრჩეს...

აღმოსავლეთის კედელზე, თახჩაში, ხატების გვერდით ცოლის დატოვებული თავმომწვარი სანთლები ხელუხლებლად იდო. გულის ჯიბეში ჩაილაგა თედომ.

— აბა ჰა, მოვდივარ... — ჩაილაპარაკა და კიბეაკიდებული თედო სიბნელეს შეერია.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მახარობლებად ეკიდნენ ვარსკვლავები ცაზე და თითქო ერთმანეთს შეჰხაროდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ.

მიდიოდა სიბნელეში თედო, მიათრევდა კიბეს და რაღაც ენით უთქმელ ძალას გრძნობდა, თითქო ვიღაცა ხელით აწვებოდა და იტყოდი, ჭაბუკური სიმკვირცხლე მიეცა მუხლებშიო. ოცდაათიოდე ნაბიჯი გადადგა და რკინის ღობესთან აღმოჩნდა. კიბე ჩამოიღო, სიბნელეში იყურებოდა, სადღაც მთის ფერდობზე გაჭრილ სამანქანე გზაზე, რომლითაც რუსები ქსნის ხეობაში გადადიოდნენ, ლამპიონის სინათლე კრთოდა. მთის ძირში სინათლის ჩქერალს აფრქვევდა რუსების სამხედრო ბაზა.

თედომ და აღდგომის ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და პირჯვარი გადაიწერა.

* * *

ის ძალა, წეღან რო მიაცილებდა, თითქო მავთულხლართს იქით დარჩა. არადა იტყოდი, ხელის კვრით მოჰყავდა უჩინარს განაპირა უბანს შერჩენილი ბებერი. თითქო რკინის ღობეზე მიყუდებულ კიბესთან დარჩა ღამის ლანდი.

თედოს აღარ გამოჰყვა, ცოლთან შესახვედრად მარტო გამოუშვა.

— აბა შენ იცი, კი არ შეგეშინდეს, ხო არ დაბერდი, ჰა. დანატრებული ცოლი გიცდის, მიდი გასწი, სწორად გადაადგი ფეხი. დახტის გული, იტყვი ამოხტა საგულედან. მიდის სიბნელეში თედო, ძალა ეცლება, მუხლები ეკეცება. სიბნელეში არ ჩანს, მაგრამ იცის სად არის მიტოვებული სასაფლაო, ერთი-ორჯერ ხნარცვებში წაიქცა, ვაი-ვაგლახით წამოდგა, ეკლიანი ხელებით დამტვრეული კვერცხები მოისინჯა და ისევ გააგრძელა გზა.

* * *

ამის იქით ნაბიჯის გადამდგმელი აღარ არის თედო. დგას სიბნელეში, წელში მოხრილი, ხვითქში გაცურებული, ბებრული კურცხალი ღაპაღუპით ჩამოსდის თვალზე და ხვდება, რო იქ მივიდა, საიდანაც აღარსად წავა.

— ხო... გითხარი... რა ვთქვა, რა ვთქვა, უი, შენ წასვლას, მე წავსულიყავი, მერჩია, ღმუილი აღმოხდა, ჯერ მუხლებზე დაეცა, მერე პირქვე დაემხო ეკალგადავლილ მიწაზე, ისე რო არც ეკლების სიმწარე უგრძვნია, არც მიწაზე დახეთქების ტკივილი და ჩაეხუტა...

* * *

მავთულხლართზე აყუდებულ კიბეს უმზერენ-შორიდან რუსი მესაზღვრეები.

შამბირეთზე გადმოცურებული აღდგომის მნათობი დასცქერის მკვდარ სოფლებს. აღდგომის მარადიული სიცოცხლით ანთია თითოეული სხივი.

— ეს რა არის?

— კიბეა.

— კიბეს აქ რა უნდა?

ფშატებისკენ გადმოუხვიეს რუსებმა.

მესაზღვრეების ყურებდაცქვეტილმა გერმანულმა ნაგაზმა ყეფა ატეხა და ერთ-ერთ ჯარიკაცს ხელიდან გაუსხლტა. ხებეჩახსნილი რუსი ლამის წააქცია ძაღლმა. თასმა ხელიდან გაუძვრა და ბორძიკ-ბორძიკით ძლივს შეიკავა თავი. ძაღლი სასაფლაოსკენ დაიტიშა. მესაზღვრეები დიდხანს უსტვენდნენ სამხედრო ბაზაზე გაწვრთნილ ნაგაზს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ენაგადმოგდებული ძაღლი ცოლის საფლავზე პირქვედამხობილ თედოს ცხედარს ყნოსვით უვლიდა გარშემო...

9 ვარდობისთვისა,
დიცი

დავით შემოქმედელი



რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში

— შე ახტაჯანა, შენა! — მეტყოდა ბებიაჩემი, — ხომ ხედავ, თითქმის არაფერი დამრჩა შენთვის მოსაყოლი. დამიტოვე, გოგო, რაღაც საიდუმლო, იქ, გაღმა სოფელში რომ წავალ, წასაღები.

— შენც რა ქადაგად დაუდგები ხოლმე. ამ გამწლიკულმა გოგომ როგორ უნდა გაგასულელოს?! — სიცილით მიუბრუნდებოდა მამიდაჩემი.

მე, რაც ბებიაზე გამეგონა ან იმ დროის გაზეთებში ამომეკითხა, ოდნავადაც კი ვერ მიკლავდა ცნობისმოყვარეობის ჟინს. ბებია ჩემი იდეალი იყო. ლამის სიგიჟემდე ვეთაყვანებოდი და, აბა, რაღა გასაკვირი იყო, რომ მის შესახებ ყველაფრის ცოდნის წადილი მკლავდა. ბებიას სილამაზე დროს ხანდაზმულობის ასაკშიც ვერ გაეფერმკრთალებინა.

— ეჰ, ეგ რო ჩაივლიდა და გაანათებდა! მაგას რომ პალკოვნიკები ჰყავდა, იმდენი, მგონი, თმის ბეწვიც არა მქონდეს თავზე.

— პალკოვნიკები კი არა, „პაკლონიკები“, — შეუსწორებდა მამიდაჩემი მეზობლის ქალს, რომელსაც სკლეროზის გამო შვილები ქუჩაში მარტო გასვლას უკრძალავდნენ, თუმცა ბებიაჩემის სილამაზე დღემდე ახსოვდა.

იმასაც ჰყვებოდნენ, როცა ბებია ოცდაათს გადაცილებული იყო, თექვსმეტი წლის ბიჭს შეჰყვარებოდა. სადარბაზოს წინ თურმე საათობით იდგა ატუზული, რომ თვალი შეევლო, როცა ჩაივლიდა. რამდენჯერ კარის სახელურში ყვავილებთან ერთად გაჩრილი პატარა ბარათიც უნახავთ წარწერით: — „მიყვარხარ, ელისაბედ!''

ბებიას ალბომში თავს რომ ჩავრგავდი, გარესამყაროსთან კავშირს ვკარგავდი და იმდროინდელ თბილისში ვსახლდებოდი. რამდენ ცნობილ და დღეს ლეგენდადქცეულ პიროვნებას არ ნახავდით ამ ალბომში, მაგრამ ერთადერთი, ვის შესახებაც ბებიას დაუზარლად შეეძლო საუბარი, ბაბუა იყო. მათ სიყვარულზე სხვებისაგანაც ბევრი მსმენია, მაგრამ რატომღაც სულ მეჩვენებოდა, რომ ის რაღაცას მალავდა.

რამდენჯერ გამიგონია — ამ სილამაზის ქალს, ბატონო, ვინ დააყენებდა? ხომ იცი, კაცი რა ოხერია? — მარტო მანუჩარზე ხომ არ დადგებოდაო... ბებიამდე ეს ხმები არ აღწევდა თუ იცოდა და ყურადღებას არ აქცევდა, ვერ გეტყვით.

მგონი, უსაზღვრო სიახლოვემ თუ ზედმეტმა სითამამემ მძლია. ერთ დღეს ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ ვკითხე:

— ძალიან გთხოვ, გულწრფელად მითხარი, ბაბუასთვის თუ გიღალატია? ჯერ უხერხულად შეიშმუშნა, რაღაცნაირად ჩაიცინა, დილიდან კარგ გუნებაზე იყო გამოსული, ალბათ, იმიტომ. მერე კარგა ხანს გარინდდა, სახე ცოტათი მოუნაღვლიანდა.

— გეტყვი, შე ეშმაკის ფეხო, გეტყვი. შენ თუ ადამიანს შეუჩნდი, სულ ერთია, მაინც არ მოასვენებ. პირველი იქნები, ვისაც ამ საიდუმლოს ვანდობ. და ხმადაბლა აღსარებასავით დაიწყო:

ერთ საღამოს ჩემი მეგობარი თინიკო სანაძე მირეკავს და მეუბნება: ბარისახოში მივდივართ ორი დღით, ზაურიც მოდისო. ეგ ზაური ერთი მუდო ვინმე იყო, გოგონებს მაინცდამაინც გულზე არ გვეხატებოდა და კარგადაც ვერ გავრკვეულიყავით, მართლა სერიოზულად ფიქრობდა თინიკო მასზე თუ არა. ჰოდა, იმას ვამბობდი, მირეკავს თინიკო და თან ამატებს: თბილად ჩაიცვი, გოგო, იქ ისეთი ყინვები იცის, ვერ გაუძლებ. მანუჩარიც წამოიყვანე! — გამიხარდა. ქალაქის ერთფეროვნებიდან თავის დაღწევა ოცნებად მქონდა გადაქცეული. რომც არ ეთქვა, მანუჩარი თან იახლეო, მაინც უნდა წამეყვანა. ქმრიან ქალს კი არა, გათხოვებამდეც, როცა ერთმანეთი გვიყვარდა, მაშინ არ მღირსებია თავისუფლება. დღითი დღე მე და მანუჩარს სიყვარულის თითო ნაპერწკალი გვემატებოდა და, ამდენად მარტოს გული მაინც არ გამიწევდა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეორე დღეს, დილის თერთმეტი საათია და უკვე გზაში ვართ. ავტობუსში შევიტყვეთ, ერთი ნაცნობი ხევსურის დაბადების დღეზე მივდიოდით თურმე. მთავარი კი მაინც მთა იყო და — სურვილი, უსახური ქალაქური ყოფისთვის როგორმე თავი დაგვეღწია. ამინდი გვწყალობდა. შორს მანდილივით ნისლებდახურული მთები მოჩანდა. მღელვარე არაგვი და მის ირგვლივ პირველყოფილი სიწმინდე განსაკუთრებულ განწყობაზე გვაყენებდა. აგერ, მესამე წელი სრულდებოდა, რაც მე და მანუჩარი ერთ სარეცელს ვიყოფდით, თაფლობის თვის თავდავიწყება განელებული უნდა გვქონოდა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასე არ ითქმოდა. პირიქით, რაც დრო გადიოდა, მით უფრო გვემატებოდა ერთმანეთისადმი ლტოლვა და სიყვარული. გამოგიტყდები, იმ დღეს რაღაც განსაკუთრებული, თავბრუდამხვევი გრძნობით ვიყავით ატანილი ორივენი. მოკრიალებულ ცას, მინდვრის ყვავილების სინაზესა და ვეება მთების სიზვიადეს ჩვენში ახალი სუნთქვა და მჩქეფარე სისხლი შემოეშვა.

ავედით, სიხარულით დაგვხვდნენ ხევსურები, საკმაოდ გვახლდნენ იმ მხარის მკვიდრნიც. სანამ ავიდოდით, ავტობუსში გზადაგზა ვსვამდით. ზოგნი შეთვრნენ კიდეც და ახლა ხეტიალის, სიმღერისა და ლექსის თქმის საღერღელი აშლოდათ. მანუჩარი და მე სიამის ტყუპებივით, სულ ერთად ხომ არ ვივლიდით? წამით თუ მარტო დავრჩებოდი, უმალ ერთი ხანჯალასხმული ხევსური გვერდით ამომიდგებოდა, გაცნობას მთავაზობდა და თან თვალებით შიგ უბეში მიძვრებოდა. ხევსური ქალების ფონზე ჩემი ჩაცმულობა, არ დავმალავ, გამომწვევად გამოიყურებოდა.

ერთხელაც მანუჩარმა თვალი შეგვავლო და ხევ-

სურს უმალ გავეცალე. ეგ იყო და ეგ, საღამომდე რაიმე დასამახსოვრებელი არ მომხდარა. დაკლეს ცხვარი, დააცხვეს ხაბიზგინები, ჩაყარეს ხინკლები, ჩამოდგეს მწარე ჟიპიტაური და დიდი პურობაც გაიმართა. არ უყვარდა მანუჩარს ამნაირი ქეიფი. არც მღეროდნენ, შიგადაშიგ თუ დაიწყებდა ვინმე გაუბედავად ხრინწიან ხმაზე და მერე ისიც დადუმდებოდა. სულ მთისა და სტიქიის ამბებს ჰყვებოდნენ. მეც უინტერესოდ ვუსმენდი. მთელი დღის დაღლილი სასიამოვნოდ მოვითენთე და ძილი მომერია. ოჯახის დიასახლისმა იქვე, დერეფნის ბოლოში, საწოლ ოთახზე მიმითითა. დავწექი. ძილმა უმალ წამართვა თავი. ფეხის ხმამ გამომაღვიძა, ჩემკენ ლანდი მოიწევდა. მამაკაცია!... მთელ სხეულში ცივმა, მედუზას სხეულივით მზარავმა შიშმა დამიარა. მინდოდა მეკივლა, მაგრამ პირზე ხელი ავიფარე. რაღაც უხილავმა ძალამ შემაჩერა. რამდენიმე წამში საბანში შემოძვრა. მე დამფრთხალ ბელურასავით შეშინებული საწოლის კიდესთან მივიყუჟე. დამეუფლა... ისეთი მყრალი გრძნობა მქონდა, თითქოს დილეგში ჩამაგდეს და უხეში ჩექმებით მალაჯებდნენ გულზე. მოულოდნელად ფანჯარას მთვარის მოციაგე თეთრი შუქი მოადგა და უმალ მივხვდი, სასტიკად რომ შევმცდარიყავი. უცხო კი არა, მანუჩარი იყო. მყის თითქოს სველი, ნესტიანი გვირაბი განათდა, მაღლა თეთრ ფარფატა ღრუბელზე დამსვეს და ამავე ფერის რაშით მიმაქროლებდნენ სადღაც შორს, უსასრულობაში... ქალურმა ვნებამ იფეთქა და არაამქვეყნიურ თავდავიწყებაში გადავეშვი...

იმ ღამის განცდა ისე ჩამჭედოდა გონებაში, რომ არა და არ მტოვებდა, მაგრამ ვერავის ვუმხელდი. ფილარმონიაში მშვენიერ კონცერტს ვესწრებოდით. მანუჩარიც კარგ განწყობაზე იდგა. უცბად მომიბრუნდა და ჩურჩულით მითხრა – ბარისახოს ღამე დღემდე ულამაზეს მოგონებად მახსოვს, ელისაბედ. მე მყისვე მივუგე – რაც იმ ღამეს შიში და ბრძოლა გადავიტანე, რომ იცოდე, არ იტყოდი ამას.

– რაა?! – გაკვირვებულმა მკითხა.

მივხვდი, არ უნდა მეთქვა. მაგრამ ჩემს სიტყვებს უკან ვეღარ წავიღებდი და ისევ სიმართლის თქმა ვამჯობინე. რა და... იმ ღამეს, შენ რომ ოთახში შემოხვედი, უცხო კაცი მეგონე. სულ ბოლო წამში, მთვარემ რომ დაგვანათა, მაშინ მივხვდი, შენ რომ იყავი.

წამის უსწრაფესად ფერი ეცვალა.

– ეგ ხომ ღალატია!! აქამდე რატომ მიმალავდი?

– ვერ გაგიბედე, მანუჩარ, შენს გულისტკენას მოვერიდე.

– ესე იგი სხვას ნებდებოდი. უნდა გეკივლა!

– გაგიჟდი? შემეშინდა. რომ მოეკალი?! შენ ხომ უიარაღო იყავი.

– ერთ დღეს ხომ ისედაც ყველანი იმ სამყაროში წავალთ, ელისაბედ! რქებდადგმულ ქმარს რომ მკვდარი სჯობია, არ იცოდი?!

ირგვლივ მსხდომებმა ყურადღება მოგვაქციეს.

– ოჯახური საქმეები სახლში გაარჩიეთ, თუ შეიძლება! – შემოგვისისინა ხანდაზმულმა, სათვალიანმა ქალმა უკანა რიგიდან.

დარბაზი უხმოდ დავტოვეთ. გარეთ გამოვედით. ისე საზიზღარი, წიოკა ქარი ქროდა, მე რომ ვერ ვიტან. სახლამდე უხმოდ მივედით. რაღაცნაირი, სახელდაურქმეველი უხერხულობა იდგა ჩვენ შორის.

იმ ღამეს საწოლ ოთახში არ შემოსულა.

– მაპატიე, ელისაბედ, რა ვქნა, თავს ვერაფრით მოვერიეო, – ისეთი სახით მეუბნებოდა, თითქოს იბოდიშებსო. მეორე ღამითაც არ შემოსულა ჩვენს საწოლ ოთახში და ასე გაგრძელდა ის გაუსაძლისი ორი კვირა მანამ, ვიდრე შემატყობინებდნენ, ავტოკატასტროფაში მოჰყვაო.

სულთმობრძავს მივუსწარი. ჩემს მკლავზე დალია სული. სიკვდილის წინ სიხარულის ცრემლი გადმოუგორდა: ბედნიერი ვარ, უკანასკნელ წამს რომ გხედავო. სიმღერა არ იცოდა საწყალმა, მარა დღე არ გავიდოდა, ერთი ამოჩემებული მელოდია თავისებურ კილოზე არ ემღერა.

„– მიყვარდი და მიყვარხარ, სულ მუდამ მეყვარები, მსურდა შენი ხელებით დამხუჭვოდა თვალები“.

მაშინ ვერ ვგრძნობდი, მე სულელი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, სულზე მოწოლილ დიდ ტკივილს მიმსუბუქებს იმის გახსენება, რომ ბოლო წუთებში მის გვერდით ვიყავი და ეს ერთი სურვილი მაინც ავუხდინე. ეს არის და ეს, რაც უნდა მეამბნა, – თქვა ბებიამ და ისე ამოიოხრა, თითქოს გული ამოატანაო.

– ძალიან სევდიანი ამბავია, – ამოვთქვი მე. ბებია ტანით ჩემგან მიბრუნდა, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულ ქალს, იმოდენა სულიერი ენერგია კიდევ შერჩენოდა, ცრემლს სხვას არ დაანახვებდა.

მეორე დილით რომ გამეღვიძა, ბებია უკვე ფეხზე იყო. გარეთ ისეთი სითეთრე იდგა, ნამძინარევ თვალებს ვერც ვუსწორებდი. ეტყობოდა, ზამთარი წასვლას აღარ აპირებდა. ირგვლივ თოვლის საოცარი, თეთრი მდუმარება სუფევდა – თვალისდამაბრმავებელი სიკაშკაშე იდგა. ყინავდა. ხეებსა და რიკულებზე ყინვის ლოლუები ჩურჩხელებივით ეკიდნენ. სუსხი მწველი იყო, შიგ ძვალსა და რბილში ატანდა.

ელისაბედი სასაფლაოზე უნდა წასულიყო. ასე იყო ყოველ კვირა დღეს. გამორჩეულ ყვავილებს დებდა საფლავთან და იდგა ასე, ქანდაკებასავით, საათობით გარინდებული. ელისაბედმა ზამთრის თბილი ქურქი მოისხა, ყოველი შემთხვევისათვის ქოლგაც დაიჭირა, რომელსაც ხანდახან დასაყრდნობადაც იყენებდა და სასაფლაოსაკენ მიმავალ გზას გაუდგა. ხიდს გაღმა, იქ, სადაც შეაღმართება იწყებოდა, ჩიტის გულსაკლავი ხმა შემოესმა. ირგვლივ ცნობისმოყვარედ იყურებოდა.. ყინვისაგან გათოშილ ჩიტს მეორე გულთეთრა ჩიტი თავზე დასდგომოდა და არ შორდებოდა. ისეთი სიჩუმე იდგა, როგორც ხატებით გაბრწყინებულ უმრევლო საყდარში. ელისაბედს მისი დაფრთხობა არ უნდოდა და წინ ნაბიჯი აღარ წაუდგამს. კარგად დააკვირდა, თუმცა რა დაკვირვება უნდოდა, ისედაც ადვილად შეამჩნევდით – მარტო დარჩენილი ჩიტი ტიროდა.

პატარაობისას, როცა ცივ, სუსხიან ზამთარში მობუზულ ჩიტებს დავლანდავდი, მუდამ ვფიქრობდი, რომ ისინი ტიროდნენ. როცა ამას ვამბობდი, არ მიჯერებდნენ, ალბათ, გეჩვენებაო – მარწმუნებდნენ, არადა, დღესაც მიკვირს, რატომ სხვები ვერ ამჩნევენ ამას. ახლა, როცა წამოვიზარდე, სკოლა დავამთავრე და პატარა გოგოც აღარა ვარ, ისევ ისე, უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით მაინტერესებს: საოცარია არა?! მართლაცდა, რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში?

ზურაბ პაპიაშვილი



უფლის რჩეული

შებინდდა. მამა მიხეილმა ცარიელ ეკლესიას თვალი მოავლო. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმიდან და სიბნელიდან თითქოს მოწყენილად იცქირებოდნენ ხატები. სოფელ თასმალოს წმინდა თომას სახელობის ეკლესიის მრევლი წირვაზე არ მოვიდა. მუსაკატებისაგან დასჯილ-დაშინებულნი კაკს შეეხიზნენ, ზოგიც სიცოცხლისა და ოჯახის გადარჩენის მიზნით ქრისტიანობას განუდგა.

მღვდელმა დანანებით ამოიოხრა და თავი ჩაჰკიდა. თვალწინ დაუდგა, თუ რა სიძნელითა და განსაცდელით აღსავე შრომა დასჭირდა თასმალოელ თანამოძმეთა გასამხნევებლად და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოსაბრუნებლად. ახლა კი... ისევ ცუდი დრო დაუდგათ ქართველებს. ისევ განსაცდელი, დარბევა და ძალით გამაჰმადიანება.

— ღმერთო, ნეტავ სადამდე გაგრძელდება ულმობელი ჟამთასვლის მიერ დაბრიყვებულ ქართველთა წამება?

ერთხანს იდგა ასე თავჩაქინდრული და უსიამო ფიქრებით გულდამძიმებული. ბოლოს გამოერკვა, ისევ მოავლო თვალი ეკლესიას.

— არა, ცდას აზრი აღარა აქვს, არავინ მოვა. მარტომ უნდა ჩავატარო წირვა, გაიფიქრა. შანდლებზე აქა-იქ სანთელი აანთო. სანთელთა მკრთალმა შუქმა მქრქალად გაანათა ჩაბნელებული ეკლესია და ხატთა მოწყენილი გამოხედვა გამოკვეთა.

მარტოდშთენილი მღვდელი მაცხოვრის ხატს მიუახლოვდა, დაიხარა, მოწიწებით ემთხვია, პირჯვარი გამოისახა და მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

— ამინ! — შემოესმა ყრუ ხმა. ეკლესიაში არავინ ეგულებოდა, ამიტომ ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა თავი მიაბრუნა და ხმის მიმართულებით გაიხედა. მკრთალად განათებულ კუთხეში თავჩაქინდრული კაცი თუ ლანდი დაინახა.

— მშვიდობა შენს მოსვლას, რომელი ხარ?

მოსულმა თავი უფრო ჩაღუნა, თითქოს არ სურდა მოძღვარს რომ ეცნო.

— სამწუხაროდ, მშვიდობის მაცნე არ გახლავართ, მამაო. სარწმუნოდ ვიცი, განრისხებული მუსავატები ეკლესიისკენ მოიჩქარიან, ბედად, მათზე ადრე მოვასწარ მოსვლა. მამაო! უმორჩილესად გთხოვთ, გაასწროთ მათ და სადმე, საიმედო ადგილას შეაფაროთ თავი, თორემ სიკვდილი არ აგცდებათ. იჩქარეთ მამაო!

მღვდელმა არაფერი უპასუხა. თავი ისევ ხატისკენ მიაბრუნა, პირჯვარი გამოისახა და მშვიდი ხმით წამოიწყო:

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

— ღმერთი გფარავდეთ მამაო — როგორღაც გაოცებით თუ დანანებით ამოიკვნესა კაცმა თუ ლანდმა და როგორც გაჩნდა ეკლესიაში, ისე უეცრად გაუჩინარდა.

...და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა...

უეცრად ეკლესიაში ხმლებითა და კომბლებით შეიარაღებული რამდენიმე კაცი შემოიჭრა. მღვდელს ლოცვა არ შეუწყვეტია... არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება აწ და მარადის და უკუნით უკუნისამდე. ამინ! — წარმოთქვა და ხელი აღმართა, რათა პირჯვარი გამოესახა, მაგრამ ვერ მოასწრო. ზურგში საშინელი ძალით მოხვდა კომბალი. სახით მაცხოვრის ხატს მიენარცხა და ძირს დაეცა. მომხდურებმა წიხლებით დაუწყეს ცემა. სცემდნენ დიდხანს და გულმოდგინედ. ცხვირ-პირიდან წამსკდარმა სისხლმა ერთიანად წითლად დაუფერა თმა-წვერი, თუმცა იგი მოთმინებით იტანდა გვემას, კვნესაც კი არ დასცდენია. ბოლოს დაიღალნენ მოძალადენი, მღვდელს ხელი დასტაცეს, ფეხზე წამოაგდეს, ხელები ზურგსუკან თოკით გაუკრეს და ჯიკავ-ჯიკავით წინ გაიგდეს.

ეკლესიიდან გამოსულმა სოფელს თვალი მოავლო. არსად კაცის ჭაჭანება არ იყო. დამფრთხალი მოსახლეობა სახლებში შემალულიყო და შეშინებული გარეთ გამოხედვას ვერ ბედავდა.

სოფელი გაატარეს და ვიწრო ბილიკით პირი ტყისკენ უქნეს. დაბინდულ ცაზე თანდათან ოქროსფერი ვარსკვლავები აკიაფდნენ. მალე მთვარეც ამოცურდა და შემოდგომის წყნარი საღამო დღესავით გაანათა. მომხვდურებმა მღვდელი შუაგულ ტყეში, კირის ორმოსთან მიიყვანეს, სადაც იქ მყოფთ ცეცხლი გაეჩაღებინათ. ცეცხლთან ახლოს, მორზე, ვიღაც იჯდა. სახის გამომეტყველებასა და მბრძანებლურ კილოზე ეტყობოდა, მათი მეთაური უნდა ყოფილიყო.

მოსულებმა მღვდელი მის ფეხებთან წააქციეს და კმაყოფილი, ამაყი სახით მიაჩერდნენ.

— ჰა, რას იტყვი დონღუზ ქეშიშ, ახლავე გაჩვენებ, თუ როგორ უნდა ხალხის მოტყუებით გაქრისტიანება. ახლა შენ თვითონ მიაფურთხებ ქრისტეს სჯულს და მუსლიმად მოიქცევი, თუ არა და ამ გახურებული შამფურებით გასწავლი ჭკუას.

მეთაური წამოდგა, ცეცხლთან მივიდა და ორი მოელვარე შამფური გამოაძრო, შემდეგ თავისიანებს მიუბრუნდა და წაქცეულ მღვდელზე ანიშნა:

— წამოაყენეთ მუხლებზე და წინ მისივე ჯვარი დაუგდეთ!

დამქაშებმა წაქცეული მღვდელი მუხლებზე

წამოაყენეს, მკერდიდან ჯვარი ჩამოგლიჯეს და წინ დაუგდეს. მეთაური მღვდელს მიუახლოვდა, გავარვარებული შამფურები ცხვირწინ დაუტრიალა და წაუსისინა:

— ახლავე მიაფურთხე ჯვარს, შე ბინძურო ღორო, თორემ...

მღვდელმა გავარვარებულ შამფურებს თვალი აარიდა და თავი ჩაჰკიდა.

— „ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ღირსი", — გაახსენდა ეგზომ ნაცნობი სახარებისეული სიტყვები. დაიხარა, ჯვარს მოწიწებით ემთხვია და ისევ წელში გაიმართა. მეთაურმა შამფურები უმალ საფეთქლებზე მიადო. საშინელმა ტკივილმა მღვდელს მთელ ტანში დაუარა და დედამიწაზე უგონოდ დასცა.

მწვალებელმა ჯვარი ცეცხლში მოისროლა, დამქაშებს მღვდელი მოასულიერებინა, შამფურები ისევ ცხვირწინ დაუტრიალა და უთხრა.

— ეგ შენი სიჯიუტე სიკეთეს არ მოგიტანს. იცოდე, თუ ჭკუას არ მოუხმობ უარესი მოგელის.

— „ნუ გეშინიათ მათი ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ" — ისევ გაახსენდა თუ ჩაესმა გახურებულ შამფურებით ცეცხლწაკიდებული საფეთქლების გუგუნში მღვდელს უფლის შეგონება.

მეთაურმა ერთხანს უცადა, მაგრამ, რადგან მღვდელი ხმას არ იღებდა, ადგა და ხელმეორედ მიადო შამფურები საფეთქლებზე. ისევ დატრიალდა ჰაერში ადამიანის დამწვარი ხორცის მძიმე და აუტანელი სუნი. წამებულმა ისევ დაკარგა გონი. კვლავ მოასულიერეს და განაგრძეს წამება. ყოველ გონზე მოსვლისას უბრძანებდნენ უარეყო ქრისტიანობა და ეღიარებინა მაჰმადიანობა. მღვდელი ჯიუტად დუმდა. ბოლოს

გამხეცებულმა მეთაურმა შამფურები მოისროლა და შესძახა:

— უკანასკნელად გაფრთხილებ, ახლავე ქრისტეს სჯულს თუ არ უარყოფ და მუსლიმად არ მოიქცევი, ღორივით დავაკვლევინებ შენს თავს! — შემდეგ შებრუნდა და იქვე მდგარ ზორბა კაცს მიმართა:

— თუ ახლავე არ აღიარა მუჰამედის სჯული, ქათამივით წააგდებინე თავი!

ზორბა კაცი დამცინავი სახით მიუახლოვდა მღვდელს, თავზე მახვილი აღუმართა და დასჭყივლა:

— წყეულო ქეშიშო! მოიქცევი თუ არა მუჰამედის სჯულზე? — თან წიხლი უთავაზა.

მღვდელი პირქვე დაეცა.

— „ვინც თავის სულს ჩემთვის კარგავს, ჰპოვებს მას" — ჩაესმა თუ გაახსენდა გონებადაბინდულს.

ერთხანს ეგდო ასე, პირქვე. შემდეგ წამოდგომა სცადა, ხელებშებორკილსა და ნაწამებს გაუჭირდა წამოდგომა, სულს კბილებით ჩაეჭიდა, მთელი ძალა მოიკრიბა და რის ვაი — ვაგლახით მუხლებზე წამოიმართა.

— ხელები შემიხსენით — ყრუ ხმით ამოიძახა.

ზორბამ კითხვის გამომხატველი თვალები შეანათა მეთაურს. მან თავი უხმოდ დაუქნია. ახოვანი შებრუნდა, მღვდელს ზურგსა და ხელებს შუა ხმალი შეუცურა და თოკი გადაუჭრა. შეგუბებული სისხლი ერთბაშად მიასკდა დაბუჟებულ თითს წვერებს და ნემსებივით დაუჩხვლიტა. მღვდელმა ნელ-ნელა მოიშორა ხელებიდან თოკები. გაშლილი ხელის მტევნები ერთმანეთს მიუსვ — მოუსვა, ხელები დაიზილა. შემდეგ დაიხარა, ხელისგულებით მიწას დაეყრდნო და ნამაზის მლოცველივით შუბლი მიწას შეახო.

იქ მყოფთ ველური ხარხარი აღმოხდათ. უკან თავ გადაწეულები ურა ცხენებივით ჭიხვინებდნენ, მეთაური კი შიგადაშიგ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოაყივლებდა:

— ჰა, ჰა, ჰაა, დონღუზ ქეშიშ, მოგიყვანე თუ არა ჭკუაზე, ჰა, ჰა, ჰაა... მალე მთელ ქრისტიანებს მოვარჯულებ და მათი მოლა შენ იქნები. ჰა, ჰა, ჰაა...

პირქვე დამხობილმა მღვდელმა მშობლიური მიწა გულში ჩაიკრა და ჩასჩურჩულა:

— მალე შენ ჩამიკრავ და ჩამიხუტებ გულში სამუდამოდ...

უცებ თვალწინ ნაწყვეტ-ნაწყვეტ კადრებად გაურბინა განვლილმა ცხოვრებამ;

...დედა, დედიკო.. საბედო დაიხარა, შვილი აიტაცა და გულში ჩაიკრა...

...მამა, მეც წამიყვანე ტყეში შეშაზე... რაფიელმა შვილი ურმის კოფოზე შემოსვა და გვერდით მიუჯდა...

...შენ კარგად უნდა ისწავლო და, როცა გაიზრდები, მოლა უნდა გამოხვიდე.

— არ მინდა, არა!

— ხმა ჩაიწყვიტე — შავჩალმიანმა ბოროტად დააბრიალა თვალები

...განუდგები სატანასა?

— განვუდგები სატანასა!

— შეუდგები ქრისტესა?

— შევუდგები ქრისტესა!

...მღვდელმა შუბლზე მირონით ჯვარი გამოსახა...

...„ჩვენთან არს ღმერთი!" — პირველი წირვისა და ქადაგების შემდეგ წარმოთქვა უსაზღვროდ ბედნიერმა...

... ავადმყოფებისთვის წამალი თუ დაგჭირდებათ, მოდით და უსასყიდლოდ გაგატანთ...

... ბავშვები სკოლაში უნდა ატაროთ, მარტო ვაჟები კი არა, ქალებიც...

...მშობიარის ღვთის ანაბარა მიგდება ცოდვაა, უნდა მიხედოთ და დაეხმაროთ...

...ბლაღოჩინო, მისიონერი მამა ლეონიდე გაქებდათ. იმედი მაქვს შემწეობას გაუწევთ შევიწროებულ, ერთ მუჭა ქართველებს...

...უნდა აღვადგინოთ კასრიც და დიდი საყდარიც...

...მადლობა შენდა ღმერთო ჩემო, რომ აღგვიდგინე ქურმუხის წმინდა გიორგი და კასრის სამება...

...თქვენო მეუფებავ! მისიონერი ივანიცკი ცრუობს! ესენი თათრები კი არა, ქრისტეს სჯულიდან იძულებით გადამდგარი თასმალოს ქართველები არიან.

...უფალო, შეიწყალე და დაიფარე გატანჯულ ქართველთა შვილები...

მიწის გულიდან თითქოს ზარის ხმა შემოესმა. მოეჩვენა, რომ ყველა ეკლესიის ზარი, რომელშიც იმსახურა, ერთდროულად რეკდა. მხურვალე, დასისხლიანებული ბაგეებით ეამბორა მიწას, შემდეგ მუხლებზე წამოიმართა,მარჯვენა ხელის საჩვენებელი, ცერი და შუა თითი ერთად შეკრა,წამოსწია,შუბლთან მიიტანა და ხმამაღლა წამოიძახა:

— სახელითა მამისათა... შემდეგ თითები მკერდის ქვეშ, მზის წნულთან — და ძისათა...

მოხარხარეთა სმენას მისწვდა მტკიცე ხმით წარმოთქმული სიტყვები, ხარხარი შეწყვიტეს და გაოგნებული თვალებით მღვდელს მიაჩერდნენ, მან კი ერთად შეკრული მარჯვენა ხელის სამი თითი მარჯვენა მხარზე მიიდო... და სულისა წმინდისათა... შემდეგ მარცხენაზე და — ამინ!

წამოსწია დასისხლიანებული თავი და ცას ახედა. უცებ ვარსკვლავი მოსწყდა და მაღლა აიჭრა.

— რა უცნაურად მოსწყდა ვარსკვლავი, — ამის გაფიქრებაღა მოასწრო. გონსმოსული მტარვალის ხელში ხმალმა იელვა და მღვდლის კისერს მთელი ძალით დაეძგერა.

თავი უმალ განეშორა ტანს და იმ მიწაზე დაგორდა, ახლახან რომ მოეფერა. წამიც და მოცახცახე სხეულიც თავთან, მშობელ მიწაზე დაესვენა...

(და კიდევ ერთმა ღირსეულმა ქართველმა უძღვნა სული უფალს, გული — სამშობლოს, სხეული კი საჯიჯგნად ყვავ — ყორნებს დაუთმო).

ერთი თვის ძებნის შემდეგ კაკელმა მონადირეებმა თასმალოს ტყეში იპოვეს კირის ორმოში თავდაყირა ჩაფლული მღვდლის ნაწამები თავი და ტანი. ამოასვენეს, წაასვენეს კაკში, გააპატიოსნეს და წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, დაკრძალულ ღირსეულ მამულიშვილთა მცირე პანთეონში, ივან-ბაბა ბულუღაშვილის საფლავის გვერდით პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას უფლისა და სამშობლოსათვის თავდადებული მღვდელი.

...და მხოლოდ უფალმა უწყის სამშობლოს და სარწმუნოებისათვის მოწამეობრივი სიკვდილით მერამდენე ქართველი აღესრულა.

P.S. 2012 წლის 5 ივლისს, ღვთის ნებითა და ჰერეთისა და ხორნაბუჯის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, მეუფე მელქისედეკის მცდელობით, კახის წმინდა გიორგის ეკლესიის პანთეონში განსვენებული მღვდელმოწამე მიხეილ ყულოშვილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და წმინდა სინოდმა, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქის, ილია მეორის მწყემსობით, წმინდანად შერაცხა. იმავე წლის მარიამობის დღესასწაულზე მეუფე მელქისედეკმა წმ. მიქაელ ყულოშვილის საფლავზე პარაკლისი გადაიხადა.

...და ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ იწამეს!

ერთი ლექსი

თამარ შაიშმელაშვილი

გ ი შ ი

დღეს შემოდგომა აცვია
გიშრის,
გულში ღამეა
თეთრად ვნებული,
ნისლში მოწყვეტილ
ყვავილს ჰგავს გიში,
ცოცხალ ფესვებით,
ლოცვა ჰერულით...

თითქოს სამი გზის
იხსნება კარი...
ისე დავეძებ
ბებერ გულ-მუხებს,
და იმედებით
დავხუნძლავ ქარებს,
რომ შეეგებოს
გიშელ-ქურმუხელთ...

ჩამოივლიან მზის
რაინდები —
ვაზის ჯვრებით
და ქრისტეს მტევნებით,
ვინ მიერთგულებს
რუხ ამინდებში...
სისხლიანი მაქვს
ისევ ტერფები...

გზა არ მთავრდება
ნისლების ფრენით,
ნისლებსაც გიშრის
აცვიათ კვართი...
ლოცულობს გიში
დაჭრილი ფრთებით
და... სევდიანი ღიმილით
გაკრთის...

.....

15 ოქტომბერი, 2018
საინგილო/ჰერეთი

ნინო ჩხიტვიშვილი

როცა უფლის სკამი ცარიელია

ძვირფასო ლორა!

ვერ წარმოიდგენ როგორი ბედნიერი ვიყავი, შენი წერილი რომ მივიღე. შენმა ბარათმა ბავშვობა მომაგონა: არც ბედნიერი, არც უბედური. უფრო ტკივილიანი, მამების დაკარგვით გამოწვეული, ერთდროულად რომ დაგვატყდა თავს და ამის მერე ჩვენი მწუხარება და სიხარული, რაღაცნაირად თანხვედრილი გახდა. მერე, მერე კი, იმდენი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში. შენ გაემგზავრე ამერიკაში. მე, აქ, „დიად საბჭოეთში“ დავრჩი. მერე, როცა სიძულვილითა და ტერორით აშენებული წითელი იმპერია დაინგრა, ჩვენ, განსაკუთრებით ქართველები, მოუმზადებელნი აღმოვჩნდით დამოუკიდებელი ქვეყნის ასაშენებლად. თუმცა, ახლა ამაზე საუბარს არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს.

...

ახლა კი, ნუ გაგიკვირდება, თუკი მოგითხრობ თემურ ჩხეიძის ახალ სპექტაკლზე „ჩვენი კლასი“. ვეცდები სპექტაკლის ჩანაწერიც გამოგიგზავნო. დარწმუნებული ვარ, ჩაგაფიქრებს. თემატიკა, დღემდე აქტუალურია, თუკი კაცობრიობა ჰუმანიზმზე პრეტენზიას ისევ აცხადებს და ფაშიზმის ჯოჯოხეთიც ახსოვს.

„ჩვენი კლასი“ ევროპაში აღიარებულ პოლონელ დრამატურგს, რეჟისორს, თეატრალურ კრიტიკოსს, ვარშავის დრამატული თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს – ტადეუშ სლობოდზიანეკს ეკუთვნის. ეს პიესა ევროპის რამდენიმე წამყვან თეატრში უკვე დაიდგა. თუმცა, ჩვენში ეს ავტორი თავისი გახმაურებული ნაწარმოებით, ჯერ-ჯერობით, პოპულარული არაა. პირველად თემურ ჩხეიძე დაინტერესდა ამ დრამატურგით. და რაკი მწერლისა და რეჟისორის სათქმელი დაემთხვა, მივიღეთ კიდევ ერთი, თვითონ ბატონი თემურის შემოქმედებაშიც, ფორმის თვალსაზრისით, უდავოდ განსხვავებული სპექტაკლი.

ურთულესი პიესაა: არაა გამოკვეთილად მთავარი, არც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. აქ ყველა პერსონაჟი მთავარია, იქნება ეს მომავალი უფლის მსახური (ლევან სარალიძე), თუ „რიგითი ფაშისტი“, ებრაელ თანაკლასელთ ცოცხლად რომ წვავს, თუ ის, ვინც შეიფარებს თანაკლასელ ებრაელ გოგონას, მერე ქრისტიანულად მონათლავს და ცოლადაც მოიყვანს. ზოსკაც (ნატალია გაბისონია), კეთილი, დაბნეული პოლონელია. ებრაელ კლასელს, მენახემს (გიორგი რაზმაძე) გადამალავს. შეუყვარდება და როცა დაქვრივდება, მასთან ქორწინებასაც გადაწყვეტს, მაგრამ მისი ყოფა სხვაგვარად წარიმართება, აი ისე, სიცოცხლის ბოლოს გაკვირვებულმა რომ იკითხოს: სულ ეს იყო ჩემი ცხოვრებაო?! – და ეს შეკითხვა ყველა პერსონაჟის სათქმელს აერთიანებს. დარბაზში „გადმოსროლილი“ რეპლიკა, ისეა ნათქვამი, მაყურებელს „წერტილოვან დარტყმას“ აყენებს.

მოკლედ, აქაც, ამ პიესაშიც, ზუსტად ისევე ხდება ყველაფერი, როგორც სინამდვილეშია. ამიტომაცაა ასე საინტერესო. ორიგინალური. შეიძლება მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტადაც კი აღიქვა, მიწერილია, პერსონაჟეთა დაბადება-გარდაცვალების თარიღებიც (თუმცა ეგ არაფერი, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი რე-

ალურად არსებული პიროვნებანი არიან). როგორც მოსალოდნელი იყო: შესაშური სისადავით გვაწვდის სათქმელს რეჟისორი. არადა, ერთი წაკითხვით, პიესაში, თითქოს, არც არაფერია „ხელჩასაკიდი“ საიმისოდ, რომ თანაკლასელების ტრაგიკული ცხოვრება მოქმედებაში გადაიტანო. რადგან შინაგანი კონფლიქტი, სულიერი ღელვა, მონოლოგებადაა დალაგებული. „ჩვენი კლასი“, ვფიქრობ, კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება მიაღწიო ასეთ შედეგს: თუკი ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებენ მსახიობები რეჟისორის ყველა ამოცანას.

....

წარსულს იგონებს ყველა პერსონაჟი. ისინი თითქმის არ ელაპარაკებიან ერთმანეთს და ამ დროს რა უნდა ქნას რეჟისორმა, რომ ეს სათქმელი ისე მიიტანოს მაყურებლამდე, მწერლის სტილისტიკა არ დაარღვიოს?

თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი მეთოდი ხომ ასეთია: მორჩილად „მიჰყვება“ ავტორს, ერთი სიტყვა რაა და... იმის შეცვლასაც ერიდება, თუკი ამას აუცილებლობა არ მოითხოვს. და თუკი ცვლის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, სიბრტყიდან სივრცეში გადატანისას, ქმედითად რომ აქციოს.

...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სცენოგრაფია: ჯერ კიდევ სპექტაკლის დაწყებამდე, როცა შესცქერი, რეჟისორი და მხატვარი უკვე გამზადებს ტრაგედიისთვის. უყურებ უხეშ, ნათელი ფერებისგან დაცლილ, მიტოვებულ სამყაროს და შეუძლებელია ამ სამყაროდან კეთილს მოელოდე. თუმცა იმისი მოლოდინიც გესახება რომ, კათარზისი, რაც თემურ ჩხეიძის სპექტაკლებს ახასიათებს, ამ შემთხვევშიც გარდუვალია.

ძველთაძველი, გამოხუნებული კედლები – ალაგ-ალაგ ამომწვარი უხეში ნაჭრის მრუმე ფონი. სცენის ორივე მხარეს აღმართული რკინის შავი კიბეები, რომელიც გარე სამყაროსთან ერთგვარ დამოკავშირედლადაც იქცევა და, ამავე დროს, სიმბოლურადაც შეგახსენებს რომ, ვერანაირი კიბით (რაც არ უნდა მაღალი იყოს) ვერ მოახერხებ გაექცე საკუთარ თავსა და ცხოვრებას.

სცენაზე დგას ხის ძველი გრძელი მაგიდა და სკამები. ეს ის მინიმალიზია, რაც ბადებს განწყობას. და როცა მაგიდის გარშემო პერსონაჟები სხდებიან, უნებურად გაგონდება საიდუმლო სერობა. თუმცა როგორც ირკვევა, აქ, „ამ სერობაზე“ უფლის სკამი ცარიელია, ამიტომაცაა სულ ელი უფლის გამოჩენას, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთი პერსონაჟი გარკვევით „გიხსნის“: ცოცხალთა და გარდასულთა განსასჯელად იესო ქრისტე კი არა, იოსებ სტალინი მოვიდაო! ასე რომ, აქ, ამ (მხატვრულ) რეალობაში სიკეთის, სიყვარულის, თანალმობის ადგილი საბოლოოდ ცარიელია!

...

არადა, თავიდან ყველაფერი მხიარულად იწყება: ყმაწვილები სკოლაში მიდიან. ერთმანეთს ეცნობიან. ამბობენ ლექსებს. დაახლოებით, ისეთს, ლორა, ჩვენც რომ წარმოვთქვამდით, როცა მათი თანატოლები ვიყავით: „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერი!“

ესენი კი ასე: სისხამ დილიდან ისმოდა ჭიკჭიკი ბელურებისა, „აბა, ბავშვებო, გვითხარით, რა დღეა, დღეს, რა გეღირსათ? ერთხმად გაისმა პასუხი, სასიხარულო ძალიან: „დღეიდან სწავლა გვეწყება, სკოლაში მიგვიხარია!“

ისეთი გახარებულები არიან, ბელურების ჟივჟივიც კი ჭიკჭიკად ეჩვენებათ, ეს ერთ-ერთი საინტერესო მიგნებაა, ჯერ დრამატურგის, მერე უკვე მთარგმნელისა (პიესა ქართულად თარგმნა ჩინებულმა დრამატურგმა და მთარგმნელმა თამაზ გოდერძიშვილმა) და რეჟისორის ამ ნიუანსის ასეთი აქცენტირება, ვფიქრობ, ზუსტი მინიშნებაა იმისა, თუ როგორ აღიქვამენ სამყაროს ყმაწვილები.

ოცნებობენ მომავალზე. იციან, როცა გაიზრდებიან, სასურველ პროფესიას დაეუფლებიან. რაც მთავარია: ერთად იქნებიან და ეყვარებათ ერთმანეთი. ყმაწვილები ლაღები და ბედნიერები ხარობენ... კარგია სიყმაწვილე, უზრუნველია. როცა ყველაფერს სხვა თვალით უყურებ. სიყვარული, გულწრფელობა, სინაზე ცხოვრების თანამგზავრი გგონია, როცა თანაკლასელი ყველაზე ახლობელია. აკი ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი, რისეკი (ნიკოლოზ გოგიძე), თანაკლასელი ნათესავივით ახლობელიაო. და ეს ფრაზები ხშირად მეორდება სპექტაკლში, როგორც ერთგვარი ირონიული მინიშნება კლასელთა მოჩვენებით ერთიანობაზე.

„მაგარი იყო სკოლაში. ბევრი საინტერესო რამ ხდებოდა. ბიჭებს დავუმეგობრდი. გოგონებიც მომწონდნენ – ძალიან ლამაზები იყვნენ... ერთი ებრაელი გოგონა ისე მომეწონა, ვარდისფერი ქაღალდიდან გული გამოვჭერი, ზედ ლექსი დავაწერე, სუნამოთი მოვრწყე და ჩანთაში ჩავუდე“.

მერე დორა (ანა-მარია გურგენიშვილი, სოფიო ზერაგია) აგრძელებს: დავინახე, რისეკი ჩემს ჩანთაში რომ იქექებოდა, შემეშინდა. მოვირბინე და... გული დავინახე, რისეკი მომწონდა. ცოტა სულელია, მაგრამ – ლამაზი. ვიდექი და ამ ქაღალდის გულს დავცქეროდი.

მოულოდნელად მენახემი მომეპარა და ის ლექსი ხმამაღლა წაიკითხა: „ამ გულს მოგიძღვნი, ჩემი გულია, ამ გულში შენი სიყვარულია“.

რისეკს თანაკლასელებმა დასცინეს. დასცინა დორამ და მენახემმა, ლექსი ხმამაღლა წაიკითხეს. ეს პირველი, შეუმჩნეველი, ყმაწვილური ხუმრობაა, მაგრამ იქნებ, სწორედ ესაა მიზეზი, რასაც მოსდევს მძაფრი დაპირისპირება, გაუთავებელი ჯაჭვი კონფლიქტებისა. ეს „დალექილი“ წყენა მოგვიანებით, იმ სცენაში იჩენს თავს, როცა თითქოსდა დავიწყებას

უნდა მიეცეს. ამ ამბიდან უკვე დროა გასული. დორა და მენახემი დაქორწინდნენ, პატარაც შეეძინათ და რისეკი სწორედ ახლა, ებრაელთა დევნის ჟამს, იყრის ჯავრს: დორას ჯერ გააუპატიურებს, მერე შვილთან ერთად, ცოცხლად დაწვამს სხვა ებრაელებთან ერთად.

შესაზარია იმისი ცქერა, თუ როგორ კარგავენ ადამიანურობას და როგორ ყალიბდებიან ჯერ კომუნისტების, შემდეგ ფაშისტების ხელში, მოყვარული თანაკლასელები სისხლისმსმელებად. არადა, უყვარდათ ერთმანეთი, თითქოს, უერთმანეთოდ ვერც კი წარმოედგინათ არსებობა, სინამდვილეში კი, ეს ერთიანობა, მყიფე და მოჩვენებითი აღმოჩნდა.

...

გავიხსენებ კიდევ სხვა შემთხვევას: როცა კათოლიკენი ლოცულობენ, ებრაელთ შეურაცხყოფენ. ბზარი მალე უფსკრულად იქცევა. უფსკრული — ტრაგედიად! კათოლიკენი კლავენ, აუპატიურებენ, ცოცხლად წვავენ ებრაელებს.

კომუნიზმი, მერე — ფაშიზმი. დიქტატურა ჯერ თიშავს, მერე — საბოლოოდ ათითოკაცებს. მაინც, ვინ აღმოჩნდება პირველი მსხვერპლი?

— იაკუბ კაცი! ეს პერსონაჟი (ივა ქიმერიძე) სათნო, ცოტათი იდეალისტიც, უნებურად ხდება მეგობრის გამცემი (თუმცა წლების შემდეგ ირკვევა, მას კი არა, სწორედ ზიგმუნდს დაუბეზღებია რისეკი) და პირველიც ეწირება ეპოქალურ ცვლილებებს.

„ოღონდაც მოვახერხო და წავიდე ამათგან შორს, — გავიფიქრე, აღარ გამომეკიდებიან. ოღონდ წავიდე. მზე ანათებდა, საზიდარში ჩაბმული ცხენი მიყურებდა. მზიდავს კისერზე შვრიით სავსე თოფრაკი ჩამოეკიდებინა. არქიმედეს კანონი! არქიმედეს კანონი! როგორ არის?“

იმეორებს მომაკვდავი და ვისაც ახსოვს არქიმედეს კანონი, ხვდება, რომ... კანონის არსი ასეთია: ამომგდები ძალა, რომელიც მოქმედებს სითხეში ჩაძირულ სხეულზე, ტოლია ამ სხეულის მოცულობის სითხის წონისა, ანუ რა მოცულობისაც იქნება სხეული, იმავე მოცულობისა აღმოჩნდება დაღვრილი სითხე (სისხლი).

საინტერესოდაა გადაწყვეტილი ეს ეპოზოდიც: ზედმიწევნით გათვლილი ძუნწი მოძრაობებით, რეჟისორი და მსახიობები ახერხებენ წამებით სიკვდილის შემზარავი სცენის ჩვენებას. (ბოლოს ქვით განტვინავენ კიდეც) და ამ დროს, თითქოს, მსახიობებთან ერთად, მაყურებელიც, წარმოსახვით, ლამის „მკაფიოდ“ ხედავს, როგორ უმწეოდ გდია, საბრალო ყმაწვილის მიტოვებული გვამი.

ასე იწყება ნამდვილი სისხლიანი კალო!

...

„არა კაც ჰკლა! არა კაც ჰკლა!“ — ზარივით რეკავს შეგონება.

...

რაც უფრო მეტად მძაფრდება ამისი განცდა, მით უფრო მეტად ხვდები რომ, ცხოვრების ერთადერთი უზუსტესი ფორმულა, უფლის მცნებათა დაცვაა!

...

დროებისა და რეჟიმის შეცვლა მუსიკითაა მინიშნებული, როგორც თემურ ჩხეიძეს სჩვევია, ისე ჩაერთვის, განწყობას ქმნის. და ის ყრუ გუგუნიც, დედამიწის გულიდან ამომავალი რომ გგონია, დროდადრო ალბათ იმიტომ მოისმის, ადამიანური ცოდვები რომ „ჩამოგითვალოს“:

...

და ამ დაუნდობელ ყოფაში, უეცრად, თითქოს გამოკრთის იმედის სხივი: ვლადეკს ცოლად მოჰყავს საგანგებოდ ამ ქორწინებისთვის გაქრისტიანებული და სახელშეცვლილი რახელკა (ანასტასია ჭანტურაია, ლიკა მაისურაძე), მარიანკას დაარქმევენ.

შთამბეჭდავია ქორწინების ეპიზოდიც: რახელკა (უკვე მარიანკა) მოიგონებს: ბრიჩკა მიჯაგჯაგებდა ქალაქში, სადაც არც ერთი ებრაელი აღარ დარჩა. მათი სახლებიდან, პარმაღებიდან ზიზიღით გვიცქერდნენ ახალი მეპატრონენი. თვალის დახუჭვაც კი არ მჭირდებოდა, მათ გვერდით ძველი პატრონები რომ დამენახა. მაშინ პირველად ვინანე, ცოცხალი რომ დავრჩი.

რაც ამ დროს სცენაზე ხდება, რის წარმოჩენაც ცდილობს რეჟისორი, კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ ხელეწიფება თვით მისტიკაც კი, ასე თვალსაჩინოდ დაგვანახოს: როგორ ეცხადებიან უკვე დახოცილი ებრაელი თანაკლასელები თავიანთ ჯალათებს და როგორ იქცევა ეს მოჩვენებითი ლხინი, საზიზღარ თავყრილობად.

მინდა კიდევ ეს მაგალითი მოვიყვანო ადამიანური უზნეობის ნიმუშად: ზიგმუნდის წერილები. ეს ის ზიგმუნდია, ვითომცდა პოლონეთის გათავისუფლების იდეით, სინამდვილეში კი, საკუთარი კეთილდღეობისთვის, ჯერ კომუნისტებს, მერე ფაშისტებს რომ შეეკრა. არავინ დაინდო, არც თანაკლასელები, მოგვიანებით კი მიხვდა, ფაშისტებმა და ვერც კომუნისტებმა, ვერ აუსრულეს წადილი (თუმცა, მგონია, ხეირიანად არც იცოდა, რა სურდა), მერე კი, როცა ეს კოშმარული წლები დასრულდა, შეეცადა აბრამი (ნოდარ იაკობიშვილი) (ამერიკაში მცხოვრები თანაკლასელი) სათავისოდ განეწყო და წერილი მისწერა:

„ძვირფასო აბრამ!

წერილის პირველივე სტრიქონებით საზარელი ამბავი უნდა შეგატყობინო. ჩვენი თანაკლასელები იაკუბ კაცი, დორა — თავისი შვილით, აგრეთვე, ყველა ჩვენი ებრაელები ჰიტლერელმა არაკაცებმა დახოცეს. ქალები და ბავშვები საბძელში შეყარეს და ცოცხლად დაწვეს. შენი არცერთი ნათესავი არ გადარჩენილა! აღარ არის რაბინიც! იმ დამპლებმა ჩვენი თანაკლასელი რისეკიც მოკლეს. სიტყვები არ მყოფნის აგიწერო, რა გადაიტანა ჩვენმა სამშობლომ, ჩვენმა ხალხმა, და ჩვენმა უბედურმა თანაკლასელებმა.

ღმერთო, რა დავაშავეთ? რატომ გვიგზავნი ასეთ განსაცდელს?“

და კიდევ აქვს ამ წერილს „გაგრძელება“: ომის მსხვერპლთა უკვდავსაყოფად ძეგლის დადგმა გადაუწყვეტია და ფინანსურ დახმარებას, ისევ ამ თანაკლასელს სთხოვს:

„ძვირფასო აბრამ!

პირადად მე არაფერი მჭირდება. ავად თუ კარგად თავი გაგვაქვს. ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ პატიოსნად ვცხოვრობთ. ჩვენ, ყველას გვინდა, იმ საზარელი ამბების უკვდასაყოფად ძეგლი დავდგათ! თუ შეიძლებ, მცირე თანხით მაინც დაგვეხმარო, დიდად მადლობელი დაგრჩებითო.

ეჰ, თურმე სადამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი. ამ პერსონაჟის განვითარების კულმინაცია ესაა, კვანძი კი იქ იხსნება, შვილის გარდაცვალებას რომ შეიტყობს, აი, მერე ხვდება, რომ ავკაცობა არავის შერჩება.

მენახემის შვილიც იღუპება,რადგან ვერც მენახემი ინარჩუნებს ბოლომდე ადამიანურ სახეს, მიეცემა თუ არა შესაძლებლობა, მაშინვე ცდილობს თანაკლასელებს სამაგიერო მიუზღას: „კბილი კბილის წინ, თვალი თვალის წილ!“ – ტყულიად კი არ დაისწავლა ასე ბეჯითად ბიბლიიდან, ზოსკასთან რომ აღმოაჩინა. თავიდან ზღაპრების წიგნივით, გასართობად რომ კითხულობდა.

ისე კია უცნაური, ზიგმუნდი იქით ამუნათებს უფალს: ეს რა ჩასვრილი ცხოვრებით გვიცხოვრია, ნეტავი ღმერთი თვალს ხომ არ გვარიდებდაო?! – არადა, თვითონვე უარყო უფალი.

მისი შვილის დაღუპვის დღე ზუსტად ემთხვევა 30 წლის წინათ, თანაკლასელის – იაკუბ კაცის მკვლელობას.

და ზიგმუნდიც ხომ იმ მკვლელობის თანამონაწილე გახლდათ.

...

ვერცერთი პერსონაჟი ვერ გადაურჩა უფლის მკაცრ განაჩენს, ყველას თავისი მიეზღო!

ეს ყმაწვილები ჩვენ თვალწინ გაივლიან მთელ ცხოვრებას და სპექტაკლის დასასრულს ირკვევა,რომ ამ ყველაფრისგან, ამ საშინელ ტრაგედიას მხოლოდ – აბრამი გადაურჩა,რადგან,სკოლის დამთავრებისთანავე, ამერიკაში გაემგზავრა. მართალია, ფიზიკურად დაშორდა თანაკლასელებს, მაგრამ მხოლოდ მან შენარჩუნა მეგობრებისადმი უანგარო სიყვარული.

რამ განაპირობა ეს,ამერიკამ გადაარჩინა?! ერთერთ წერილში, ასე ხშირად რომ უგზავნის თანაკლასელებს, წერს, როგორ გადაუსხვაფერეს გვარი ამერიკულ ყაიდაზე და პეკარის ნაცვლად ბეიკერი უწოდეს, თან ეს უნებურად რომ მოხდა. იმავე წერილში ამასაც დასძენს: პოლონური არ მავიწყდება, მაგრამ ახლა ჩემი ენა ინგლისურიაო!

ამგვარი არჩევანი, ნებაყოფლობითი არაა, მაგრამ ის რეალობაა, რაც ამერიკაში წასულ აბრამს არამხოლოდ ფიზიკურ არსებობას უნარჩუნებს, არამედ, როგორც პიროვნებას, როგორც ებრაელი ერის წარმომადგენელს გადაარჩენს და მომავალსაც არ დაუკარგავს: ცოლსაც მოიყვანს, შვილებიც ეყოლებათ.

ამერიკაა ახლა მისი აღთქმული ქვეყანა. მოკლედ, ეს ის იდეაა, რასაც გვთავაზობს პიესის ავტორი და სპექტაკლის რეჟისორი. ასეა! ეპოქა, გარემო ძერწავს პიროვნებას: არავინ იცის, როგორ მოიქცეოდა აბრამი პოლონეთში რომ დარჩენილიყო.

ჰოდა, ამიტომაცაა რახელაკს სიტყვები, სპექტაკლის ფინალში: ტელევიზორში ბევრ საინტერესოს უჩვენებდნენ, ყველაზე უფრო მომწონდა ფილმები ცხოველებზე. ალბათ, პასუხს ვეძებდი შეკითხვაზე: რა აზრი აქვს ჩვენს ცხოვრებას? ვეძებდი, მაგრამ ადამიანთა სამყაროში ვერ ვპოულობდი, ცხოველთა სამყაროში კი, ვპოულობდიო! – მხილებასავით ჩაგვესმის. და აქ ერთგვარად დუნდება თამაშის ტემპო-რიტმი, რაკი სპექტაკლი დასასრულისკენ „მიიპარება“, უნდა ნახო, როგორი „სიფრთხილით მიდიან“ მსახიობები ფინალისკენ: როგორ მუშაობენ სცენაზე, გამომსახველობითი ფორმების სისადავით ზუსტად წარმოაჩენენ თავიანთი პერსონაჟების ფსიქოლოგიურ წიაღსვლებს.

...

ლორა, თუ გიფიქრია ოდესმე იმაზე, როგორ მოვიქცეოდით მე ან შენ, ან დანარჩენი თანაკლასელები, თავის გადარჩენზე რომ მიმდგარიყო საქმე?

p.s.

წერილის დასაწყისში გწერდი: რაკი დრამატურგისა და რეჟისორის სათქმელი ერთმანეთს დაემთხვა, მივიღეთ კიდევ ერთი საინტერესო, სრულებით განსხვავებული სპექტაკლი. გწერდი, რომ რეჟისორი არასდროს არღვევს დრამატურგის სტილისტიკასმეთქი და კიდევ ერთხელ,ამის დასტურად მოვიხმობ – ტადეუშ სლობოდზიანეკის სიტყვებს: „რატომ მოხდა ეს ყველაფერი, რამ განაპირობა, რამ მიიყვანა საზოგადოება აქამდე, ვინ იყო ამაში დამნაშავე? ჩემი საქმე არ არის ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა,ჩემი საქმეა ამ შეკითხვების დასმა!“

ჰოდა, ამ სპექტაკლით სწორედ იმავე კითხვებს სვამს რეჟისორიც, და ისიც დრამატურგივით უპასუხოდ ტოვებს, რადგან პასუხს მაყურებლისგან მოელის.

...და თუკი გეშინია ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემისა, მაშინ ადამიანად ყოფნის შიშსაც დაატარებ, რადგან შენ გვერდით უფლისთვის სკამი ჯერ ისევ ცარიელია!

მოგიკითხავ სიყვარულით, შენი თანაკლასელი – ნინო.

ზეინაბ მეტხეველი

* * *

ჩაშაქრდა დღე და ჰაერიც დაწკნა
და ჩამავალ მზეს ბუსუსებს აყრის
და ხშირად იშლის ღრუბლების ნაწნავს
მზე თრიალეთის ბეჭებზე დაყრილს,
შიშველი ტოტი სველ ქარებს ისევს,
ცას თავს ახარბებს ფერი კუნელის
და გარიჟრაჟზე მოწველილ ნისლებს,
კვლავაც დედის რძის ასდის სურნელი...
აღარ დაეძებს ქარი წასართმევს,
ჩაუგიშერდა თრთოლვა სიბნელეს,
წერენ ფოთლები ბოლო ბარათებს
და გაყვითლებულ გულზე იბნევენ,
გადაუტიტვლდათ ბილიკებს მხრები,
ქარი გადაძოვს ბოლო ბალახებს
და შეეჩვევა სიცივის ხმები
ორპირ ქარებში დაყრილ სანახებს,
კვლავ მოილხენენ სქელი ფარდები
მზით შეყვითლებულ გობელინებით,
თითა წვიმებით და ნიაღვრებით
აცრემლდებიან ქოთნის იები,
ისევ სიმშვიდეს გამოიგონებს ნაძვი,
მწვანე თუ არვინ გახადა
და მძიმე ოხვრით დაორთქლილ მინებს
ვიღაც დამტვრეულ ფრთებს დაახატავს...
ჩაგიდედდება მზერა გუგებში
და რაკრაკს შეწყვეტს ცრემლების ღელე
და მოთმინებით დუმილს თუ შეშლი,
ჩრდილებსაც გაზრდი სამზეოდ მერე...
ვიღაც არ მოვა, ის, ვინც გერჩივნა,
ყველაფერს ვეღარ წაშლის ყველაფრით
და დღეს მარტოდენ ცრემლის კენჭი გაქვს,
რომ აიშენო თოვლის გელათი...
რა გეშველება, ფრენას თუ მოშლის
სული და თავსაც ვერ გაიმართლებს
და მწოლიარეს თოვლის კუბოში,
მწუხრის ლოცვას არ წაგიკითხავენ,
რა გეშველება, თუ შემოდგომას
მოჰყავს ზამთარი მთოველი ოხრად,
თუ მშიერ-ტიტველ შენს ძირძველ მოდგმას,
მხოლოდ ღირსება შერჩება ჩოხად,
რა გეშველება, მხრებს თუ ვერ გაშლი
და მდუმარებას ვერ გაახელებ
და საქართველო ამ ათპირ ქარში,
გულის ნარჩენებს ამოახველებს,
უძღებთ ჯერ ქუდი ყავარზე უდევთ
და მიეღებათ წყალობა უხვად,
ვიდრე სამშობლოს ჩინიან ქურდებს,
მამის საფლავიც არ გადაუხნავთ...
რა გეშველება, თუ ვერ გახვედი
ამ წრიდან, ყველა გზა რომ მოჰგავო,
თუ გაზაფხულის არ ხარ დამხვედრი,
უსამშობლო და სულით ბოგანო...

* * *

ბოლო ლაგამი მაქვს დაუხრავი,
რასაც ჩემი ბედი დაშანთვია,
ეგეთ გაბრძოლებას რა ვუთხარი,
ვიღაც რომ გიბრალებს, „ფაშატია“...
არვის უნაგირი არ დამიდგამს,
ფერდნი არ ვილეწე სხვის დეზებით,
ჩემი ნება იყო, რაც არ მითქვამს,
რაც ვთქვი – იმას ჰქონდა მიზეზები,
არავის მათრახი არ დამირტყამს,
თავი ჩირგვებში არ ჩამირგია,
ისე გამოვცურე არაგვიდან,
ანანურსაც კი არ გაუგია,
უცხო არ დამისვამს მეჯინიბედ,
ჩემმა ჯიშ-ჯილაგმა მომაშენა,
ახლა სავსე მთვარეს შევჭიხვინებ,
ის კი, ჩამომღიმის – „ნეტა, შენა“...
კვალსაც აღარსაით აღარ ვტოვებ,
ქარი ჩემს ნეკნებზე დაკვრას სწავლობს,
ისე ეშხით აღარ მღალატობენ,
სული ერთგულებით გავაწვალო,
ქართლში მწვანე მუხა ვერ ვიხილე,
სუყველა თითქმის მორი არი,
და როცა შინდისს შევჭიხვინებ,
„ამისთვის?“ – ამომძახის ონიანი...
ყველაფერს ბალახი მოსდებია,
მალე დრო გრძელ ხელებს დაიმკლავებს,
ისეთი მშვიდი ომებია,
ტყვიას არ გესვრიან – ისე გკლავენ...
მე ვერ გამოვდგები აქ სადოღედ,
ისევ შინაგანი ბრძოლით ვიწვი,
სადღაც კიდევ მიწა გადაღობეს,
წავალ, ჩემს წილს მაინც გამოვწიწკნი...
თვალებში ცეცხლი მაქვს ჩანამქრული,
აღარც ქედი შემრჩა ასახრელი,
მე მაინც ფაფარში მაქვს გამოკრული,
ტყვია, ბოლო მარცხზე დასახლელი...
მალე, სულ ბოლო ნალს მიმაკრავენ,
ბოლო გაქროლებას მიმანდობენ,
კოჭლ ცხენებს მაინც იქა ჰკლავენ,
სადაც ნადირები ბინადრობენ...

* * *

მალე სიმწვანით მოცულ სველ ველებს,
შემოაკვდებათ გულზე ბალახი
და მთებს – გადამდგარ, მოხუც გენერლებს
დაეზარებათ თოვლქვეშ ტრაბახი...
მოგონებების ბებერ სკივრს გავსხსნი
და განვაახლებ ალბათ ძველმანებს
და ფანჯრებს ისე დახუჭავს სახლი,
როგორც მე ვახელ ცრემლით სველ თვალებს...
მრავალჭირნახულ თვალების ქვევრებს,
მოვხდი დაგროვილ ცრემლის ზედაშეს
და „საფერავის“ იმ ერთ წვეთს შევრევ,
შესანდობარს რომ ვეტყვი დედაჩემს,
ჩამოირბენენ დღეები თვალწინ,
თავისმართლებით დაღლიან ფიცილს,
მაშინ სატირლად მქონია რაც კი,
დღეს ჩაბჟირებად არ ჰყოფნის სიცილს,
რა ეშველებათ ამ ლოცვებს უთქმელს,
რომლის დახარჯვა არვინ მადროვა,
მე ღმერთს ყოველთვის ერთ სანთელს ვუნთებ,
რადგან უფალთან ყველა მარტოა...
მე ის დღეც მახსოვს, მზე რომ ჩავიდა
და მთელი წელი არ ამოსულა
და გამაჩინეს როცა თავიდან,
უკვე სევდაზე ვიყავ ორსულად,
მალე სიწმინდედ თოვლებს გადვივლებ,
შლეგი ქარები კეფას ამხდიან,
მე მაინც ვეტყვი ქოთნის ყვავილებს,
ყველაზე დიდი ციხე-სახლია,
გადააბიჯონ სივრცეს და დროებს,
სული სხეულში უკივით ვიდრე
და იმდაგვარი სიცოცხლე ჰქონდეთ,
თავისუფლების ტყვეობად ღირდეს...
მოხსნიან ხეებს ფოთლის სახვევებს,
რომ ჭრილობები გახდეს საჩინო
და შეიძლება ისე გახევდე,
მკერდში გულიც ვერ აღმოაჩინო...
ასე მგონია, გავექეც მდევრებს
და ახლა საშველს მუხლზე ვუზივარ,
თითქოს ვმალავდე მოპარულ შედევრს,
ბედნიერების მუზეუმიდან...

* * *

მზეთა ნაწნავი ისევ დამოკლდა,
ღრუბლები ჯიქნებს წვიმით ივსებენ
და ჰაერს მკვეთრად ხელს თუ გამოჰკრავ,
იგრძნობ, სიცივის ჩაშლილ ბისერებს.
ვერ ავიყარე სევდის ყავარი,
ვეღარ ჩამოვსვი სკამზე კვირა დღე,
შემოვიხსენი გზათა ქამარი
და აღარც მახსოვს, საით მივაგდე...
გადამალული დროის ლუკმებით,
გადავსილი აქვს ღამეებს ყბები
და დაისებში ვისაც ვუკვდები,
ამომავალ მზის მკლავებში ვყვები,
მე მართალია, არსად ვითვლები
და არსაითსაც სევდთ ვამძიმებ,
ქართლის მინდვრების გახდილ ჩითებით
ვუვსებ თრიალეთს ღრუბლის განჯინებს,
ხეებს სიშიშვლეს ცრემლებით ვუხვევ
და ყველა წვეთი სირცხვილით იწვის
და სველი შეშით ყელჩამწვარ ბუხრებს
ამოაქვთ კვამლის გამხდარი ხრინწი,
მზის სხივებს მაინც ვერ ვხსნი კედლიდან,
ზოგი ხანჯლობს და ზოგიც მახვილობს
და ჩემს წინ რაიც ყოფად შემკვრივდა,
ვცდილობ, ცოდვებში აღარ ვამხილო,
ხრწნის სუნი ასდის ლექსის რვეულებს,
წაუკითხავი დროების მკვიდრებს
და პოეზიის ათასწლეულებს
ვუტოვებ ჩემზე ტკივილით მდიდრებს,
თვალებს კვლავ ვახელ სამყაროს გარეთ,
რომ არ გამოვჩნდე უფრო უნდილი,
აქ, ღია კარში მოყოლილ ქარებს
შელახული აქვთ თოვლის მუნდირი,
ჩავცხრი, სულს მაინც ვერსად ვიოკებ,
ჩრდილს ნამზეური ვეღარ უთბება,
თავისუფლების თოკის სიმოკლე
გამომენასკვოს ლამის ყულფებად,
მალე მომაკვდავ ფოთოლთა საძვლეს,
კვლავ ჩემი ეზო გადაიბარებს
და ყინულების კორსეტში ნაძვებს
გაუმკვეთრდებათ თეძოს სიმრგვალე,
ასე სიცოცხლეს ბევრჯერ ვიგლოვებ,
როცა ვჭვრეტ ყოველს დრო რას უკეთებს,
ჩემი თავი რომ გამოვიგონე,
მაინც ველოდი ცოტა უკეთესს...

* * *

ვდგავარ ჩემსავით დაღლილ იფანთან,
ერთ ფოთლადაც რომ ვეღარ ვეცმევი,
ე,სულიც ისე გასიფრიფანდა,
სხეული ეძებს ხელისცეცებით...
დღეა ნაქონი დარდით ნაგიჟრის,
მალე ჩრდილებით მიწას მოხეხავ,
მთებში მზე ჩადის კოჭლი ნაბიჯით,
მგონი ღრუბელმა ფეხი მოტეხა,
ახლა ისე ვარ, ჩემს სისხლს შევსვამდი,
ოღონდაც ამ დრომ კანი გაიძროს
და სასაფლაოს სიჩუმესავით
ჭირისუფლის ხმამ გამომაღვიძოს,
სადღაც ვიღაცას ვიღაც ენატვრის
ისე, რომ სული კბილით უჭირავს,
მე კი ჩამქრალი სული კელაპტრით,
ჩემსავ ცრემლსა ვხვრეპ უფლის მუჭიდან,
ცა ლამისაა გვალვით ჩამოჭკნეს,
მიწას ლურჯ ძარღვებს ვეღარ უნედლებს,
ის გული მუხას მე რომ ამოვჭერ,
ისევ უგულოს გადაუნერგეს,
სულ სხვანაირი მოვლიან ქარნი,
ხანდახან ვამბობ კიდეც „რა მიშავს“,
თავქვეშ ნადები ობიან ხმალით
მუდამ წაგებულ ომებს აღვნიშნავ,
ცხრა მოსე მოკვდა, ცხრა ფარაონი,
მონობის მდომი მაინც მეტია,
აღარ გამოჩნდა ჩვენი პატრონი,
გადაგვაჩვიოს უგზო ხეტიალს...
უხვად ითვლიან მტერთა ნაბოძვარს,
ყველა მწვერვალზე სულ ნისლებია,
ვინც საქართველოს მიწით გამოძღა,
გულზე ეს მიწა ნურც ღირსებია,
ამაოდ ვცდილობ ბნელის შემტვრევას,
რასაც ნათელი ასე ებევრა,
ანდა წვიმაში მნათობ კელეპტარს,
რაში სჭირდება სულის შებერვა...

* * *

ეძინოთ ბავშვებს, იის ღერომდე
დახრილი ზეცის კვალი რომ მისდევთ,
ვიდრე ახალი დროის ჰეროდე
აღმოაჩენდეს მათ შორის ქრისტეს,
ეძინოთ, ვიდრე, ჰგონიათ მოვრჩით
ომებს, შეწირვას, სიძვას, ღალატებს
და დაიბადნენ იმდაგვარ დროში,
მტრედებს ატანენ ჯერაც ბარათებს...
ეძინოთ ბავშვებს, საამოდ უძლურთ,
არ შეუცვალოთ სიზმრების გვერდი
და ხელოვნური რეზინის ძუძუ,
ჰგონიათ ჯერაც მშობელი დედის...
ეძინოთ, ვიდრე მზე თვალებს ნაბავს
და მთვარე საწოლს ღიმილით ურწევს
და საშოვარზე დაკარგულ მამას,
ცოლი სხვა კაცის მკლავებზე უწევს...
ეძინოთ, ვიდრე ქარი მოცელავს ბალახს,
რომ მერე თივად გაზიდონ,
ვიდრე არ იცის რძისფერ პორცელანს
როგორ უნახავს დედა სამზითვოდ...
ეძინოთ, ვიდრე არ იცის ჯავრი,
მათ სახლში როგორ უცებ მოვარდა,
რომ მისი თხელი ნათლობის ჯვარი,
მამამ გუშინწინ დაალომბარდა...

ეძინოთ, ვიდრე ნაზი ზმორებით,
ღრუბელს მისდევენ ცერებზე შემდგარს,
ეძინოთ, ვიდრე მათი ტოლები,
ზოგჯერ ნაგავში ეძებენ დედას...
ეძინოთ, ვიდრე ბედის ბადეში
ვერ აჩერებენ სითბოს საზამთროდ,
ვიდრე არ იცის მეორადებში,
მთელი ცხოვრება უნდა გაზარდონ...
ეძინოთ, ვიდრე ჟამი მათ ლოშნის,
ვინც სტომაქიდან ცდილობს ამქრობას,
ვინც დაიბადა საქართველოში
და ყველგან იგრძნობს მიუსაფრობას...
ეძინოს, ვიდრე ბედის სიმძიმე
წააგებინებს იღბალთან ნიძლავს,
ვიდრე „ნანაზე“ არ გაიღვიძებს
და დედის ნაცვლად შერჩება ძიძას...
ეძინოს, ვიდრე მზე სხივებს გათლის
და შეაჟრჟოლებს ცივად ქარის ტანს,
ვიდრე სატაძრო ჩუქურთმას გათლის
და ღვთის ტერფებთან თავად აიტანს...
ეძინოთ ბავშვებს – სიმშვიდით დაღლილთ,
ვიდრე მათთვის ცა ჭერში შეკიდეს,
ვიდრე საწუთრო – მშობლების სახლი
ამაოების აქცევთ მემკვიდრედ...

* * *

დღეს ქარს თილისმად ის თმა შევაბი,
ადრე რომ მისი ხელით ვიჭრიდი,
მიწას შარვალში ზეცის პერანგი
ჩატანილი აქვს ძველი ბიჭივით...
ღელეში ფეხებგაფარჩხულ ურთხმელს
შემოუწყვია წელზე ტოტები,
წლებია მთვარეს ღამეებს უთევს,
სულარეული მისი ტოტემით...
ვერ გავექეცი ჩემს ჩრდილს ვერაფრით,
წვიმის ღობეზე ვაშრობ იარებს,
ცრემლით ნაშენებ სევდის გელათით
დავითზე ვერვინ ვამშობიარე...
ისეთი დროა, ვერსად ეტევი,
დარდის ნაკეცებს ლხინი ასწორებს
და დაჟანგებულ ჯიშის კერტებით,
ძუძუს ღვიძლ შვილსაც აღარ აწოვებს...

სიცოცხლე ჩამდის წამის ძაბრებით
სულში და დარდი ვერ გამოვჩურჩე,
გზებს ვიგნებ მხოლოდ ღრუბლის აბრებით
და ისევ ჩემში მივყავარ ქუჩებს,
კვალს ვეღარ ვტოვებ, სადაც გავივლი,
მთელი სამზეო მომყვება ჩრდილად
და ახლად დაკლულ, ჭრელ მამალივით,
სოფლის ეზოში ფართხალებს დილა...
დავალ ისეთი ფიქრის თანხლებით –
სიცოცხლე ისევ გამიმეორებს,
გამოკეტილი, ცივი სახლები ჰგვანან
წაგებულ ომის მეომრებს,
კარგა ხანია, მე ჩემს თავს გავცდი,
მე იმათ ვდარდობ, ვინც მომდევს უკან.
ვაითუ, გაჩნდეს საერო კაცი
და საქართველო არ ეყოს ლუკმად!...

ლიკა ხაჩვამაძე

,,ესეც გაივლის!“...

ვხედავ, რომ გიჭირს
თქმაც კი მიჭირს,
მაგრამ ასეა,
შენი ზღვაც ახლა
უფრო შავი
უფრო მლაშეა,
ვიდრე ოდესმე ყოფილა ალბათ...

შენს ბებერ მკლავებს
დასერია ძმობის ძარღვები
და ყველა მხრიდან
მოგსევიან, როგორც ძაღლები
დაგეშილები,
ულირსობას მიჩვეულები
შენს კალთას ერთ დროს შეფარული
ძუძუმტეები
შენს საწნახელში დაწურული,
როგორც მტევნები,
შენს გულზე ლაღად მობიბინე
სევდის ტევრები...

ვხედავ, რომ გიჭირს
და რა უფრო,
ვერ ვხვდები, ჩემო?!
მტერმა სამიზნედ რომ გაქცია,
როგორც მაქცია
თუ შენს უბეში გაზრდილები რომ ასისინდნენ?..

ვიცი გაუძლებ,
განა ერთხელ გასვეს დუბელა
განა,პირველად შემოგიჩნდა დარდის წურბელა?.
არ დანებდები!..
დანებებას არ ხარ ჩვეული,
გზები გიცდიან სიმაღლისკენ
თეთრი, შვეული
სადაც, უვლიათ შენს გაზრდილებს
თავაწეული...

აღარ მოვყვები წიწამურზე,
არც შამქორს,
დიდგორს – აღარ ვახსენებ
(არც ღირს ნამდვილად)...
ჰო, დაგამარცხეს თითქოს ბევრჯერ,
თუმც დაჩოქება ვეღარ შეძლეს შენი
ადვილად...

შენს სადღეგრძელოს სვამდა ალბათ
თავად აგუნა
ღმერთმაც,
წაქვეულს წამოდგომის
ნიჭი გარგუნა...

ვხედავ, რომ გიჭირს,
დაჟანგვია ვადა სატევარს,
ვხედავ, მუმლები დასევიან
მუხის ნატევარს,
მაგრამ, გაივლის...
ჩემო ერთო,
,,ესეც გაივლის“,
როცა შენს გზებზე
დავითი და ცოტნე
გაივლის!..

* * *

ჯვალო ვარჩიე სიფრიფანა
მზისფერ სარაფანს
სალაფავს ვირჩევ ნუგბარის ნაცვლად...
და ყველა სიტყვას,
პირზე რაც მადგას,
გზა და გზა, გულისწასვლამდე
ვმარცვლავ...

ის კი არა და,
დამაქვს ხურჯინი
მუნჯივით, ვზიდე, რაც კი მებადა...
თავს ვარიდებდი უღვთო სიხარულს
ვარჩიე, სხვისი დარდი
მედარდა!..

ახლა, ცოტა ხნით
(სულის მოთქმამდე)
მოვთქვამდე არ მსურს
წლებით ნახანძრალს...
რაც ვნახე, ვიტყვი,
კარგია ოღონდ
თუკი მოვასწრებ
მეტის ნახვასაც...

პიპა...

ერთი ბედის ვართ
მე და შენ,
პიპა,
ერთნაირად ვსვამთ
წყალსაც კი
მლაშეს...
ვებრძვით და მაინც
უკიდეგანოდ
დააჭენებენ ქარები
რაშებს...

სიყვარულისთვის ვომობთ და
ასე
საუკეთესო წლები
გავლიეთ...
ვერ მოვერიეთ ტკივილს
ჩიტივით,
ფრთებმოტეხილი რომ ლეწს
გალიებს...

ერთი ჭირი გვჭირს, მე და შენ,
პიპა,
ყოფნა,
არყოფნა
დავდეთ პინაზე...
რაც კი გავეცით,
არამც და არამც
არ დაგვიბრუნა ბედმა
ჯინაზე...
არც ჩვენ დავთმეთ და
არც ქარს მობეზრდა
ჩვენ შორიახლოს
ძრწოლა
სირბილი...
შენი არ იყოს,
ისე ახლოა
ყვითელთვალება
ჩემი სიკვდილი,
რომ ყოველ დილით
მოკითხვას ვუთვლი
(ირონიაა, ხედავ, რამხელა?!.),
არ მჭირდებოდეს ნეტავ
შენსავით
ამ ცოდვა-მადლის ერთად
გამხელა...

არ მამძიმებდეს
ნაქურდალივით
გაციებული გრძნობა –
ბეჭებზე...
არ მახელებდეს ეს გაზაფხული,
ლავიწჩამსხვრეულ ყოფის
ეჭვებზე...

ერთი ფიქრის ვართ მე და შენ,
პიპა,
ერთი სევდით ვართ
ნამზეურები...
ულმერთოობა დაგვწამეს იმათ,
ამოვიგლიჯეთ ვისთვის
გულები...

ერთი ბედის ვართ
მე და შენ,
პიპაა,
ტკივილი აწვიმს
ჩვენი
ფრთებიდან...
შეუფერებელ სიყვარულს
მივსდევთ
დაბადებამდე
დაბადებიდან!..

* * *

ვცარიელდები შიგნით
და გარეთ,
კალაპოტს არღვევს
პირსავსე ფშანი...
გაიღვიძებენ დილისკენ
მდარედ,
დოღ-გამოვლილი
ჩემი ლაფშანი...
აყეფდებიან დუჟმორეული
ნისლები,
ახოს პირ რომ იცდიან,
შემომიჩნდება მზე
შორეული,
დარდიმანდულად,
მთებ რომ იციან...
ჭიშკარზე,
ავი თვალის საცდურად
გაილაპლაპებს
ორპირი ნალი,
ავირჩევ ჩემს წილ
ბექოს სასთუმლად,
საბნად მექნება
ცა, ჭადარნალი...
გადავაბიჯე ყველა
კარაბანს,
ფიქრი წყეული
მიწად დავიდა,
ღმერთად შობილი
ვგავარ ბარაბას
და დაბადებას
ვცდილობ
თავიდან!..

* * *

დაშემოდგომდა... ახლა ველებზე
წვებიან ალბათ, ცერად ნისლები
ვიქირომანტე დაცლილ ვენებზე
მოვიშველიე სიზმრის მისნებიც...
ვყვედრი. არც ერთი მაინც და მათგან
რომ არ აღმოჩნდა ჩემი და სანდო
და ლუკმასავით გულზე დამადგა
ცრემლის გორგალი, წავედი სად რომ...
დაშემოდგომდა.... ასე, გაღმიდან
ვჭვრეტ ჩემ ეზო-კარს, რომ არ მაქვს არსად
რომ არ მეგონა ფიქრი დამღლიდა
ვკვდები და მერე ლაზარეს მსგავსად
ისევ აღმდგარი, საკუთარ სხეულს
ვაცლი წინადღის ტკივილს სათუთად
და დავიწყებით საგრძნობლად სნეულს
მოგონებები მიდევს სასთუმლად...
დაშემოდგომდა... ჩია ვაშლები
ღია სარკმლიდან ჰგვანან ლუხუმებს
ვერგამოზრდილი ჩემში ბავშვები
ცელქობენ, ზოგი მერმისს უყურებს,
სადაც ვდგავარ და სადაც წარსული
თავშესაფარად შემომრჩა, მხოლოდ
ხან ხორცი მეწვის, ხან ხმა, ხან სული,
როს მონატრება მეწვევა ხოროდ.
გამოყოლილი დარდი მესიდან
მიტოკავს, როგორც ქარში წალამი
და გასასროლი ბოლო ლექსიდან
ამოღებული დამაქვს წამალი.
ვიწვი უთქმელი სიტყვის მაყალზე
ვეღარ გავძვერი ნემსის ყუნწიდან
ხან ბარიტონზე, ხანაც მაღალზე
ვღიღინებ ტკივილს, ნაჟურს ყურძნიდან
ფესვებნაღრძობი ავდარს რომ უძლებს
რომ... და ამდენი „რომ“-ით ვბრუვდები
ჰო, მე მაბრუნებს ვით ძე – შვილს უძღებს
ტკივილი უკან, და მეც ვბრუნდები...
იქ, სადაც მთებზე წვანან ნისლები
იქ, სად წყარონი სჩქეფენ ანკარა
იქ, დაცლილი რომ ისევ ვივსები
და სიყვარული მათბობს თაკარა!..

ჰოი, გივარგილ...

ჰოი, გივარგილ
ჩამომდგარა ლაჰილზე ნისლი,
მზებუდობაა მოწეული ზამთრისპირულის...
სისხლი ტაატით უჩქროლდებათ,
ჩვენებრ, ბერფუყებს,
ან, საერთოდაც,
არცა აქვთ სისხლი...

ჰოი, გივარგილ,
ცარიელ გზებს ჰგვანან მაჯები,
ერთ დროს ბალღების ნატერფალებს
რომ იშუშებდნენ,
ერთ დროს ჩქეფებად რომ სდიოდათ
ოფლის ღვარები,
ერთ დროს მოძმისთვის არაფერს რომ
არ იშურებდნენ...

ჰოი, გივარგილ,
უჭირს შენს მხრებს ზიდვა ტკივილის,
თვალები მზეებს ახლა ღამით თუ ისიზმრებენ,
ხრიოკებს ჩრდილი თუ აფიქრებთ
ახლა შენეულ,
თორემ... რკინისებრ ნაბიჯები სადღა არიან...

ჰოი, გივარგილ,
წაუღიათ ღმერთებს სინორჩე
გზა გასავლელი, ჰგავს წლებისგან მღილნაჩვევ
ყავარს...
ჰოი, გივარგილ, რა გვაცოცხლებს
ამ ყიამეთში?..
– ალბათ, ჯერ კიდევ, ერთმანეთს რომ ვუძლებთ
და ვყავართ!..

ჰოი, გივარგილ,
ჩამომდგარა ლაჰილზე ჯანღი,
მზებუდობაა მოწეული
ზამთრისპირულის...

ნიკო მარის დაბადებიდან 155 და გარდაცვალებიდან 85 წლის გამო

ავტობიოგრაფია

დედჩემისაგან მსნენია, რომ დაბადებაცა და ბავშვობაც ჩემი თითქმის ლეგენდარული ყოფილა. მამაჩემი შოტლანდიელი მოხუცი გახლდათ, დედა კი ახალგაზრდა გურული ქალი (აღათი მაღულარია). მე ქუთაისში დავბადებულვარ, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე „ფერმაზე", სადაც მამას სასოფლო-სამეურნეო სკოლა ჰქონია. აქ მას სუბტროპიკული ფლორის ნიმუშებისაგან უზარმაზარი ბაღი გაუშენებია, სადაც მაგნოლიებს მთელი ხეივანი ეკავათ. დედა მოკრძალებული განათლებისა იყო, მამა კი უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ხარისხით. ყველაზე მეტად, მას ბოტანიკა იზიდავდა. ძნელბედობის ჟამს ის, კავკასიაში ბაღების გაშენებით იყო დაკავებული. ჩაის ბუჩქებიც, პირველმა მან ჩამოიტანა გურიაში.

მართალია, მამის ნათესაობაში ფრანგები, რუსები და ესპანელებიც (პირველი ცოლისაგან) იყვნენ, მაგრამ ჩემმა ბავშვობამ მთლიანად საქართველოში გაიარა. მალევე ოზურგეთში გადავსახლდით, ერთი ღატაკი ფეოდალის მამულში. იმ დროიდან შემორჩა ჩემს მეხიერებას, შეხვედრები ქართველ არტისტებსა და პოეტებთან, მეჯინიბეებსა და მონადირეებთან. ასევე მახსენდება თურქი ბავშვები (თურქეთის საზღვარი ახლოს იყო) რომლებთანაც მთელ დროს სირბილსა და ბურთის თამაშში ვატარებდი. ძილის წინ კი, ყოველ საღამოს ქლეხის გოგო სულ ახალ-ახალ ხალხურ ზღაპრებს მიყვებოდა, როგორც შეხერიზადა. მამაც იქვე იყო, თავისი ინგლისური გაზეთით ან წიგნით. მოგვიანებით, როცა წერა-კითხვა ვისწავლე ერთ-ერთი ასეთ წიგნის ფურცლებზე გაკეთებული შენიშვნებიდან შევიტყვე, მისი კონსერვატიული შეხედულებების შესახებ. მამისაგან ერთადერთი დალოცვა რაც მივიღე ასეთი იყო: „არაფერი ხეირიანი შენი ხელიდან არ გამოვა"-ო. ეს განცხადება გაკეთებული იყო მას შემდეგ, რაც ის ჩემს თამაშს აკვირდებოდა. დედას კი პირიქით, თავისი შვილის თაობაზე გადაჭარბებული მოლოდინი ჰქონდა. იგი ჩემში ყველივე საუკეთესოს და იდეალურსაც კი ხედავდა. მაგალითად, ვინაიდან მას ქერა ბავშვები უფრო მოსწონდა, ყველას უმტკიცებდა თითქოს ჩემი შავგვრემანობა ზაფხულის მზის ბრალი იყო, თორემ სინამდვილეში ქერა ვიყავი (მე კი თავი სულ შავტუხა მახსოვს).

დედ-მამას არ ჰქონდათ საერთო ენა. მამა, თავისი მშობლიური ინგლისურის გარდა თავისუფლად ფლობდა ფრანგულსაც. დედამ კი მხოლოდ ქართული იცოდა. დამტვრეული რუსულისა და ქართულის ასეთ ნაზავზე ურთიერთობამ, ჩემი ლექსიკონის ჩამოყალიბებაც განაპირობა. თუმცა ჩემს მშობლიურ ენად მაინც ქართულს მივიჩნევ, უფრო სწორად კი — გურულს. პირველი გაკვეთილები ქართულში მივიღე. შემდეგ ფრანგულში, მამასთან ერთად — ფრანგული სიტყვების ქართული ტრანსკრიპციით. პირველი სასკოლო მეცადინეობები ცელქობითა და ათასგვარი ოინებით აღინიშნა, რისთვისაც ხშირად სადილის გარეშეც დავრჩენილვარ. ამ სასჯელის მეთოდი ასეთი იყო: სასკოლო ქუდის ჩამორთმევა და სკოლაში გამოკეტვა. თუმცა ეს მაინც არ მიშლიდა ხელს, რომ თავქუდმოგლეჯილი სადილად სახლში გამოვპარულიყავი და მალევე უკან დავბრუნებულიყავ, ამნისტიის მოლოდინში.

რვა წლისამ მამა დავკარგე. ის დიდი პატივით დაკრძალეს. მე და დედა კი ფაქტიურად უპატრონოდ დავრჩით. ყველა დარწმუნებული იყო, რომ უვიც და ბნელ ადამიანად გავიზრდებოდი, რომელიც მამის წიგნებსაც კი ვერ წაიკითხავდა. სხვათაშორის ამ უკანასკნელთ შავი დღე დაადგათ: ნაწილი ბუხრის გათბობას შეეწირა, დანარჩენი კი კედლებზე აღმოჩნდა გაკრული — შპალერის მაგიერ. მალე ნათესავებმა სახლიდან გამოგვისტუმრეს. თუმცა, მამის დამსახურებების გამო დედამ მაინც შეძლო ჩემი კლასიკურ გიმნაზიაში გამწესება. ჩემი მოუმზადებლობის მიუხედავად, აქ მაინც მიმიღეს. ამაში დირექტორის ერთი ნათქვამიც დამეხმარა, ის რომ — მე ინგლისელი ვარ. ჩემმა პირველმა ნამუშევარმა რუსულ წერაში სენსაცია მოახდინა. იქ იმდენივე შეცდომა იყო, რამდენიც ასო! მიუხედავად ამისა, თუ ალბათ უფრო ამის გამო რუსულის მასწავლებლის ყურადღებაც დავიმსახ-

ურე. ჩემი წარმატება კი სულ სხვაგან გამოვლინდა – ლათინურ ენაში, იქ სადაც ბავშვების საშველი არ იყო. კლასში, რომელიც თითქმის მთლიანად ქართველებისაგან შედგებოდა, არავის წარმოდგენა არ ჰქონდა ამ მკვდარი ენის შესახებ. მე კი, ჩემდა გასაოცრად საუკეთესო ლათინისტი გავხდი. ამათი დახმარება და მათ მაგიერ შრომაც კი მიწევდა. უარის შემთხვევაში გვარიანი ცემა მელოდა. ასე, ერთხელ დანით ჭრილობაც კი მივიღე. დრო და დრო მასწავლებლებსაც წავუსწრივარ ამ საქმეზე და კარცერშიც აღმოჩენილვარ – იქვე,გიმნაზიის გვედრით,რომლის სუნის გახსენებაზე ახლაც მაჟრჟოლებს.

პირველი წიგნი ქართულად წავიკითხე - ხალხური ზღაპრები. შემდეგი კი რუსულად (უკვე გიმნაზიის მეორე კლასში) – „რობინზონ კრუზო“. წიგნებმა ახალ სამყაროს მაზიარეს. დაახლოებით ამ დროს დედაჩემი – ისევ ახალგაზრდა და ლამაზი ქალი, ერთ მეგრელს მისთხოვდა. ის ძველებურად განაგრძობდა ჩემზე ზრუნვას. ჩემი ხასიათის გამო მასწავლებლებისათვის უსიამოვნება მომქონდა, რომლებიც მაინც მანებივრებდნენ. თუმცა ნებისმიერი საქციელისათვი თავისუფლად შეეძლოთ სასწავლებლიდან ჩემი მგლის ბილეთით გამოშვება, მაგრამ სხვა ყველაფერის გარდა იმიტომაც მიფრთხილდებოდნენ,რომ სკოლის კაპელის პირობაზე კარგი ხმაც მქონდა (და კლარნეტზეც ვუკრავდი). სკანდალები აქაც არ გვაკლდა, რაც საბოლოოდ ჩემს ნიშნებზეც აისახებოდა.

ცელქობამ კარგი მაინც არაფერი მომიტანა. ერთხელ სირბილისას ფეხი ვიღრძე. მდგომარეობა ისე გამირთულდა, რომ კონსილიუმმა ამპუტაციის გადაწყვეტილება მიიღო. მხოლოდ დედის დაჟინებული წინააღმდეგობის გამო გადავრჩი ხეიბრობას და ადგილობრივი მკურნალის წყალობით ისევ ფეხზე დავდექი. მეცადინეობის თითქმის ექვსი თვე მაინც გამიცდა. დედაც უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა. იმ დროს სკოლაში ბერძნული ენა შემოიღეს. მე კი, ოჯახს რომ დავხმარებოდი, გადავწყვიტე გიმნაზია მიმეტოვებინა და ტელეგრაფისტი გავმხდარიყავი. ამის სასტიკი წინააღმდეგი ისევ დედა გამოვიდა. ასე რომ, ბერძნულის ანაზღაურება საშობაო არდადეგებზე მომიწია, ძველებურ ქართულ სახლში, სიცივესა და შუაცეცხლის მკრთალ შუქზე. მალე დანაკარგიც ავინაზღაურე და სწავლას დავუბრუნდი, სადაც მასწავლებლების გაოცებაც გამოვიწვიე ჩემი მომზადების დონით. ამაში გერმანულენოვანი სახელმძღვანელო დამეხმარა,რომლითაც თვითონ ისინი ემზადებოდნენ. გიმნაზიაში ფრანგულს, იტალიურს, გერმანულს, ინგლისურს, ლათინურსა და ბერძნულს ვსწავლობდი და კლასიდან კლასშიც წარმატებით გადავდიოდი. თუმცა მეცადინეობაზე მეტად, კითხვა მიტაცებდა. გიმნაზიის გაზეთში საკუთარ ლექსებსაც ვაქვეყნებდი – ქართულად, რამაც საბოლოოდ ჩემი მომავალი პროფესიაც განსაზღვრა. ლექსების გარდა, ერთგან ქ. ბათუმის სახელწოდების წარმომავლობის საკითხსაც შევეხე. აგრეთვე გამოვეხმაურე აკაკი წერეთელს, მისი 1881 წ. 1 მარტის მოვლენების თაობაზე (ალექსანდრე II-ის მკვლელობა) შექმნილი ლექსის გამო.

კლასიკოსების ფრანგულად და გერმანულად კითხვამ, მალე რომანტიკოსებისადმი (ზოლა) ინტერესი გამიღვიძა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ორიგინალში წაკითხულმა შერის „მსოფლიო ისტორიის კომედიამ“. გიმნაზიიდან ორჯერ გავიქეცი. პირველად ტიფლისში,ბოტანიკურ ბაღში სამუშაოდ. მაგრამ პრობლემების გამო იძულებული გავხდი ბიბლიოთეკაში მემუშავა. გიმნაზიის მესვეურები აქაც დამეხმარნენ, გამომიგზავნეს რა სარეკომენდაციო წერილი. მეორეჯერ იმიტომ გავიქეცი, რომ არ მსურდა გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება,მიუხედავად იმისა რომ პერსპექტივაში ოქროს მედალიც კი მქონდა. ბერძნულით ისე ვიყავი გატაცებული, რომ მინდოდა სანამ უნივერსიტეტში შევიდოდი, საფუძვლიანად ამეთვისებინა ის, რადგან უნივერსიტეტში მედიცინის შესწავლას ვგეგმავდი. შლეიდენის წიგნმა „ზღვა“, სადაც უამრავი ერძნული ციტატა იყო მაფიქრებინა, კიდევ ერთი წლით დავრჩენილიყავი გიმნაზიაში,რათა ბოლომდე ამეთვისებინა ბერძნული. ამ განცხადებამ ჩემი ფსიქიური მდგომარეობა ეჭვქვეშ დააყენა და გიმნაზიიდან გამრიცხეს.

მედიცინისა და საბუნებისმეტყველო საგნებისაგან, ფილოლოგიისაკენ შემობრუნებას ისტორიის მასწავლებელს – სტოიანოვს უნდა ვუმადლოდე, რომელიც კავკასიური ეთნოგრაფიით იყო გატაცებული. აგრეთვე ფრანგულის პედაგოგს – ნარბუტს, რომელმაც რომანული ენების საიდუმლოს მაზიარა. საბოლოოდ გიმნაზია მაინც წარჩინებით დავამთავრე და გადავწყვიტე აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე შესვლა. მასწავლებლები და ამხანაგები ამ გადაწყვეტილებას არ ამართლებდნენ, იმ მოტივით, რომ ვითომ – ნიჭს ნუ დაღუპავ,უკეთეს შემთხვევაში ვინ გამოხვალ, ქართულის მასწავლებელი – სოფლადო? მას შემდეგ ვისწავლე ყველა განსხვავებული აზრის მოსმენა და მაინც საწინააღმდეგოს გაკეთება. უკვე მაშინ, ქართული ენის წარმომავლობისა და მისი თურქულთან კავშირის გამოკვლევა განვიზრახე. მოგვიანებით ეს იდეა დროებით დავიწყებას მიეცა. სინამდვილეში ეს იაფეტური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუმცა ჩემთვის ის გადაჭრილია და მხოლოდ დეტალების დამუშავებას მოითხოვს.

უნივერსიტეტში სამი მიმართულება ავირჩიე: კავკასიური,სადაც მაშინ მხოლოდ ქართული და სომხური ენები შედიოდა, არაბულ-სპარსულ-თურქული და სემიტური ჯგუფი – ებრაული, არაბული და სირიული (ქალდეური დიალექტი) ენები. სწავლის მეორე წელვსე 1886 წ. მე გამაოცა სემიტურისა და ქართულის აშკარა ნათესაობამ. ჩემს ამ განცხადებას

სკეპტიკურად შეხვდნენ. ცნობილმა ორიენტალისტმა როზენმა მიწინასწამეტყველა რა ფიასკო, გამომიცხადა რომ ეს რომ ასე იყოს, უთქვენოდაც გვეცოდინებოდაო. მეც უფრო გულმოდგინედ დავიწყე ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლა. ქართველი სტუდენტობა ჩემს მხარეს იყო. ამათთან მე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებიც მაერთიანებდა. მახსოვს როგორ დავიფიცეთ მე და ერთმა ჩემმა მეგობარმა,ბოლომდე გვებრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის. ბოლოს ის ბანკირი გახდა, მე კი — აკადემიკოსი...

1888 წ. ჩემი პირველი ნაშრომიც გამოვიდა — ქართულისა და სემიტური ენების ნათესაობაზე, რომელიც „ქართული ენის ხასიათსა და თავისებურებებში“ დაიბეჭდა. მას შემდეგ, ვიდრე 1903 წლამდე ამ საკითხზე მუშაობის საშუალება აღარ მომცემია. მხოლოდ 1908 წ. გაიჟღერა ე.წ. იაფეტურმა თეორიამ წერილში „ქართულისა და სემიტური ენების სავარაუდო ნათესაობის შესახებ“. ეს წერილი „ძველქართული გრამატიკის“ შესავალს წარმოადგენს და პროფ. როზენის ხსოვნას ეძღვნება, რომელიც სამიოდე დღით ადრე გარდაიცვალა და ვინც ფიასკო მიწინასწარმეტყველა.

ჯერ კიდევ სტუდენტობიდან მოყოლებული, ჩვენი ქართულის პროფესორი ვერაფრით ეგუებოდა ჩემს მოღვაწეობას და თავის კათედრაზე პრეტენდენტად განმიხილავდა. თუმცა მე სამშობლოში მუშაობაზე ვოცნებობდი. კავკასიური კათედრა თავისი ანტინაციონალური პოლიტიკის გამო სამუშაო პირობებს არ ქმნიდა და ყველანაირად ცდილობდა კავკასიელებს შორის შუღლის გაღვივებას. 1889 წ. შემომთავაზეს ექსპედიცია სვანეთში. სამწუხაროდ სამშობლოში ჩემმა შეხედულებებმა — „ვეფხისტყაოსანის“ ფაბულისა და ბიბლიის თარგმანის გამო, თანაგრძნობა ვერ ჰპოვეს და იძულებული გავხდი ისევ პეტერბურგში დავბრუნებულიყავი, სადაც ჯერ პროფ. პატკანოვის, შემდეგ კი ხვოლსონის მიწვევით, სომხური ენის კათედრაზე დავიკავე ადგილი — მიუხედავად ჩემი არასომხური წარმომავლობისა და ამდენად, კათედრის გამგის წინააღმდეგობისა. დროა აქ შევწყვიტო ჩემი ბიოგრაფიული ცნობები, რამეთუ იმ სახელებსა და დაწესებულებების ხსენებას ვერ ავცდები, რომლებიც ახლა მეტად აქტუალური არიან.

ნიკო მარი,
პეტერბურგი
1927 წ. 3 ივლისი
თხზულებანი 5 ტომად
ტომი 1. გვ 6-10.

რუსულიდან თარგმნა მამუკა მაღულარიამ

ანალიტიკური ესე

ბუნაზ ბვაღია

რევაზ ინანიშვილის „ეთერი“

სამშობლოს, მამულს, ერს, ენას შესისხლხორცებული რევაზ ინანიშვილის ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ცხოვრების სიყვარულითაა გაჯერებული. მისი შემოქმედება ამხელს ყველას და ყველაფერს, რაც ეურჩება ყოფიერების ბუნებით კანონიკას. დროთა დინების ახალ დღეებს მოაქვს ახალი წესრიგი, ხშირად წინსვლის დროშით არსებულის მშთანთქმელი, არის ამაში სახარბიელოც და სამწუხაროც. კაცთა მოდგმის წუხილია ოდაბადეს უარყოფა, იოლი ცხოვრების ხრიკებით გატაცება, ახლის გამოკიდება და ძველის დავიწყება. ხშირად, რაც ერთისთვის მისაღებია და სასურველი, მეორისთვის გაუსაძლისია და მიუღებელი. რევაზ ინანიშვილი კი სწორედაც იმ შუალედს ეძებს, ძველსა და ახალს ერთმანეთს რომ მოარგებს, არ წააკიდებს და საყოველთაო ბედნიერებას დაამკვიდრებს.

წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში ცხოვრებამ რევაზ ინანიშვილის კალამს მოსვენება დაუკარგა. მწერალი, მეტად მგრძნობიარე ბუნების გამო, ყოველ ჩქამზე რეაგირებდა, უშუალობითა და უბრალოებით შეფერილ ერის სატკივარს მოთხრობებსა და ნოველებში ესათუთებოდა შთამომავლობისათვის სიყვარულის გასაძლიერებლად, ოდაბადეში დასაბრუნებელი გზის გასაკვლევად.

„ამ სოფლიდან ყველანი წავიდნენ, ზოგნი ქალაქში, ზოგნიც აქვე ახლოს, ბარის სოფლებში. მართალია, ათიოდე სახლი ჯერ ისევ სახურავმთელი დგას, მაგრამ სამი სახლის მეტს ყველას მძიმე ბოქლომი ადევს, მხოლოდ სამი სახლიდან ამოდის დილა-საღამოს კვამლი“.

სოფელი სულს ღაფავს. მოლოდინი, იქნებ ვინმე მობრუნდეს უკან, ისევე ფუჭია, როგორიც იმ აჩრდილებად ქცეული დედაბრების იმედი, რომელებიც „მწუხარედ დაიხატებიან დერეფნის კედელზე, ხან წარბებთან უდევთ აკანკალებული ხელი, ხან ყურს უკან, გამუდმებით ვიღაცას ელიან, ეხმაურებიან ყოველ პატარა ჩქამს“.

პირისპირ დგანან ერთგასაჭირში მყოფი სოფელი და დედაბრები, ისინი ერთმანეთს ვერაფრით

შველიან. მათი მომავალი თაობა და სხვა მკვიდრნი კეთილდღეობის იოლ და იაფ გზას შედგომიან, უარუყვიათ მშობლიური მთა და ბედის ანაბარა მიუგდიათ.

„დაბერებული ხეები“, „ჩაფეხვილი ღობის ლატნები“, „ნარმოდებული ბილიკები“ სულთმობრძავი სოფლის სახეა. მას ჯერ კიდევ თუ უდგია სული, — იმ ერთი ოჯახის წყალობით, ძველებური ყოფის ფერხული რომ არ შეანელა და ყოველდღიური ჯაფა სიცოცხლის სამშვენისად გაიხადა. ტყისმცველი, მისი ცოლი და ქალიშვილი, მათი ეზო-კარი, ცხოვრების წესი, ისევ ძველ ჩარჩოში მშვიდად აგრძელებენ არსებობას. იქ, სადაც ადამიანმა იცის თავისი მოვალეობები და ერთგულად ემსახურება მას, ყველაფერი წესრიგშია. ამაში დარწმუნებული რევაზ ინანიშვილი შთამბეჭდავად აღწერს ამ სრულფასოვანი ოჯახის გარემოს, ურთიერთდამოკიდებულებას, მშვიდ ატმოსფეროს, ოჯახის წევრებში გადანაწილებული მოვალეობების შეგნების გავლენას ურღვევობისა და ურყევობის შესანარჩუნებლად.

სხვათა უკეთესი ცხოვრებისაკენ გასროლილი მზერა კეთილდღეობას მოუტანს ვის? — გაუგებარია, მაგრამ, რომ ავნებს საერთო საქმეს და, რაც ყველაზე უმთავრესია, უზენაეს ღირებულებებს, ეს მწერლის გულისტკივილია. მისი საწუხარი არა მხოლოდ აწმყოთია განპირობებული, არამედ მომავლითაც, არ არის მწერალი დარწმუნებული, რომ ამ ბედნიერი ოჯახის უფროსებსაც ისეთივე ბედი არ ეწევათ, როგორიც, იმ ორ დედაბერს, სიკვდილდადარაჯებულნი ისევ და ისევ სოფლის დღეგრძელობის იმედად „გამუდმებით ვიღაცას რომ ელიან: — ბიჭო, გოგო, ხომ არავინა ხართ მანდ?“ — დაყრუებულ სივრცეში დროდადრო მათი მინავლებული ხმა მოუხმობს სიცოცხლის გამგრძელებლებს.

მოთხრობაში — „ეთერი“ იმ ერთადერთ პატარა გოგოსაც თვალები სხვადასხვა მხარეს გაურბის: „ეთერი მეოთხე კლასში სწავლობს, როგორც ყველა ქართველი გოგო, ისიც მორცხვია და უფროსებთან ყოველთვის თავდახრილი დგას. ამ დროს მისი ცისფერი თვალები ხან ერთ მხარეს ეძებენ გასაქცევს, ხან მეორე მხარეს“. — ამ პასაჟით ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი ქართველი გოგოს მხატვრული სახეა დახატული, მას ნელ-ნელა დროის გავლენა ეპარება, რაზეც არა მხოლოდ მისი „წითლად დაშაშრული ლოყები“ მეტყველებენ, არამედ „კიდევ უფრო წითელი ხელები, ზურგს უკან რომ მალავს“. — ამით ავტორი ეთერის არსებაში მომავლის არასაიმედოობის გამო სინდისის ქენჯნასა და სირცხვილს გამოხატავს.

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს რ. ინანიშვილის დამოკიდებულება ეროვნული ღირსებებისადმი. ავტორი, როცა ეთერს აცნობს მკითხველს, არა მხოლოდ მის პირადულ, არამედ ქართველი გოგოების ზოგად თვისებებსაც სიამაყით ამჟღავნებს: „როგორც ყველა ქართველი გოგო, ისიც მორცხვია და უფროსებთან ყოველთვის თავდახრილი დგას“. ქართველი ქალის ბუნებითი გენეტიკური გამორჩეულობა საფრთხის წინაშე არ უნდა დადგეს, არადა, ვერ არის მშვიდად მწერალი. თუ კი მძვინვარე მთის რელიეფსა და კლიმატს შეჭიდებული კაცი ურყეობითა და სიმტკიცით გამოირჩეოდა, ბუნებასთან შეზრდილი თვისებებით აცოცხლებდა კუთხეს და მისი დღეგრძელობის სადარაჯოზე მუხლჩაუხრელი იდგა, დღეს იმ სიმაღლით ვერ დაიკვეხნის და წილი უდევს მთიანი სოფლის დაცლასა და გაუბედურებაში. მაშ, როგორ უნდა ვირწმუნოთ, რომ ქართული ოჯახის ქართველი ქალიშვილი ზნეს არ შეიცვლის? ამ საკითხს დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა რევაზ ინანიშვილმა.

მწერალმა განსაკუთრებული მონდომებით აღწერა ეთერის დილის საქმიანობა. სკოლაში წასვლამდე მეოთხე კლასელი გოგონა საშინაო საქმეებს აწესრიგებს. დედა ფერმაშია, მამა ტყეს იცავს, მათი არ ყოფნისას ოჯახს შვილი უვლის. ასეთი ასეთი ოჯახური დისციპლინა უზრუნველყოფს ხვავსა და ბარაქას, გამორჩეულობას. სოფლის მკვიდრი მშრომელი და გამრჯე უნდა იყოს, ეს იოლი არ არის, გვაფრთხილებს ავტორი, მაგრამ ამაღელვებლად საამაყოა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახში ჯერ შენარჩუნებულია სიმტკიცე და სხვათა, გაქცეულთა, გავლენა არ იგრძნობა, რაღაც უხილავი გარედან შემოდის და ეთერის შინაგან სამყაროს არყევს. ავტორი მისი დადებითი თვისებების გამომზეურებისას ოსტატურად ჩაურთავს მოსალოდნელი საფრთხის წინაპირობებს: „მისი ცისფერი თვალები ხან ერთ მხარეს ეძებენ გასაქცევს, ხან მეორე მხარეს.“ ასევე, — „შიშველი ფეხით აითრევს რეზინის ჩექმებს“. სიტყვა „აითრევს“ გულაცრუების დასტურია, თვალების აქეთ-იქით გაქცევა კი უკეთესი ალაგის მოძიებას ემსახურება. ამ ბავშვის არსებაში შენელებული ნაღმი ამოქმედებულია. სავსებით უიმედოა მომავალი და მთას უძეოდ დარჩენა ემუქრება.

ეთერის სულიერი განცდები სიტყვიერად გამოუხატავი და შეუცნობელია. გარეგნულად იგი მორჩილია ოდიდან მომდინარე წეს-ჩვეულებებისა, არ გამოეხატება აგრესიული ქმედებები და ბედით, ცხოვრებით კმაყოფილის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, პატარაა, მაგრამ გარემო მის წრფელ ბუნებაშიც იჭრება და არყევს ბუნებით თვისებებს, ეს მისგან გაუთვითცნობიერებლად მიმდინარეობს. ცნობიერი იმორჩილებს შემეცნებითს და ფსიქოლოგიური განწყობა მთიდან ქვევით, ბარისაკენ მიაცილებს სკოლისაკენ მიმავალ ეთერს. საფრთხეებით სავსე ტყიანი გზა პატარა ბავშვისათვის ყოველდღიური განსაცდელია: „პაწაწინა ხმაურზეც კი კრთება, დადიდებული თვალებით იყურება აქეთ-იქით, ხანდახან მირბის კიდეც, მიეფეხვება, მიაფახფახებს ჩანთას“. ეთერი ყოველდღე გადის ამ გზას და, რაც უფრო უახლოვდება სკოლას, მით უფრო გაბედულია მისი ნაბიჯები, ეს კი თავქვე მომავალი ბავშვის მიერ უკან მოტოვებული საშიშროებისგან დახსნის ემოციური გამოხატვაა.

მწერლის შემდგომი სვლა ემსახურება დაძლეული სიძნელეებისგან აღმაფრენასა და ბარად შობილი ახალი იმედით ამაღლებას: „...ხევში, იქ, დიდ ლოდებს შორის მოჩქრიალებს ლურჯი მთის წყალი, იმ წყალს ორჯერ ამოჰკრავს ხელს, შესვამს ცოტას და მერე ცისკენ მიპყრობილი თვალებით დაიწყებს აღმართზე ასვლას“. ეს ნატურალური სცენა მომავლის წინასწარმეტყველების შემცველია. მართალია,

მოცემულ შემთხვევაში ეთერი სკოლაში მიდის, მაგრამ „ცისაკენ მიპყრობილი თვალები“ უზენაესის ჩართულობას განაპირობებს და ეთერის შინაგან სამყაროში უხილავ ორთაბრძოლას – დარჩენისა თუ გადარჩენისა, გაქცევისა თუ დამარცხებისა, ზენაარიდან აწესრიგებს.

მწერალი ერთ უბრალო ამბავს ჩვეულებრივი რუდუნებით ყვება, თითქოსდა, მეტი არაფერი. ასე არ არის. სიტყვებით გადმოცემული მოვლენების თანამიმდევრობაში მრავალმნიშვნელიანი საზრისები იჩენენ თავს და ავტორის გამოუთქმელი და გამოთქმული აზრების კვეთაში აღმოჩენილი მკითხველი, მხატვრული სიტყვისა და მხატვრული აზროვნების ერთიან სისტემაში შეჭრილი, არათუ კითხულობს, არამედ სრულყოფილად ხედავს, იმას, რაც არის და იმასაც, რაც იქნება.

სულის სიმებს არხევს ის პასაჟი, ეთერი რომ ბარად ჩასული მთიდან მორაკრაკე წყალს სვამს. რა არის აქ განსაკუთრებული? – ის, მკითხველო, რომ თავქვე მიმავალი ბავშვი მთას ტოვებს, მაგრამ წყაროს სათავე, რომელსაც კეკლუცად ეწაფება, მთაშია, ამას ვერსად გაექცევა. ეს წყალი აერთებს ცალკე მთისა და ცალკე ბარის ეთერს. არ არსებობს სხვა პირობა, სამშობლო ერთია. მთა თუ ბარი ერთი სათავიდან რწყულდება და რევაზ ინანიშვილი პატარა ეთერს იმ აღმართზე შედგმული სკოლისაკენ უკვალავს სისტემატურ გზას, სადაც განათლება აღმა მომართავს მის ცნობიერებას, აუმაღლებს სულიერ შემეცნებას.

მოთხრობაში დეტალიზაციით ადვილი მისახვედრია, თუ რომელ ეპოქაში მიმდინარეობს მოქმედება: „ეთერი გულმოდგინედ იწმენდს ფეხებს საფხეკად დაგდებული დიდი გუთნის სახნისზე“. ხარებს შებმული სახნისით მიწის დამუშავების დრო გარდასულია. „კედელზე დაბეჭდილი სურათი კიდია. ხეა აყვავებული, ხის იქით ტრაქტორი ხნავს, ნახნავს გუნდად დასტრიალებენ ფრინველები“. – ტრაქტორების გუგუნი მოაქვს ამ ნახატს და, გასაგებია, რომ კოლექტივიზაციის პირობებში მთაში დამკვიდრებულ მესაქონლეობას წყალი შეუდგა, რადგანაც, ბარად პირობები უმჯობესდება მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის, ფრინველების გუნდი კი მთის ქვემოთ მოსახლეობის მომრავლებაზე მიანიშნებს. ტექნიკა ვერ ადის მთაში. მწერლის წყენა ნამდვილად არის გამოკვეთილი ახალი ტექნოლოგიების მიმართ მთის რელიეფის დაუძლეველობის გამო.

მოთხრობის სიღრმეში ავტორი ღიად ავლენს თავის გულისტკივილს მივიწყებული რწმენის გამო: „სკოლის იქით მოჩანს ძველი, დანგრეული ეკლესია, ნანგრევების წვერში აფუყული, დარდიანი რუხი მტრედი ზის“. რამ დააღონა მტრედი – სულიწმინდა, რამ შეულახა სითეთრე? – ამ შეკითხვის საიდუმლო ნასკვი მიტოვებული ეკლესია, უარყოფილი რწმენა, მატერიალური კეთილდღეობის ზეობა, სულიერი გაღარიბება, ერთი სიტყვით, ღმერთს აცდენილი საზოგადოების მიერ უღმერთო კანონებით ახალი სამყაროს მშენებლობაა. ეს ყოველი ამ მოთხრობაში აღიარებულია, როგორც უმთავრესი მიზეზი ეპოქალური ავადობისა, მონობის ახალი სახეობის – სულიერი მონობის განვითარებისა, მატერიალურ კეთილდღეობას დახარბებულთა აღვირახსნილობისა.

ეს პატარა მოთხრობა ძალიან ტევადია. უმნიშვნელო დეტალსაც კი მიზნობრივი დატვირთვა აქვს. ტყისმცველის სახლის კედლებზე გაკრულია პლაკატები: „დავიცვათ ტყე ხანძრისგან“, „მივცეთ სამშობლოს მეტი და მეტი ხორცი“, ვთესოთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად“. – კომუნისტური ლოზუნგებით ნაკვები მოსახლეობა ვერ შეაჩერა ამ მშრალმა მოწოდებებმა და ისინი მაინც გაიკრიფნენ მთიდან. არაფერია ამ ლოზუნგში ცუდი, მაგრამ ლოზუნგი ლოზუნგად დარჩა, სიტყვა და საქმე ერთმანეთს ასცდა და სოფელიც დაიქცა. ის, ვინც ირწმუნა სიტყვა და აქცია საქმედ, გადარჩა. ადამიანი მართალი უნდა იყოს ღმერთისა და საკუთარი თავის წინაშე, ამაშია ხსნა, აწმყოში წარმატებაც და მომავლის გადარჩენაც.

ეთერის მაგალითზე მწერალი ასახავს მსახვრალი დროის გავლენას ადამიანზე, აჩვენებს ჭეშმარიტ გზას გადარჩენისა. პატიოსნება და ღირსება ქართული ოჯახისა, წესიერება და სიყვარული მამულისა, მოვალეობის შეგნება უფლისა, საკუთარი თავისა და ქვეყნის წინაშე, ის ძირითადი მახასიათებლებია, რომლებიც ჭეშმარიტი ცხოვრებიდან გადახვევას გამორიცხავენ. ასეთი წესწყობილების მატარებელ ოჯახებში გაიზრდება ისეთი თაობა, რომელთა გონიერებაც მოემსახურება ქვეყანას, კუთხეს. ეთერის არსებაში მორალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური სისტემის ჯანყი, ბავშვის აღმზრდელობითი გარემოს გავლენით, გამარჯვებით დასრულდა. იქ, სადაც სიტყვა და საქმე ერთია, რწმენა ძლიერია. ადამიანი ფლობს შინაგან თავისუფლებას და ტკბება დამოუკიდებლობით. ამ ერთი ოჯახისა და პატარა გოგონას მაგალითზე კაცობრიობისათვის ყველაზე სანუკვარი ღირებულებების – დამოუკიდებლობისა და თავისუფლების – მარტივი და უბრალო გაგება მოგვაწოდა რევაზ ინანიშვილმა. ეთერი წიგნში ამოიკითხავს: „ჩინეთში, როგორც იცი, ჩინელები ცხოვრობენ, იმპერატორიც ჩინელი ჰყავთ“. – პატარა გოგონას სახეზე დაფენილი სიამოვნების შუქი მომავლის იმედია, ერის დამოუკიდებლობის წინარე განზრახვაა. ხოლო – „მამამისი ზემოთ, დიდ ტყეში დააბოტებს და ხეებს ყარაულობს – არავინ მოჭრას“ – ახლო მომავალში გადასროლილი ანკესია, მწერლის გონების ნამუშაკევი. მამებმა უნდა დაიცვან ქვეყანა, შვილებმა კი უნდა უპატრონონ მას. მხოლოდ ასე ავიცილებთ სხვებზე დამოკიდებულებას. მამიდან შვილზე გადასული დროება დინამიკურად უნდა გაგრძელდეს, მაშინ მისი სიმტკიცის გარღვევას სხვა გარეშეთაგანნი ვერ შეძლებენ (გასაგებია, ვისაც გულისხმობს მწერალი).

მოთხრობა მთიანი სოფლის დაცლის თემაზე დაიწყო და მწერალი იმთავითვე შეუდგა მიზეზების გამოკვლევას, ყველა შესაძლო ვარიანტი მხატვრულ ქარგაში ჩააქსოვა და თანამიმდევრული სვლით შექმნა არაჩვეულებრივი ტილო, რომელიც მკითხველის ზნეობრივ სიმებს არხევს და აიძულებს ავტორთან ერთად გაუყვეს მიზეზთა სათავისაკენ მიმავალ ბილიკს. ბოლოს კი ეს ვიწრო ბილიკი იმ ფართო შარაზე გადის, რასაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ეროვნული ღირსება ჰქვია.

ქეთევან შენგელია,
პოეტი, ლიტერატურათმცოდნე,
ფილოლოგიის დოქტორი

ევროპეიზმის დაბრუნება ლიტერატურაში

თამაზ ჭილაძის რომანის „აჰა, მიიწურა ზამთარის“ მიხედვით

ქვეყნად ვერც ერთმა ბრძენმა ვერ თქვა, ზუსტად რა არის სიყვარული, რა არის ნამდვილი ცხოვრება, რა არის ბედნიერება და როგორია მათკენ სავალი გზები? რისი შიში აქვს ადამიანს და რა აგრძნობინებს თავისუფლებას?. – ამ მარადიულ თემებს მუდმივად დასტრიალებენ ფილოსოფოსებიც, ფსიქოლოგებიც და უპირველესად, მაინც მწერლები; მრავალფეროვანი და განსხვავებულია ყველა კეთილშობილი, უანგარო, მოაზროვნე კაცისთვის ამ დიადი მოვლენების განცდა და შეგრძნება; ხოლო ტიპური კარიერისტისთვის და მლიქვნელისთვის ბედნიერებაც და წინსვლაც ისეთივე მარტივი და ერთფეროვანი რამ არის, რომ ამგვარად მცხოვრებთა ერთ ჩარჩოში მოქცევა ძალიან ადვილია; თუ კარგად დავუკვირდებით, ადვილია ამ ხალხის ნიღბის მიღმა რა ხდება იმის მიხვედრაც და მათი მცირე, ნაკლებად ადამიანური „ბედნიერების“ დანახვაც; ოღონდ, დანახვასა და ჩვენებას შორის სხვაობა დიდია; ამ ყოველივეს რეალურად დახატვა გამორჩეულ მწერალს, კლასიკოსს შეუძლია.

სწორედ ამ მოვლენებზე გვესაუბრება თამაზ ჭილაძე თავის შესანიშნავ რომანში: „აჰა, მიიწურა ზამთარი“, რომელიც 1965 წელს არის დაწერილი. თარიღს იმიტომ მივაქციეთ ყურადღება, რომ ჩვენთვის საინტერესოა ეპოქა, როცა ეს ნაწარმოები შეიქმნა; ქართული ლიტერატურა ამ პერიოდისთვის უკვე შეჩვეული იყო ადამიანის მიერ ჩადენილ დიად (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) გმირობებს, ქვეყნისთვის, საქმისთვის ან მოყვასისთვის ჩადენილ „საამაყო“ ქმედებებს; რომლის საფუძველზეც იწყებოდა ან მთავრდებოდა საზოგადოებისთვის „სასიკეთო“, მნიშვნელოვანი ცვლილებები. ლიტერატურის მთავარი გმირი ყველასთვის მისაბაძი და ხალხისთვის მისათითებელი პიროვნება უნდა ყოფილიყო. პერსონაჟი, რომლის გამო და რომლისთვისაც ხდებოდა ყველა მოქმედება უნაკლო და ყოველგვარი ღირსებით შემკული, თითქმის ზღაპრული „ფიგურა“ იყო, ის განსაზღვრავდა ნაწარმოების იდეას (აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ ვეხებით დიდ მამულიშვილებზე, მეფეებზე, წმინდანებზე შექმნილ ნაწარმოებებს, რომელთა წარმოჩენა მწერლურ ოსტატობასთან ერთად, ისტორიულ ფაქტთა სიზუსტეს და ცოდნას თხოულობდა);

ამგვარ ლიტერატურულ გარემოში თამაზ ჭილაძეს შემოჰყავს განსხვავებული პერსონაჟები, რომელთა არსებობა, ყოფა და ცხოვრება ყველასთვის საერთო აღტაცების საგანი არ არის; მას გააჩნია ნაკლიც და ღირსებაც, ის არც გმირია და არც კერპი; ცხოვრობს ჩვეულებრივად და ესე იგი, საინტერესოდ; სავსეა ადამიანური და არა ზეადამიანური ემოციებით... არიან მწერლები, რომელთაც გამორჩეული ფუნქცია ეკისრებათ თავიანთი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში. სწორედ ასეთია თამაზ ჭილაძის კალმის „მისია“. მის ნაწარმოებებში ადამიანი და მისი განცდები, სულიერი ჭრილობები უფრო მთავარია, ვიდრე საზოგადოებრივი აღმავლობები; აქ გმირი ჩვენნაირი მოკვდავია, თავისი ოცნებებით, გაჭირვებებით, სიყვარულით, გაუცნობიერებელი შიშით, იმედგაცრუებით, ჩადენილი შეცდომებითა და სინანულით...

რომანი „აჰა,მიიწურა ზამთარი“ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას მომხდარი სიუჟეტებისგან შედგება; ცალკე თავებად დაყოფილ მხატვრულ ტექსტში ნაირგვარი ფრაგმენტი, მომხდარი ფაქტი

ცოცხლდება და თითქოს ერთმანეთთან შინაარსობრივად დაუკავშირებელი ამბები, საბოლოო ჯამში, ფელინის ფილმებივით ერთ მთლიან, საერთო სურათს ქმნის; თამაზ ჭილაძის რომანი რთული კონსტრუქციის არქიტექტურულ ძეგლს ჰგავს, რომელიც სირთულის მიუხედავად, აღტაცებას იწვევს. აქ პერსონაჟები სიუჟეტის კი არა, არსებული, საზოგადო ყოფის გამო დაკავშირებიან ერთმანეთს; როცა თამაზ ჭილაძის ნაწარმოებს ეხები, გახსენდება, რომ არსებობს ორიგინალური აზროვნების კულტურაც; რომანში წარმოდგენილი დაკვირვებებით ადვილად ხვდება მკითხველი, რომ მწერალი საუცხოო ფსიქოლოგიც არის. ნაწარმოებში ცოცხლდებიან განსხვავებული ხასიათის და ინტერესების ახალგაზრდები: ზაზა, თორნიკე, პაპუნა, ადამი, მამია, ლეილა, ლიზიკო, მაგდა, ზაირა, ნინიკო... საინტერესოდ არის დახატული უფროსი ასაკის კაცის, 58 წლის კარიერისტი გიორგი გობრონიძის სახე, რომელიც თავის ცხოვრებით ტკბობას მისცემია და ოჯახშიც და თეატრშიც პატარა მეფე სურს რომ იყოს. ცოლი, რომელიც საყვარელ საქმეს მოაშორა, სახლში უფუნქციოდ უზის. ქალი შინამოსამსახურის გარეშე ვერაფერს აკეთებს; მიუხედავად ამისა, სახლში სიმშვიდეა და ითვლება, რომ დიასახლისი ყველას უვლის და თან ოჯახის ღირსებას „ეწირება". გიორგი ცინიკოსიც არის სხვა დანარჩენთან ერთად. ის პირველ რიგში, უნებურად დასცინის ოჯახის წევრებს, რომელთა ყოფა თავად დააკანონა. ერთი შეხედვით პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი კარიერისტის ცოლ-შვილი ყველაზე უუფლებოა სხვა, „არაპრივილეგირებული" საზოგადოების გვერდით, რადგან იმ სხვათათვის აზროვნება და თავისუფალი არჩევანი არავის შეუზღუდავს. გიორგის სახე ნათლად ჩანს, როცა ის სარკის წინ ტრიალებს და თავს იწონებს გარეგნობით, რაც მთავარია დიდკაცობით და არა ღირსეული წარმატებით. ის თავისთვის ფიქრობს: „წარმოგიდგენია, უბრალო მსახიობად რომ დავრჩენილიყავი!... რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი! სახელმწიფო პრემიის ლაურეატი! თეატრის დირექტორი!" ავტორს ეს გმირი სამარცხვინო იერით „შეუმკია". ნათელია მწერლის არადიდაქტიკური, მაგრამ მაინც ბასრი და ირონიული „ყურის აწევა" მედროვეთა და კარიერისტთა მიმართ. ის ერთგან წერს: „საეჭვო შესაძლებლობის გამოყენების უნარი საერთოდ პატივისცემას არ იმსახურებს, მაგრამ ამას ბევრჯერ უფრო დიდი სახელი მოუტანია ადამიანისათვის, ვიდრე ჭეშმარიტ ღირსებებს..."

მწერალი საუბრობს საზოგადოების მიერ დამახინჯებული ურთიერთობებით გამოწვეული უსამართლობის შესახებ, რომელიც გონიერი ადამიანისთვის ხშირად ტრაგიკული განაჩენით მთავრდება. რომანში, გიორგის ძალიან ჰგავს თავისი შვილი – თორნიკეც; ისიც „დაწინაურებულია" და ოჯახში იმედოვნებენ, რომ რაიკომის მდივანი გახდება; შვილი უფრო ლაჩარია, ვიდრე მამა... ის სასტუმროს ადმინისტრატორს შეაშინებს თავისი პორტფელით და მედიდური იერით. მწერალი ერთი შტრიხით გვიხასიათებს მის უკეთურ თვისებას: „თორნიკემ კმაყოფილმა გაიღიმა. თვითონ ბუნებით მშიშარა იყო და სხვას თუ შეაშინებდა, ეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა".

ამ ნაწარმოებში მსხვილ და წვრილფეხა კარიერისტთა და ვაი ხელოვანთა სურათი არაერთგან იჩენს თავს. მედროვე სცენარისტი, კუკური, დაჰყოლია თეატრის დირექტორის ნებას, თავისივე წინსვლისთვის საჭირო პიესას წერს სხვების კარნახით. რომანში წარმოდგენილია, თუ როგორ იდგმება „ჰამლეტი"...

ვხედავთ ოფელიას შემსრულებელ მსახიობს, ია სიხარულიძესაც, რომლის არსებობაც სცენაზე აუცილებელია არა მისი ნიჭის, არამედ მისი მეუღლის მიერ სპექტაკლზე დასაწერი რეცენზიის გამო. რომანის ერთ-ერთ თავში ნაჩვენებია ნაკლებად ცნობილი მხატვრის პაპუნას კომიკური აღტაცება საკუთარი ცოლით. ქალს უცხო ბიჭი ხშირად აცილებს შინ, კაცი ეჭვიანობს და როცა ლეილა ამავე ბიჭს უყვება ქმრის ტალანტისა და ნახატების შესახებ, პაპუნას ყველაფერი ავიწყდება, ეჭვიანობაც კი და მზადაა, თავს ყველანაირი შეურაცხყოფა მიაყენოს. ის აღტაცებული უყვება ზაზას, რაც საკუთარ სახლში მოისმინა:

– „ლეილას ხმა შემომესმა, იცი რაზე ელაპარაკებოდა იმ ბიჭს?

პაპუნა ღიმილით შესცქეროდა ზაზას, აბა, თუ გამოიცნობო.

– არა

– ჩემზე! ჩემზე! წარმოგიდგენია, ჩემს ნახატებზე! აქებდა და ცამდე აჰყავდა! არ ვიცოდი თუ ჩემი ნახატები ასე მოსწონდა. მე კი, ველური, კინაღამ შევუვარდი და მოვკალი. ვიფიქრე, შევალ, მუხლებში ჩავუვარდები, მაპატიე-მეთქი, ღორი ვარ, ღორი, უკულტურო ღორი-მეთქი! ხომ ვარ ღორი? თქვი, ხომ ვარ?!

ისეთი თვალებით უყურებდა ზაზას, რომ ის იძულებული გახდა ეთქვა ღორი-ხარო!"

ვფიქრობთ, რომანიდან მოტანილ ამ ამონარიდს განმარტება აღარ სჭირდება. დიალოგი ტრაგიკომიკურია და შესანიშნავად იხატება არსებული ვითარებაც. მწერალი ჩვენ თვალწინ ამჟღავნებს ამ უსუსურ არსებას, რომელსაც არაფრით არ შეი-

ძლება მხატვარი ერქვას; ამავდროულად, თითქოს არც განსჯის მას და ჩვეულებრივ, არაგასაკვირ ამბად მიიჩნევს, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი გასაოცრად „პატარაა“. ასეთი გმირები ეცოდება კიდეც მკაცრი გაკიცხვისთვის. პაპუნასთვის თავისი ნახატების გარდა იმჟამად არაფერია მთავარი, არც ღირსება და არც ცოლი, რომელიც ვითომ ძალიან უყვარს.

რომანში ზაზა ყიფიანის ცხოვრების წესიც და ხასიათიც სრულიად სხვანაირია. ის თავისუფალი კაცია, პროფესიით რეჟისორი, ნაკლებად ღალატობს თავის შეხედულებებს, გარიგებით არაფერს აკეთებს და ცხოვრობს, როგორც გამოსდის; უარს ამბობს არასასურველი ქალის, ზაირას მიერ ნაჩუქარ აგარაკსა და მანქანაზეც, საჩოთირო კარიერაზეც. მან ნახა და დაკარგა სიყვარული, მაგრამ ამის გამო არ არის ტრაგიკული. აქ გვაგონდება ერთი მნიშვნელოვანი მწერლის მიერ ნათქვამი ჭეშმარიტება, რომ „შეძენა, თავისთავად დაკარგვაა“...

ზაზა როცა მაგდას უყურებდა, ირგვლივ ყველაფერი იცვლებოდა: „სიხარული მკაფიო და ნათელი იყო, როგორც მზიანი დღე“; – ვკითხულობთ ნაწარმოებში.

რომანი „აჰა, მიიწურა ზამთარი“ მარად თანამედროვეა, სანამ კაცობრიობა იარსებებს იქნება დაპირისპირება უნიჭობასა და ნიჭიერებას შორის, დიდი განსხვავება – სიყვარულსა და ბოროტებას შორის; აგრეთვე – მედროვეთა და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებები ცხოვრების მიმართ. ეს თემები ენაცვლება აქ ერთმანეთს. ნაწარმოებში საგრძნობია მსუბუქი სატირა, იუმორი, ხალისიანი დიალოგები...

არ შეიძლება ვისაუბროთ თამაზ ჭილაძის მართლაც ძალიან მნიშვნელოვან შემოქმედებაზე, პიესა იქნება ეს, მოთხრობა, ლექსი თუ რომანი და სიყვარულს გვერდი ავუაროთ; ეს დიდებული გრძნობა განსაკუთრებული პატივისცემით და რუდუნებით მიაქვს მწერალს მკითხველამდე. მას ესმის ყველა შეყვარებული სულდგმულის და თითქოს, ამ გრძნობით გაბრუებულთა დიდ და მნიშვნელოვან შეცდომებს თავად განიცდის; განიცდის აგრეთვე, მათ დაბნეულობას, ვფიქრობთ, ყველაზე ადამიანურ თვისებას.

შემთხვევითი არ არის გამორჩეული პერსონაჟის ზაზას მიერ შექსპირის გმირზე, ოფელიაზე, ვრცელი და მეტად საინტერესო საუბარი, რომლის მოკარნახე აჩრდილი – თავად რომანის ავტორი, ამ ტექსტის გადმოცემისას მძაფრად ამჟღავნებს თავს: „... ბედნიერი! არა, ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ ის ჭკუაზე შეიშალა! არა... ჰამლეტის მსგავსად, მისი სიგიჟეც მოგონილი იყო, რადგან სიბნელესა და სიმარტოვეში გაზრდილს იმის გამხელა შეეშინდა, რომ სინათლე დაინახა. მას რამდენიმე საუკუნით ადრე შეეფრქვია ის შუქი, თავისუფლება რომ ჰქვია, და, როგორც ნაადრევი ენძელა, თოვლის ქვეშ დაიღუპა.

ოფელია იგივე ჰამლეტია,ჰამლეტის სულის ლირიკული ნაწილი, რომელსაც ჰამლეტი ფილოსოფიური სკეპსისით თრგუნავდა, მალავდა, დასცინოდა კიდეც, თუმცა საშინელი ტკივილით გრძნობდა, რომ ეს მისი სულის ნაწილი იყო, რომ უმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. საინტერესოა კიდევ ის, რომ ჰამლეტი და ოფელია უფრო და-ძმას მოგვაგონებენ, ვიდრე მიჯნურებს“ (თ. ჭ.).

აქვე მინდა მოვიგონო სუფრაზე მყოფი ექიმი, რომელიც თანამეინახეს ვალიდოლის აუცილობლობას უბათილებს: „განა შეიძლება იმის მკურნალობა, რაც სიყვარულის, შურის ან სიძულვილის გამოა დაავადებული“ – ამბობს სიცილით ის...

ამ რომანის გარდა, თამაზ ჭილაძის არაერთი ნაწარმოებია თარგმნილი უცხო ენაზე, მას უამრავი ჯილდო აქვს მიღებული.

შემოქმედს დიდი ხანია იცნობს საზოგადოება საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც. ის 1931 წელს დაიბადა და უახლესი სიტყვით გაამდიდრა ჩვენი მწერლობა. ევროპეიზმის ფეხის ადგმა და თანამედროვე ქართული მწერლობის ხელახალი დაბრუნება მშობლიურ წიაღში, უპირველეს ყოვლისა, მის სახელთანაც არის დაკავშირებული.

ინდივიდუალიზმი არ არსებობს სიმარტოვის გარეშე. ვინც ოდნავ მაინც იცნობს თამაზ ჭილაძის პიროვნებას, ადვილად დამეთანხმება, რომ ამ დიდ მწერალს სიმარტოვის ატანის უზარმაზარი ძალა აქვს...

ასე იქმნება, რაც ნამდვილად ფასეულია, რასაც ფიქრი სჭირდება, ასე შეიქმნა ეს რომანიც თემა უამრავია ნაწარმოებში, რაზედაც უკვე ვისაუბრეთ, და თუ მაინც მის იდეაზე დავფიქრდებით, დავუკვირდებით პერსონაჟებს: ზაზას და თორნიკეს, მოგვაგონდება მონტენის გამონათქვამი: „უსაზღვრო სიბრიყვეს ცოტა სიგიჟე სჯობიაო“, ვფიქრობთ, ეს არის იდეა რომანისა „აჰა, მიიწურა ზამთარი“... მის ავტორს შეუძლია გასწავლოს საუბარი საკუთარ თავთან.

თარგმანი

მაჰიუშ მაშხევიჩი

მუქთა ლუდი ოხრად

ჯარში 1966 წლის სექტემბერში გამიწვიეს. მთელი პოლონეთი, გოჟოვ ველკაპოლსკიმდე, უფასოდ გავიარე, უწყებით ჯიბეში. მანადმე, სადგურზე, ძმაკაცებმა გაცილება მომიწყვეს. ცოტა არაყიც დავლიეთ, წავიმღერეთ... ჩემი ძმაც იყო. მამხნევებდა და მეუბნებოდა, ჯარში არაფერზე ინერვიულო ... გულთან არაფერი მიიტანო, „დაიკიდე ყველაფერი“... აბსოლუტურად ყველაფერიო. თავად სულ რაღაც ერთი წლის გასული იყო რეზერვში, ასე რომ, საკითხში კარგად ერკვეოდა. მისი მონაყოლიდან ვიცოდი, რომ ჯარში ერთფეროვნება და დისციპლინაა. ერთფეროვნება ყოველდღიური, დისციპლინა სპორადული.

თავიდან განსაკუთრებული და საინტერესო არაფერი ხდებოდა. სევდასა და ყოველი მომდევნო დღის ლოდინში თვეები გადიოდა. ორჯერ გადამიყვანეს სხვა ნაწილში. ყველაზე უარესი, თურმე, წინ მელოდა. სადღაც 1968 წელს, გაზაფხულზე, ჩამომაშორეს ძმაკაცებს, რომლებთანაც დაახლოება უკვე მოვასწარი. ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ სკოლიდან ვიცნობდი. ნისაში გადამიყვანეს.

დემობილიზაციამდე ნახევარი წელი გვრჩებოდა და ისე გვექცეოდნენ, გეგონება, ისევ ახალწვეულები, ლიფსიტები, ვიყავით. სერჟანტი – ურჯუკი ოყლაყი, მთელი დღე ღრიალებდა. ამაში მას ბეჯითად ეხმარებოდნენ სხვადასხვა მასტის კაპრალები. მასზე უკეთესი არც ოფიცრები იყვნენ. თითქმის სისტემატური პერიოდულობით ღამის განგაში, გაღვიძება, ვარჯიში პლაცზე. დაწექი! გუბეში! ადექი! სირბილით! ხშირად, ტყეში რამდენიმე კილომეტრიან მარშით სვლას გვიბრძანებდნენ, სრული აღჭურვილობით, „სკოტებით“ ან საბარგო მანქანებით – ისე, უბრალოდ, გასართობად, უაზროდ ... დილით კი კვლავ წამოგვყრიდნენ, ჩვეულებრივად, თითქოს არც არაფერი მომხდარა. რიგითებს შორისაც იძაბებოდა ურთიერთობები. ზოგი ასმენდა, ზოგი სუსტებს ეშმაკურად იყენებდა და სხვების ხარჯზე ინტრიგებს ხლართავდა. დანარჩენებს კი ეს ყველაფერი მოთმინებით უნდა აგვეტანა.

და დადგა 1968 წლის აგვისტო. დღეს ზუსტად აღარ მახსოვს, რომელი რიცხვი იყო, რომ წამოგვყარეს, 23 თუ 24, ან სულაც უფრო ადრე. შუაღამე. განგაშის სირენის ღრიალი. ყვირილი დერეფნებში. „ხუთ წუთში ზურგჩანთებით, პლაცზე!“ თითქოს ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, რასაც უკვე მივეჩვიეთ. მანამდე ხომ მანევრებზე იყო საუბრები. ასე ამბობდნენ აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისშიო. მომზადებულები ვიყავით. სრული აღჭურვილობით. იმ განგაშამდე რამდენიმე დღით ადრე მთელი ტექნიკა რკინიგზის ვაგონებში ჩავტვირთეთ. ყველაფერი მზადყოფნაში იდგა გვერდითი განშტოების ლიანდაგზე. იმ ღამეს სალაშქრო კოლონად დაგვაწყვეს და გვიბრძანეს – გვერდითი ლიანდაგისკენ! იქ კი ეშელონი დაგვახვედრეს. ვაგონებში ჩავსხედით დარწმუნებულები, რომ მანევრებზე მივდიოდით. თუმცა იმ სიჩქარეში, ნამძინარევები, თავს არ ვიწუხებდით იმაზე ფიქრით, სად მივყავდით. ძილი იატაკზე მიყრილებმა გავაგრძელეთ, დაღლილებმა, გულისყურწართმეულებმა და გაბრაზებულებმა. გათენება რომ დაიწყო, ზოგიერთმა არაპოლონური ნიშნები შეამჩნია. რაღაც სადგური გავიარეთ – ახლა სახელი არ მაგონდება – და მივხვდით, რომ ჩეხოსლოვაკიაში ვიყავით. ჯარისკაცები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, რომ ახლა ამაში სასიხარულო არაფერი იყო, რომ ჩეხები რუსების წინააღმდეგ აბუნტდნენ. საშინლად შეგვეშინდა. რას გვიზამენ? ჩვენ რას ვიზამთ?

სადღაც პრაღის ახლოს გადმოგვსვეს. გადაგვთვალეს და სიტყვა წარმოთქვა პოლკოვნიკმა, რომელიც მანამდე ნაწილში არავის უნახავს. დაიწყო იმით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა დაძაბულიაო, რომ ფაშიზმი ცოცხლდებაო, რომ ამერიკული იმპერიალიზმი ესწრაფვის ჩვენი ბანაკიდან ჩეხოსლოვაკიის ამოგლეჯასო, აქეზებენ, რომ ურთიერთობა გაწყვიტოს საბჭოთა კავშირთან და ვარშავის პაქტის სხვა ქვეყნებთანო. კიდევ თქვა, რომ ჩვენ ჩეხოსლოვაკელმა პატრიოტებმა გამოგიძახეს, მათი ქვეყანის ამერიკისა და მოღალატეებისგან თავდაცვაში დასახმარებლადო. შემდეგ დაუყოვნებლივ დაგვირიგეს ცეცხლსასროლი იარაღი, თითოეულს 120 ცალი ვაზნით და კიდევ პატარა შავი კოლოფები ზედ ჩვენი გვარ-სახელ-დაბადებისთარიღიანი ბარათით. ეს პატარა „კუბო“ გულისჯიბეში უნდა შეგვენახა. იდენტიფიკატორ „კუბუნიას“ ვეძახდით.

მეშინოდა. ეს უკვე აღარ იყო წვრთნები და პოლიგონი. ყველაზე უარესი კი მაინც იმის შეგრძნება იყო, რომ რაღაც საზიზღრობაში ვიყავი ჩათრეული, ისეთში, გაფიქრებისაც რომ მეშინოდა. ჩვენ შორის ერთი- ორმა გაბედა და ეს ხმამაღლა განაცხადა. ძალიან მალე სადღაც წაიყვანეს. მოგვიანებით კი შევიტყვეთ, რომ ერთს რვა წელი მიუსაჯეს, კიდევ

რამდენიმეს ხუთ-ხუთი. სრულად მოიხადეს, პირველიდან ბოლო დღემდე.

ყოველ ნაბიჯზე გვახსენებდნენ, რა შედეგი მოჰყვებოდა საომარ მდგომარეობაში ბრძანების შეუსრულებლობას. განუწყვეტლივ გვიხსნიდნენ, რომ რუსები ბევრად მეტნი იყვნენ, ვიდრე ყველა ჩეხი ერთად აღებული.

პრაღის ახლოს, ტყეში, რამდენიმედღიანი დგომის შემდეგ გავიგეთ, რომ პრაღაში რუსები არიან, თვალყურს ადევნებენ, აკონტროლებენ ჩეხებს. ქალაქიდან ოცი კილომეტრის რადიუსზე მხოლოდ რუსებია, ხოლო იმის იქით პოლონური ჯარი. პრაღა გარემოცულია და სპეციალური ნებართვის გარეშე არავის აქვს გამოსვლის უფლება.

ერთხელაც „სკოტით“ ვბრუნდებოდით პატრულირებიდან და ასფალტირებული გზის გადაკვეთასთან გაგვაჩერა მოძრაობის მომწესრიგებელმა რუსმა – წვრილთვალებამ, ყვითელმა. იძულებული ვიყავით, მოგვეცადა, რადგან გზისპირზე ტანკების კოლონა მიღოღავდა. მოსაწევად გადმოვედი და იმასთან მივედი. ვეკითხები: „რუსი ხარ?“ არ მპასუხობს. ისევ ვეკითხები: „დიდი ხანია აქ დგახარ?“ ის კი ისევ დუმს, მაგრამ ორ თითს მაჩვენებს, ანუ უკვე ორი დღეა ამ პოსტზე ვარო. „რამე გაქვს ნაჭამი?“. ის, უარის ნიშნად, თავს აქნევს. პაპიროსი მივეცი, რადგან ძალიან ხარბად უყურებდა. ჩემებთან დავბრუნდი და დავიძარით. უცნაური იყო. რუსი იყო და არც იყო რუსი. სევდიანი, დათრგუნული.

იმ ტყეში, პრაღის მახლობლად, თითქმის მთელი თვე ვიდექით. გაცეცხლებული ვიყავი, რადგან შემოდგომის დასაწყისში მთავრდებოდა ჩემი ჯარში სამსახურის ორი წელი, აქ კი პოლონეთში დაბრუნებაზე სიტყვას არავინ ძრავდა. ატმოსფერო კიდევ უფრო დაძაბული იყო, ვიდრე ერთი თვის წინ. ტყეში დროდადრო პოულობდნენ ჩვენი ჯარისკაცების გვამებს. ისეთი ფსიქოზი იყო, რომ ღამე ფეხსალაგში მარტო გასვლის გვეშინოდა. ერთხელაც, დილაუთენია, ჩვენი ბანაკის ახლოს, უნგრელი ოფიცრის გვამი იპოვეს. ყელი ჰქონდა გამოჭრილი. მუნდირის საყელოც კი გადასერილი იყო; მთელი სხეული სისხლში ცურავდა. ეტყობა, ბევრი იფართხალა. ვაანალიზებდით, რატომ დატოვეს აქ. ჩეხები არ უნდა ყოფილიყვნენ, რუსების ნამოქმედარს ჰგავდა. ვიღაც დაინტერესებული იყო, ატმოსფერო დაეძაბა.

სექტემბრის ბოლოს ევაკუაციის ბრძანება მოვიდა. მლადა ბოლესლავში მივდიოდით. პოლონელმა პარაშუტისტებმა – „წითელი ბერეტები“ – იქ სამხედრო აეროდრომი დაიკავეს. ჩვენ გვიბრძანეს, მიმდებარე სამხედრო ნაწილის ყაზარმებისთვის მიგვეხედა. მახსოვს, შემოდგომის უღიმღამო დღე იყო. მივდიოდით რუსული ტანკების კოლონის უკან. მლადა ბოლესლავამდე არმისული წვიმამ გადაიღო, ხოლო ქალაქს რომ მივუახლოვდით, გამოანათა კიდევაც. უეცრად კოლონა გაჩერდა. ტანკს რაღაც დაემართა. ძმაკაცებთან ერთად წინ გავიქეცი და თურმე რა მომხდარა: ქალები და დედები საბავშო ეტლებში ჩვილებით ტანკებს წინ გადადგომიან. პირველმა ტანკისტმა, მათზე რომ არ გადაევლო, გეზი ცოტა გვერდით აიღო და მოლიპული მიწაყრილიდან თხრილში თავდაღმა გადავარდა. არ ვიცი, იქ მდინარე იყო თუ მშრალი კალაპოტი. ყოველ შემთხვევაში, იმ ტანკიდან ცოცხალი არავინ გადარჩა. რუსები დანარჩენი სხვა ტანკებიდან გადმოხტნენ, იარაღს ბლოკირების საკეტები ახსნეს და იმ ქალებს დაუმიზნეს. გასროლაც იყო. ჰაერში. შესაშინებლად. ქალები გაიქცნენ.

საპატრონოდ ჩაბარებულ ყაზარმებს რომ მივუახლოვდით, მწკრივში დაგვაყენეს და ბრძანება გასცეს: წინ! ხოლო ოფიცრები და მთელი უფროსობა ჩვენ უკან ... ჩვენს ზურგს უკან დადგნენ. ეს იმიტომ, რომ ეშინოდათ ჩვენი, იმისი, რომ სროლის შემთხვევაში, შურისძიება იყო შესაძლებელი. ჩვეულებრივი მხდალები. ახლა ვიცი, რომ ოფიცერი ყველაზე დიდი ყეყეჩია. მათ მიმართ პატივისცემის ნატამალიც კი აღარ შეგვრჩა.

სროლის გარეშე გადავრჩით. ჩეხმა ყარაულმა შიშით, ისე, რომ მეთაურებს არ დალოდებია, იარაღი ჩაგვაბარა.

როდესაც, ნაწილის დაუფლების შემდეგ, სხვადასხვა პუნქტში დაგვაყენეს, მე ერთ-ერთ შემოსასვლელ ჭიშკართან აღმოვჩნდი. იქ „სკოტი“ იდგა. რამდენიმე საათის შემდეგ ჩეხები საბარგო მანქანებით მოვიდნენ. სიტუაციაში ჯერ კიდევ არ იყვნენ გარკვეულები. გაუკვირდათ ჩვენი იქ ყოფნა. გავიქეცი მეთაურთან. მაშინვე მოვიდა ერთი ჩვენი პოლკოვნიკი. ჩხუბი დაიწყო ჩეხ მეთაურთან, მგონი, წოდებით მაიორი იყო, რომელმაც ყაზარმებში შემოსვლა და დანებება არ ისურვა. ბოლოს და ბოლოს, ჩეხი დაბრუნდა თავისიანებთან, მანქანაში ჩაჯდა და ყველანი სწრაფად წავიდნენ.

ათიოდე წუთის შემდეგ მესმის, რომ ისევ გვიახლოვდებიან სატვირთო მანქანები. ბევრი არაფერი ჩანდა, რადგან უკვე ბინდი ჩამოწვა და წამოწვიმა. რომელიღაც მოსახვევთან დიდი სატვირთო მანქანების ლანდი გამოკრთა. ჩვენკენ ისროლეს. გვეგონა, რომ ჩეხები ბრუნდებოდნენ ერთ-ერთ ბარაკში გამოკეტილი თავისიანების დასახსნელად. თავიდანვე ვხვდებოდით, რომ ამდენ იარაღს, საბრძოლო მზადყოფნაში, ბოლოს და ბოლოს აფეთქება, შეტაკება ან თუნდაც სროლა მოჰყვებოდა. ყველაზე უარესი იყო, რომ ეს ნებისმიერ წუთში შეიძლება მომხდარიყო – ახლა, ან მოგვიანებით. ერთ-ერთმა ოფიცერმა გვიბრძანა, მეწინავისთვის გვესროლა, ეს სხვებს უკუაქცევსო. „სკოტიდან“ ესროლეს. აფეთქებები ცას სწვდებოდა. უშველებელი ცეცხლოვანი სოკო. პატარა ატომური აფეთქების მსგავსი შთაბეჭდილება. წვიმისგან სველი იყო ყველაფერი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ტყეს ცეცხლი ერთ წამში მოედო. რამდენიმე დეტონაციის შემდეგ - სიჩუმე. უფრო ახლოს მივედით: ირგვლივ ადამიანების ნაფლეთები, მანქანების ნამსხვრევები... აღმოჩნდა, ჩვენები ყოფილან, პოლონელები. ბენზინი მოჰქონდათ. სულ ოცდაექვსნი იყვნენ. არ ვიცი, მერე რა დაემართა იმ ოფიცერს, რომელმაც სროლის ბრძანება გასცა. ისე, სავალდებულო წესი იყო, რომ საკუთარი სიცოცხლის უშუალო საფრთხის შემთხვევაში, სროლა ნებადართული იყო. გასაგებია, რას ნიშნავს ეს საომარი დაძაბულობის პირობებში. ადამიანის მოკვლა ბანალურად უბრალო და ადვილი ხდება, არავითარი გამომდინარე შედეგები, არავითარი სინდისის ქენჯნა.

ბოლომდე იმ ყაზარმებში ვიდექით, დეკემბრის დასაწყისამდე, ანუ პოლონეთში დაბრუნებამდე. ჩეხებს თვალყურს ჩვენი დაცვა ადევნებდა. ბარაკის დატოვების უფლება არ ჰქონდათ. თავს ბადრაგად ვგრძნობდით. გვქონდა ვარჯიშები პლაცზე, მაგრამ იარაღის გარეშე, ისე, უბრალოდ, სამოძრაოდ ...

სადაც ჩვენ ვიდექით, ყაზარმებთან ახლოს, პატარა ლუდსახარში იყო. ოფიცრები თვალს ხუჭავდნენ ჩვენს „ლაშქრობებზე“. ქარხანაში იარაღშემართულები შევდიოდით. უბოდიშოდ თავაწყვეტილები, უტიფრად, ურცხვად ვიქცეოდით. დიდი კასრების გვერდით ვსხდებოდით, თუ ხელისახლოს კათხები არ იყო, განათების პლაფონებს გადავწვდებოდით, ვსვამდით შესაძლებლობის ზღვრამდე. ბუშტის გახეთქვამდე. ჩეხები ამრეზით გვიყურებდნენ. ჩვენს ზურგს უკან მიწაზე აფურთხებდნენ. ცოტა არ იყოს, ბრიყვული სანახაობა იყო. მაგრამ ... იქ ხომ არავინ, არცერთი ჩვენგანი, საკუთარი ნებით არ ვიყავით. ვინ იცის, იქნებ, ოდესმე, მსგავს სიტუაციაში ისინი თავადაც აღმოჩენილიყვნენ.

ოქტომბრის ბოლოს კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა. ჩეხური ფურგონი, რაღაც ჩვენი „ნისკას'' ან „ჟუკის“ მსგავსი, ნელა შემოვიდა ჭიშკარში. სახურავზე რუპორი ედგა. პოლონურად ალაპარაკდა. ყვიროდნენ, რომ აგრესორები ვართ, ოკუპანტები, რომ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით იქ ყოფნის უფლება არ გვაქვს და ა.შ. ერთ-ერთმა ჩვენგანმა ვერ გაუძლო და გაისროლა. იარაღი იმათაც ჰქონდათ. დაიწყო ორმხრივი სროლა. ვიღაც „სკოტიდან'' ისე დააწვა, რომ ფურგონი ბორბლების ტრიალით ამობრუნდა და ბოლი აუშვა. შიგნით დაჭრილი ჩეხები კვნესოდნენ. ორი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ოთხი, მძიმე მდგომარეობაში, საავადმყოფოში გადაიყვანეს. მანქანაში უამრავი ბუკლეტი იყო, მაგრამ მეთაურმა მათი ხელისხლება აგვიკრძალა.

სახლში ქრისტეშობის წინ დავბრუნდი. მამაჩემს ჩემი დანახვაც არ სურდა. ყველაფერი იცოდა რადიოდან. მონაწილეობას ვერ მპატიებდა. საშობაო სუფრასთანაც კი ყველანი ერთად არ ვისხედით. დედა ტიროდა და მამას არჯალს, ურჯუკს ეძახდა – რას ერჩი ბავშვსო.

მარიუშ მაშკევიჩი,

სოციოლოგი, დიპლომატი, პუბლიცისტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჰაბილიტირებული
დოქტორი

მოთხრობა პირველად დაიბეჭდა პოლონური ემიგრაციის ჟურნალში „კულტურა“,

პარიზი, 1986 წ. (№ 6/465)

პოლონურიდან თარგმნა რუსულად კიკალეიშვილი – დომუხოვსკიმ

მედეა ჯახიძე

სახვალიო მოლოდინი

წელს, 30 დეკემბერს მედეა კახიძეს 85 წელი შეუსრულდებოდა. გული მწყდება, რომ ეს თარიღი ბევრს არ გახსენებია. დიახ, მე მეამყება, რომ ჩვენ მეგობრები ვიყავით, უახლოესი მეგობრები. ჩვენი მეგობრობა 1981 წლის იმ მშვენიერ დღეს დაიწყო, როცა მასთან მადლობის სათქმელად მივედი. მთარგმნელმა, ნატალია დარდიკინამ, „ლიტერატურნაია გაზეტაში“ მიიტანა ჩემი ლექსები. მე იქ არავინ მიცნობდა. უნდა ვთქვა, რომ არც აქ მიცნობდა ვინმე და მათ შორის, არც მედეა კახიძე. მას შემთხვევით შეუვლია გაზეთის რედაქციაში და იქ უთხოვიათ, ჩემი ლექსებისთვის წინასიტყვაობა დაეწერა. როცა გაზეთი გადავშალე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ჩემი ლექსების თარგმანები მისი წინასიტყვაობით გამოექვეყნებინათ. მაშინ მივხვდი, რომ სწორედ ასე ჩუმად, უანგაროდ უნდა აკეთო სიკეთე.

საზოგადოების დიდი ნაწილი მედეას, როგორც პოეტს ისე იცნობს, თუმცა ახლა ჩემ წინ დევს მისი მოთხრობების კრებულის ანაწყობი, რომელსაც ალბათ გამოვცემთ, როცა იქნება. დიახ, როცა იქნება, რადგან ჭეშმარიტი ლიტერატურა დღეს აღარავის აინტერესებს თითო-ოროლა ადამიანის გარდა. წინამდებარე მოთხრობა კი უბრალო მოთხრობა არ გახლავთ, სიმბოლოებით დატვირთული თხზულებაა. „ბულბული რომ გერქვას, კვერცხიდანვე ბულბულად უნდა გამოიჩეკო და დაიბადო“ – გვეუბნება ის. დიახ, პოეტი ყველა ვერ გახდება, რაც უნდა მრავალჯერ აიღოს კალამი ხელში. ამას უფლისმიერი მადლი სჭირდება. ზოგი ურწმუნო კი უფლის მადლს როგორ მოიპოვებს?!

მგალობელი ადამიანის მოკვლა გასროლის გარეშეც შეიძლება. დაასამარე და გაჩუმდი! მორჩა! უთქმელობით მოკალი, უსიტყვობით გაანადგურე! მის თანამედროვე პოეტ ქალთაგან ალბათ ერთი-ორს თუ ეკუთვნოდა რუსთაველის სახელობის პრემია და მათ შორის, მედეა კახიძესაც, მაგრამ ის არავის გახსენებია. ეს გულისტკივილი და მისი ღვაწლის დაუფასებლობა ბოლომდე გაჰყვა, თუმცა არასოდეს არავისთან დაუწუწუნია. სხვა რა გითხრათ? გახსოვდეთ, რომ საქართველოს ჰყავდა და ჰყავს მედეა კახიძე და ნუ მოჰკლავთ ბულბულს! ბულბულები ცხოვრებას გვილამაზებენ, მათ გარეშე ჩვენს არსებობას აზრი ეკარგება.

ნინო ქუთათელაძე

ხატაურა დიდხანს ფეხმოკიდებული იყო ჩემს ოჯახში, ყოველთვის ჩემი მფერებელი და თვალებში შემჩერე, კაბის კალთაზე იყო გამოკერებული და ყელგადაგდებული შემომციცინებდა. ლამაზი და თვალმისატაცი კარგად ნაბან-ნასუქი მყავდა, სიმსუქნით ყელგადმოკეცილი კურტუმსაც ძლივს დააქნევდა. ჩემგან დიდად პატივნაცემი და სიყვარულში წილდადებული, სხვაგან ქსუობდა; მე ძილის წინ საწოლში შემომიწვებოდა და მკერდგამოზნექილი მთელი ტანით მეთათუნებოდა. მუდამ აანცებული და ცქვიტი უკანა ფეხებზე დაყუნტდებოდა და ყურმახვილად აყურადებდა შემოგარენს. არც საჩხუბრად აფხორვა იცოდა, ვერც სტომაქმოღორებულობას დასწამებდი, ირგვლივ, რაგინდ მადის აღმძვრელი ხორაგეულობა დალაგებულიყო, თათი არ წასცდებოდა და არ წაცდუნდებოდა.

ერთი მეორის მლოლიავენი და მსასოებელნი გავხდით, სტუმრად მიმავალიც წინ გავიხტუნებდი ხოლმე, შინ მარტოკას არასოდეს არ ვამყოფებდი.

საღამოობით ფეხთით მეჯდა, პირჩაგემრიელებული და ბედნიერი მეკრუტუნებოდა; ხატაურასთან გატარებულ სიამტკბილობის დღეებს გაზაფხულზე ბულბულების თბილი ქვეყნიდან დაბრუნებაც ერთვოდა და სიხარულზე სიხარული მემატებოდა, როცა მგალობლები საძირკველს გაიდგამდნენ ბუჩქებში და შემოგარენს თილისმის ბადეში გახვევდნენ.

შეტრიალდებოდა თუ არა ზურგით ზამთარი და დედამიწა სამზისთვალოდ მოემზადებოდა, მოუთმენლად ველოდი, როდის გამოკოპწიავდებოდა ჩემი ბაღი და რიგ-რიგად მოფრინდებოდნენ ფრინველები, ბუდეებში ბუმბულ-ფოთლებს ჩაიგებდნენ და საალიონო საგალობლებს წამოიწყებდნენ.

წინაპირველად, თუთის კენწეროზე მომწვანო-მოყვითალო მოლაღური წამომღლაურდებოდა, „ბიჭოგოგიაო“ ჩამოგვძახებდა; „ტიავ-ტიავო!“ – ხმას დაუწყვილებდა ტოროლაც, მერცხლის ჭყივილი თავზე გადაგვევლებოდა, ბუჩქებში მსტვენი ბულბულიც ბუდიდან ხმას ამოაკვნესებდა და ჰანგს ჰანგზე ჩააკრიმანჭულებდა. სულ სხვა მირონი ეცხო ბულბულის გალობას, მისი ნაზმგრძნობიარე ყელიდან გადმოსული ჯადო-ხიბლი გულს მითბობდა, გუნებას მიწმენდდა და გონებას აოცნებებდა. ბულბულის ნამივით გულდაწმენდილი მელოდიების წყალობით, დაცისარტყელებული სიზმრები მქონდა და თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლიდი.

მზე რომ მიიდრიკებოდა, შავნაღვლიანი საზრუნავით დამძიმებული, ჭილოფის სკამს ზურგს მივასვენებდი და ქალაქური ცამპა-ცუმპა სიმღერებით გაბეზრებული, ჩაიდუმალებულ ბინდში ბულბულის გალობას ჩავუტკბებოდი. კლდეში ნაძრომიალევი წყაროს ნაჟურივით მოწანწკარე მელოდიებში მთელი სამყაროს სავედრებელი იყო მოქცეული და ამ გამოუცნობ გულისთქმაში მაგდებდა ხან მინაბული, ხან აგზნებული სტვენა. მისი გულისწამღები ხმა მისძრავ-მოსძრავდა ჩემს ფიქრთა სიმძაფრეს და თავგზას მაკარგვინებდა, მეწადა უკანასკნელ სულთათქმამდე მეგდო ყური, რომ მისი გეშ-კვალი არასოდეს არ დამეკარგა საწუთროს წრებრუნვაში, ხელმწიფის ტახტს უფლისწულობის გარეშეც ეუფლებინა, მაგრამ ბულბული რომ გერქვას, კვერცხიდანვე ბულბულად უნდა გამოიჩეკო და დაიბადო.

მუსიკა ყველა ენაზე და ყველანაირ კილოკავზე ლაპარაკობს და მხოლოდ ყრუთათვის არის გაუგებარი და ვერ საცნობარი, ვერ გაცნობიერებული, რა ამღერებდა ბულბულს, აღტაცება თუ მოურჩენელი კაეშანი, ოღონდ ერთი კი ჭეშმარიტად ვიცოდი, რომ ჩემი ტკივილი და გულთანადები მათი თაფლატკბილი ბაგეებით იყო გაცხადებული.

ვიჯექი ცაცხვების ხეივანში და გაფაციცებით ვაყურადებდი, ვიდრე თავს ზემოთ მწუხრი შუქურხომლებს ააჩინჩხლებდა და მთვარე ცას არ გაატკრციალებდა.

დედამიწაზე უთვალავი თვალის ასახვევი უწაღმართობანი ხდება. ბუნება ხშირად თვალს გვიხვევს და შევყავართ შეცდომაში, რომ უწყინარი პეპელა მშვენიერ ყვავილს მხოლოდ სხვათა თვალის ასახვევად შეტრფიალებს და დასტრიალებს; სინამდვილეში ნექტარს წუწნის, სიტკბოს აცლის და სიცოცხლედამოკლებულს, უმალვე ივიწყებს, თავის გზაზე მიდის; ადამიანი ვერც იმას ხვდება, რომ ჭოტი კაცის მეგობარია და შემწე, რომ მღრღნელებს მუსრავს და ნაჭირნახულევს იცავს, მას კი უდროუდრო შეკივლება აღიზიანებს და ფრინველებს მის წინააღმდეგ აქეზებს.

ამისი მაგალითი ცხვირწინ მქონდა და აბა, რას ვიგუმანებდი, თუ ხატაურა გულში ბოროტ სურვილებს ჩაითესლებდა, ბულბულები მისი მადასაღერღელის ამშლელები გახდებოდნენ და მათ ბუდეებს გაუოსტატდებოდა. ბოლო ხანებში შევნიშნე ცხადად, იკლო ბულბულების გალობამ. ისიც შევამჩნიე, ხატაურა დროდადრო თვალსა და ხელს შუა მიქრებოდა და ბაღჩა-ბაღჩა წაღმა-უკუღმა დაბროტილებდა, მცირე ხანში კლანჭვა-გრეხით უკანვე მოიძურწებოდა, გვერდით ამომისკუპდებოდა და ენის წკლაპუნით ფეხებზე მეგლისებოდა, მეც გრძნობამოჭარბებული ვესათუთებოდი, ზურგზე ხელს ვუსვამდი და შაქარმომცვრეული ქათინაურებით ვამკობდი. თანდათანობით ხატაურას გარე-გარე მოხშირებული სირბილი და პირის ცმაცუნი საკეთილოდ არ მენიშნა, ეჭვაღებული, თვალმიფარებულზე მიმავალს ავედევნე და ვარდის ბუჩქებში შეჭრილს თავზე წავადექი. საკუთარი თვალით მოვიხილე, როგორ დაეცა მიწის მგელივით ბუდეს, თვალის ერთ დაფახულებაში, როგორ დაბდღვნა, შეიწირა პატარა მეგალობე ჩიტი და ხახაში გადაუძახა.

ყელში ბოღმამოგუბებული, გაშეშებული ვიდექი და გული მიტიროდა. ის კი კუდაპრეხილი დასაუზმებული მიიგრიხებოდა და ულვაშებს ილოკავდა.

მზერაარეული დავგლოვდი ბოლომოღებულ ბუდეს და ცხვირ-პირის ამოგელვა მსურდა ბულბულების სულთამხუთავი ხატაურასთვის, რომელმაც უკანასკნელი მგალობელი ჩიტის სიცოცხლე ჩააქრო და ჩამდინარე წყალს გაატანა. ვიდექი ნირწამხდარი. გულშემაღონებულ სიჩუმეში სმენას მიმძიმებდა უდაბური ტყიდან მიკიოტის გამოწივილი და ჭალის პირას მოწანწალე მელიების ხავილი.

ანაზდად დადუმებული ბუჩქი შეტოკდა, რტო აქანავდა და ბულბულის ნასაბუდარმა ჟღურტულის მსგავსი ხმა შემომაგება. უცებ გამოვფხიზლდი, ბიჯი წინ წავდგი, ფოთლები გადავწიე და ბუსუსებაღინღლული ბარტყი დავინახე, სულწასულად დავწვდი და თრთოლვაშემჯდარი ხელიგულზე სათუთად დავისვი. დაუბუმბლავი არსება უსუსურად აფჩენდა პირს და საჭმლის მოლოდინში თითებზე მეტანებოდა. მისმა პოვნამ ბედნიერიც გამხადა და თავსატეხიც გამიჩინა, როგორ მეცოცხლებინა და გამეზარდა უდედოდ ხატაურას გადარჩენილი მსხვერპლი. და უეცრად ექოდ მოვარდნილმა გუგულის გადაძახებამ გადაწყვეტილება მიმაღებინა. კიბე გამოვიტანე, თუთის ხეზე მივაყუდე, ზედ ავებღოტე, ვაივაგლახით ავაღწიე ფოთლებით შენიღბული, ძნელად შესამჩნევი მოლაღურის საბრძანებლამდე და უმწეო ბარტყი მოლაღურს შევუშვილე.

განაწყენებული წყენას დიდხანს იმახსოვრებს, მწყენინებელი – ადვილად ივიწყებს. მე ბრაზი მაღრჩობდა ხატაურას უღირსი საქციელის გამო, ის ხალიჩაზე გართხმული კოტრიალებდა და ბაწ-

რის გორგალს ეთამაშებოდა. მისმა ერთმა მცდარმა წაბიჯებამ სამარადჟამოდ ჩაქოლა ჩვენი ერთად ყოფნის სიხარული და ძველებული ნდობა. ცხადი იყო, ჩემს ჭკუაზე ვეღარ მოვაქცევდი, ცოდვებს ვერ მოვანანიებინებდი და მინდოდა თუ არა, ჩემი სახლიდან ფეხი უნდა ამომეკვეთინებინა.

ხატაურას ჩემთან აღარ მოესვლებოდა. სინდისის კანონი ხშირად კაცთათვისაც უცნობია, არა თუ ცხოველისთვის. ბულბულის ხელთგდებას მოკვდავნი იმის გამო კი არ ერიდებიან და გაურბიან, რომ ის ტკბილმოუბარი მგალობელია, არამედ – მისი მონადირება ბრდღვნადაც არ ღირს, საამისოდ არც დროს კარგავენ და არც ტყვიის ხარჯვა ნებავთ... მაგრამ ვიცოდი, ხატაურას თვალი მუდამ საქვეშქვეშოდ გაექცეოდა და მგალობლების სანსვლას ვეღარ გადავაჩვევდი. გული გავისასტიკე და საბოლოოდ გამოვუჯარე კარი, თუმცა სადღაცეთში გადასაკარგავად მაინც ვერ გავიმეტე და ქალაქში წავგვარე მამიდაჩემს, სადაც ბურთი და მოედანი მიაუებს აქვთ დარჩენილი და ბულბულები ზოოპარკშიც არ ბოგინობენ.

ეზოში ხატაურას ნაცვლად ძაღლები დაქასქასებდნენ, წაფუშულ-წამოფუშულ ბაღში ქარი დაზუზუნებდა და ხმობაში შესულ ფოთლებს აშარიშურებდა, ძილში ხატაურა და ბარტყებდაცლილი ბუდე მესიზმრებოდა და სულაკაწკაწებული ველოდი, როდის გაიზურმუხტებდნენ გამელოტებული მთები, როდის შემოაკმევდნენ ახლად ამოჩენილი იები სურნელს, ჩამობრუნდებოდნენ შორ გზაზე მომფრენი მოლაღურები და უკან ჩამოიდევნებდნენ ჩემს გადარჩენილ ბულბულს.

მოყვითალო მზე, სარკეში ნათამაშევი სირმანაქსოვი სხივები და ფეხქვეშ მფშვინვარე მატიტელები მიმანიშნებდნენ, ნანატრი დღე სადაცაა ჩამოდგებოდა. მისი მოსვლის მოლოდინი ნეტარების ბურუსში მხვევდა, შეყვარებულის ჩურჩულივით თავზე მევლებოდა, ხვალინდელ დღეს მილამაზებდა და მიწაზე საძირკველს მიმაგრებდა; ხვალინდელი დღის იმედით პირთამდე სავსე ვიყავი, ვიცოდი, როდის ჩამიტკბობდა და ჩავიტკბობდი ფიჭვის ხიდან გამოწვეთილი საკმეველივით გულდაწმენდილ მელოდეაბს. მჯეროდა, სადაცაა შემოცქრიალდებოდა ბაღში ჩემი ოცნების მაცოცხლებელი გულთმისანი, ისევ დავჯდებოდი ცაცხვების ხეივანში, ჩალის სკამს ზურგს მივასვენებდი და გულს ჩიტივით ამიფრთხიალებდა მისი ტკბილხმოვანება.

ყოველ წამს, წუთსა და საათს ვიცოდი, ბარტყებდაცლილ ბოლომოღბულ ბუდეში, როდის აიდრენდნენ ჰანგები სხივს, როდის ჩაწმახნავდა ბულბული ხმას და წყვდიადში შემოჭრილი სინათლესავით გაათვალმშვენიერებდა და მოესხივფინებოდა გარემოს. მაცოცხლებელი ნიავის მოდინებას ჰგავდა მისი მოლოდინი.

მოლოდინი ხომ იმედის ტყუპის ცალია და მონახევრე!

ვაჩე ხუციტაძე

Hit Stronger

წერილის წერა სასიამოვნო პროცესია, ყოველ შემთხვევაში მე ასე აღვიქვამ. არსებობს საჯარო წერილები, პირადი, უადრესატო და კიდევ ბევრნაირი. არსებულმა საუკუნემ წერილებს მესიჯები მიაშველა და ახლა დღიურ ნორმად გვექცა წერა, გინდ მწერალი იყო – გინდ არა. ზოგჯერ წერ ვიღაცას და აღმოჩნდება, რომ 5 წუთი დაგაგვიანდა. აღმოჩნდება, რომ 5 წუთის წინ თავი მოიკლა.

საშინელებაა გაუხსნელი წერილები! წარმოდგენა არ მაქვს, ქალი რა ტკივილს განიცდის მშობიარობისას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სამუდამოდ განწირული კონვერტის ტკივილს ვერ შეედრება.

ის ხომ ასე უნდა იყოს – ყოვლად უმნიშვნელო და გაუხსნელი.

კიდევ უფრო რთულია, რაღაცის თქმა რომ დაგავიწყდება! არასდროს გადადოთ სათქმელი სამომავლოდ. შეიძლება მთელი წელი დაჰყო ადამიანთან, თუნდაც ხუთი ღამე ერთად გაათენოთ საინტერესო თემებზე საუბარში, დილით მიგეძინოთ და, შუადღისას გაღვიძებულს, როდესაც რამოდენიმე წუთით შენი სახლის დატოვებას გადაწყვეტს, რაღაცის თქმა დაგავიწყდეს, რაც სამუდამოდ უთქმელი დარჩება, რადგან მას ორ წუთში მოკლავენ.

შენს სადარბაზოსთან, სულ რაღაც რამდენიმე ათეული წამის სავალზე.

Life is a bitch, თორე კარმას დედაც არ მოვტყან?

სავარაუდოდ, ასეთი შესავლის შემდეგ გგონიათ, რომ... რატომ თქვენობით? სავარაუდოდ, ასეთი შესავლის შემდეგ გგონია, რომ სიკვდილზე ვაპირებ საუბარს და შენი თვალების აცრემლიანებას, თუ როგორ საწყლად დამრჩა უთქმელი სიტყვები და გაუხსნელი წერილები....

არა.

თავი პირველი
F = -F

ჯარჯი ჭკვიანი ბიჭია და მას არაფერს ეძახიან, გარდა ჯარჯისა. ჰა-ჰა ათასში ერთხელ ვინმემ შემოკლებით ჯარჯ დაუძახოს, მაგრამ მერე აანალიზებს ი-ს დაჩაგრულ მდგომარეობას და სასწრაფოდ ასწორებს დაშვებულ შეცდომას. ჯარჯის არ უყვარს ქუჩა და სხვა ჯარჯიები, თვლის, რომ ორი ჯარჯი ერთ ოთახში ტავტოლოგიაა. არც ნაზუქი უყვარს, მაგრამ გიჟდება თაფლში ამოვლებულ როკფორზე! განა მოიპოვება ადამიანი, რომელსაც თაფლში ამოვლებული როკფორი არ მოსწონს?!

ჯარჯი მაღალი არაა, მაგრამ არც დაბალია. რამე რომ იყოს, ვერ იტყვი მარტივად შესამჩნევიაო, მაგრამ ვერც სიგამხდრეზე დადებს თავს. ჯარჯი ის ჯარჯია, ჯიხვებს რომ გაეკიდებოდა, მაგრამ თბილისში დაიბადა და გოგოებიც ყოფნის. აი რომელი ჯარჯია იცი, რომ ვერ იტყვი, ნახე რა სიმპატიურიაო, მაგრამ სხვამ რომ გითხრას – დაუჯერებ. ქუჩაში გავლისას გზადაგზა ქარიზმას რომ ტოვებს. მოკლედ, ჯარჯი უბრალოდ ჯარჯია, მაგრამ განა ისეთი განსაკუთრებული „მე სხვანაირი ვარ და ვერავინ გამიგებს“. არა – ჯარჯი მართლა განსაკუთრებულია.

სავარაუდოდ, ნიუტონზე არა, მაგრამ F = -F-თან დაკავშირებით ყველამ პირველი ჩხუბისას გაიგო. საწყის კლასებში ერთი მსუქანი ჯგუფელი ხომ ყველას ყოლია? ზოგს გაუმართლა და ბუნჩულა შეხვდა, ზოგს კი უბანში აღზრდილი „ამას ქურდად მონათლავენ, ბოზიშ“. როდესაც მეორე, მაშინ როდესღაც დგება ის დღე, როდესაც ყელში ამოგდის ყველა ის წართმეული პასტა, ყოველი დღე მერხზე მიჭეჭყილი სკამით, ჩახდილი შორტები მთელი სკოლის თვალწინ და გაბრაზებული, სახეანთებული ერთადერთი, რასაც ხედავ მისი გაბუსხული სახეა დამცინავი იერით, ვერც კი ამჩნევ, მთელი სკოლა როგორ იცინის შენს მელნით მოსვრილ შარვალზე, მუშტებს კრავ და ურტყამ.

დიახ, ეს არის ყველაზე ცუდი დარტყმა, რაც კი ოდესმე გამოგსვლია, მაგრამ სავარაუდოდ ნებისმიერ ტკივილად ღირს. ხვდები, რომ F = -F-ს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა არ გაქვს, რას ნიშნავს ეს სიმბოლო, და ამას ხვდები ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. რა დოზითაც დაარტყამ ადამიანს, კედელს, ცხოვრებას, შენს ემოციებს... იმ დოზითვე გიპასუხებს თავად, ანუ ცოტა რთულად რომ ვთქვათ: რაც მიიღე, არის ის, რაც გააკეთე იმისთვის, რაც გინდოდა.

ჯარჯიმ მუშტი დაარტყა და გამომდინარე იქიდან, რომ მან მხოლოდ ხელი მოიქნია და არანაირი სწავლება არ გაუვლია საბრძოლო ხელოვნების, მის მუშტს სისხლი წასკდა, მოწინააღმდეგე კი უარესად გაბრაზდა, რამაც შემდგომ ჯარჯის „დასინიაკებული“ სახე გამოიწვია.

ცხოვრების რამდენად არ ვიცი, მაგრამ ნიუტონის მესამე გაკვეთილი ესაა: დაარტყი მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სიძლიერით, რომელსაც თავად აიტან და ეს გაკვეთილი ყველაზე ნაკლებად ეხება მუშტების ქნევას.

თავი 2
Whatever you're thinking, think BIGGER!

ჯარჯის ბევრი ძმაკაცი არ ჰყავს, მაგრამ ბევრს ჰგონია, რომ ეს დებულება მცდარია. ანუ ის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ ჯარჯის ბევრი ძმაკაცი ჰყავს – ჯარჯის ძმაკაცები სულაც არ არიან. ჯარჯი ის ჯარჯია, ყველა უბანში კოლორიტი „ბრატი“ რომ ჰყავს და თვითონაც თავისი უბნის კოლორიტია. ჯარჯი ის ჯარჯია, თავად თბილისი რომაა, მაგრამ თბილისი ის თბილისი არაა, ჯარჯის თბილისობას რომ იმსახურებდეს. ჯარჯი ისაა, რაც თბილისმა დაკარგა – ჯარჯი კომუნიკაციაა, ურთიერთობა.

ახლა შეიძლება ფიქრობ, როდის მოვრჩები ჯარჯის აღწერას და რაღაც ნოტაციების კითხვას, როდის მოვაბამ თავს და დავიწყებ იმ ისტორიის მოყოლას, ასე ძალიან რომ მიმძიმებს გულს, რომელიც ასე ძალიან მინდა, რომ სახალხოდ გავაჟღერო, მაგრამ დაიცა. მოთმინებითა შენითაო მოიპოვეო ის რაღაცაო, რაც მნიშვნელოვანიაო – თქვა ერთმა ბრძენმა კაცმა.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაა, იცი? ჯარჯის სახლი არ აქვს! არა – აქვს, მაგრამ ის ყველგან სახლშია სადაც სიყვარულია, ძმობა, ვაჟკაცობა და ერთი ლიტრი სიმართლით სავსე ჭაჭა, ჯანდაბას „ზაკუსკაზეც“ არ იტყოდა უარს. მოკლედ, როგორც უკვე აღვნიშნე ჯარჯი ურთიერთობაა.

რომ იკითხოთ, მისი ბევრს ეშინია კიდეც. რაც ბავშობაში უპარტუნეს, გაბრაზებულმა მომდევნო ასაკში იქით უტყაპუნა, მაგრამ, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, თავადაც არ ესიამოვნა, უფრო მეტიც – ეწყინა. ყოველ დილით, როდესაც სარკეში ხედავდა ჯარჯის – მას ეს არ მოსწონდა. ძალაუფლებას პასუხისმგებლობები და ვალდებულებები მოჰყვება და სიმართლე რომ გითხრათ, ჯარჯის ეს სულაც არ უნდოდა. რა შევჭამე ტივნი ამ ჯარჯით რამე მარტივი სახელი დამერქვა? არა, ის ჯარჯია!

ჯარჯის მოსწონდა, რომ მისი ეშინოდათ, მაგრამ თან ეზიზღებოდა. ჯარჯის მოსწონდა რომ სამაგიეროს იხდიდა, მაგრამ ბრაზი არ ეშვებოდა. რაც უფრო მეტჯერ მოიქნია ხელი – მით უფრო მეტი ტვირთი აიკიდა. რაც უფრო მეტს მოუგვარა პრობლემა, მით უფრო მეტმა დაურეკა. რაც უფრო სცადა ქუჩასთან ჩამოშორება, მით უფრო მეტი კლანჭი დაანახა ქუჩამ.

იშვიათად გვხვდებიან ცხოვრებაში ასეთი ადა-

მიანები, თვალებში რომ ჩახედავ და რომ იცი რომ მალე მოკვდება. რომ ჩახედავ და მიხვდები, რა სწრაფად და დაუზოგავად ცხოვრობს. რომ ჩახედავ და პროტესტის მეტს ვერაფერს დაინახავ. უყურებ და აზროვნება გენგრევა მისი სილამაზით! მისი წყურვილით, რომელსაც ვერც წყალი, ვერც სისხლი და ვერც ცოდნა დაუოკებს.

ჯარჯი ფიქრობდა თავის პატარა პრობლემებზე, მაგრამ ამას არასდროს გაუჩერებია იმისგან, რომ ეფიქრა ბევრად უფრო მეტზე, ბევრად უფრო დიდზე! დარწმუნებული ვარ, ჯარჯის კოსმონავტობაც კი უნდოდა.

არა – ჯარჯი მართლა განსაკუთრებულია.

სავარაუდოდ, ნიუტონზე არა, მაგრამ F = -F თან დაკავშირებით ყველამ პირველი ჩხუბისას გაიგო. საწყის კლასებში ერთი მსუქანი ჯგუფელი ხომ ყველას ყოლია? ზოგს გაუმართლა და ბუნჩულა შეხვდა, ზოგს კი უბანში აღზრდილი „ამას ქურდად მონათლავენ, ბოზიშ“. როდესაც მეორე, მაშინ როდესღაც დგება ის დღე, როდესაც ყელში ამოგდის ყველა ის წართმეული პასტა, ყოველი დღე მერხზე მიჭეჭყილი სკამით, ჩახდილი შორტები მთელი სკოლის თვალწინ და გაბრაზებული, სახეანთებული ერთადერთი, რასაც ხედავ მისი გაბუსხული სახეა დამცინავი იერით, ვერც კი ამჩნევ, მთელი სკოლა როგორ იცინის შენს მელნით მოსვრილ შარვალზე, მუშტებს კრავ და ურტყამ.

დიახ, ეს არის ყველაზე ცუდი დარტყმა, რაც კი ოდესმე გამოგსვლია, მაგრამ სავარაუდოდ ნებისმიერ ტკივილად ღირს. ხვდები, რომ F = -F -ს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა არ გაქვს, რას ნიშნავს ეს სიმბოლო, და ამას ხვდები ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. რა დოზითაც დაარტყამ ადამიანს, კედელს, ცხოვრებას, შენს ემოციებს... იმ დოზითვე გიპასუხებს თავად, ანუ ცოტა რთულად რომ ვთქვათ: რაც მიიღე, არის ის, რაც გააკეთე იმისთვისმ რაც გინდოდა.

ჯარჯიმ მუშტი დაარტყა და გამომდინარე იქიდან, რომ მან მხოლოდ ხელი მოიქნია და არანაირი სწავლება არ გაუვლია საბრძოლო ხელოვნების, მის მუშტს სისხლი წასკდა, მოწინააღმდეგე კი უარესად გაბრაზდა, რამაც შემდგომ ჯარჯის „დასინიაკებული“ სახე გამოიწვია.

ცხოვრების რამდენად, არ ვიცი, მაგრამ ნიუტონის მესამე გაკვეთილი ესაა: დაარტყი მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სიძლიერით, რომელსაც თავად აიტან და ეს გაკვეთილი ყველაზე ნაკლებად ეხება მუშტების ქნევას.

თავი 3
Future is not written

ნუ დააბრალებთ კარმას, თუ რაიმე არ გამოგდით. როგორც უკვე აღვნიშნე: რაც გაქვს, ეს არის ის, რაც გააკეთე იმისთვის, რაც გინდოდა. ჯარჯის მომავალი არავის დაუწერია, მან ის თავისი ხელით და გამორჩეული კალიგრაფიით შეასრულა.

დილა თენდება, წინა ღამეს პირველ საათზე გამაღვიძა ზარმა და ტელეფონიდან ჩემმა ერთ-ერთმა ძმაკაცმა მაუწყა, რომ ჯარჯიმ კვლავაც იჩხუბა. კორპუსთან ჩავედი, ზემოთ ხსენებულმა მეგობარმა გამომიარა და წავედით ჯარჯის მოსანახულებლად. როგორც ყოველთვის, მიზეზი გოგო იყო, მაგრამ მთლად ასე მარტივადაც არაა. თავიდან, მიზეზი გოგო იყო, მერე გოგო საბაბად იქცა.

თითქოსდა, უკვე უწყინარი სიტუაცია დაგვხვდა, მაგრამ საბოლოოდ ხელების ქნევას გვერდი ვერ ავუარეთ. ჩხუბი მალე მორჩა, დავირაზმეთ და სახლისკენ გავწიეთ. ჯარჯის კარგა ხანია არ უჩხუბია, ამიტომაც ცოტათი უფრო მეტად აქვს ანთებული თვალები, ვიდრე სხვა დროს. ბედნიერი არაა, მაგრამ საკმაოდ მძიმე წლის შემდეგ უმნიშვნელო ჩხუბმა ცოტა ნერვები დაუმშვიდა.

მე, როგორც ყოველთვის, განვიკითხავ. თავს დავტრიალებ და ვეჩხუბები. ვეჩხუბები არა, უფრო ვკიცხავ. ვუხსნი, რომ ჩხუბი ცუდია, ძალადობა არაფერს ცვლის და მისი მომავალი მის ხელშია, შეუძლია ახლავე დაანებოს თავი იმას, რაც ასე ძალიან აწუხებს და ღრღნის და მიხედოს სწავლას. იმასაც კი ვპირდები, რომ ბაკალავრიატს თუ დაამთავრებს, მილანში არსებულ გეპეიში მაგისტრატურის საფასურს თავად გადავუხდი (ახლა კი ღარიბი ვარ, მაგრამ ვიცი, რო ფულს ვიშოვი სამომავლოდ). ჯარჯი მისმენს და ეს ყველაფერი თავადაც იცის. იმ დღიდან, როდესაც ქუჩაში დადგა – სულ თავიდანვე იცოდა, რომ ეს არ იყო მისთვის სწორი.

დავიძინეთ და, როგორც ზევით აღვნიშნე, და საერთოდ როგორც ამ სამყაროში ხდება, დილა გათენდა. მე ვზივარ კომპიუტერთან – ვთამაშობ, ჯარჯი ბოლთას სცემს და მორიგ მცირედ საზრუნავზე ფიქრობს. საბოლოოდ თაზოც ამოვიდა „კოკა-კოლით“ ხელში. „კოკა-კოლა“ ჩვენი საძმოს ნომერი ორი ელექსირია. პირველ ადგილს უკონკურენტოდ იკავებს ლუდი!

ჯარჯის მეგობარმა დაურეკა, რაღაც საქმე ჰქონდა. გადავირბენ და მალე მოვალო და გავიდა სახლიდან. ამ დღის შემდეგ ჯარჯი საქართველოში არავის უნახავს.

თავი 4
Rise yourmagic wands!

– ჯარჯი, როგორ მოხდა, რომ პატარა თბილისში მაცხოვრებელი ბიჭი ასეთი წარმატებული არქიტექტორი გახდა იტალიაში? – ეკითხება BBC-ს ჟურნალისტი ჯარჯის.

– მგონი, ასეთ კითხებზე პასუხი არ არსებობს და თუ არსებობს ის ერთია, – თავმდაბალი ღიმილით

პასუხობს ჯარჯი, მაგრამ მაინც ეტყობა წარმატებისგან ჩანერგილი თავდაჯერება, – ჩემს თავზე ვიმუშავე. ცხოვრებაში უკან ბევრი რაღაცის დატოვება მომიწია, მივატოვე თბილისი, მივატოვე საძმაკაცო – ისე რომ, ერთი ნახვამდისაც კი არ მითქვამს, და უკვე ოცი წელია მათ ჩემი არსებობის შესახებაც კი არ სმენიათ არაფერი. მივატოვე ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ჩემთვის, მაგრამ ამავდროულად მახრჩობდა. მივატოვე და გადავწყვიტე ჩემს თავზე მუშაობა და იმის გაკეთება, რისთვისაც ბევრს შნო არ ჰყოფნის. ოფიციალური ტონის დაჭერა რომ არ იყოს საჭირო შნოს მაგივრად, სხვა სიტყვას ვიტყოდი, – ჯარჯის ჩაეცინა და როგორც ოცი წლის წინ ჩვეოდა, ახლაც თავმდაბლურად ჩახარა თავი ქვევით, მაგრამ თვალებით კვლავაც ჟურნალისტს უყურებდა, ოღონდ სახის ქვევით.

– ჯარჯი ასევე ძალიან საინტერესოა შენი მიდგომა არქიტექტურისადმი, მართალია, ახლა შენს არქიტექტორულ კარიერაზე სასაუბროდ არ მოვსულვარ, – ჟურნალისტმა გალერეაში არსებულ ნახატებს გახედა, – მაგრამ მოდი მაინც ორი სიტყვით. ყველა არქიტექტორის ოცნება ცათამბრჯენის აშენებაა, შენ კი მილანის დაბალ შენობებს დასზდევ. რატომ?

ჯარჯის კვლავაც გაეღიმა.

– ნიუ-იორკში პირველად ვარ, მაგრამ აქამდე ბევრი შემოთავაზება მქონდა აქ ცათამბრჯენის აშენების, – აქ უკვე მკაფიოდ დაეტყო ჯარჯის ხმას თვითკმაყოფილება და წელშიც თამამად გაიმართა, – როგორც ხვდებით, ყოველი მათგანი უარით გავისტუმრე. დარწმუნებული ვარ დიდი დაკვირვება არ დაგჭირდებოდათ იმისთვის, რომ შეგემჩნიათ ჩემი სიმაღლე. დიახ, მე არ ვარ დიდი ადამიანი და ცხოვრების რაღაც პერიოდი ამას განვიცდიდი, მაგრამ ნელ-ნელა შევამჩნიე, რომ დიდი კარგს არ ნიშნავს! იცით, ახლა რაიმე კარგ ხუმრობას ვიტყოდი, მაგრამ ისევ და ისევ ეს ოფიციალურობა, – ჯარჯის კვლავაც გაეღიმა, – შევამჩნიე, რომ ჯობია პატარა იყო და მოწესრიგებული. უფრო დიდ ყურადღებას დეტალებს და სილამაზეს ვაქცევ, ვიდრე მასიურობას.

– ძალიან საინტერესოა! – ჟურნალისტი რვეულში შემდეგ კითხვას ეძებს, – თბილისი! რა შეგიძლიათ გვითხრათ თბილისზე?

– ყველაზე რთული კითხვაა, რაც კი შეიძლებოდა დაგესვათ, – ჯარჯის ღიმილი გაშრა, – თბილისი ამ ქალაქთან შედარებით პატარაა, მაგრამ დამიჯერეთ ეს ქალაქი თბილისის მეასედსაც არ წარმოადგენს. თბილისს ძალიან დიდი ისტორია აქვს და ძალიან ლამაზია თავისი ტრადიციებით. თუ არ ჩავთვლით საბჭოთა კავშირის დროს აშენებულ ასანთის კოლოფებს, ძალიან ლამაზია ძველი თბილისის არქიტექტურა. მარტივად რომ აგიხსნათ თბილისი ნარკოტიკია. ყოველ დილით იღებ დოზას და ყოველი დღე მის გარეშე გატარებული, ლომკითაა აღსავსე, რადგან ვერსად ვერ იპოვი იმას, რასაც უხვად შეხვდები თბილისის ქუჩებში. თბილისი თან გკლავს, მაგრამ სანამ მოგკლავს იქამდე გაძლიერებს. არა მგონია, ამ დედამიწაზე ვინმეს ესმოდეს ძმაკაცობის ისე, რამდენადაც ნებისმიერ თბილისელ ბიჭს ესმის.

– როგორ მოახერხე ამ ნარკოტიკის გადაგდება?

– დავიტირე. ავწიე ჩემი ჯადოსნური ჯოხი, დავიძახე ლუმოს და მის ხსოვნას პატივი მივაგე. ასე რომ არა ის თავად დამიტირებდა – ძლიერი წვიმით, რომელიც თბილისის ზოოპარკში არსებულ ცხოველებს მცირე ხნით თავისუფლებას უბოძებდა.

თავი 5
Let's start a revolution

მე დამთხვევების არ მჯერა და დარწმუნებული ვარ, ზოპარკის ცხოველებისთვის წართმეული საცხოვრებელი ჯარჯისთვის ბოძებული ცრემლები იყო, ცის უტიფარი ხასიათიდან. მინდოდა დიდი წიგნი დამეწერა ჯარჯის შესახებ, მაგრამ, მოდი, გრძელ სათქმელს მოკლედ გეტყვით. ჯარჯი ჩემი სახლიდან გასვლიდან 5-10 წუთში მოკლეს. მას უკნიდან მიეპარნენ და დანა ჩაარტყეს. ჯარჯისთვის სიკვდილი შვებას უდრიდა, მაგრამ ოპონენტი არ იყო მისთვის სიცოცხლის წართმევის ღირსი. განა არსებობს ვინმე ისეთი, ჯარჯის სიცოცხლეს რომ იმსახურებდა? მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო ღირსი.

ჯარჯიმ მცირე დრო დაჰყო ამ სამყაროზე და სულ ცოტაც რომ დასცლოდა, ნამდვილად აიღებდა მისგან ინტერვიუს BBC და ჯარჯის ქართული აქცენტით გაუგორებდა ერთ-ორ სიტყვას. მეცნიერები კვდებიან და მათი ოცნებები სადღაც უჩინარდება. მეოცნებეები კვდებიან და აუხდენელი ოცნებებს დრო სანაგვისკენ მიერეკება. მეოცნებეები კვდებიან და ოცნებაში გართულნი ვერც კი ამჩნევენ სიკვდილს.

ჯარჯი ის მეოცნებე არ იყო, მისი სიკვდილის მერე რო კითხულობენ: „სად მიდიან ოცნებები, როცა მეოცნებე კვდებაო". ჯარჯი ის მეოცნებე იყო, რომ მოკვდა, მაგრამ თავისი ოცნებების ნამსხვრევები ჩვენში – თავის საძმაკაცოში დატოვა.

პოეზია

სალომე მჭედლიშვილი

სალომე მჭედლიშვილი –
ნიკო ბაგრატიონის სახელობის
სკოლა-ლიცეუმი

სალომე მჭედლიშვილი – 14 წლის პოეტი, რომელიც მართლა გასაოცარ ლექსებს წერს! ეს ლექსები ზრდასრულ ქალსაც რომ დაეწერა, მაინც გასაოცარი იქნებოდა, რადგან სულში ჩაბუდებული განცდები გადმოცემულია რაღაც სხვა კუთხით, – სიმძაფრე მშვიდია, სიმშვიდე კი – მძაფრი...

ნიჭი რომ გენეტიკიდან მოედინება, ამის დასტურად სალომეს წარმოშობაც კმარა: უნიჭიერესი დიდი ბებია და ბაბუა – ვერა ბალკანსკაია და ლადო ქიქოძე... მოაზროვნე, ფაქიზი სულის ბებიის და – ნანა ქიქოძე, რაფინირებული, განსხვავებული ხედვის დედა – მხატვარი ვეკა ქიქოძე, მუსიკოსი ბებია – ნადეჟდა ქიქოძე, პატიოსნებით სავსე, უხმაურო და არასტანდარტული ბუნების მამა – ალეკო მჭედლიშვილი... და მაინც, იქნებ თავად სალომეა ამ „სხვა“ მდინარის სათავე?

ასოციაცია: 80-იან წლებში აღმოჩენილი 10 წლის პოეტი გოგონა – ეკა ბაქრაძე!

მზია ხეთაგური

* * *

ვხედავ, ქალი როგორ წუხს,
სული დუმს, სული დუმს!
გულში სურს, რომ გასცდეს ჭურს,
ის სულ დუმს, – ჩუ, ჩუ..
მისდევს ნაპირს, ცა კი ქუხს.
ვხედავ, ქალი ისევ წუხს,
გრძნობს, რომ სული, სული დუმს,
ვეღარ ითმენს, თითქოს დუღს...
ყურს იყრუებს, ისევ დუმს.
ქალი ცოტასაც მოითმენს,
მერე მოისვრის სულს,
ქალი ამ ომსაც მოიგებს,
მერე იპოვის გზას...
შეეგებიან ტალღები მომაკვდავს, ზღვაში
ჩასულს,
მხოლოდ მაშინ მოეგება გონს,
ბედნიერი მოკვდება,
სული აღარ დუმს. გრძნობს...

* * *

სამყაროს ჩაუწყდა ხმა,
აღარ მესმის ტირილი ჩემი,
გავიგე, მომკვდარა ძმა –
უსაზღვრო არის ტკივილი ჩემი.
უსასრულობას მოვკარი თვალი,
ღმერთი მეგონა, თურმე ეშმაკს ვეხვეწებოდი...
ჩემმა სიმღერამ გაახარა ეშმაკი ქალი
და მე მომთხოვა, დავუბრუნო თავისი ვალი...
სამყაროს ჩაუწყდა ხმა
და ვერ გაჩუმდა ეშმაკი ჩემი,
გავიგე მომკვდარა სხვაც,
მე აღარ მინდა სიცოცხლე მეტი.
უეცრად გრძნობა დავკარგე,
ისტერიკაში ჩავვარდი,
ვერ მორევია ყვავს ვარდი!
როგორც დავმარცხდი სიკვდილთან...
ვერ ვიმეგობრებ სირცხვილთან...
ვერ გავერთობი სხვის შვილთან...
და, ალბათ, ოდესმე მოვკვდები...
სამყაროს ჩაუწყდა ხმა
და აღარ ისმის ტირილი ჩემი.

* * *

გინდა, იწამო ბედნიერება
და დაივიწყო ეს დეპრესია...
მე ღმერთს მოვპარე სიტყვები და
ჩემ გარშემო დავატრიალე.
შენ ვერ მოთოკე ფიქრები და
ბოლო ხმაზე დაიღრიალე...
ფრთებდაგლეჯილი ანგელოზები
ცად მზის სხივებზე იხრაკებოდნენ...
მე ეს წუთები შენთან ერთად გადავიარე...
მაშინ, წმინდანნი, შენს ცრემლებზე რომ
ერთობოდნენ,
მე სასთუმალთან გიმღეროდი...
გინდა იწამო ბედნიერება
და დაივიწყო ეს დეპრესია?
შენ დაივიწყე მადლიერება
და სიზმრის ბოლოს ღმერთში გამცვალე...
თუ უჩემოდ ჩაიხედავ საკუთარ თავში
და მიხვდები, რომ ვერ გაივლი ბედნიერ კარში,
დამიძახე და მეც მაშინვე გავჩნდები შენთან!
დაეძებ სულ სხვა ბედნიერებას,
რომ სანაგვეზე გადააგდო ჩემი ფერება!
მაშინ მე წავალ, თავს გაგანებებ,
მაგრამ იცოდე, თუ შეგეშალა რამე კანონში
ბედნიერების,
მე დავბრუნდები და დაგავიწყებ გახსენებულ
ყოფიერებას.
მოდუნებულ სხეულს ვეღარ გრძნობ,
მკვდარ გონებას ფიქრებს ვერ ანდობ,
სუნთქვით დაღლილ თავსაც ვეღარ ფლობ,
მაინც არ მიკვირს, რომ ეს გული
სიყვარულს ნატრობს...

* * *

შემომეხატა დამცინავი ურჩხულის სახე,
შემომეხვია მომღიმარი ეკლების ბადე,
მითხრა – თუ ეძებ რამეს, მაგვარს ბედნიერების,
არ დაივიწყო ღრმა ცინიზმი ყოფიერების,
მე არ მჭირდება დანახვა შენი უბედურების,
არც შენი სევდა მიხარია, არც შენი ბოდვა,
მე არ მადარდებს თუ ვერ იხილავ ჭეშმარიტებას.
არ გერჩი, მხოლოდ მეღიმება,
შენს არეულ ფიქრზე მეცინება! –
რა გიხარია, ან რაზე დარდობ,
სასაცილოა, სხვას გრძნობებს ანდობ.
გაჩუმდი! მანდ მარტო ხარ,
ოდესმე მიხვდები, შეიგრძნობ ყოფას,
გეტყვი: ნურავის შეასხამ ხოტბას.
სამყაროს ჩაუწყდა ხმა
და აღარ ისმის ტირილი ჩემი.

* * *

და აი ავცილდი მიწას,
ნელა მივიწევ ცისკენ,
დუმდება ქარი და მუნჯდება ლეკვი,
რომელმაც შემახსენა ჩემი ყოფილი ადამიანობა...
უკვე სამი მეტრით დავშორდი მიწას,
მივიწევ მაღლა და დაბლა მექაჩება დაღლა.
რა გავაკეთო, ძირს ვერ დავბრუნდები,
უნდა შევებრძოლო! ვიცი, გავბრუვდები.
ღრუბლებს ვუყურებ. ცა კრიალაა.
და მე მაინც ვუყურებ ღრუბლებს.
ცა უსასრულოა. მე უკვე ოც მეტრზე ვარ.
ქვევიდან მიყურებს რაღაც არსება, მსგავსი
ადამიანის,
ტირილი უნდა. სულ არ ვადარდებ.
ისტერიკა აქვს, თურმე იცინის.
და აი, უკვე ვგრძნობ ცას.
შესუნთქული ჰაერი შიგნიდან მაგრილებს.
ვგრძნობ ღუტუნს ჩემს სულზე
და ქვევიდან ისევ მიყურებს რაღაც, მსგავსი
ადამიანის,
მე ვთავისუფლდები. ის აღარ იცინის...
მე უკვე ყველა კორპუსს ავცდი.
მე უკვე ყველა საზღვარს გავცდი. და ვიცდი.
ის კი მიბრაზდება. ო რაღაც... რაღაც იშლება,
ფრთები მძიმდება. გაქცევა მინდება. ვლინდება
სისუსტე, რომლებსაც ვმალავდი.
ჯაჭვებს მაბამენ გიჟები. და უხარიათ. ვგიჟდები...
თავისკენ მიხმობს არსება, მსგავსი ადამიანის.
წვიმს-მძაგს, ქარი ქრის და შიგნიდან მჭამს.
ხალხი ჩემ გარშემო დადის და მრთავს
იმ აზრებით, ჩემს სულს რომ კლავს.
ის გიჟი ისევ ჯაჭვებით მკრავს.
ვიღაც მიცინის... ვიღაც მეჩხუბება, ვიღაც
მომტირის, ვიღაც მეფერება.
ნეტავ ვიპოვო ის ვიღაცა.
დამყურებს ცა და თურმე ვეცოდები...
გავფანტე ცოდვები. რა ვიცოდი...
მაშინ არ ვიცოდი, მეგონა, წავიდოდნენ,
ჩიხში შევიდოდნენ და უკან ვეღარასდროს
გამოვიდოდნენ.
დამყურებს ცა და ხედავს იმასაც.
შეწყვეტს წვიმასაც, რომელიც მაბრაზებს.
შეწყვეტს ყინვასაც, რომელიც მაწუხებს.
დაივიწყებს ყველაფერს, ყველაფერს მოერევა,
გააჩუმებს იმ ძაღლს და მთელ დედამიწას,
ოღონდ გავიღიმო...
მაგრამ მაპატიოს, – მე ეს არ მინდა.

თამარ ლომსაძე

თამარ ლომსაძის ამომღერებულ-ამოკემსილი პოეზია

„წვიმის ცივი ნემსით დაგიკემსე ყოფა,
თითქოს ქვეყნად დავრჩი მწუხარების მძევლად,
ეს სიცოცხლე, გულო, აბა რად მეყოფა –
იკორთა და ჯავა თვალზე ამეცრემლა“...

თამარ ლომსაძის „წვიმის ცივი ნემსით“ დაკემსილი ყოფა იმდენად ბუნებრივი და მტკიცეა, ისე კარგად არის ამოკემსილი თავად განცდის გამომხატველი მეტაფორა, რომ სამკერვალო ფაბრიკით ჩაგვირისტებული საკერავიც ვერ იქნება ასე მყარი და სახიერი... მტკივნეული – მითუმეტეს.

სამაჩაბლოსადმი მიძღვნილი ეს და სხვა ლექსებიც იმდენად ქართულ-ქართულია, მწუხარების „კეკლუცად“ გამოთქმისაგან ისე შორს მდგომი და მართალი, რომ არა მხოლოდ გორში, მთელ საქართველოში რომ არ იცნობენ ასეთი სტრიქონების ავტორს, გული მწყდება.

ინტერნეტსივრცეს თავისი კანონები აქვს, ჰყავს გადამკითხველებიც... ლექსი ტექნიკურ ქსელში კი არა, ცოცხალ უჯრედებში ჩართული სულია... „...ჩემი იმედის სარკოფაგიდან ფეხის ფლატუნით შემეგებება სოფლის სიამის ბოლო აკორდი – დედაჩემი!“

ეს მართლა პოეზიაა! „ისეთი ლექსით ამომაღერე, რომ“... – არის ასეთი ოცნება თამარის სულში.

ჩემო თამარ! შენ უკვე „ამოიმღერე“ არაერთი ასეთი ლექსით, კარგა ხანია გიცნობს შენი ქართლი და ისინიც, ვინც ჭეშმარიტ პოეზიას ეძებენ და, სანაცვლოდ, ფეისბუქში განთავსებულ თავსმოხვეულ, იძულებით წასაკითხ სტრიქონებს აწყდებიან...

მზია ხეთაგური

ბილიკებზე წაქცეული გაზაფხული...

მე, აპრილის შარიანი ნასესხები
შემიციებს ბილიკებზე ია-იებს,
შენზე ფიქრს და შენზე ნატვრას არ ვეხსნები
და უშენოდ მივდევ დროის რია-რიებს...

მალე, ალბათ, შემოდგომა თავის ფარჩებს
ქართლის მთა-ბარს ქარვისფერად გადაუშლის,
ჩემს სიყვარულს ერთადერთს და შენზე ნაჩვევს –
დავიწყების ცივ ღამეებს არ გავუცვლი...

გიხსენებ და კვლავ იმედი მესახება,
ხარ ამ გულის ოცნება და განძეული...
და შენს მოსვლას ელოდება შესახვედრად

* * *

ისე ვეღარ გდარდობ,
...წვიმებიანს
გულზე დასწოლია
სევდა უსიამო,
დრო კი გავაძევე
ჩემი ცხოვრებიდან,
მაგრამ უშენობამ
ფიქრებს მუსრი ავლო!
ჰოდა, გასაქცევი
რაკი დამიტოვე,
ისევ გალიცლიცდა
სული აპრილებით,
დარდი ავმუცელა
მაინც მომეძალა,
მე კი უშენობას
მართლა ვაპირებდი!
აღარ დაგიჯერებ,
თითქოს დღე მრუდია,
ამ მთებს ნისლიანებს
ვიცი, კარგად დავცდი,
ჩემი გამგზავრების
ერთი პრელუდია
იქნებ შევატოვო
დღეებს კანგადაცლილს!

სამაჩაბლოს

წვიმის ცივი ნემსით დაგიკემსე ყოფა,
თითქოს ქვეყნად დავრჩი მწუხარების მძევლად,
ეს სიცოცხლე, გულო, აბა რად მეყოფა –
იკორთა და ჯავა თვალზე ამეცრემლა...
მორევია ხავსი ნაზრევ-ნასახლკარებს,
საფიცარო მიწავ, გადამთიელს დარჩი!
დაულამდა მზერა და მშობლიურ მხარეს
შემოაკლდა სითბო – ჩვენზე დასახარჯი...
გაულობავთ ქართლი პირსისხლიან სვავებს,
მამა-პაპათ საძვლე აბალახდა გაღმა,
როცა რკინის ძელებს აქეთ-იქით სვამენ –
მიკვირს, მგლების ხახა რითი ვეღარ გაძღა!
გლეხი კაცის სახლის მარნებსა და ჭურებს,
ალბათ სევდის ზვავმა ამოუვსო პირი,
მონატრებას დავძლევ, ფიქრებს დავიურვებ,
ჯაჭვის პერანგს ვირგებ, უკვე აღარ ვტირი...
განგვირისხდა ზეცა, ვეღარაფერს გშველი,
დაგვტრიალებს თავზე ჩრდილოეთის ძერა,
ტირიფონის ველი ქართველ გმირებს ელის
და სანუკვარ სივრცეს ძუ ვეფხვივით ვზვერავ!..

* * *

სამშობლოსათვის გმირულად
დაღუპულ გოგიტა მაკრახიძის ხსოვნას

გორის ციხეზე ვით მახვილი – მე ვარ შებმული!
დაღუპულ გმირთა საუკუნოდ ვინახავ ხსოვნას.
აგვისტოს ხვატში გახვეული ჩემი შურდულიც
ვერ გადაურჩა მტერთა რისხვას და უხამსობას.
ტანკების გველი შემოერტყა განწირულ სოფელს,
დაწვეს, დაფლითეს, მაინც იდგა, მაინც
ვერ სძლიეს...
ღმერთი და ხატი გაუწყრება მის უარმყოფელს,
ჩემს მშობელ ხალხში ერთი მხდალიც ვერ მოვიძიე!
შერთულის მიწას ჯოჯოხეთის ეკიდა ცეცხლი,
ალმოდებული ცა იქნევდა გველის მათრახებს,
სისხლიან ლიახვს ელვარება წარსტაცეს
ვერცხლის –
როს ველურებმა სამაჩაბლო გააპარტახეს!..
სამშობლოს ხატი რომ ესვენა გულის ფიცარზე –
გოგამ ნაბიჯიც არ დაუთმო მტერს თვითმარქვიას,
ვერ დაეტია ასე დიდი, დედამიწაზე
და სიმღერები სიყვარულზე, ველად დაჰქრიან!

ჩვენი დღეები

ყვავილთა ფიფქებს მომათოვს ქარი,
აპრილში ბაღი ალუბლებს პენტავს,
და მარტოობით დაღლილი ქალი,
ამ გაზაფხულსაც შევხვდები კენტად...

მეხმა იგრგვინა ოცნების ციდან,
ფიქრის ზვავებმა ხევში იხუვლეს,
ვერ ვპოვე სითბო – სულ ერთი ციდა
და გულის კარი მჭიდროდ მივხურე.

უაზრო წლები სადღაც მიდიან,
ჩემთვის ცისკარი ვეღარ აენთო,
და თავდაყირა ტოტზე ჰკიდია
ჩვენი დღეები უერთმანეთო...

* * *

მზის საუფლოში გაფენილ ღრუბელს
ჩამოხევია კაბა ტოტებში
და ჩემი კოშკის ნაცბობ ჭრიალზე
ყვავის ჩხავილი სულ არ მაშინებს...
რადგანაც ვიცი, კვლავ სუნთქავს სახლი
წარსულის თბილი მოგონებებით,
ჩემი ბავშვობის გაცრეცილ კადრებს
სიმყარე ჯერ არ გამოლევიათ...
ჩემი იმედის სარკოფაგიდან
ფეხის ფლატუნით შემეგებება
სოფლის სიამის ბოლო აკორდი –
  დ ე დ ა ჩ ე მ ი!

დამემშვიდობნენ გაზაფხულები!..

დადუმებულან ჩვენი გულები,
სული დაღლილა ჩუმი გოდებით...
დამემშვიდობნენ გაზაფხულები,
აღარ დამეძებ, არც გაგონდები...
გადიან წლები ტანჯვა-წვალებით,
თითქოს ამქვეყნად აღარ მეგულვი!
ატირებულან ჩემი თვალები –
შენზე ოცნებით დაღამებული...

ლეილა ქიტოშვილი-
სახლთხუსიშვილი

თოვლით ნაფერი
ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი –
გვიყვება
რევაზ ინანიშვილი...

...ძალიან მინდოდა, შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა, ერთად მქონოდა თავმოყრილი ბატონ რევაზ ინანიშვილის ბიოგრაფიის, თუნდაც, სულ მცირე ამბებიც კი, ამიტომაც, მოთმინებით შევუდექი ჩემი „განზრახვის“ შესრულებას, – ფრაგმენტებად გაბნეული ნაცნობი მასალის ამოკრებასა და გარკვეული ნიშნით დალაგებას; ყველასთვის ცნობილია, რომ მწერლის შემოქმედებასთან ბიოგრაფიული მიდგომა, კიდევ უფრო ამძაფრებს ინტერესს მისი ნაწერებისადმი...

რასაკვირველია, თხრობა ისევე დავტოვე, როგორც თავად ბატონი რეზო ყვება, ანუ პირველ პირში, რაც შეკრებილ დეტალებს ბოლომდე უნარჩუნებს ავტორისეულ ხელწერასა და დამაჯერებლობას.

ლ. ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი

ჩემი სამშობლო სოფელი ხაშმია. ეს სახელი მაინცადამაინც საამაყოდ არ ჟღერს, საბა მას „ავჰაეროვანსა და უმაშვნოს“ უწოდებს; ბებიაჩემი ნინოც მიყვებოდა ხოლმე, – კომშებივით იყვნენ დაყვითლებულნი და დაბუსუსებულნი ციებისაგან ჩვენებურები... მეც კი მახსოვს ციებიანები მიყუდებულები მზემიმდგარ კედელთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხაშმი მიკარგული სოფელი არასოდეს ყოფილა, ჯერ ის რად ღირს, რომ რამდენიმე კომლს დღესაც სჯერა, რომ შთამომავლები არიან სახელგანთქმული კაწარელებისა. კაწარეთიდან მათი პაპისპაპანი ჩამოსახლებულან ძველ ხაშმში, ივრისა და ლაფიანხევის შესართავთან, იქიდან, ნაწილს ცოტა ქვემოთაც ჩამოუწევიათ, ფიქლიანის აღმართის დაბლა, საბოლოოდ კი ახლანდელ ადგილას დამკვიდრებულან. აქ, დღევანდელ ქვემო უბანში, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ყოფილა კარგად შეკრული მონასტერი, ნაწილი უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის დიდი მონასტრისა... აქაური კაცი, დიდი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, 1844 წლის რუსულ „სოვრემენიკში“ წერს: „სერისკენ რომ გაიხედავ, დაბლით, შემაღლებამდე დაინახავთ ახლადამართულ წმინდა გიორგის მშვენიერ ეკლესიას“. ესე იგი, ზემო უბანი ჯერ კიდევ არა ჩანს ეკლესიის იქით.

უფრო ადრე, რუსთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების დღეებში, 1812 წელს, ხაშმს დიდად უმედგრია, ასზე მეტი დიდი და პატარა შეჰკვდომია რუსის ჯარს. რუსებსაც სათანადოდ დაუფასებიათ მათი სიმამაცე, ცეცხლისთვის მიუციათ სოფელი. მაგრამ დღეს ხაშმი მაინც დიდი სოფელია, რვაასამდე კომლს ითვლის. არ ვიცი, რამდენად ზუსტია, მარტო მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი ორმოცზე მეტი კაცია აქაური. ხაშმელები ძალიან მხრებგაშლილები დადიან.

დავბადებულვარ აქ, ამ სოფელში, ქვემოუბანში, ჩრდილოეთისაკენ ყველაზე განაპირებულ სახლში, 1926 წლის დეკემბრის ოცის განთიადისას. მაშინვე უფრინებიათ მახარობლად ჩვენი მეზობელი გვარიძიანთ ქეთო დედაჩემის მამასთან.

პაპაჩემს, გიორგის, მეტსახელად ლიტრიძირს, ვერცხლის მანეთიანი უჩუქებია სამახარობლო... პაპას აუკიდია კარგად მოზრდილი გოჭი და თოვაში ჭყივილ-ჭყივილით გადმოუყვანია ჩვენთან, – ძეობისათვის დაგჭირდებათო. მაგრამ დედაჩემი მშობიარობისთანავე ცუდად გამხდარა, გოჭისათვის კარგად ვერ მიუხედიათ და მოჰკვდომიათ. ჩემთვის კიდევ – რამდენიმე დღეს კი უწოვებია დედას და მერე დაწყებულა ჩემი ვაინჩარობა, ხან ძალუაჩემი მაწოვებდა თურმე, ხან მეზობელი პატარძლები.

– ისეთი გამხდარი იყავი, შვილო, სულ მეტირებოდა, ხელში რომ აგიყვანდიო – მეტყოდა ხოლმე დედა. სამაგიეროდ, მრავალთა ძუძუნაწოვს, მრავალი სიყვარული ჩამინერგა ღმერთმა; სულ მეჩვენებოდა, რომ ნათესავები და მოკეთეები იყვნენ ყველანი ჩემს ირგვლივ, დაცოლშვილებულსაც კი ისე მომეფერებოდნენ ჩემი უბნელი ნუცა ძალო, ნინა ძალო, ვარა ძალო და სხვანი, თითქოს ისევ პატარა ვყოფილიყავი. რა კარგები იყვნენ ეს გარჯასა და ჯაფაში თვალებჩაქანცული ქალები! ვაი, რომ ვერავითარი სასიხარულოთი ვერ აღვნიშნე მათი ტკბილი ამაგი!.. ვერც მათი, ვერც სოფლისა. ან წყალი გამეყვანა, ან გზა, ან ბიბლიოთეკა ამეშენებინა! მე ისიც კი ვერ შევძელი, ჩემი ეზო-ყურესათვის მიმეხედა, როგორც საჭიროა, წლები გადის, ფეხიც კი აღარ დამიდგამს ჩემს ეზოში; ღამით კი სიზმრებში, ხშირად ვარ იქ

ათეული წლებია, უჯარმაში ვატარებ ზაფხულის ორ თვეს მაინც, უჯარმას არასოდეს ვნახულობ სიზმრად, ხაშმში კი, კვირა არ გავა, იქ არ ვიყო, თან სულ მძიმე სიზმრებში! ხან ჩემი ეზოს დიდი კაკალია გამხმარი და ტოტებჩამოლეწილი, ხან მღვრიე წყალია ბაღჩაში შევარდნილი, ხანაც სახურავი ენგრევა, ან უკვე ჩანგრევია ჩვენ სახლს. შიგაც არავინ არის, არც ჩვენთან, არც ბიძაჩემთან. ვდგავარ ხოლმე ძირს და ვეძახი ჩემს ძმას, მერე ბიძაჩემ გიორგის, ხმას არავინ მცემს. ცივად და შავად იყურებიან ფანჯრები. ამომიჯდება გული, ავტირდები... დღისით, ღამის გახსენებისას, ვითომ ვიცინი, ვითომ დარდს ვიშორებ გულიდან, მაგრამ მე და ხაშმმა ხომ ვიცით, საქმე როგორც არის! თავის მაღლა აწევა მიჭირს მის წინაშე.

ინანიშვილები ძირძველი ხაშმელები არა ვართ. პაპაჩემის მამას რევაზს უთხოვია იქაური ოქრუაშვილების ქალი ბაბალე. ჩვენ, ჩვენა და ბიძაჩემის ოჯახს, დღესაც ოქრუაანი გვქვია. წარმომავლობით ინანიშვილები შიგნით კახელები უნდა ვიყვნეთ, უფრო ქიზიყიდან. რევაზის მამა სასულიერო პირი ყოფილა, სამი ვაჟი ჰყოლია – რევაზი და კიდევ ორნი – კონსტანტინე და ვლადიმერი. კონსტანტინე ოფიცერი გამხდარა, ყირიმის ომში მიუღია მონაწილეობა (გვქონდა ორი იმდროინდელი მედალი), ძალიან ვიწრო ჩექმები ჰყვარებია, კორძები გასჩენია, მოუჭრია, განგრენა დამართვნია და ვეღარ უშველიათ. მეორე ძმა, ვლადიმერი ერთ-ერთ პირველ აგრონომად ჩანს. წამიკითხავს მისი რუსულად დაწერილი წიგნი: В.Д. Инановь. Агроном министерства государственных имуществ. „Краткое наставление при лечении виноградников от болезни – мильдью“. ვფიქრობ, ვლადიმერი მშვენიერ ცოდნას ამჟღავნებს საქმისას. ცოლი ჰყოლია, ვგონებ, გერმანელი. ვლადიმერი ადრე გარდაცვლილა, ცოლი საქართველოდან წასულა და თან წაუყვანია შვიდი წლის ერთადერთი ბიჭი. მას მერე მათი არაფერი გაგვიგონია არავის.

რევაზს არ უსწავლია. იმას საბაყლოები ჰქონია თბილისში, ზედ „დვარცოვზე“, დახლებში დახლიდარები ეყენა, თვითონ კიდევ ერთი „ბოიდაღი“ (ტაიდაღი) (ტანადი) კაცი – კრაველის მაღალი ბოხოხით, ყურთმაჯებიანი ჩოხით, – შემოიდგამდა დოინჯს და იდგა. მეტსახელად კონუა რქმევია. ათგირვანქიანი მუშტი ჰქონებია. კრივში ღრიალით ჰყვარებია ჩასვლა და ბანებზე გადმომდგარი ქალები დასძახოდნენ თურმე, ხმის ჩაწყვეტა, კონო! ცოტა ჩუმად, გულები უსკდებათ ყმაწვილებსო. მისი ცოლის დისწული, ცნობილი ქალაქელი კალატოზი ესტატე (ომის შემდეგ იძახდა ასოცი წლის ვარო) ამრეზით გვიყურებდა ყველას, – ვისა ჰგავხართ თქვენა, ბიძა-ძმებს ყურებზე ჰქონდათ გადაწყობილი ულვაშები. ერთხელ ამ კონუას საბაყლოდან ვორონცოვის ლაქიას (იქნებ სხვა მეფისნაცვლის ან მთავარმართლებლის ლაქიაც იყო, მაგრამ მაშინ თბილისელები ყველას „ვარანცოვს“ ეძახდნენ) ერთი დიდი საზამთრო წაუღია. საზამთრო ლაყე გამომდგარა, ლაქიას უკან მოუტანია და „დოსტებში“ მდგარ კონუასათვის მიუხეთქებია. კონუა სასაცილოდ გაწუწულა, ერთი ამოუღმუვლია, ერთი დაუკრავს იმ ლაქიისათვის და „თავის ქვეყანაში სულად გაუმგზავრებია“. ესეც ესტატეს სიტყვებია, რაღა თქმა უნდა, რევაზი გაუციმბირებიათ. დიდხანს ყოფილა კატორღაში, ხოლო იქიდან რომ დაბუნებულა, თბილისში აღარც საბაყლოები ჰქონია, აღარც სახლი, მის ცოლს, ბაბალეს, ოთხი ბავშვი, სამი ვაჟი და ერთი ქალი, თავის სამშობლოში ხაშმში წაეყვანა, იქ ეწეოდა თურმე, კატორღელის მეუღლის ჭაპანს. ბოღმით გაგუდული რევაზი ვენახებს მისდგომია, მუშაობდაო, სანახავად უვლია ხალხს. თან სვამდა, თურმე. წლისთავზე გაციებულა ნასვამი, ოფლიანი, არ დასწოლია, ვენახში ამოსვლია სული...

პაპაჩემი ივანე ადრე დაუქორწინებიათ ჩვენუბნელსავე ქალზე, ხატიაშვილ ნინაზე (აი, ამ ხატიაშვილებსაც ჰქონიათ პრეტენზია კაწარეთელთა შთამომავლობაზე).

ყოფილან ესენი მესაქონლენი და პურის მომყვანები. საოცრებას წარმოადგენდა მათი ვეება მარნის მუხის დედაბოძი თავხე-შემკული ჩუქურთმებით. ინანიშვილები და ოქრუაშვილები, თურმე, მაინც ცხვირს უბზუებდნენ ბებიაჩემ ნინოს, გარეგნულადაც, ალბათ, დიდად თვალმახარას არა (შავგვრემანი იყო, ტანმომცრო), მაგრამ ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, – ამათ წიგნი იცოდნენ ყველამა, სამაგიეროდ, მე ორმოცი თუმანი მარტო ქრთამი მქონდა, მზითებში კიდევ სხვაო. „წიგნი“ ბებიაჩემმაც იცოდა და კარგადაც, ბუნებით ხომ, ახლა რომ ვფიქრობ, გამორჩეული იყო ყველასაგან. ოცდასამი წლისა დაქვრივებულა, ოთხი შვილი დარჩენია... ჩემი მოთხრობების რამდენიმე პასაჟი მიძღვნილია მისადმი; ბებია – ჩემი მზე იყო!

ჩემი დაბადების შემდეგ დედა ცუდად გამხდარა, სულ გული მისდიოდა თურმე. მე ბებიას ვებარე, ის მივლიდა, ის დამატარებდა სხვათა ძუძუს მოსაწოვებლად. ოცდაორი წლის ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, სახის ნაკვთებით როგორი იყო. ის იყო, საერთოდ ბებია, თალხებით შემოსილი (მის კაბებს ყოველთვის ასდიოდა ბუხრის კვამლისა და დამწვარი რძის სუნი), ძველ ქართულად ზრდილი, ტკბილი, თბილი, იმედიანი. საცა ის იყო, მეც იქ ვიყავი, საცა მე, ბებიაც იქ იყო. თუ ფეხზე იდგა, კალთაზე ვიყავი მიკრული, თუ იჯდა, კალთაში ვიჯექი. გავიდოდა ბაღჩაში და ვენახში სამუშაოდ და მეც თან მივყავდი. მე დამახურებდა წვერებწაკვანძული ცხვირსახოცის ქუდს, თვითონ დაიწყებდა ხახვის მარგვლას, ან პამიდორის ახვევას და, – გამომართვი ნამარგლი და ბილიკზე დაყარეო, მომაწოდე სახვევიო, კიდევ მომაწოდე სახვევიო, – საქმეში გავყავდი. მე მახარებდა ეს, შინ ნაჯაფარი კაცივით ვბრუნდებოდი... გაიელვებდა ჩვენგან სამხრეთით, სამგორის გასწვრივ და გაეღიმებოდა ბებიას: ღმერთო, ღმერთო, ჯავახეთისაკენ წვიმს, საქართველოს პური არ გაუჭირდებაო. ვინ იცის, რა დროიდან იყო ეს რწმენა წამოსული... აქვე უნდა ვთქვა, ბავშვობაში ჭექა-ქუხილის მეშინოდა, ახლა არაფერი მიყვარს მასავით, რაც უფრო მაგრად იჭექებს, მით უფრო მეტად მიმტკიცდება რწმენა,

რომ დედამიწას ისევ აქვს შერჩენილი ძველებური ძალა.

ახლაც ხომ დიდი თავი მაქვს და პატარაობისას მთლად დიდი მქონია. ერთხელ ერთ უცხო კაცს უთქვამს ბებიასათვის: ეს ბიჭი ან გენიოსი გამოვა ან ოლიგოფრენიო. ბებიას იმ წუთში ვერ გაუგია, რასაც ნიშნავდა ოლიგოფრენი, მერე რომ უთქვამთ გაცეცხლებულა – დაუბრმავდეს თვალები, ჩემი ბიჭის თვალების პატრონს ოლიგოფრენობისა რა შეატყოო. ეს რომ გავიგე, მეც დავიწყე თავმოწონება ჩემი თვალებით, ვახამხამებდი და ვახამხამებდი. ახლა ამაზე შეიწუხა ბებიამ გული, – ვაიმეო, რა გემართებაო! თავშიშველი რომ დადიხარ მზეშიო, მაგიტომაო.

წლისა რომ გავმხდარვარ, – წინათ ჩვენში ასეთი რწმენა ჰქონდათ, – დაუსვივარ, შემოუყრიათ ირგვლივ სხვადასხვა ხელობის იარაღები: კოჭებიანი საანგარიშო, წალდი, სადგისი, ასტამი, კალამი, ნალი, ხერხი და კიდევ სხვა რაღაცები. რასაც პირველად მოჰკიდებდა ბავშვი ხელს, იმ ხელობის კაცი გამოვიდოდა. ბებია მეტყოდა ხოლმე, შენო კალამს დასწვდი მაშინვეო. არა მჯერა, ერთი წლის ბავშვმა კოჭებიანი საანგარიშოს გვერდით, კალამს წაატანოს ხელი, მაგრამ ეგრე იყოო, დაუდასტურებია დედასაც, და მეც მეტი რაღა ძალაა, ვუჯერებ.

წერა-კითხვა ძალიან პატარას მასწავლა ბებიამ. ეს სულ კარგად მახსოვს, წერა-კითხვაც მასწავლა და დათვლაც. დათვლა მარტო ქართულად კი არა, რუსულად და თათრულადაც, გამორჩეულად მსიამოვნებდა ეს თათრული დათვლა. ერთხელ მამიდაჩემის მულის ქმარი, მენშევიკური მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის ნამინისტრალი დავით ჭიაბრიშვილი იყო ჩვენთან სტუმრად. რომ ნახა, რეები ვიცოდი, მოდი, საათის ცნობასაც გასწავლიო. დაიბჯინა მსხვილი, კორძებიანი ხელჯოხი, დაიხარა და დამიწყო ახსნა – რა როგორც იყო ჩვენს ენიან საათზე. საამურად რომ გაჰქონდა ტიკ-ტიკი. ჩანს ისე ნათლად ამიხსნა ყველაფერი, ის დღე იყო და საათის ცნობაც ვიცოდი...

ბებია მასწავლიდა ძალიან კარგ ლექსებსაც: „ვარდმა გასძახა ბულბულსა, ეგ ბაღი დამიცალეო, განა სხვა ბაღი არ არის, რა ჩემთვის მოიცალეო“, ანდა: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა, სიცივეს კაცი მოუკლავს, აგერ, საწყალი, გორავსა“, ანდა: „ნეტამც არ ჩაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა, წამოგიქროლებს ალალი, წაგიღებს მაღალ მთაზედა“. ეს მაღალი მთა – იალნო იყო, იქ მიჰქონდათ ალალებს ნიბლიები, იქ ფანტავდნენ მათ ნაზ ბუმბულებს, ჩამოჯანღულ, ჩამოღამებულ იალნოზე დააბოტებდნენ დიდი, წითელპირიანი დათვები, ისხდნენ ჩასაფრებულნი მაღლა თავაწეული მგლები, ხროვად გარბოდნენ ჩხავანა ტურები; ზოგჯერ ტურები მოდიოდნენ ჩვენთანაც, ჩვენი კაკლის ქვეშ, იქ ასტეხდნენ კივილს და გააგიჟებდნენ ძაღლებს... ყოველი დაძინების წინ მე ვიტყოდი ლექსს: „დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დამესვენება“. ბებია გადამსახავდა პირჯვარს: „ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი“, – და მშვიდად დამეძინებოდა...

დედაჩემი თამარი მამულაშვილების ქალი იყო, ისიც ხაშმელი, ისიც ქვემოუბნელი; მამამისს, გიორგის, მეტსახელად ლიტრიძირს, სამი შვილი ჰყავდა, ორი ვაჟი და დედაჩემი, ყველაზე უმცროსი. დედ-მამით ობოლს, იმდენნაირი გაჭირვება ჰქონდა გადატანილი ბავშვობაში, ათ კაცს ეყოფოდა ხასიათის გაძაღლებისთვის... ერთხელ, ერთ ჭექა-ქუხილიან ღამეს ნათელი სიზმარი ვნახე – გვიყვებოდა პაპა. დაიჭექა ცამ, გაირღვა ღრუბლები, გამობრძანდა წმინდა გიორგი – თეთრ ცხენზე, მაღალი შუბით – დამადგა თავზე და მკითხა მკაცრად: ქონება გინდა თუ ჯანმრთელობაო. მე მაციებდა, სულ ცუდად ვიყავი, ქონებას რა თავში ვიხლიდი, ჯანმრთელობა-მეთქი, ასრულდესო! ასწია შუბი და წავიდა, შეერია ღრუბლებს, ამხანაგმა რომ გაიღვიძა და სიზმარი ვუამბე, ჩხუბი დამიწყო, ცარიელი ჯანმრთელობა რას გამოგიყრის, ქონება უნდა გეთხოვაო. მაგრამ იმ დღიდან ჩემი ბედის ბორბალმა სულ წაღმა იწყო ტრიალი. წამიყვანა სოფლის „ბორჩიკმა“ (ალბათ, გადასახადების ამკრეფმა), დამბანა, ჩამაცვა, შვილივით მომიარა, – მე ხომ ცეცხლის კალოში ჩავდგებოდი, იმას რომ ეთქვა, - ბოლოს საქმეშიც გამიყვანა და ბებიათქვენიც იმან მათხოვნინა, ჩემი სოფიო. ბებია გოგნიაშვილების ქალი იყო, ნაყვავილარი სახისა, მაგრამ საოცრად მხნე. მას საკმაოდ დიდი მამული მოჰყვა მზითვად. პაპაც დაუღლელი იყო, ბებიაც, საზრიანობაც არ აკლდათ და ბოლოს ისეთი ძლიერი ოჯახი ჰქონდათ, ეს დრო რომ დადგა, გააკულაკეს. კიდევ კარგიო, ვიღაც დიდ კაცს აქებდა პაპა, იმ კაცმა გადამარჩინაო. ოცდაჩვიდმეტში მაინც დაიჭირეს 69 წლისა და აქვე, ნავთლუღის ბოლოზე დახვრიტეს... თემიდან გადაუხვევ და როდესაც მკითხებიან, იყო თუ არაო სტალინი დიდი ადამიანი, მე ჯერ ამის დაზუსტებას მოვითხოვ: რა არის საერთოდ დიდი ადამიანი, თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, დიდ ადამიანებად (სადაც არ უნდა იყოს ის, პოლიტიკაში იქნება თუ ხელოვნებაში) ითვლებოდნენ ისინი, ვინც მეტ და მეტ ადამიანს მოიქცევდნენ თავისი გავლენის ქვეშ. არავინ კითხულობს, რა საშუალებით, მთავარია – ვინ მეტს. დიდი ადამიანები ჰქვიათ ჰომეროსსა და ალექსანდრეს, ფირდოუსს და ჩინგიზს, რუსოს და ნაპოლეონს... აქედან გამომდინარე, სტალინიც დიდი ადამიანია. მას ისტორია ხელისგულზე ატარებს, სხვას რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ იმის გამოც კი, მილიონობით თანამოძმის სისხლი რომ აწევს კისრად. ისტორიას ხომ სუსტი ადამიანები ადგენენ (წერენ), სუსტ ადამიანებს კი საოცრად უყვართ სწორედ ასეთი რამეები, როცა ვიღაცა ვიღაცას თრგუნავს...

აი, ამ ძლიერი ოჯახის ნანინანატრი ქალიშვილი იყო დედაჩემი, ქალაქშიც ნასწავლი, თვით ახალ გიმნაზიაში (ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში), წიგნების მოყვარული. რასაც დედა იტყოდა, მათი ოჯახისათვის კანონი იყო. გიმნაზიაშიც დიდხანს არ უსწავლია. ომი იყო, ძალიან ჭირდა, თან უცხო ოჯახში იყო მიბარებული და, ერთხელ რომ პაპაჩემი ჩასულა, გამოჰყოლია, საბოლოოდ დაბრუნებულა

თავის სოფელში, აქ უკვე ჰყვარებია მამაჩემი. მე ცამეტი წლისა ვიყავი, რომ გადავირიეთ, მამათქვენი კიდევ თექვსმეტის. თუ როგორი იყო ეს სიყვარული, თვალნათლივ ჩანს აქედან: მთელ დღეს რომ ერთად ვყოფილიყავით, საღამოს ისევ წერილებს ვწერდით ერთმანეთსო. ხან ვის ატანდნენ, თურმე, ამ წერილებს, ხან ვის. რაღა თქმა უნდა, ქვეყანას მოედო ეს ამბავი, პაპა, ბებია და დედაჩემის ძმები გიჟდებოდნენ თურმე. მამაჩემს, მამით ობოლს, ჩვილბავშვობიდანვე დანგრეული, დარბეული ოჯახის შვილს, ერთი ძმისა და ორი დის პატრონს, არაფერი რომ არ გააჩნდა მკვირცხლი გონებისა და ძალიან ლამაზი ღიმილის მეტი, რომელი ოჯახი ინატრებდა სიძედ, მით უფრო ეგეთი ძლიერი ოჯახი, როგორიც პაპაჩემისა იყო, მაგრამ დედამ თავისი გაიტანა. ოღონდ არ დაგვიჭლექდესო და შეაუღლეს. დედა თექვსმეტი წლისა ყოფილა მაშინ, მამა — ცხრამეტისა. ბედნიერებიც ვიყავით ძალიანო. ახალი ცხოვრება მოვიდა. მამა პირველი კომკავშირელთაგანი გახდა, მალე პარტიულიც, ხან რა კურსებზე აგზავნიდნენ, ხან რა, და ბოლოს იმას მიაღწია, რომ მთელი სოფლის თავკაცი გახდა. მოწიწებით შეჰყურებდა თვითონ პაპაჩემიც. მინახავს ოჯახის საამაყო სურათი. მალაქია ტოროშელიძე და რამდენიმე ახალგაზრდა, მათ შორის მამაჩემი, მახსოვს რევოლვერიც, ნაჩუქარი სერგო ორჯონიკიძის ძმის, პაპუნა ორჯონიკიძის მიერ. ტარზე ჰქონდა ამოკვეთილი წარწერა. მამა რომ დააპატიმრეს, სურათიც წაიღეს, რევოლვერიც და კიდევ ბევრი რამე, — თვით დედაჩემისა და მამაჩემის ადრეული, ნახევრად ბავშვური სასიყვარულო წერილები. გადასახლებიდან ერთ ხანს მოგვდიოდა წერილები. ამ წერილებით სულ ერთს შეგვაგონებდა, — მე კომუნისტი ვარ, კომუნისტად მოვკვდები, კომუნისტებად უნდა დაიზარდნეთ თქვენცაო. ორმოცდაორში წერილები შეწყდა. — მამა 1937 წლის ზაფხულში დააპატიმრეს, დააპატიმრეს დედის მამა და ძმაც. ჩვენ, ინანიშვილებს, ვიღაცეებმა ღამით გაგვიკაფეს მსხმოიარე ვენახიც... 1956 წელს მივიღეთ ცნობა მამის რეაბილიტაციის შესახებ. ჯერ კიდევ წინა წელს, პარტიიდან გარიცხულმა და სამსახურიდან მოხსნილმა მამამ თბილისში ერთ ქოხს შეაფარა თავი. არდადეგების ბოლოს, აგვისტოში, მარიამობა დღეს, იმ ქოხის იმედით, მთელი ჩვენი ოჯახი, დედა, და, პატარა ძმა, ბებიას გარდა წავედით თბილისში.

მამაჩემი მეურნე კაცი არ იყო. მკა და კალოობა ჩვენს ოჯახს არ ეხებოდა, მაგრამ ალოობა რომ დაიწყებოდა, მისი ფაციფუცი და მხიარული შუქი ჩვენამდეც აღწევდა. წაგვიყვანა ერთხელ ბიძაჩემმა, დედაჩემის ძმამ, მე და ჩემი ბიძაშვილები, სიმამრის — ცუცკურას კალოზე. ორი კევრი იყო შებმული, ორივე ცხენისა. ერთზე კაკნუა იდგა, მაშინ ჯერ ისევ მწვანე ჯეილი, მეორეზე მისი დის ქმარი ნიკუა. ცუცკურა და იმისი ცოლი საბძლის კართან იდგნენ და იქიდან უწყრებოდნენ შვილს — კაკნუას, - ნელა, ბიჭო, ნელაო! კაკნუა მაინც თავისას არ იშლიდა და ცხენს დასჭყიოდა, სულ მიარბენინებდა. დაგვსხეს ჩვენც კევრებზე, მე კაკნუასთან მოვხვდი. გააჭენა ცხენი და რა გააჭენა კაკნუამ, სულ ბუქი ააყენა კალოზე. აგვერდელავდა კევრი, წავცვივდით ნამჯაში. ისევ ავედით კევრზე, ისევ მალე აგვერდელავდა. კაკნუა ფეხზე დადგა, მე ბრით გამომევსო ცხვირ-პირი. ჩვენ ხომ ვიცინოდით, ბალღები, კაკნუასაც ყურებამდე ჰქონდა ახეული პირი. მხოლოც ცუცკურა წყრებოდა და ორთითით მოდიოდა ჩვენკენ. მერე დაგვსხეს საბძლის ჩრდილში, დაგვისხეს მაწონი, გვაჭამეს, ცუცკურა და იმისი ცოლი სულ ცას უყურებდნენ შიშით, არ გაგვიავდრესო. არ გაავდრდა, მზე რომ დაიხარა, განიავება დაიწყეს, იქ უკვე ახლოს აღარ გვიშვებდნენ ბალღობას, ჩვენც წავედით, სერი ავიარეთ და ქულაანთ ღელეში გადავედით. ქულაანთ ღელე მთელი ტყიანეთი იყო მაშინ ჩვენთვის. ჩავედით პატარა წყალთან, იქ დავიწყეთ თამაში. წამოგვადგა თავს კაკნუა, სულ სახრის ტურტურით ამოგვრეკა ზემოთ. ცუცკურა, იმისი ცოლი და ნიკუა გადათეთრებულები იყვნენ ბრით, მაინც ყოჩაღად იქნევდნენ ხის ნიჩბებს, წითელ წვიმასავით ჩამოდიოდა ხორბალი მაღლიდან. ხორბალი იყო მკვრივი და მაძღარი. კაკნუა სერზე იდგა და მღეროდა. ბინდისას ჩამოგვიყვანეს შინ ტაჩკით, სულ მახსოვს, როგორ მეძინებოდა და როგორ მომდიოდა ლოგინში კალოს სუნი. ძილში კიდევ — ჩამოდიოდა ხორბლის წვიმა, თახთახებდა, ბრწყინავდა, თითქოს იცინოდა ხორბლის ყოველი მარცვალი...

რა დამავიწყებს სონა ძალოს; სწვევია, ერთხელაც, ჩვენ ძაღლი ბოთა; ზის აივანზე ხელებში შეჰყურებს. სონა რაღაცას ნაყავს ფილაში და თან ელაპარაკება: — რას მიზიხარ და შემომყურებ თვალებდაჭყეტილი! აგე, ჩვენი ციგანა, გავიდა დილას, წაუძღვა საქონელს ტყეში და ახლა იქ არის კოხტად, დასეირნობს და დახტის თავის ნებაზე, თანაც საქმეს აკეთებს, საქონელს არ უშვებს ფლატეებისკენ, შენ კიდევა ჰგდიხარ ეგრე მუქთად. წადი, ვენახებში მაინც გადადი, ან ღორი იქნება, ან ქათამი, გააგდე, სუ ეგრე უნდა იჯდე და ისუქო ფერდები! აი, ჩაიტიტე შენა, ვითომც არ გესმის ჩემი ლაპარაკი. ძალიან კოხტად გესმის ყველაფერი, მაგრამ გარყვნილი ხარ, გაფუჭებული, უქნარა, და ვითომც არ მესმისო არაფერი, ზიხარ და უსვინდისოდ შემომყურებ ხელებში. კარგმა პატრონმა უნდა ჩამოაბას წნელი და დაგკიდოს თავდაყირა, მაგრამ პატრონებიც შენა გგვანან, არ უნდათ თავი აიტკიონ რამეზე, აი, ჩახმი, კუდსაც ხომ არ აყენებ, ისევ მე მეფერები... — გოგრები აღარ დავთესე წელსა, — ამბობს სონა ძალო — ეს ვანია მაინც ავათ არის, კვდება და ვიღამ უნდა ჭამოს-მეთქი. ვანია იქვე ზის და ცულის ტარს სთლის ნელ-ნელა... ხდის სონა ძალო თონიდან პურებს და თან ლაპარაკობს თავისთვის: — მაშ, ჩემისთანა ქალი უნდა მოკვდეს? აი, მეხი კი დავათხლიშე სიკვდილს. მე რომ წამიყვანს, ვიღა რჩება, რომ ასეთი პურები დააკრას ან ცოცხლებისთვის, ან მკვდრებისთვის, ესეთები არა, თუნდაც დაჯღანულები თონეში... ეე, სიკვდილსა აქვს ჭკუა?!.. — საბრალო სონა ძალო! მაინც წაიყვანა სიკვდილმა სამიოდე თვეში... — შაქრო ძია, განა შეიძლება მისი არ ხსენება?! — ერთი, მხრებგაშლილი დიდი ვა-

ჟკაცი. ერთხელ ვეკითხები, – ჩვენთან სადგურამდე (იქ მუშაობდა) ახლა რამდენ ხანში ჩადის-მეთქი კაცი, – დარდაკი ბუტუსურა – ერთ საათში, ვაჟკაცი კაცი უფრო მეტში. – ეგ როგორ-მეთქი! – დარდაკი, შვილო, სულ შინ მიიჩქარის, ვაჟკაცი კაცი კიდევ აქეთ-იქით იყურება, იქნება ისეთი რამე დავინახო, ძმაკაცების გვერდით აღმოვჩნდეო, ის უფრო ნელა დადის ქვეყანაზე, ეგ უნდა იცოდეს შენი ხნის ბიჭმა!..

... ხომ იციან ბრძნობა, მამაჩემზეც ასე მოხდა – ასე და ასე რომ მოქცეულიყო, ვინ ახლებდა მაგას ხელსო, მაგრამ დედა მაინც არასოდეს ამბობდა რაიმე სააუგოს მამაზე. პირიქით, ეტყობა, სულ იმის სახეს დაჰფოფინებდა ფიქრებში. შემოგვისხამდა შვილებს საღამოობით, ან სიმინდს ვფხვნიდით, ან მატყლს ვწეწავდით და გვიყვებოდა თავიანთი სიყვარულის ამბებს. დღესაც სულ ცხადად ვხედავ ერთ იმ ამბავთაგანს: დამთავრდა საშობაო არდადეგები, ქალაქში მივყავარ დიდის ამბით ჩვენებს, თოვლია, გადაბარდნილა ყველაფერი. მოჩარდახულ, მოთბილულ ურემში ვსხედვართ: დედაჩემი, დედაჩემის დის მული (ის იყო ქალაქელი ქალი, იმასთან ვიყავი ოჯახად) და მე – გაბუებული, გადრუნჩული. მამაჩემი ხარებს მიუძღვის წინ. ქვემოთ გზაზე მივდივართ, ვენახებში, ისევ თოვს, ბარდნის, გადათეთრებულია მამაჩემიც, ხარებიც. გავიხედე და რასა ვხედავ: კოტე არ გადმოხტა გზაზე?! თოფი უჭირავს ორივე ხელით; ნადირობს. მარტო ერთი შევხედეთ ერთმანეთს და, ვენახებიდან აღარ გავსულვართ, ავიტკიე მუცელი, ვაიმე, ვკვდები-მეთქი, ვაიმე, გავთავდი-მეთქი. გადაირია მამაჩემი, მოაბრუნა ხარები, მიმიყვანეს შინ, ჩამაყრევინეს ფეხები ცხელ წყალში, დამიდეს ცხელი აგურიც, დამალევინეს ხართუთის მურაბიანი ჩაი, საღამოს კი ავიპარე, ავედი ზევით და შევხვდი გაბრწყინებული მამათქვენს...

დედა მკაცრი და თავისი თავით შემოსაზღვრული ქალი იყო. იშვიათად მოცინარი, იშვიათად გასული უბნის სალაყბოზე საღამოობით. ჩემს და-ძმაზე ვერაფერს ვიტყვი, უფრო ძმაზე, ის ყველაზე პატარა იყო, თანაც ხშირად ავადმყოფობდა და იმასაც ხშირად ეფერებოდა ხოლმე, მე კი ასე მეჩვენა, რომ გავჭაღარავდი, მაშინ მომკიდა ორივე ხელი თავზე, – ვაიმე, შვილო, რა ადრე მიჭაღარავდებიო, მიმიხუტა და იმ ჭაღარაზე მაკოცა. ვერავითარ საღლაბუცო სიტყვას ვერ ვიტყოდით მასთან. არც თვითონ იცოდა ჩვენი წყევლა, თუ ძალიან გაბრაზდეოდა, ერთი ამას გვეტყოდა – „მამა გიცხონდათ“... თან უკვე ვიცოდით, რომ „ცხონება“, „ცხოვრებასაც“ ნიშნავდა... შესანიშნავად კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“ – ძველებურად, წამღერებით, ტკბილად. არასოდეს დამავიწყდება მისი წაკითხული „ელისოც“. თითქოს არ უქცევდა მოხევურად, მაგრამ რაღაც იერს აძლევდა ისეთს, თითქოს ცოცხლები გელაპარაკებიანო. სიბერეში, როცა მოიცალა, ყველა გაზეთს კითხულობდა თავიდან ბოლომდის. ბევრჯერ ის მაცნობებდა, სად რა ეწერა ჩემთვს საინტერესო. ჩემს დაწერილებსაც ხშირად მას ვუკითხავდი, დიდად არასოდეს შევუქივარ, მაგრამ მისი კეთილი, კმაყოფილი გამოხედვაც კი დიდ ძალას მაძლევდა...

მამაზე ერთი ესეც უნდა ვთქვა: სოფლის შვილად თუ გრძნოდა თავს – გულლაღი იყო, პირდაპირი, შეუპოვარი, მუდამ სახეგახსნილი. მისი ახლობელი ქალები ან და კარგად მცნობნი, ხშირად მეტყოდნენ ხოლმე, – ვაიმე, შვილო, მამა რა ლამაზი გყავდათ და შენ ვის დაემსგავსეო. ინანიშვილებს ორი მთავარი გენი გვაქვს – შავები და თეთრები. შავები ზაქარაანთებში სჭარბობს, თეთრები – ინანიშვილებში. მამა თეთრი იყო, მისი ძმა გიორგი შავი. შვილები შავები გამოვედით, მისი შვილიშვილები – ერთი თეთრი, მეორე შავი, ჩემი შვილიშვილებიც, – ერთი თეთრი, მეორე შავი.

36 წლის იყო მამა, რომ მოგვაცილეს. თუმცა, რა მოგვაცილეს, როდის იყო ის ჩვენთან. დილით ძალზე ადრე მიდიოდა საქმეზე და ღამე გვიან ბრუნდებოდა. ჩვენთან, მარტო ოჯახის წევრებთან, არ დაჯდებოდა პურის საჭმელად, უეჭველად რომელიმე ამხანაგს დააძახებინებდა და წინ დაისვამდა. მე სულ რიდით ვიყავი მასთან. სამი-ოთხი წლის ვყოფილვარ, გადმოუღია თოფი და მოუმიზნებია ხუმრობით, – გესროლოო? მე ერთ წამოვწითლებულვარ და წამოვჭიმივარ, მესროლე-მეთქი. მამას ცრემლები წამოსვლია... ერთხელ ბავშვები პატარა ქოხს ვაკეთებდით. ბოძების ჩასმა გვიჭირდა, გამოიარა მამამ ამხანაგებთან ერთად, გამოგვართვა ის ბოძები – ჭიგოები, დააწვა ღონივრად და ჩასხა. ის დღე იყო და სულ მეამაყებოდა იმისი ღონე.

ერთი წელიწადი თუ მეტი მამამ ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში იმუშავა. ოსიაურში მაშინდელ ვეტინსტიტუტს რაღაც საცდელი ფერმა ჰქონდა. ძროხები ჰყავდათ და ღორები. ყოველივეს განმგებელი და უფროსი გიორგი ლეონიძის ძმა ლევანი ბრძანდებოდა, ლევანთან, მეზობელ სოფლელ კაცთან, მამა კარგად იყო და იმას ჰყავდა აყვანილი ფერმის მნედა თუ ექსპედიტორად. ღვინობის თვის ბოლოს, გვიან შემოდგომას მამამ ჩვენც – ოსიაურში წაგყივანა. ხაშმში მარტო ბებია დარჩა. გზა არ მახსოვს – რა შთაბეჭდილება დატოვა მატარებელმა, არც შემოგარენი, მახსოვს მხოლოდ ფარდაგით მოჩარდახებული ურემი, ჩვენ რომ დაგვხვდა სადგურში; ძალიან დიდრქებიანი ხარები, რქებს შორის ვხედავდით თოვლის ფიფქებსაც. ჩაგვსხეს ურემში, შემოგვავხიეს თბილები და წამოვედით ჟინჟოლში, თხელ თოვლში.

ოსიაურში ერთ დიდ სახლს მივადექით, ფერდობის თავიდან გადაჰყურებდა ღრმა ხეობას. ცოტა იქით საქონლის სადგომები იყო. სახლი ადრე თავადის ყოფილიყო, ახლა ფერმის თანამშრომლები ცხოვრობდნენ. კიბე ქვისა ჰქონდა, დაბლა სართულის გრძელი დერეფანი ღია იყო, აგურის სვეტების ამარა, მეორე სართული კი სულ შუშაბანდით იყო შეკრული. როცა წვიმდა, ან ძალიან ციოდა ყველა ფანჯარა დაკეტილი იყო, ოდნავ რომ დაგვერტყა ფეხი შუშაბანდში, მთელი დერეფანი გვაძლევდა ხმას, ჩვენ სადღაც შუაში ვცხოვრობდით, ერთ ოთახში. ჩვენ რომ ჩამოგვიყვანეს, იმ ღამეს უზარმაზარი თევზის თავი მოიტანეს მამამ და მისმა ამხანაგმა.

მამა ზედ იჯდა იმ გაზეთგადაფარებულ თავზე და ისე გველაპარაკებოდა. მერე დიდი ცულით დაჩეხეს, როგორც კუნძი. გემრიელი კი აღმოჩნდა...

თავადისეულ სახლს დიდი ბაღი ჰქონდა წინ. კიბის მახლობლად, მაღალ აკაციებში მავთულით ნაქსოვი რამდენიმე გალია იდგა. შიგ ზღვის გოჭები ისხდნენ, დიდები და პატარები. ახლო რომ მიხვიდოდი, ყველანი შენ მოგაჩერდებოდნენ ანთებული მძივებივით თვალებით და ტუჩების ჩქარი ცმაცუნით. შიშისმომგვრელად საინტერესო იყო: მათ თვალებში თითქოსდა სხვა სამყარო ჩანდა. რამდენჯერმე დაგვინახავს ყვავებიც, იბღოტებოდნენ ის ყვავები გალიის მავთულებზე, ცდილობდნენ გოჭებისთვის მიეწვდინათ ნისკარტები, მაგრამ ამაოდ. გამოუვარდებოდა ივანიკა, იმერეთიდან ცოლ-შვილით ახლახანს გადმოსახლებული კაცი, ფერმის დარაჯი, წიოკობით გააფრთხობდა ყვავებს... საქონლის სადგომში თითქმის ყოველ დღეს დაინახავდი თეთრხალათიან კაცებსა და ქალებს. მათ უმთავრესად გრძელ-გრძელი მინის სინჯარები და ვეება შპრიცები ეკავათ ხელში, სინჯარებში ჭანჭყარებდა სისხლი. მბრძანებლობდა ამ ხალხში როხროხა ხნიერი რუსი კაცი — ბეწვის მაღალქუდიანი, სოლისებური წვერით. ის წვერიანი რუსი, სულ მუდამ გაბრაზებული, ჩიბუხის წოვით გაივლიდა დერეფანში, ბავშვები ვიმალებოდით.

ცხოვრობდა დერეფნის თავში, ყველაზე დიდ და ნათელ ოთახში. ჰყავდა ქალიშვილი ნატალია, ვერ ვიტყვი, რამდენი წლისა, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა, ტანწვრილი, მაღალი, ცისფერთვალა, ლამაზი, სქელი თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, „ვაჟურად", ყელ-კისერი სულ სუფთა... იგი მხატვარი იყო. ოთახში ედგა მოლბერტი, ჰქონდა პალიტრა, ფუნჯები, მრავალნაირი საღებავები. ხატავდა, უმთავრესად, ყვავილებს, ვარდებს, ხილს... მარტო ვერ ვბედავდი და ვერ შევდიოდი მასთან. არადა საათობით ვწრიალებდი დერეფანში მის მოლოდინში. მე ის უცნაურად მიყვარდა. დავინახავდი და რამდენიმე ხანს აღტაცებული ვიყავი; ზოგჯერ ნატალია ხეებს ხატავდა ბაღშიაც. იქ ბავშვები ვიდექით და ვუყურებდით. მოგვიბრუნდებოდა, გვეტყოდა, წადითო, ცივაო. ზოგი მართლა მიდიოდა, მე არასოდეს. მე სულ ვუყურებდი ბოლომდის, ამხდიდა ქუდს, თითქოს კლავიშებიაო, გადამატარებდა თითებს თავზე და დამახურებდა ქუდს.

თებერვლამდე სულ ოსიაურში ვიყავი. რა თქმა უნდა, მოვიდოდა თოვლიც, მაგრამ მე ყველაზე მეტად წვიმიანი დღეები დამამახსოვრდა. წვიმიან დღეს საოცარი მიმზიდველობა ჰქონდა ფერდობის დაბლა ტყვიისფრად აპრიალებულ მდინარეს — სურამულას. მის იქით ნელ-ნელა ამაღლებულ და ცაში წასულ მთებს. ო, რა კარგი იყო იმ მთების წვერებზე წვიმისაგან თუ ქარისაგან გადახრილი ხეები... ბებერი, ჯმუხი, ნაჯიჯგნი და ტოტებდალეწილი ხეები! რამდენი უნახავთ, რამდენი სიმკაცრე! რა შეჭირვებულებია მათი სხეულები! მაგრამ სული მაინც რანაირი ზეიმით ადის ხოლმე ზევით, როგორი სანახავია, გაზაფხულზე, მათი ფოთლების მზისფრად ამოსვლა კვირტებიდან, უმშვენიერესი სიცოცხლე!...

თებერვალში მძიმედ გავხდი ავად. სიცხეებზე ყურების ტკივილიც დამერთო. ცოტა ხანს კი მიმკურნალეს იქ, ხან რას მასმევდნენ, ხან რას მიშვებდნენ ყურებში; რომ არაფერმა მიშველა, წამომიყვანეს თბილისში, მამიდასთან, მოიწვიეს, ცნობილი ექიმი ტყემალაძე, ტყემალაძემ მალე მომარჩინა, მაგრამ ოსიაურში მარტო მამა დაბუნდა, ჩვენ, დედა, მე და ჩემი და ხაშმში დავბრუნდით. ეს კარგიც იყო და ცუდიც...

სად გასწვდება ბავშვის თვალი დიდ სოფელს. ქვემოუბნით, ჩვენი და პაპაანთ პატარა უბნით, თავდებოდა ჩემი თვალსაწიერი. ჩვენი უბანი იორთან ყველაზე ახლომყოფი უბანი იყო. ბებია მიყვებოდა ხოლმე. აი, აქვეო, ჩვენს დაბლაო, ვენახები რომ არის ახლა, უწინ დიდი ჭაობიანი ჭალები იყოო; რომ თენდებოდა, ერთი ამბავი, გაჰქონდათ ხოხბებს, წივწივებდნენ იმათი წიწილებიც. ერთხელ ღორი დავკარგეთ, გვეგონა, მგლებმა შეჭამეს, მაგრამ თვის თავზე გამოჩნდა შვიდი დამუხლუკებული გოჭითა. ეტყობოდა ის ხანი სულ იმ ჭალებში ჰქონდა გადატარებული, თორემ ერთი ადამიანი მაინც როგორ არ დაინახავდა ან თავად ღორსა, ან გოჭებსა...

ჩვენი უბანი, ნახევრად მაინც სხვადასხვა მხრიდან მოსული ქართველებით იყო დასახლებული. ჩვენს სახლს უკან ედგა რაჭველი ბერიძის სახლი; იქიდან ოც ნაბიჯზე ცხოვრობდა სენაკელი მეგრელი სიგუა; სიგუას მერე, ბაღს იქით, იმერელი ქველაძე; მერე — ისევ ბერიძე, ბერიძეების ქვემოთ — ქარუმიძეები. ეს იყო, ალბათ, მთავარი მიზეზი, რომ პარტიკულარიზმმა ვერასოდეს მოიკიდა ფეხი ჩემს გულში, კიდევ ის რომ შედარებით ნაკლებად ვუქცევდით კახურად. მახსოვს, როგორ მისწორებდა ხოლმე ბებია — „ბიჯო" კი არა „ბიჭოო", „შაჭამა" კი არა „შეჭამაო" და სხვა. სახლებს შორის ღობეები არ იყო, ვის ეზოშიც მოგვესურვებოდა, იქ გავაჩაღებდით თამაშს. ვთამაშობდით: ლახტს, წრებურთს, თონეობას, გრძელვირს, ქერიჭამიობას, ჩილიკაობას, ხუჭალობას, სალაობას, კაკლაობას, კოჭაობას, ჭურჭლაობას... ახლა მეღიმება: იმ თამაშებში ძალიან პატარა ცხოველებისა და ფრინველების გუნდებს. ვჭაჭყანებდით და ვჟივჟივებდით. ისევე გუნდად გადავდიოდით ერთი ადგილიდან მეორეზე... ძალიან მნიშვნელოვნად, თავმოწონებით გაივლიდა ურემი. მიდიოდა და მიარბილებდა სახრეს მეურნე. ისეთი ხმით დაგვიყვირებდა პატარებს, — მაეცათო, ბიჭოო! — წამს გაცქაფულნი გავდგებოდით აქეთ-იქითა. ავტომობილი ხომ... უმთავრესად მამაჩემთან მოდიოდნენ ავტომობილებით, მისი ღმუილით შემოსვლა უბანში ხომ მთელი ზეიმი იყო, მოვდევდით ყიჟინით უკან, დიდებს ვითომ მოწყინების ღიმილით ეღიმებოდათ, მაგრამ მაინც მისკენ გაურბოდათ თვალი. მახსოვს რა ამბავი ატეხა მეზობელთან სტუმრად მყოფმა ხევსურმა დედაბერმა კრიალა ფორდის დანახვისას. წიოკობით შევარდა კარში, მერე აკანკალებულმა გამოაღო ცოტაზე და იქიდან სწყევლიდა „ახტანობილის" გამომგონებელ-გამკეთებელს... ოცდაათიანი წლებიდან მახსოვს კახეთის მატარე-

ბელიც, რვა თუ ცხრა ვაგონი ორ შავად ლაპლაპა ორთქმავალს ება, მიუხედავად ამისა, თორმეტი საათი თუ მეტი სჭირდებოდა თელავამდე ჩასვლას; მატარებლის ეს ნელი სვლა, რა თქმა უნდა, ცუდი იყო, მაგრამ, ერთი კარგი რამ კი ჰქონდა ამას, დინჯი, თადარიგიანი კახელები მიდი-მოდიოდნენ საგზლით — პურ-მარილით, ღვინით. გაიშლებოდა კუპეში სუფრა — მრგვალად მოხარშული დედლები, თუშური ყველი, შოთები, და რაც მთავარია, მირონივით ღვინო! ერთ კუპეში მოხვედრილი ადამიანები ეცნობოდნენ ერთმანეთს (არა მარტო ერთი კუპისა). იყო თავდაჭერილობა, თავაზი, სიამტკბილობა; კაცები სვამდნენ, მღეროდნენ კიდეც დაბალზე, მათი მეორე ნახევრები ფრესკებივით იყვნენ მიკანკულნი და სიკეთის ღიმილს არიგებდნენ აქეთ-იქით.

ჩვენ, გარეკახელები, იმ დროს ავდიოდით მატარებელში, როცა სუფრები უკვე შემხიარულებული იყო, ამიტომ დიდი ენთუზიაზმით გვხვდებოდნენ, გვეპატიჟებოდნენ. არ ვიცი, რატომ, ასე მგონია, სულ შემოდომასა და ზამთარში ვმგზავრობდით. გარეთ ან წვიმდა ან თოვლი მოდიოდა (რკინიგზას გაყოლებული ჰქონდა თოვლსაცავი მესერები და ხშირი იყო ლაპარაკი ნაბუქებზე), ვაგონებში თბილოდა, ხალხიც ჩამთბარი იყო და, ჩვენ რომ შეციებულს დაგვინახავდნენ, აღარ იცოდნენ, როგორ მოგვეფერებოდნენ, რითი ეცათ პატივი. ივრის სადგურიდან თბილისამდე ჩვენი კაცებიც ასწრებდნენ შეზარხოშებას, წელში გამართვას. ჩვენთვის, ბავშვებისთვის, ძალიან საოცარი იყო — მატარებელი ნავთლუღის სადგურიდან რომ გავიდოდა და, კლდეებში მოქცეული, ბორბლებით ზარს რეკავდა — ნავ! ნავ! ნავ! ეს იყო თბილისში შესვლის ნიშანი. იქ ყოველთვის ბნელოდა კიდეც და სიბნელე და ზარის რეკვა იდუმალ საზეიმო ელფერს აძლევდა მატარებლის სვლას. აქ კი საბოლოოდ აიშლებოდნენ კახელები. ვაგონშიც და დაბლაც, ბაქანზე, იყო გამოთხოვებანი, პირზე კოცნა, შეხვედრების დათქმა... და მერე ყველას, დიდსაც და პატარასაც, ნთქავდა ქალაქი...

მოიტანდნენ რომელიმე ეზოში შეშას ან ჭიგოს, ჩვენ, პატარები, საპატიო ყარაულად ვიდექით და ვუყურებდით მათ ჩამოცლას. შეშის თითოეულ ნაჭერს ტყის იდუმალებაც მოჰყვებოდა თან. მთელი ნეტარება იყო მორზე გადაჯდომა და თითების ჩაყოფა ხავსში. დაიწყებდნენ ჭიგოების გასუფთავება-გაჩეკვას და ჩვენც გავყავდით საქმეში — თითო-თითო ჭიგოს ვაწვდიდით მჩეკავებს. თან გვეკითხებოდნენ, — აბა, ეგ რა ხე არისო. ბევრი ვიცოდით: რცხილა, იფნი, ქორაფი, შვინდი, შვინდლარწა, ბევრი არა: ჭანჭყატა, თრიმლი, უთხოვარი... კარგი იყო თივის მოტანაც, თივაში ერთხელ მაინც მოგვიწევდა გადაკოტრიალება. იქაც გვასწავლიდნენ: ეს პრასა ბალახია, ეს თაგვისყანა, ეს შავთავა, ეს სოსანიო და სხვა... ლამაზი იყო ხორბლის გაფენაც ეზოებში. იმ ხორბლებთან, ჩრდილში, უეჭველად იჯდა ვინმე; თან ხელსაქმეს აკეთებდა, თან გრძელი ჯოხით ბეღურებს, ქათმებს, იხვებს და ბატებს აფრთხობდა... მარნებშიც ჩაბუდებულები იყო იდუმალებანი. თვით ჩვენი მარანი — ბნელი თახჩებით, ქილებით, საწნახლით, ძველი ქვევრებით — ყოველთვის ფეხს შემანელებინებდა კართან. თუ კარი მოხურული იყო და მაინც უნდა გამეღო, ვაღებდი უცებ და ყურთამდე. პაპაანთ მარანში მაკრთობდა დედაბოძის თავხეზე დაკიდებული თევზისსუნიანი გრძელი სხეულები, ბოლოებზე გამჭვირვალე ქაღალდები ჰქონდათ შემოხვეული და ის ქაღალდები სანახევროდ ქონით იყო სავსე. თურმე, ზუთხის ზურგიელები მაკრთობდა, კიდევ — საწნახელის ბაქანზე გაბებღვილი თუშური ყველის მუდამ სველი გუდები. კიდევ — დიდი მუქი ქვამარილები მათ გვერდით.

აპრილ-მაისში ჩვენი მინდვრები გაჟღენთილი იყო ქინძის სურნელებით, მაისის ბოლოს აყვავდებოდა პური, ივნისში მწიფდებოდა მარწყვი, ამათ სურნელებას რა შეედრება ქვეყნად! სად არის, სად წავიდა ყოველივე სად? სად წავიდა ყანის მზეკაბანი, კურდღლაობა, ზღვასავით ღელვა! უფხო პური ხომ აღარ მიმოიქცევა ნიავზე ადრინდებულად! სადღა ისმის მწყერების „ქვიტკირი", ან მშვიდი მწყერჩიტების ჭყრიალი, ან ლურჯი ყაპყაპების ყაპყაპი! ჰერბიციდებმა მოსპეს, მანქანებმა დააფრთხეს, ბოლმა ჩაახშო ის სილამაზენი და სურნელებანი!.. ვდგავარ და გადავცქერი ჩვენს ჭალებსა და იორს. ისევ მწვანედ გამოიყურება ყველაფერი, მაგრამ მაინც რაღაც დაცოტავებულად, გაღარიბებულად მეჩვენება მიწა, მობუზულადაც კი, ვერ შეძლო მან, ჩვენი, შვილების დაპურება, დავანება, და ჩვენ გავიქეცით, გავიფანტენით აქეთ-იქით, ზოგნი ახალ მიწებსაც კი ვეძებთ სამყაროში. ის კი მაინც გველის, აი, ასე მორიდებულად...

დასაწყისი. გაგრძელება შემდეგ ნომერში.





რევაზ ბალანჩივაძე,
პროფესორი, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი

თეიმურაზ მეტრეველი ჟურნალისტიკის რაობისა და ჟურნალისტური ოსტატობის შესახებ

თეიმურაზ მეტრეველი თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ბრწყინვალე და თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი, როგორც მისი ვაჟი, თავადაც ცნობილი და გემოვნებიანი ჟურნალისტი, ბატონი სულხან მეტრეველი ბრძანებს: „ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ჟურნალისტია“.

განათლებულ და გემოვნებიან მკითხველს, დარწმუნებული ვარ, დღემდე ახსოვს მისი უაღრესად მწვავე და პრობლემატური სტატიები, ახსოვს მისი თავანკარა, ლამაზი ქართული, მდიდარი ლექსიკა, წერის მანერა და სტილი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მისი ყოველი წინადადება, ღრმა აზრით დატვირთული, სათქმელის ყოველ ნიუანსს ითვალისწინებდა და გამოხატავდა. როგორც ავტორი, იგი ცდილობდა, რაც შეიძლება ზუსტად მიეტანა ყოველი სიტყვის აზრი მკითხველის გულამდე. ზოგიერთი მისი სტატია იმდენად მხატვრულია, იმდენად სავსეა შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებითა და ტროპის სხვა სახეებით, რომ სცილდება პუბლიცისტიკას და მხატვრულ ნაწარმოებად / მოთხრობად, ნოველად, ჩანახატად, ესკიზად/ აღიქმება. ასეთია, მაგალითად, მისი ჩანახატი „უსიტყვო სიმღერა მზისგან მოტყუებულ ბიჭზე“, რომელიც მის უდროოდ გარდაცვლილ ძმისშვილს, კახაბერს, ეძღვნება! ეს ის „ტანადი, ალალი, კეთილი, ჭკვიანი“ ბიჭია, მზემ რომ მოატყუა. ამ პატარა ჩანახატში იმდენი სითბო, სიყვარული და ემოციაა ჩაღვრილი, ვერცერთ მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს. ასეთივე გულშიჩამწვდომი, ემოციურად დამუხტული პოეტური ჩანახატია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონ ჟენია ტაბატაძის გახსენება /„ხმა გაღმა ნაპირიდან“/.

მართალია, ჟენია მასწავლებელი რეალური პიროვნებაა, მაგრამ მისი პორტრეტი ისეთი სითბოთი და სიყვარულით, ისეთი ფსიქოლოგიური სიმართლით არის გამოძერწილი, რომ იგი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ კარგი მასწავლებლის განზოგადოებულ მხატვრულ სახედ, მასწავლებლისა, რომელსაც „მუდამ ფიქრიანი შუბლი გახსნოდა და დიდი სიხარულის შუქი ჩადგომოდა თვალებში“. (დამეთანხმებით, ალბათ, ასეთ პოეტურ ჩანახატებს / ორივეს ვგულისხმობ/ რიგითი ჟურნალისტები ვერ აკეთებენ).

ბატონ თეიმურაზ მეტრეველის ჟურნალისტურ დიდოსტატობასა და პროფესიონალიზმზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მის მიერ დაფუძნებული გაზეთები: „კაბადონი-8“, „მერიდიანი“, „დილის გაზეთი“, „ქართული კულტურა“, „დრონი“, „მოქალაქე“, „ახალი ეპოქა“.

მოგეხსენებათ, ყოველი ახალი გაზეთის შექმნა ახალ კონცეფციასთან, ახალ მოქალაქეობრივ პოზიციასა და ღირებულებით ორიენტაციასთან, ახალი გუნდის შექმნასთან არის დაკავშირებული, მაგრამ თეიმურაზ მეტრეველისათვის ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა და ამდენად, არც სერიოზულ დისკომფორტს უქმნიდა. მისი მაღალი პროფესიონალიზმი და ავტორიტეტი აძლევდა იმის გარანტიას, რომ პირველივე დაძახებისთანავე მის გვერდით დამდგარიყვნენ მაღალი რანგის პროფესიონალები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, მისი თანამებრძოლები და მოწაფეები. ამიტომაც ქმნიდა ასე დაუმადლებლად და ისე ლაღად, თითქოს ახალი გაზეთის შექმნა ადვილი რამ ყოფილიყო! მერე კი, როგორც ამას მისი ძვირფასი კოლეგები ამბობენ /ვილენ მარდალეიშვილი/, ან თვითონ ტოვებდა, ან სხვები ატოვებინებდნენ მის პირმშოს. დიახ, ატოვებინებდნენ, მაგრამ რაიმე სერიოზული ჩავარდნის, წუნის, ნაკლის ან არაპროფესიონალიზმის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ შექმნილი ყოველი გაზეთი ასაფეთქებელად მომზადებული ახალი ნაღმი ხდებოდა ხოლმე ხელისუფლებისათვის და კიდევ იმიტომ, რომ მის მიერ დაფუძნებული ნებისმიერი გაზეთის პოზიცია იყო პრინციპული, ობიექტური, სიმართლის პირში მთქმელი, რაც, სამწუხაროდ, არც ერთ ხელისუფლებას გულზე არ ეხატებოდა და არ ეხატება.

არადა, სხვანაირი პრესა, სიცრუის, სიყალბის გა-

მავრცელებელი მასმედიის ორგანო ვერ წარმოედგინა ბატონ თეიმურაზს იმდენად, რამდენადაც, მისი აზრით, პრესა მარტო მშრალ ინფორმაციას კი არ უნდა აწვდიდეს მკითხველს, მარტო მომხდარ ფაქტს კი არ უნდა ასახავდეს, თუნდაც ზედმიწევნით ადექვატურად, არამედ პრობლემის ღრმა და საფუძვლიანი განჩხრეკისა და ანალიზის საფუძველზე უნდა აწვდიდეს მკითხველს ობიექტურ, ჭეშმარიტ ცოდნას და ამით ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი აზრის სწორ ფორმირებასა და ჩამოყალიბებას.

ჟურნალისტიკის რაობისა და ჟურნალისტის პროფესიული ოსტატობის შეფასებაში ბატონი თეიმურაზ მეტრეველი დიდი ილია ჭავჭავაძის ერთგული მიმდევარი და თანამოაზრეა. მისთვის გაზეთ „ივერიის“ მამხილებელი ტონი, კრიტიკული პათოსი, „მართლის თქმის“, ანუ „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიცია მისაბაძი ნიმუშია. აკი ამიტომაც მწარე სიმართლის თქმა ერჩია ფარისევლურ თვალთმაქცობას. ბატონი თეიმურაზი ფიქრობდა, რომ ჟურნალისტიკა ნამდვილად შეძლებდა „მეოთხე ხელისუფლების“ ფუნქციის შესრულებას, თუ იგი არასოდეს გადაუხვევდა მართლის თქმის იმ პრინციპს, რომელიც წითელი ხაზივით გასდევს მთელ ქართულ ლიტერატურას „შუშანიკის წამებიდან“ თანამედროვე ავტორებამდე და რომელიც დავით გურამიშვილმა ასე გამოხატა:

„მე თუ გინდა თავი მომჭრან, ტანი გახდეს
გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მას ვერ ვიტყვი
კახაბერად“.

შესაბამისად, ძლიერი ჟურნალისტი, ჭეშმარიტი პროფესიონალი არავის „ხელის ბიჭი“ და უსიტყვო მორჩილი არ უნდა იყოს. პირიქით, თავისი ფუნქციითა და დანიშნულებით ტოლს არ უნდა უდებდეს დანარჩენ სამ ხელისუფლებას. და, მათთან ერთად, აქტიურად უნდა იყოს ჩართული ქვეყნის მართვის საქმეში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჟურნალისტიკის უპირველესი მოვალეობა მკითხველისათვის მშრალი ინფორმაციის მიწოდება კი არ არის, არამედ ადამიანის სულის /სულიერი/ აღზრდა და მისი ზნეობრივი სრულყოფა, ისევე როგორც ჩვენი საზოგადოების წინსვლასა და გაჯანსაღებაზე ზრუნვა.

მაგრამ იმისათვის, რომ ჟურნალისტმა სხვისი სულის /სულიერების/ აღზრდა შეძლოს, პირველ რიგში, თავად უნდა იყოს სათანადოდ აღზრდილი. ეს კი ნიშნავს: უნდა იყოს უაღესად ერუდირებული, ,განსწავლული, განათლებული, მართალი იდეებისა და იდეალების ერთგული და, რაც მთავარია, უნდა იყოს ზნეობრივი არსება სხვა ადამიანებისადმი კეთილგანწყობილი, მათზე მზრუნველი და მათი ჭირისა და ლხინის თანაზიარი.

სამწუხაროდ, დღეს ბევრი ისეთი ადამიანი არის დასაქმებული პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში / ასე იყო ბატონი თემურის დროსაც/, რომელთაც არა აქვთ სათანადო პროფესიული განათლება, ელემენტარულად, არა აქვთ დამთავრებული ჟურნალისტიკის ფაკულტეტი არცერთ უმაღლეს სასწავლებელში / ერთ დროს ასეთ განათლებას მარტო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იძლეოდა. ნეტავ იმ დროს!/. ახლა თითქმის ყოველ ორღობესთან გახსნილი უმაღლესი სასწავლებელი იძლევა ჟურნალისტის დიპლომს. კიდევ უფრო მეტი – არიან ადამიანები, რომელთაც საერთოდ არა აქვთ ჟურნალისტის განათლება, სულ სხვა პროფესიის ადამიანები არიან და მაინც მუშაობენ გაზეთშიც რადიოშიც და ტელევიზიაში. ეს ადამიანები თავიანთ თავს „მოწოდებით ჟურნალისტებს“ უწოდებენ და ზოგჯერ ღიად, ზოგჯერ თავიანთ გუნებაში საკუთარი თავი უფრო ნიჭიერადაც კი მიაჩნიათ, რადგან ყოველგვარი სპეციალური განათლების გარეშე ასრულებენ იგივე საქმეს, რასაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტდამთავრებულები. თავიანთ ამ პოზიციას ისინი ცხოვრებისეული მაგალითებით ამყარებენ და ასახელებენ იმ ჟურნალისტებსა და მწერლებს, რომელთაც არც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული და არც ფილოლოგიის, მაგრამ წარმატებით საქმიანობენ როგორც ერთ, ისე – მეორე სფეროში. ასე მაგალითად, ამბობენ, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი არ ჰქონდა დამთავრებული თვით ილია ჭავჭავაძესაც კი /იგი იურიდიულ განათლებას იღებდა პეტერბურგის უნივერსიტეტში/. სათანადო ჟურნალისტური განათლება არ ჰქონდა შესანიშნავ მწერალსა და პუბლიცისტს გურამ ფანჯიკიძეს, სულაც ექიმი იყო ანტონ ჩეხოვი, ხოლო გენიალური დოსტოევსკი ადრე ინჟინრად მუშაობდა /მსგავსი მაგალითის ჩამოთვლა მრავალის შეიძლება/.

მოჰყავს რა „მოწოდებით ჟურნალისტების“ მიერ ზემონახსენები მაგალითები, ბატონ თეიმურაზს მიაჩნია, რომ ისინი მაინც ბედნიერი გამონაკლისებია, რომელთა განზოგადოება და ყველა ადამიანზე გავრცელება არ შეიძლება, ეგეც არ იყოს, თუ ჟურნალისტის ნიჭი სპეციფიკური ნიჭია, როგორც, ვთქვათ, მუსიკის ნიჭი, ხატვის ნიჭი, ცეკვის ნიჭი, მათემატიკური ნიჭი, სპორტული ნიჭი და ა.შ., განა ყველა ზემოჩამოთვლილი ნიჭი არ თხოულობს სისტემატურ წვრთნასა და ვარჯიშს, მათი შემდგომი წინსვლისა და განვითარების მიზნით?! განა მუსიკის /მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ან სიმღერის/ ნიჭი არ თხოულობს სწავლის გაგრძელებას კონსერვატორიაში, განა ხატვის თანშობილი ნიჭი არ თხოულობს მის შემდგომ განვითარებას სამხატვრო აკადემიაში, ან სპორტული ნიჭი ჯერ სპოტულ მოედანზე და მერე სპორტის აკადემიაში?! ვითომ ჟურნალისტის ნიჭი რა ისეთი ნიჭია, რომ, ვისაც ამ ნიჭს დაანათლავს მამაზეციერი, მის შემდგომ განვითარებაზე განმტკიცებასა და სრულყოფაზე აღარ იყოს ფიქრი და ზრუნვა საჭირო?! ცხადია, ეს ასე არაა! მითუმეტეს, რომ უმეტესობა იმათგან, რომლებიც თავიანთ თავს „მოწოდებით ჟურნალისტს“ უწოდებენ, სულაც არ არიან ჟურნალისტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ეს ფატია! ამ ფაქტს კი ადასტურებს ის საშინელი, ჩიქორთული ქართული, რომლითაც ეს ე.წ. ჟურნალისტები წერენ,

ან მეტყველებენ! ლაპარაკია ქართული გრამატიკის უცოდინარობაზე, ქართული მართლწერის და მართლმეტყველების წესების არცოდნაზე.

როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალს, როგორც – სალიტერატურო ქართულის უზადო მცოდნეს, ბატონ თემურ მეტრეველს იმდენად აღიზიანებდა ამ „მოწოდებით ჟურნალისტების“ ჩიქორთული ქართული, რომ მან გაზეთ „ახალ ეპოქაში“ სპეციალური რუბრიკაც კი შემოიღო სათაურით „ამოდუღდი, მარგალიტო“, რომელშიდაც თავს უყრიდა ქართულ პრესაში უკვე გამოქვეყნებულ ცალკეულ „მარგალიტებს“, რომელთაგან ზოგიერთი ბატონი თეიმურაზის წიგნის „ივერიის მონატრება“ რედაქტორმა ლია მეტრეველმა /ბატონ თეიმურაზ მეტრეველის მეუღლემ/ ზემონახსენებ წიგნშიც კი შეიტანა. მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ:

„აფეთქების გაკეთება“ /ტექსტში: „ჩვენ არასოდეს განგვიცხადებია, რომ ეს აფეთქებები ეშერიდან კეთდება“/.

„სხვა მიმართულებით გადასროლილი სახარჯო პოლიტიკა“ /„ნოღაიდელმა წინასწარვე „გაუიასნა“ ყველას, რომ უახლოესი დღეების სახარჯო პოლიტიკა სხვა მიმართულებით იქნება გადასროლილი“/.

„არსებული მეცნიერები არსებობას უარყოფენ“ /„არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ასეთი იარაღის არსებობას უარყოფენ“/.

შეკრული მთავრობა“ /„მთავრობა, ისე როგორც არასდროს, შეკრული იყო და ხალხისთვის რაღაცის შემსუბუქებას ცდილობდა“/.

სამწუხაროდ, ჟურნალის მოცულობა არ იძლევა საშუალებას, რომ სხვა „მარგალიტებიც“ გამოვიტანოთ სამზეოზე, თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ ამგვარი სამარცხვინო ქართულით აჭრელებული იყო და არის ჩვენი პრესა, რადიო, ტელევიზია.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ბატონი თეიმურაზი უკვე რამდენიმე წლის გარდაცვლილია, ბუნებრივია, ბოლო წლების „მარგალიტები“ ვერ იქცნენ მისი კრიტიკის ობიექტად, მაგრამ აპრიორი შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო წლებში მათმა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, იძლევა რა ჟურნალისტიკის დახასიათებას, ბატონი თემურ მეტრეველი ამბობს, რომ ჟურნალისტიკა „აწმყოს გულისცემაა“, ხოლო ჟურნალისტი – „აწმყოს ჭირისუფალი“, რადგან კარგია თუ ცუდი აწმყო, ორივე შემთხვევაში მას ჭირისუფლობა უნდა, ისე როგორც მზრუნველობა და ყურადღება უნდა ნებისმიერ ადამიანს, – კარგი იქნება იგი, თუ ცუდი და არა ზიზღი, სიძულვილი, ძაგება. ჩვენი პრესა იმიტომ ვერ იძლევა სათანადო დადებით ეფექტს, რომ ვერ ზემოქმედებს ადამიანის გრძნობებზე და გონებაზე, რადგან იგი „მტრობით, გესლით, დაუნდობლობით არის ნასაზრდოები და არა მეგობრობით, ზრუნვით, სიკეთით, თანადგომით, ერთგულებით“.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ბატონ თემურ მეტრეველს ხელისუფლებისა და მასმედიის ურთიერთობაზე. თუ მასმედია სარგებლობს მაღალი ეთიკური სტანდარტებით, თუ ჟურნალისტის საქმიანობა მაღალ ზნეობრივ პრინციპებს ეუძნება, მისი დათრგუნვა ვერავითარმა ხელისუფლებამ ვერ უნდა შეძლოს.

ნამდვილი ჟურნალისტიკა, ნამდვილი პრესა ორიენტირებული უნდა იყოს სიკეთესა და ნათელ მომავალზე. იგი რწმენას, ოპტიმიზმს უნდა სთესდეს ხალხში და არა – სასოწარკვეთილებას, უიმედობას, დეპრესიას. მხოლოდ ასეთი ჟურნალისტიკა შეასრულებს თავის უპირველეს მოვალეობას – მოემსახუროს თავის ქვეყანასა და ხალხს. და პირიქით, ფსევდოღირებულებებზე, იაფფასიან სენსაციებსა და პოპულარობაზე ორიენტირებული პრესა ვერასოდეს მოუტანს სიკთეს ვერც საკუთარ თავს და, მითუმეტეს, ვერც საზოგადოებას.

პროფესიული ცოდნა და საფუძვლიანი განათლება ჟურნალისტს აძლევს მეტ გაქანებას, სძენს მასშტაბურობას, ანიჭებს თავისუფლებას /წერაში, მსჯელობაში, აზრის ფორმირებაში, დებატებსა და კამათში/. აკი ამიტომაც ამბობდა ჰობსი: „ცოდნა ძალაა“. ეს ძალაა სწორედ თავისუფლება, ოღონდ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეს თავისუფლება უნდა დაუკავშირდეს ზნეობას იმდენად, რამდენადაც თავისუფლება ზნეობის გარეშე, მორალური პასუხისმგებლობის გარეშე თვითნებობაა და აღვირახსნილობაა.

ამრიგად, ჟურნალისტობა უაღესად რთული პროფესიაა და მისი დაუფლებისათვის ისეთი თვისებებია საჭირო, როგორებიცაა: უზადო ქართულის ცოდნა, ცინცხალი აზროვნება, პრინციპულობა და ობიექტურობა, საზოგადოებისათვის ჭეშმარტი ობიექტური, ადეკვატური ცოდნის მიწოდება, ქედუხრელობა ნებისმიერი ხელისუფალისა და მაღალჩინოსანის წინაშე. თავისთავად ცხადია, ეს მაშინ, როცა ცოდნა, რწმენა, სიმართლე, ჭეშმარიტება შენს მხარეზეა. ამასთან დაკავშირებით ბატონი თეიმურაზი ერთ ისეთ ამბავს ჰყვება, თავად რომ გადახდა თავს /„შეშფოთებული უფროსების დასაწყნარებლად“/ და ამას იმიტომ ჰყვება, რომ ახალგაზრდებს შეახსენოს /გნებავთ, ანდერძად დაუბაროს/ რუსთაველის უკვდავი სიტყვებით: „თქმა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, ანუ არ შედრკეთ, არ შეშინდეთ სიმართლის ძიების გზაზეო.

ცალკე გამოყოფის ღირსია ბატონი თეიმურაზ მეტრეველის ბრძნული სენტენციები და ზოგიერთი ფილოსოფიური გამონათქვამი, მაგრამ ამათზე სხვა დროს და, იქნებ, სხვა ადგილას გვექნება მსჯელობა.

„რეზომ სიკვდილის წინ ნამდვილად ნახა სამი ანგელოზი“...

თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრა როზა ინანიშვილი

როგორ უყვარდათ რევაზ ინანიშვილს და მის მეუღლეს? როგორ გაიცნეს ერთმანეთი მწიფე ალუბლის ხესთან, როგორ მუშაობდა და ქმნიდა დიდი მწერალი.

ინტერვიუ როზა ინანიშვილის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩაიწერა.

– მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში დავისვამდით ჭიამაიას ხელზე და ვეკითხებოდით, ჭია-ჭია მაია, საით დავინიშნები, ანდა საით გავთხოვდები?

რეზოს ბებია ნინოსაც ასე გაუკეთებია, ხელისგულზე დასმული ჭიამიასთვის უკითხავს, ჩემი რეზო საით დაინიშნებაო? ჭიამაია უჯარმისკენ გაფრენილა (ხაშმს და უჯარმას მდინარე იორი ჰყოფს შუაზე).

ბებიას შეუცხადებია, ვაიმე, ჩემმა რეზომ უჯარმელი ქალი უნდა ითხოვოსო. უჯარმა ადრიდანვე ღარიბულად ითვლებოდა). ახდა ეს ამბავი და გამართლდა ქართული თქმულება, სადაც იყოს ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1958 წელია და გამალებით შენდება სამგორის არხი (თბილისის ზღვის), ცენტრი უჯარმაშია. ყველა ინჟინერი აქ ცხოვრობდა. ამ დროს თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელში ვსწავლობდი. რეზოს კი მიტოვებული ჰქონდა ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსი. ამის შესახებ სხვადასხვა ვარიანტს ყვებიან, ამიტომ დავაზუსტებ, სინამდვილეში როგორც იყო.

რეზოს ფეხმძიმე დას ქმარი დაღუპვია და ბავშვი რვათვიანი დაბადებულა. პატარა გადარჩა, მაგრამ დედამისი ვერ გამოჰყავდათ მდგომარეობიდან, რეზოს უფიქრია, ხაშმში წავიყვან, იქნებ უკეთ გახდესო.

ჩემი მული იხსენებდა, ერთ დღეს დამადგა რეზო დანით ხელში და მეუბნება: თუ ძალას მოიკრებ და ბავშვს მიხედავ, ხომ კარგი, თუ არადა, ჯერ შენ მოგკლავ და მერე მე მოვიკლავ თავსო. ამის მერე ცოტ-ცოტა მობრუნებულა ჩემი მული. დროს ყველაფრის მკურნალიაო და ცხოვრებაც ჩვეულებრივ გაგრძელდა ინანიშვილების ოჯახში.

რეზოს დედის ძმაც უჯარმაში მუშაობდა, რეზოსთვის ურჩევია, შვილო, წერა და ხატვა გიყვარს, უჯარმის რკინეულობის საწყობში კაცი სჭირდებათ, დაიწყე მუშაობა, არავინ შეგაწუხებს, წერე და ხატე, რამდენიც გინდაო. ასე დაუწყია რეზოს მუშაობა.

– ვიცი, რომ შემთხვევით გაგიცნოთ რეზომ...

– ზაფხულის არდადეგების დროს ჩავედი უჯარმაში, ძალიან კარგი ვენახი გვქონდა იქვე ახლოს, სადაც რეზოს სამსახური იყო.

როგორც რეზო მიყვებოდა, მოდიოდა გზაზე თავის თანამშრომლებთან ერთად. უცხო გოგო რომ დაუნახავს, მეგობრებისთვის უკითხავს, ვისია ეს გოგოო. წლინახევრიდან მამიდა მზრდიდა. ეს მეგობარიც იქაური არ ყოფილა და ზუსტად არ იცოდა, ვინ ვიყავიო.

ისე კი უთქვამს რეზოსთვის, შენ რომ ნინიკოსთან მეგობრობ, მგონი, იმის და თუ ბიძაშვილიაო. რეზოს ეს ამბავი გახარებია, მაგრამ მერე გამომიტყდა, ნინიკოსაც ვერ ვუმხელდი, ასეთი პატარა გულში რომ ჩამივარდიო.

მეორე ზაფხულს რომ ჩავედი, აღმოჩნდა, რომ ვინმე მათემატიკის მასწავლებელსაც მოვწონებივარ და ჩვენთან ზედსიძედ მოსვლა მოუსურვებია. ჩემი გამზრდელი მამიდა და ბიძა უკვე მოხუცები იყვნენ და მამიდას არ მოსწონებია. მართალია თვითონ ვერ მიბედავდა თქმას, მაგრამ მთელ სანათესაოს და სამეზობლოს სთხოვდა თურმე, რომ ჩემთვის ეს დაწყვილება ერჩიათ.

ჩემს დას ძალიანაც არ მოსწონდა ეს ამბავი, მაგრამ რადგან მამიდის გაზრდილი ვიყავი, აქტიურად არ ერეოდა. ჩუმად კი მირჩევდა, რომ არ დავთანხმებულიყავი.

ერთ დღესაც რეზოს დაღონებული ნინიკოსთვის უგუნებობის მიზეზი უკითხავს და ჩემს დას ყველაფერი უამბია. რეზო მიყვებოდა მერე: ახლა კი გავიხარე, ნინიკოსთვის სურვილის გასამხელად საბაბი მომეცაო. ჰოდა, ვუთხარი, თუ ასე გადასაგდებად გინდათ ეს გოგო, ბარემ მე მომეცითო.

ამის შემდეგ გაიბა თურმე მათ შორის საიდუმლო მოლაპარაკებები. ჯერ პატარაა, ერთი ორი წელ-

იც მოიცადე და მერე ვუთხრათო. მერე რომ სხვა შეუყვარდეს, უკვე გვიან იქნება, ახლა გამაცანიო, დაუჟინებია რეზოს.

ეზოში ალუბლები გვიმწიფდა, ნინიკო ჩამოვიდა რეზოსთან ერთად, ვითომცდა ალუბლისთვის და გამაცნო რეზო. სამუშაო ტანსაცმელი ეცვა და უცებ ვხედავ, ფეხსაცმლის ლანჩის მიმაგრება დაიწყო მავთულით (ალბათ საგანგებოდ ჰქონდა ეს მავთული წამოღებული). ჯერ ისედაც არ მომეწონა და ამ ფეხსაცმლის შეკეთებამ სულ გადამრია. ჩემთვის ვფიქრობ, ეს რანაირი მეგობარი ჰყოლია ნინიკოს.

გავიდა რამდენიმე დღე და ჩემმა დამ მითხრა: რეზოს მინდა გაჰყვე ცოლად, ძალიან კარგი ბიჭიაო. გაბრაზებულმა მივახალე: შენ რომ მეგობრობ, ხომ ძალიან მომწონს და ახლა მე მივთხოვდები-მეთქი? ჩემმა დამ ქოქოლა მომაყარა და მითხრა: შენ რა ღირსი ხარ მაგისიო.

წინათ თბილისში 1 მაისს დიდი ზეიმი იმართებოდა. საზეიმო პარადის შემდეგ ხალხი თბილისის გარეუბნებში, ან სახლებში აგრძელებდა დროისტარებას, ქეიფს.

ნინიკო ჩამოვიდა თბილისში ჩემთან და ისე სხვათაშორის მითხრა: რეზო არის დასთან ჩამოსული და ჩვენც წავიდეთო. ვიუარე, მას შემდეგ, რაც მითხარი, იქ როგორ წამოვალ-მეთქი?

ჩემი სურვილი იყო, იმან არაფერი იცისო, ამიხსნა დამაჯერებლად.

დავთანხმდი და წავედით, სუფრა ჰქონდა გაშლილი, არ გამკვირვებია, ყველა ზეიმობდა, გავიცანით რეზოს დედა, ბიძა, რომელსაც უთხრეს, რომ მე ნინიკოს და ვიყავი (ჩემს დას ყველანი კარგად იცნობდნენ). ნასვამმა ბიძამ ხელები ასწია და საზეიმოდ გამოაცხადა; ნინიკოს დაა, მაგრამ ახლა ჩვენი იქნებაო. ყველაფერს მივხვდი და გამწარებული ვფიქრობდი: საგანგებოდ მოაწყეს ეს შეხვედრა, ჩემმა დამ მიღალატა-მეთქი.

ძალიან გავბრაზდი, მაგრამ არ შევიმჩნიე და რეზოს 3 წლის დისშვილს დავუწყე მოფერება. ცოტა ხანში ეზოშიც გავიყვანე. შინ დაბრუნებულმა დებმა ვიჩხუბეთ.

— მაგრამ მალე ინტენსიური ურთიერთობა დაიწყეთ...

— სულ მალე ნიკო კეცხოველმა რეზო უნივერსიტეტში აღადგინა. ჩემს სანახავად ჩამოსული ნინიკო არ ვიცი, როდის და როგორ ახერხებდა რეზოსთან შეთანხმებას. ყოველ ჩასვლაზე რეზო დებს თეატრში გვპატიჟებდა. პირველი შთაბეჭდილება თანდათან გამიქრა, მეორე, მესამე შეხვედრაზე თანდათან მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე. შემდეგ რეზო ნინიკოს გარეშეც მოდიოდა და ხან თეატრში, ხან კინოში მივდიოდით ერთად.

რეზო ძალიან მოკრძალებულად, სათუთად მექცეოდა, როგორც პატარა დას, ბავშვს, თვითონ ხელს არ მკიდებდა, მე უნდა გამეკეთებინა ხელმკლავი. ამიტომ ვენდობოდი, სადაც არ უნდა წავეყვანე.

რეზო რომ იყო ჩემ გვერდით, თამამად დავდიოდი, განსაკუთრებით ზამთარში... სულ გუნდებს გვესროდნენ ბიჭები, ძალიან მომწონდა ეს თავისუფლება, რომ მე არავინ არ მეხებოდა.

ცოტა ხანში კი ისე მივეჩვიე, რომ მოუთმენლად ველოდი მის გამოჩენას. ეს, რა თქმა უნდა, იგრძნო და ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა, შენ არც ისეთი პატარა ხარ, რომ ვერ მიხვდე, რატომ დავდივარ შენთანო.

გავიდა მთელი წელი, მეორე წელიწადია არაფერს ამბობს, არც მიფიქრია, იმდენად შევეჩვიე და შემიყვარდა... მაშინ ვერ ვგრძნობდი, თუ ეს სიყვარული იყო. იგი 7 წლით უფროსი იყო ჩემზე. ერთ მშვენიერ დღეს მითხრა:

თუ არ მოგწონვარ, მითხარი და აღარ შეგაწუხებო. მისი მოუსვლელობა ვეღარც კი წარმომედგინა. და ვთხოვე, ვყოფილიყავით ასე მეგობრულად.

ასე აღარო, გამინაწყენდა და წავიდა. კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. ის დღეები ჩემთვის საშინელებად იქცა. მივხვდი, რომ ეს მხოლოდ მეგობრული სიყვარული არ იყო.

ერთ დღეს მეგობართან ვიყავი სამეცადინოდ წასული, რომ დავბრუნდი, ჩემმა სიძემ მითხრა, რეზო იყო, თეატრში უნდა წაეყვანეო. რეზოს სახელის ხსენება და დავიწყე ღრიალი, თავს ვეღარ ვიკავებდი. ჩემი სიძე გაოცებული მიყურებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ რეზო ისევ მოვიდა. 19 წლის ვხდებოდი, მომიტანა შექსპირის ტრაგედიები საჩუქრად. იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით, გართ ვერა, მაგრამ რომ შევედით სახლში, ვეღარ შევიკავე თავი, ვეცი და ვაკოცე. მორჩა, გავაგრძელეთ ჩვეულებრივი ყოფნა. რა თქმა უნდა, რეზოსთვის ყველაფერი გასაგები გახდა. მას მერე მოდიოდა კიდევ, ხან უნივერსიტეტში წამიყვანდა, ხან იქ და ხან აქ...

— შეუღლდით და ხაშმში გადახვედით საცხოვრებლად...

— რეზო დასთან ცხოვრობდა და ხშირად ავყავდი მასთან. მე უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი და ვფიქრობდი, რომ სწავლის დამთავრებისთანავე შეუღლდებდით, მაგრამ ჩემი მულის დედამთილმა კეთილმა ქალბატონმა დაიჟინა, შეყვარებულები სწორედ გაწელილი დროის გამო ხშირად შორდებიან ერთმანეთს და რატომ უნდა იყოს სხვის სახლშიო.

ნახევარი სემესტრი კიდევ მქონდა დარჩენილი, გადავწყვიტეთ, იმ ზამთარს გაგვემართლებინა ჩვენი ურთიერთობა. შევუღლდით და და წამოვედით უჯარმაში მე, რეზოს დედა და რეზო. ეს იყო ჩვენი საქორწინო მოგზაურობაც და მაყრიონიც. მე 18-ის ვიყავი, რეზო 26-ის.

ძალიან მიყვარდა რეზო, უმისოდ ვერ წარმომედგინა სიცოცხლე.

რეზო მეუბნებოდა ხოლმე თბილისში, ხედავ, რომ დასთან ვცხოვრობ, მაგრამ სოფელშიც არ გვაქვს ბინაო. ერთი პატარა მიწის პირველი სახლი გვაქვს, ისიც შუაზე წნულის ლასტებითაა გადაღობილი, ნახევარში ჩვენ ვცხოვრობთ, ნახევარში ძროხაო. ცხადია, ცხვარ-ძროხა სულ არ ჰყავდათ, მაგრამ მე ისე ვიყავი შეყვარებული, მასთან ერთად ყველგან ვიცხოვრებდი.

არადა, ხაშმში რომ ჩავედით, ორსართულიანი

სახლი დამხვდა. მის აივანზე გართხმული ვაზი და მშვენიერი ნუშის ხე, რომლის ტოტები თითქმის აივანზე იყო შემოსული. ძალიან მიყვარდა ჩვენი სახლი და, საერთოდ, ხაშმი, რომელთანაც უამრავი თავგადასავალი მაკავშირებს.

1952-ში შევვუღლდით, ხაშმში 8 წელიწადი ვიცხოვრეთ.

— ამ სახლში მუზეუმი დღემდე ვერ გაკეთდა...

— გადიოდა წლები, მედეა მეზვრიშვილმა მიწისძვრისგან დაზიანებული ჩვენი სახლი რომ ნახა, მითხრა, მეორე სართული მოვხსნათ და მუზეუმი გავაკეთოთო. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. მაგრამ ჩემი ოჯახის და ინჟინრის დაუდევრობით ეს შეთანხმება დროში გაჭიანურდა, ამასობაში „ვარდების რევოლუციაც" მოხდა. ამის შემდეგ კი აღარც მედიკოს ჰქონდა ძალაუფლება და აღარც ახალი ხელისუფლება იტკიებდა რევაზ ინანიშვილის მუზეუმისთვის თავს.

იცვლებოდა მთავრობები, გადიოდა წლები... ოთარაანთ ქვრივივით ყველას ვაწუხებდი, ვისაც ხელეწიფებოდა დახმარება, მაგრამ ამაოდ.

დღეს ჩემმა შვილიშვილმა რევაზ ინანიშვილმა და მისმა სათნო მეუღლემ ქეთი ლობჟანიძემ (ქეთის მშობლების დახმარებით, თორემ ექიმებს რა საშუალება აქვთ, ასეთი ხარჯებისთვის) ერთი ოთახი ააშენეს და ალბათ მალე შეძლებენ იქ ცხოვრებას. ეს კი რეზოს სულს დიდად ეამება და დალოცავს იქიდან.

— არ გილხინდათ...

— თავის დროზე რეზოს უნივერსიტეტის ალმანახ „პირველ სხივში" გამოქვეყნებული ჰქონდა მოთხრობები: „სახსოვარი" და „უცნაური". ჟურნალ „პიონერში" ბეჭდავდა მოთხრობებს. 1953 წელს გამოსცა პატარა წიგნი — „პირველი მოთხრობები".

ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ბედისწერითა თუ ჩვენი დაუდევრობით 1 წლის ბავშვი დაგვეღუპა...

ნამდვილად არ გვილხინდა... ვცხოვრობდით ჩემი მულის 20 კვადრატულ ოთახში რამდენიმე სული. როცა ყველანი ვიკრიბებოდით, რვანი ვიყავით და რის ვაივაგლხით ვთავსდებოდით ბინაში. ასეთ დროს რეზოს ხშირად ეძინა საწერ მაგიდაზე. ეს მაგიდა ახლაც გვაქვს და ძალიან ვუფრთხილდებით. იქნებ ვინმე გამოჩნდეს და რეზოს ნივთების შესანახი ოთახი გაგვიკეთოს (ძვირფასი არაფერი გვაქვს, მაგრამ....)

კოტე რომ გაგვიჩნდა, უჯარმაში ვმუშაობდი დაწყებით კლასებში, რეზო თბილისში იყო და ჩამოდიოდა ხოლმე. 70 ლარი მქონდა ხელფასი და იმას რომ მივცემდი, როგორ უხაროდა. მას ხომ შემოსავალი არ ჰქონდა.

1956 წელს დაამთავრა, უმუშევარი იყო, ჩემს რაიონში გამანაწილეთო და გაანაწილეს საგარეჯოს რაიონში. ვიფიქრე, რომ ორივეს ხელფასით შეგვიგროვდებოდა ოჯახისთვის თანხა. გადავედით საგარეჯოში, ღმერთო, ნათელში ამყოფე განათლების განყოფილების გამგე, ძალიან აქებდნენ და ჩვენ რატომღაც არ მიგვიღო კარგად. რეზომ წარუდგინა უნივერსიტეტის მიმართვა განაწილების თაობაზე. მან შემოგვთავაზა საათები და თვეში 12 მანეთი უწევდა ხელფასი.

რა თქმა უნდა, რეზომ უარი თქვა, ამ თანხით ოჯახს როგორ არჩენდა. წამოვედით უმუშევრები, რამდენიმე ხანს ვიყავით ასე.

მურმან ლებანიძე დაურეკავდა ხოლმე, ღმერთმა აცხონოს, რეზო, მომიტანე რამეო და აძლევდა ჰონორარს. ძალიან უწყობდა ხელს.

— ერთხანს „ნაკადულშიც" მუშაობდა...

— ხუტამ ბერულავამ დააწყებინა „ნაკადულში" მუშაობა რეზოს. ხელფასი 90 მანეთი ჰქონდა. მაშინ იმ 90 მანეთით ასე თუ ისე იოლას გავდიოდით. იმდენად უცნაური იყო რეზო, რომ წინსვლაზე, წარმატებაზე არასოდეს ფიქრობდა. ერთხელ ავად იყო და აცდენდა სამსახურს, ხუტამ დაურეკა, რეზო მთავარ რედაქტორად უნდა გადაგიყვანოო. არაო, არაფრით არ მინდაო, არადა ემატებოდა ხელფასი და ის მომატებულიც ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა. გაოცებული იყო ხუტა, ვაწინაურებ და უარს ამბობსო. ბოლოს ძლივს დავითანხმეთ და მოემატა 30 მანეთი.

წუთით არ შეეძლო სამსახურის გაცდენა, თავის დროზე მიდიოდა და მოდიოდა. როცა კვარტალი მთავრდებოდა, ღამეც კი რჩებოდა სამსახურში. „ნაკადული" ძველ უნივერმაღთან იყო, ჩვენ მარჯანიშვილზე ვცხოვრობდით. ხან ათენებდნენ კიდეც, როცა ვუსაყვედურე, ასე მიპასუხა, როგორ, დირექტორი ათენებს და მე წამოვიდეო?

— შემდეგ იყო კინოსტუდია...

— რეზო ჩხეიძე იყო მაშინ დირექტორი, რეზო მუშაობდა ნახევარ შტატზე. ღმერთო, ნათელში ამყოფე, რეზო თაბუკაშვილი იყო სცენარისტების გაერთიანების უფროსი, ხელს უწყობდა ჩვენს მწერლებს, ამოვისუნთქეთ. საჭმელზე პრობლემა აღარ გვქონდა.

— თქვენი სახლის კედლებზე რეზო ინანიშვილის ნახატებია....

— ხატავდა მაშინ, როდესაც ფიქრებში იყო, არ ვიცი, თითქოს ერთობოდა ამით. კურსელები ამბობენ, ლექციაზე სულ ხატავდა და მოგვცემდა ხოლმე ნახატებს, ჩვენ კიდევ ვაგდებდითო. ეს რა დაგვემართაო...

— საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი იყო, მანქანა ემსახურებოდა, მაგრამ ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად არ სარგებლობდა მანქანით...

— არასოდეს, იმ მანქანით არც ბაზარში წავსულვარ, არსად ოჯახის საქმეზე არ ვყოფილვარ. მარტო სამსახურის საქმეზე დადიოდა და იქაც ხანდახან თავისით მიდიოდა.

მძღოლი ეუბნებოდა ხოლმე, ამდენი რამე არასოდეს არ გამიკეთებია ჩემი ოჯახისთვის, რაც შენი მდივნობის დროს გავაკეთე ამ მანქანითო.

ხმა რომ უნდა მიეცათ ზვიადისთვის, არჩევნები იყო, სოფელში ვიყავით და ველოდებოდით, რომ უნდა ჩამოსულიყო მანქანა და წამოეყვანა ჩვენი თავი... ისე ნერვიულობდა. უკვე ცუდად იყო, მე ვუთხარი, რეზო დამშვიდდი, შენი ერთი ხმა რას გადაწყვეტს-მეთქი. მოვედით და დაკეტილი დაგ-

ვხვდა საარჩევნო უბანი, არ შეგვიშვეს. ისე ნერვიულობდა, გეგონება მასზე იყო დამოკიდებული ყველაფერი...

— როგორ მუშაობდა?

— რომ დაწერდა, დიდხანს ედო, კიდევ უნდა გადაეწერა, რაღაც ამოეშალა, ძალიან დიდხანს მუშაობდა და იმდენად დაკავებული იყო, მიფიქრია კიდეც, ეს რა სატანჯველი ყოფილა წერა, დღე და ღამე მოსვენება რომ არ აქვს-მეთქი.

ერთ დღეს დასავლეთში მუზეუმი უნდა გაეხსნათ და აუცილებლად უნდა წასულიყო... ვუსაყვედურე, რეზო, გუშინ სიცხე გქონდა, არ წახვიდე, არ შეიძლება ამ გზაზე შენი სიარული-მეთქი. სხვა მდივანი არავინ არ მოდის, ზოგმა რა თქვა და ზოგმა — რა, და მეც ხომ არ ვიტყოდი, რომ ცუდად ვარო. წავიდა და შუადღეა, რომ მობრუნდა, როცა მე საღამოს ველოდებოდი აკანკალებული... ძალიან ცუდად ვარო და დაწვა. 38-ზე მეტი ჰქონდა სიცხე.

მერე სულ ავადმყოფობდა... თბილისის ომიც დაიყო... სულ ვცდილობდი, ტელევიზორისთვის არ ეყურებინა. ერთ დღეს არ გამომართვევინა. ჩემთვის არ უთქვამს, ჩემი მული იწვა იმ ოთახში, მისთვის უთქვამს, რას შვრებიან ქართველები, ქართველებსა ხოცავენო? იმ ღამეს დაინგრა თბილისი და გათენებისას რეზო უკვე მძიმედ იყო... და გარდაიცვალა კიდეც...

მითხრეს, მწერალთა კავშირში გადავასვენოთ, დარწმუნებული ვართ, არცერთი მხარე არ გაისვრის თოფს მაგ დროსო. უარი ვუთხარი. ათასნაირი ადამიანია, ვიღაცას გაუვარდეს თოფი და ჩემს მიცვალებულს ტკივილი მივაყენო, არ მინდა-მეთქი. აქედან, ამ ბინიდან გავასვენეთ.

— როგორ მუშაობდა?

— როცა მულთან ვცხოვრობდით, ბინა რომ არ გვქონდა, საჯაროში დადიოდა, ანდა ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში შეროზიას ქუჩაზე. იქ წერდა.

თუ სიტყვა არ მოსწონდა, წვალობდა თვეობით. ან მე, ან დედამისს შეეკითხებოდა, ამას ასეთ დროს როგორ იტყოდითო? ბევრჯერ ყოფილა, რომ დედამთილს რაღაც სიტყვა უთქვამს და ძალიან გახარებია, ან მე მითქვამს და გახარებია. ჩვენ მასზე მეტი არ ვიცოდით, მაგრამ რატომღაც ვერ გამოდიოდა ამ ჩიხიდან. ეს აწუხებდა ძალიან და თუ მიაგნებდა ამ სიტყვას, ძალიან გახარებული იყო.

ერთხელ ვენახში იყო ჩასული, ამოვიდა და იცინის, გახარებულია, რა კარგ ხასიათზე ხარ-მეთქი და ღორი დავიჭირე ჭალაშიო. ჩვენს ნაკვეთში იყო შემოსული და დავიჭირეო. მერე სად არის -მეთქი?, — ჩავეკითხეთ. აღმოჩნდა, რომ იქ რომ ჩასულა, მოთხრობა დაუწერია, იმან ხომ იცოდა, რამდენს მისცემდნენ მოთხრობაში და ერთი ღორი მოუვიდოდა. და დაჭერაში იგულისხმა ნოველის დაწერა.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს: ერთხელ კოტე უკვე სამი წლისა მყავდა, ხაშმიდან თბილისში მოვდიოდით. რეზომ ჰონორარი აიღო, იყიდა ბავშვისთვის სათამაშოები, ჩემთვის — საკაბე. მაშინ ავტობუსები არ დადიოდა, ძალიან ვწვალობდით თბილისში წამოსასვლელად. ნავთლუღიდან გადიოდა რაღაც მანქანა. ჰოდა, ვდგავართ და ვიღაც ხაშმელი გოგო შეგვხვდა, მოიკითხეს ერთმანეთი. ამ გოგოს ორჯონიკიძეში სამედიცინოზე ესწავლა, წყალი მოინდომა. მოიცა, ახალვე მოგიტანო, უთხრა რეზომ. მოტრიალდა და მეუბნება ჩანთაზე თვალი გეჭიროს, ქურდობაააო, მეც ამ გოგოს ველაპარაკები და თან იმ ჩანთებს ვუყურებ. მოვიდა ერთი ბიჭი, დამადგა ფეხი, მეტკინა და დავუწყე წუწუნი, ამ დროს მოდის რეზო და მოაქვს წყალი, რომ დაინახა, ვეკამათები იმ ბიჭს, წასწვდა, თურმე მეორემ კიდევ ჩანთა წაიღო. გამოეკიდა რეზო, მაგრამ რას დაიჭერდა, ვინ იცის, სად შეაფარა თავი.

იმ ჩანთაში იყო ჩემი ზაფხულის სანდლები, რომ ჩამოვედით თბილისში, რეზომ მოთხრობა დაწერა და მითხრა, არ იდარდო, იმ ფეხსაცმელების ფული უკვე ვიშოვეო.

— ბინა შეუღლებიდან გვიან მოგცეს...

— ჩვენი შეუღლებიდან 10 წლისთავზე მწერალთა კავშირმა ერთოთახიანი ბინა მოგვცა. ამ დროს უკვე 2 შვილი გვყავდა და დაგვპირდნენ, რომ მეორე წელს გაგვაფართოვებდნენ. არადა 10 წელი ვიცხოვრეთ ამ ბინაში.

როგორც იქნა, დაგვადგა საშველი. ჩვენი თხოვნა გულთან მიიტანეს ცხონებულმა გრიგოლ აბაშიძემ და ხუტა ბერულავამ. კანდელაკის ქუჩაზე მოგვცეს სამოთახიანი ბინა. მანამდე რეზოს არ ჰქონდა სახლში მუშაობის საშუალება და ბიბლიოთეკაში დადიოდა სამუშაოდ.

ახალ ბინაში დიდხანს ვერ გავიხარეთ. 7 წლის შემდეგ დაიწყო რეზომ ავადმყოფობა და 1991 წელს დამთავრდა მისი ტანჯული ცხოვრება.

— წერილებს თუ გწერდათ, სანამ შეუღლდებოდით?

— არა, შეუღლებამდე არ მოუწერია.... ცოლ-ქმარი ვიყავით, სადმე რომ წავიდოდა, მაშინ მწერდა ხოლმე. შენახული მაქვს ის ბარათები.

— გოდერძი ჩოხელმა რევაზ ინანიშვილს ნოველა მიუძღვნა, როგორ ეხილვება სიცოცხლის ბოლო წუთებში ანგელოზები...

— ნამდვილად ნახა ეს ანგელოზები... ამ ოთახში იწვა იმ ღამეს, თბილისი რომ დაინგრა... მეუბნება, როზაო, ნახე ის ქალები, წავიდნენო, ვინ ქალები რეზო-მეთქი? ღმერთო, ამ ხნის კაცი ვარ, რამდენი ლამაზი ქალი მინახავს და სილამაზეც, ეგეთი ლამაზები კი არაფერი მინახავსო. სამი ქალი იყო, ძალიან ლამაზებიო... სად იყვნენ, გენაცვალე-მეთქი, ბალიშთან მიდებს ხელს, აქ ისხდნენო. ცოტა ხანში მეუბნება, ნეტა შენც გენახა, როგორ მინდოდა, რა ლამაზები იყვნენო...

მაჩინა ბობოლაშვილი

კახა დოლიძე – ტრადიციის ნოვატორი

დღეს ქართულ პოზიაში ერთეულებიღა ცდილობენ „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვას“,– როგორც იტყვის იოანე საბანისძე, უმრავლესობა ცდილობს, გაექცეს კლასიკური,კარგად აპრობირებული ლექსის ჩარჩოებს და სიახლე ეძებოს მხოლოდ სიახლისთვის. ერთეულებსღა ახსოვთ, რომ ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია, და რომ უფესვებო „ნარგი“, თუნდაც „საუცხოო“ (გალაკტიონს მოვიშველიებ), ვერ იხარებს. ის განწირულია გასაქრობად და დასავიწყებლად.

საბედნიეროდ, საქართველოში არიან პოეტები, რომელთაც მომავლის ზუსტი ხედვა აქვთ და თავიანთ ლექსებსაც, წარსულიდან ამოზიდულ საფიქრალზე, აწმყოში მომავლისთვის ქმნინ. ასეთთა შორის თვალსაჩინოდ გამორჩეულია კახა დოლიძე, რომელსაც, აქ, საქართველოში, თავისი „ფრანკფურტი“ აქვს და მის ფორუმს ფეისბუქზე ჭეშმარიტი პოეზიის უამრავი მოყვარული სტუმრობს.

ცალსახად და უპირობოდ უნდა ითქვას, რომ კახა დოლიძის პოეზიის ბატონ-პატრონი სიყვარულია, რაც უკვე იმის მიმანიშნებელია, რომ პოეტი თითიდან გამოწოვილ, ძალით შეთითხნილ პრობლემებს არ ეძიებს მავანთა თვალში „ახლის“ შესაქმნელად. თუმცა ისიც ცალსახა და უპირობოა, რომ მან ეძია და იმიაგნო საკუთარ ნიშას, საკუთარ გზას, საკუთარ ხმას, რომელიც განსაკუთრებით ორიგინალურია და, რომლის გამოც ამ საინტერესო პოეტს შეგვიძლია ტრადიციის ნოვატორი ვუწოდოთ. მისი დამსახურებაც სწორედ ამაშია, მან მტკიცედ ჩასჭიდა ხელი ქართულ პოეზიაში ყველაზე ძვირფასს, გულში ჩაიკრა და ასე, გულში ჩახუტებული გარდაქმნა სრულიად ახალ პოეზიად. პოეზიად, რომელშიც დევს იმედი, რომ წარსული და აწმყო მომავლისთვის გაერთიანდება, ერთგვარ საკრალურ სამებად იქცევა და ქართული ლექსის ფენომენი გადარჩება.

ზემოთ ვთქვი, კახა დოლიძის მთელი შემოქმედება სიყვარულს ეძღვნება-მეთქი. მსჯელობის დასაწყისისთვის ვარჩიე მკითხველს მცირე ამონარიდი შევთავაზო სიყვარულის ნამდვილი ჰიმნიდან, რომელიც ამ ჩვენს გაციებულ ეპოქაში გულს გაგვითბობს და სიცოცხლის რწმენისა და სურვილისაკენ შემოგვაბრუნებს:

„სადაც ნამდვილი სიყვარულია,
ცოდვის ჩამდენიც უცოდველია
და თუ ეს მართლა სიყვარულია,
გაცისკროვნდება რაც შავბნელია.
.....
სადაც ნამდვილი სიყვარულია,
მთლად არაფერიც ყველაფერია.
თან ადვილია, თანაც რთულია,
უღალატობა განსაზღვრულია,
ორი გულისთვის ერთი სულია,
ოღონდ თუ მართლა სიყვარულია“!

„მთლად არაფერიც ყველაფერია“ – ეს ბგერწერა, ვფიქრობ, არაფრით ჩამოუვარდება სოლომონისეულ „ამაოება ამაოებათას“, ოღონდ აზრობრივად თამამ და მკვეთრ კონტრასტს ქმნის მასთან და ერთიანად განდევნის სასოწარკვეთას. საბოლოოდ, დასკვნა: ამაოებაც არაფერია იქ, სადაც მართლა სიყვარულია!

ხოლო რაც კახა დოლიძის ნაღდ ლექსებს უამრავი სუროგატისგან გამოარჩევს, ვფიქრობ, ისაა, რომ ავტორი მორჩილად ასრულებს უფლისგან მისთვის მინიჭებულ ფუნქციას – გადაურჩინოს ქართულ პოეზიას წარსული, შესაბამისად – მომავალი, და სულიერება.

წარსულთან სულიერი სიახლოვე მის ლექსებში ადვილი შესამჩნევი არ არის და, ალბათ, იმიტომ, რომ ეს არ არის მიბაძვა, არ არის მიბაძვის მცდელობაც კი! ზოგჯერ პოეტი ყმაწვილკაცური სითამამითა და ნამდვილი პოეტის ღირსებით გალაკტიონსაც მიეახლება. მკითხველი კი, თავისდა გასაკვირად, აღმოაჩენს, რომ დიდი გალაკტიონი უშურველად გამოკვებავს მთვარის ბილიკს ადევნებულ ამ საოცარ მელექსეს, რათა მოულოდნელი სტრიქონებისგან ოქროსფრად ჩამოწნული მთვარისკენ გადებული საცალფეხო ბეწვის ხიდი მთელი ელვარებით აქანავდეს ძლიერ პოეზიად:

„რითმას არ ვეძებ, არასდროს ვწვალობ,
წუთებში ვშლი და წამებში ვშვილობ,

ზოგი ლექსებში თავს იქებს მეფედ,
ზოგისთვის მეფე ლექსია თვითონ“.

დიახ, ეს მთვარის ის ბილიკია, რომლითაც გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარის“ ალუზიით გამოკვებილი პოეტი კვლავ მტკიცედ კრავს კავშირს ღმერთთან საოცარი უბრალოებით მოლაპარაკე ლექსის ნამდვილ მეფესთან, ნამდვილ ღმერთკაცთან.

ისეც ნურავინ იფიქრებს, თითქოს კახა დოლიძე მთვარის საქანელაზეა მხოლოდ ჩამომჯდარი და ქვეყნის ჭირ-ვარამი არად უღირს, არად მიაჩნია. პირიქით, როცა ხედავს, რომ ქრისტესმიერი სიყვარულის პირდაპირი თუ ირიბი ქადაგება თანამომძეთა გაციებულ გულებასა და გაცხელებულ შუბლზე „ერთ ძარღვსაც კი ვერ შეატოკებს“, პამფლეტს მიმართავს, საოცარი (არ შემრცხვება, ილიას დონის) სიძლიერისა და ღირსების მატარებელ პამფლეტს, რომელიც პოეტური პიედესტალიდან ერთი სანტიმეტრითაც არ ეშვება ძირს და არ ემსგავსება მედროვეთა წყევლა-კრულვას ან უგემოვნო პასკვილს:

ქართველების გენია:
„რაც შენია – ჩემია”,
აწმყო არაფერია,
„მომავალი ჩვენია“...
დავუჩოქეთ სატანას,
ალტერ-ეგო არა გვაქვს,
გავეკიდეთ ბარაბას,
უფალი კი – ჯანდაბას.
მინისტრებად „დოსტები“,
უყვართ გრძელი „ტოსტები“,
ტყუილებით ვქოსდებით,
კვერცხებზე დგას ფლოსტები.
გვიყვარს რევოლუცია,
კაცის კაცი – ცუცია,
მეფე რომ ტუტუცია,
არ ადარდებს ბრუციანს.
ქეიფს იწყებს დილიანს,
ვინც იშოვის მილიარდს,
ქოცნაცობას ტილიანს,
აძლევს „ჯიბის ბილიარდს“
მერიაში – კოვზები,
კულტურაში – ბოზები,
განათლებას – კომბლები,
ნამდვილ გმირებს – ობლები.
ჩერნავეცკის ფოცხვერი,
„ბაბაჯგებს“ ცოცხები,
სინოდში გვყავს მოგვები,
ციანიდზე ლოცვებით.
„კრუგომბეგომ“ ნაშები,
მარი – ხუან – შაშვები.
კაცი კაცის ჩამშვები,
სულ „პარაშის“ გამშვები.
„მაგნები და იგინი“,
სხვის „კრაოტში“ ღიღინი,
უკვე სიმწრით ვიცინი,
მერცხალს ყლაპავს პინგვინი.
პოეტს პარავს პოეტი,
სონატაა სონეტი?
სხვის „ზახოდზე“ მოხვედით,
ისარგებლეთ მომენტით...

დიახ, ილიასეული რაც აწმყო – ის მომავალი! ამჯერადაც სამშობლოს დაკარგვის წუხილით ნათქვამი, მხოლოდ არა მე-19, არამედ 21-ე საუკუნეში. და რა არის ეს, თუ არა სულთა გადაძახილი წარსულიდან მომავალში?! ეს საწუხარი, დარწმუნებული ვარ, ბევრ ჩვენგანს აწუხებს, მაგრამ ამის სწორად, არა სიძულვილით, არამედ ტკივილიანი სიმკაცრით გადმოცემას სამშობლოსთვის (რომელიც მავანმა „არც კი იცის, რა არის“ – ერთი „რაფინირებული“ ქალბატონის საჯაროდ ნათქვამის ციტირებას ვახდენ) კახა დოლიძესავით ატკიებული გული, სიტყვის ფლობის ნიჭი და რაინდული გაბედულება სჭირდება.

პოეტის გული ყველანაირ სიყვარულს იტევს, სატკივარს ფილტრავს და მერე უმშვენიერეს ლექსებად ჩამოქნის, რომელიც მოქმედებს ემოციაზეც, აფორიაქებს გულსაც და აფიქრებს გონებასაც. უამრავი რამ დაწერილა დედაშვილობაზე, ნაკლებად – მამაშვილური გრძნობის შესახებ. სწორედ ამ გრძნობის მარადისობას უკვდავყოფს კახა დოლიძე თავისი ლექსით. მის პოეზიაში ყველაზე მეტად ფასეულია (და, ზოგადად, ჭეშმარიტი პოეზია სწორედ ამით ფასობს), რომ პირად განცდებზე მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ წერს. აზოგადებს და ყველას გვჩუქნის. მე ჩემს წილს განვიცდი, ის – თავისას, სხვა – სხვისას... და ლექსის სიდიადეც სწორედ ამით განიზომება. ლექსი, „ზექარი თოვლის ფიფქად მიმაფრენს...“ როგორც საუკეთესო საჩუქარი, ისე მიიღო ქართულმა პოეზიამ. რომლის პირველივე სტრიქონი სახტად ტოვებს მკითხველს, რადგან სიტყვა – „ზექარი“, მხოლოდ ქარი როდია, ეს მფრინავი წლების მეტაფორაა, და, სხვათა შორის, ნოვატორული (ყოველ შემთხვევაში, მე არსად წამიკითხავს); წლების ქროლვასთან რომ უმწეოა ადამიანი, ამის დასტურია, აგრეთვე, უძლიერესი მეტაფორა, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სინტაგმა – „თოვლის ფიფქი“, რომელიც, ლექსის ლირიკულ გმირს გულისხმობს, ანუ წლებთან ბრძოლით დაღლილ-თმაგათეთრებულ ადამიანს. გაოცებას ვერ ასწრებს მკითხველი, ისე ეფეთება სრულიად არაჩვეულებრივ გაპიროვნებას:

„არავის მხარი არ მაქვს სასთუმლად,
მხოლოდ ლექსია, თავს რომ მიყადრებს“.

ლექსი მთლიანად იმ ამოუხსნელი საიდუმლოს ხოტბაა, რასაც მამაშვილობის მადლი შეიძლება ვუწოდოთ. აქ არის ტკივილი, იმის გამო, რომ ცხოვრებამ მოიტანა მამა-შვილის უნებლიე დაშორება, თუმცა ჭეშმარიტი მამაშვილობა ამ ცხოვრებისეულ „ოინზე“ ღირსეულად ამაღლდა:

„ჩემი გჯეროდა, არ მიმატოვე,
მხოლოდ თორმეტის იყავი მაშინ,
შემინდე, ოღონდ, ის სიმარტოვე,
ფრთები, რომელიც მოგკვეცე ცაში“, –

საბედნიეროდ, „თვალის ბაიამ“ (ქალიშვილის არაჩვეულებრივი მეტაფორა) ისეთი სიბრძნე გამოიჩინა, როგორიც მოსიყვარულე მამის ღირსეულ შვილს შეჰფერის... და, სწორედ ამის შედე-

გად, ავტორის ნიჭიერების ქურაში გამოიძერწა მამაშვილობის სულისშემძვრელი საგალობელი! მერედა, როგორ გვჭირდება ასეთი პოეზია დღეს — გაუცხოების, გადაგვარებისა და ფასეულობათა გადაფასების ამ გაუგონარ ვაკხანალიაში. ეს ლექსი იმ მომავლისთვისაცაა, როდესაც სამყაროში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ეს კი სხვა სონეტის დასასრულია:

„...ჩვენ ვეღარავინ დაგვიდგება უკვე თავდებად.
ადრეც ვიცოდი, ახლაც ვიცი, ჩემთვის ვინა ხარ!
ჩემი წამება ამ საუფლოში უკვე მთავრდება
და რაღას ნახავ, თუ აქამდე არ დაგინახავს?!
მეაფსუსება დაწყებული ერთად — ოცნება,
როცა მატკინე, გიპასუხე წყენით მაშინვე,
შენ დაასრულე ჩემთან ყოფნით გასხივოსნება,
ამაზე მეტად ვეღარაფრით ვერ შემაშინებ...“

ეგებ, შექსპირს თავის სონეტშიც აერეოდეს! ეს ფიგურალურად! უფრო კონკრეტულად კი, მგონია, შექსპირიც კი სიამოვნებით მოაწერდა ხელს ამ შესანიშნავ ახლებურ სონეტს!.

მარტოსულობის მარადიული, ზოგადსაკაცობრიო ტკივილი მოჟონავს ლექსიდან „ვხედავ, ცრემლების სხივი აბრწყინებს...“, რისი შეგრძნების შედეგიცაა ობოლი, „დილის ნამივით წმინდა და თბილი ცრემლი“, არ აქვს მნიშვნელობა ამ ტრაგიზმის შემგრძნობს ჩამოუვარდა თვალიდან ის, თუ მას, ვინც მარტოსულობის სიდიადეში გააცილა ლექსის ლირიკული გმირი. ეს ცრემლი ზღვარია, სამანია, რომლის იქითაც გაირიყა ამდენი სიყალბით „სულდამძიმებული“ და ამიტომაც „სიყალბეს გაშორებული“ მარტოსული ღირსება, რომლის გულთანაც არ (თუ ვეღარ სწორობს) ცრემლის ციმციმი, რადგანაც სინანულით შეიცნობს, რომ ზიზღი ასწავლა ყოფამ და ამ ყოფის აუცილებელმა თანამდევმა — სიყალბემ... აქ, უეცრად, გამოიკვეთება კეთილშობილების საოცარი სიმაღლე — ეს ზიზღი ერთგვარ გასაწმენდელად მოდის მასთან, ვისაც სულიერი მარტოობის ჯოჯოხეთი განუცდია და ორკესტრითა და ქოროთი მოქარგული (როგორ მომწონს ეს პასაჟი!) რეკვიემი მდაბიო ადამიანური ვნებებისგან გარდაცვლილ სულს „ნათელს აუფლებს“ (გარდაცვალების მისტერიის ამაზე დიად და კეთილშობილურ ინტერპრეტაციას, ლირიკაში გამოხატულს, ძნელად თუ მიაგნებს კაცი), ზეცას აზიარებს:

„სული დამძიმდა, სიყალბეს შორობს,
ვნანობ, რომ ახლა ზიზღი ვისწავლე.
რექვიემს ქარგავს ორკესტრი, ქორო,
ნათელს მაუფლებს... ზეცავ მიცალე“...

განა შეიძლება, აქ არ გაჩნდეს მარტოსული ჭაბუკი გენიოსის, ტატოს სასოწარკვეთილი შეძახილის ალუზია: „გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს...“

„რომ გავჩნდი, იყო ოქტომბრის ბოლო,
ოქტომბრის ბოლოს — გარდავიცვალე..“

ოქტომბერში დაბადება-გარდაცვალებაც არ უნდა იყოს მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია — მწიფობისთვეში დაბადება სულის სიმწიფეზე ხომ არ მიგვანიშნებს? — მარტოსულთა სიდიადე ხომ სწორედ სიყრმითგან მწიფობაშია?! ოქტომბეშივე გარდაცვალებაც ამქვეყნად „შესაფარი ტაძრის“ ვერმპოვნელი სულის მარტოობაში გადასახლებად აღიქმება:

მარადიული და ზოგადსაკაცობრიო სატკივარი წამოიჭრება პოეტის ლექსში: „ვუყურებ ფოტოს წამის წინანდელს“... სძლია კი მართლაც კეთილმა ბოროტს?! და, აბა, როგორ, თუკი „წელში წელი“ კი არა, „მაკლდება დარდზე ნამრავლი ორი?!“ მაშ, რა მისია გვაკისრია? ნუთუ მხოლოდ იმიტომ გავჩნდით, რომ „ამქვეყნად ყველა...ზემოთ და ქვემოთ ვიდოდეს კიბეს?...“ არა, რა თქმა უნდა! მისია კოლოსად ქცევაა, მაგრამ, ვაი, რომ ზოგჯერ საერთოდ ვერ ვაცნობიერებთ ამას, ზოგჯერ კი დამახინჯებით გვესმის და კოლოსად ქცევის ნაცვლად ფუჭ ამბიციათა დაკმაყოფილება ხდება ჩვენი მიზანი. ეს ილუზია მიგვაქვს საგზლადაც ზეცა მიმავლებს. სწორედ ამიტომ, რაც უნდა პესიმისტურად ჟღერდეს, ვაი, რომ „ბოროტმა სძლია კეთილს...“ და სწორედ ამ აზრის გაცნობიერებით არის გასენილი ეს მართალი, სევდით დაცრემლილი ლექსიც... რა ვქნა, ნიკოლოზ ბარათაშვილის სუნთქვა მესმის ამ ლექსიდან და ნეორომანტიზმის სურნელს ვყნოსავ აწმყოთი იმედგაცრუებული და უკეთესი მომავლისადმი დარდიანი ეჭვით შეპყრობილი სტრიქონებიდან!

და, აჰა, ქართული ლექსის კოლოსის, გოგლა ლეონიძის ხატებაც, რომლის უმშვენიერესი პროზის, „ნატვრის ხის“ პოეტურ სუნთქვას სწორედ კახა დოლიძის საოცარი ლექსით ვეზიარებით:

„— რაო ნატვრისთვალმა,
იპოვნე ელიოზ?
— მიმტყუნა მიზანმა,
მეოხე ჰელიოს!“

მზესთან საუბარი უკვე ნიშნავს, რომ ელიოზი ღვთის რჩეულია, რამეთუ უფლის პირველსახე და სახე-სიმბოლო სწორედ მზე-ჰელიოსია და, ნახეთ, როგორ ერითმება ეს სიტყვა ელიოზს! არ ვიცი, თუ ელიოზ-ჰელიოს უნებლიე რითმაა, მაშინ ეს ლექსიც, როგორც კახა დოლიძის მთელი პოეზია, ღვთითაა, ხოლო თუ გონებით გასიგრძეგანებულია, მაშინ არა მარტო ღვთით პოეტი, არამედ ღვთით ფილოსოფოსიცაა იგი. ეს სრულიად გამაოგნებელი დასაწყისია! უზღაპროდ დაღამება აქ, ცოდვილ დედამიწაზე, ჩვეულებრივი ამბავია და ამ ჩვეულებრივს ვერ შეგუებია ღვთის რჩეული ელიოზი. ამიტომ ეძიებს სასწაულს (ალიხე, მალიხე), რომლისაც სწამს და რომლის რწმენასაც ვერ შეარყევს ვერა ძალა. და რაკი ასეა: „ვაიმე... ამჯერად...!“ მგონია, რომ იპოვა, ანდა იპოვის ელიოზი ყინვით აპრიალებულ გზაზე მხოლოდ მისთვის ამოკაშკაშებულ სასწაულს, თუმცა... მაინც „ვაიმე“, რადგან ამ სასწაულის პოვნას ამჯერად რწმენადაკარგული ადამიანები არ აპატიებენ ელიოზს, და მათი ცინიზმი და უნდობლობა შეუკრავს ყინვის სასახლეს. ამჯერად ადამიანთა შური და გაბოროტება გაუყინავს ძვლებს და კვლავ დაკარგავს კაცობრიობა ღვთისკაცს, როგორც არაერთხელ დაუკარგავს და რომელსაც ვერასოდეს სცნობდა...

სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ლექსი არა მარტო სევდიანი, არამედ მწუხარედ სასოწარკვეთილია, ანუ ისაა, რაზეც დიდი გალაკტიონი იტყოდა: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის! არ არის! არ არის!“ ამ მწარე რეალობაზე გვასწორებინებს თვალს ეს ლექსი, რომელშიც ღვთის რჩეული უფლის სასწაულს კი აღმოაჩენს, მაგრამ ადამიანთა დაუჯერებლობა, უნდობლობა და ცინიზმი არ ანდა ვერ იღებს ამ რეალობას. და სწორედ ამიტომ ელიოზს უფრო სასტიკი გამყინვარება ელის... ძალიან მინდოდა, ოპტიმისტური ვყოფილიყავი, ჩემზე მეტად ამ ლექსის გმირმა ელიოზმა მოინდომა ეს (რითაც რადიკალურად დაშორდა „ნატვრის ხის“ პერსონაჟს). მოინდომა, მაგრამ ბრბოს ფსიქოლოგიამ მას ეს შანსი არ მისცა. ეს უკვე სხვა სიუჟეტი, სხვა პერსონაჟი და სხვა ქვეტექსტის სხვა ქვედინებაა. ამიტომაც არ არის კახა დოლიძის ელიოზი გოგლა ლეონიძის ელიოზის ზუსტი ანარეკლი. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი ძლიერი პერსონაჟი დიდი შემოქმედის ალუზიაში ყალიბდება სრულიად სხვა პერსონაჟად, ანუ როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, ამ ორი ელიოზიდან ერთი მეორისთვის „სხვაი ჩემია“. ასეთი ლიტერატურული ინტერპრირება ბევრი არ მახსენდება.

ლექსმა „ვერ გავიხსენე, როდის შემომხვდი,“ 21-ე საუკუნეში ერთად მოუყარა თავი აღორძინების ხანის „მელიქსეთბაშის“ (როგორც აკა მორჩილაძე უწოდებს) – მწვანე ქალაღაია მოხვეული დარდიმანდი ბესიკისა და ქართული რომანტიზმის მწვერვალის, სევდიანი ტატოს, ტრფობის მარადიული მადლით გაჯერებულ ულამაზეს პოეტურ განცდებს და ახალი ძალით ააგიზგიზა...

მინდა ვაღიარო, რომ მე, პირადად, საერთოდ ვერ ვიფიქრებდი, თუ დღეს ვინმე ან რაიმე (ვგულისხმობ პოეტსა და ლექსს), შეძლებდა, ლამის ორი საუკუნის წინ მინავლული რომანტიზმის ასეთი ძალით ამოკაშკაშებას. კახა დოლიძემ ამ ლექსით ეს მოახერხა, თანაც ისე, რომ მკითხველისთვის ეპიგონობის ოდნავი განცდაც კი არ შეუქმნია.. პოეტმა ხელი მაგრად ჩასჭიდა მედროვეთაგან დღეს ირონიული ღიმილით მივიწყებულ და ლამის უარყოფილ ორ სრულიად გენიალურ ყმაწვილკაცს და სამივემ ერთად მომავლის პოეზიაში, ნეორომანტიზმში (არ ვიცი, რას დაარქმევენ ლიტერატურის მკვლევარნი), თამამად გადაბჯა.

ვიცი, დღეს განსაკუთრებით ძნელია თვალი გაუსწორო ე. წ. „ახალ პოეზიას“ და უთხრა, რომ თუ სურს უკვდავება მოიპოვის, განსაკუთრებით სჭირდება ტრადიციის ნოვატორ პოეზიასთან დამეგობრება, თორემ მოვა დრო და უსაძირკვლო „ახალი“ ისევე უკვალოდ გაქრება, როგორც არაერთი გაქრა, რომელთა დასახელებაც ახლა აქ არ ეგების. ტრადიციაზე დაყრდნობილ ნოვაციას კი ყოველთვის ჰქონდა უკვდავი მომავალი, ახლაც ექნება და ასეთი პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელია სწორედ კახა დოლიძე.

პოეზია

ფიქრია ჩუბინიძე

უშენოდ

ჩაბნელებულა შენი სარკმელი
და სანთლის სხივიც აღარ ანათებს.
რა ბევრი მქონდა შენთვის სათქმელი,
ახლა კი ვანდობ მხოლოდ ბარათებს.
დღეს, გულწასული ფოთლების დასტით,
საშემოდგომოდ ირთვება არე
და გზაზე, სადაც ერთმანეთს ავცდით,
პაემანს მითქვამს ღია სამარე...

შენ ვერ მიუხვდი

შენ ვერ მიუხვდი, რა წუხილი აქვს,
მზესთან ნაფერებ, ფერმიმკრთალ ქალწულს.
მრუში ეპოქა ბეჭებით დაგაქვს
და ალმაცერად გაჰყურებ წარსულს.
შენ ვერ მიუხვდი, მთების ბროლებში,
რომ იღვრებოდა გრძნობა ღვთიური,
ვერაგ ეჭვებთან მუდმივ ბრძოლებში,
სისხლით რად ვწერე ფიქრთა დღიური.
შენ ვერ მიუხვდი, როგორ გელოდა
ეს გული, უტყვი ტრფობის სამარე
და ვიცი ისიც, ვერვინ გეტყოდა,
სხვა ტაძარს თავი რად შევაფარე.
შენ ვერ მიუხვდი, გრძნობას გამხელილს,
როცა საკმევლის ჰქონდა სურნელი,
და ყოველ დილით თვალებს ახელილს,
რად ჰკლავდა შენი ხილვის სურვილი.
შენ ვერ მიუხვდი, რატომ ტკიოდი
სულს, რად ეწვოდი, როგორც იარა
და ნაწამები, რად არ ვჩიოდი
იმ წლებზეც, რისხვით რომ ჩამიარა.
შენ ვერ მიუხვდი, სიყვარულს სპეტაკს
წლებით ნაგროვებს ცრემლის წვეთებად,
ახლა, ყველა კარს გულცივად კეტავ
და არც კი გიღირს, გულის ფეთებად.

მეტამორფოზა

ღამით სიზმარი როს კრთება ძილში,
შემაჩვენებენ ლექსთა ლანდები,
ჩავწნავ ოცნებებს, სტრიქონთა ფსკვნილში
და მის ძარღვევში ავიბლანდები.
მთვარეს შევძახებ: როგორ ვიწვოდი
და სიყვარული მეცვა ფარაჯად,
შენ, რადგან გქვია ღამის გუშაგი,
მე სპეტაკ გრძნობას ვედექ დარაჯად.
ბევრჯერ ჩავვარდი ცეცხლის ლავაში,
ბევრჯერ ვამტვრევდი გრძნობის ამფორებს,
სახეს მწვავდა, ვით, ცხელი ლავაში
და გავურბოდი პირფერ ამბორებს.
ამაღამ ლექსად მეც დავინაცრე,
ფენიქსივით და კვლავ ვარ დღეგრძელი,
ბევრჯერ მიწაზე მეც დამანარცხეს,
მაგრამ სიცოცხლე მაინც შევძელი.
დღეს ამოვანთე ლექსით ცისკარი.
უფალს ვთხოვ, ამ დიდ მადლს არ გამყაროს,
მეც ავიხდინე ცხადში სიზმარი
და ჩავიხუტე მკერდში სამყარო.

ცრემლიანი კანტატა

ეს შემოდგომაც, გაყვითლებულ ფოთლებს
ჩამოჰყრის
ვით, ვიოლინოს შეაწყდება დაღლილი ხემი.
მოვა ზამთარი, ბერწ დღეების რემას ჩამოთვლის
და ფუჭ ზმანებებს, გადაჰყვება ოცნება ჩემი.
ახლა, ჟამგასულ ბონდის ხიდზე, როგორც
სალოსი
გავდივარ, თითქოს არ მაშფოთებს ბედის დინება.
ჩემი ვარსკვლავი, რომ არ კრთება ამ სამყაროში
და არ მზიანობს, ალბათ ზეცამ ასე ინება.
ერთ დროს, მჯეროდა მეგობრისკენ გაწვდილი
ხელის,
ვემაგრებოდი, თითქოს ჭიგოდ, ვარდს და
ვენახებს.
ახლა, არვისგან, აღარაფერს აღარ მოველი.
ერთგულებისთვის თავდადება, ვერსად ვერ ვნახე.
ჩასაფრებული, ყველა კართან იცდის ღალატი.
დღეს, ცბიერება ავგაროზად გულზე ჰკიდიათ.
უსტაბაშივით, მხრებს უმშვენებთ ფარჩის
ხალათი.
ძმობას, კაცობას, სინდის-ნამუსს, ფულზე
ჰყიდიან.
ცა ჩამოიქცა, მომტირალი ღრუბლის ჩეროდან
და მალე, თოვლი გადაპენტავს მთების სიმწვანეს.
მეც გაყიდული, იმ ხალხისგან ვისიც მჯეროდა,
მივდივარ, მიმაქვს ეს ღალატი, ნაღვლის
სიმწარე.

ცოტამ თუ იცის

ცოტამ თუ იცის,
რომელია ნაღდი პოეტი,
ზეცის და მიწის
შუა,
ბილიკად
გაკიდული ცისარტყელის,
ფერის და სიგრძის...
დროს, როგორც ფეტვი,
ისე ჰყრიან ამგვარ ბჭობაში,
არ ცხრებიან და
გაუმართავთ მიეთ-მოეთი...
მე კი, მგონია უაზრობა ამ ლაყბობაში
და ვთვლი, რომ ლექსში
იკითხება მხოლოდ, პოეტი.

კვლავ ველოდები ბედის განაჩენს

შენს თვალებს, ჟამის ხანძარგამოვლილს,
ვერ გავუღვივე კვესი – აბედას,
და ვგავარ ფინჯანს, ყავა გამოცლილს,
მომარჩიელეს თითქოს ავბედად.
შორიდან მესმის შოპენის ვალსი,
ნისლმა დაფარა მთებში აული,
დღეს ყველა სიტყვა მგონია ფარსი
და ყველა ფიქრი დანაშაული.
დრო უშენობის ყველა წამს მსძალავს,
კარებთან იცდის სიბერის ელჩი,
თუ შენი გული სიყვარულს კრძალავს,
სიძულვილს მაშინ რაღასღა ვერჩი.
გელოდი, როგორც მწყურვალი წყალს და...
არ ვნატრულობდი სხვას, რას დანარჩენს.
ახლა, შენს გულთან მომარჩიელე,
კვლავ ველოდები ბედის განაჩენს.

სონეტი სევდას

მზე ანთებულა ცის ტატნობზე, როგორც სანთელი
და თითქოს, მორცხვად ეფარება ღრუბლის
შავ კიდეს,
ვიცი, ძვირფასო, ვერ გამოდექ შენც პირნათელი,
რომ მეც, ანკესი სიყვარულის ტბაში ჩავკიდე.
ახლა არ მიკვირს, რომ არ გესმა ჩემი ხმა შორით,
ვით ოფელიას, ძველ ძონძივით მმოსავს სხეული.
გახედე, ირგვლივ ყველა ძღება შურით და ჭორით,
მე, ამგვარ კერძით ვერ ვიკვებე და ვარ ეული.
ნუთუ შენ ახლა სხვა იდეის გქვია მესაჭე,
მე, კი უბრალო მგზავრად მივდევ ვერაგ დროებას
და ვინ ვიყავი, სიცრუისთვის, რომ განმესაჯე,
ან ჩემი გრძნობით, დაგრღვეოდა შენ მყუდროება.
სხვა, სხვის ცხოვრებას შორით უცქერს თითქოს
ლორნეტით,
ჩვენ კი, ჩვენივე ცხოვრების ვართ მარიონეტი.

ილია მამულაძე

* * *

მალავ ცოდვა-ბრალს მკერდქვეშ ხალივით,
ჰგავხარ ჩამოხსნილს ეშაფოტიდან,
შენ მოფრინდები შავ მერცხალივით
და გაზაფხულის სითბოს მომიტან.
მაგრამ, ზეცამდე ამოწვდილ ღაღადს,
დავარქმევ, ვერთქმულ მონანიებას,
ობლად, უმთვაროდ დარჩენილ პარმაღს,
ფრენის სურვილი ეპოტინება.
მინდოდა მეთქვა, კვლავაც ახლიდან,
ვფიქრობ და თითქოს რითმაც ყუნწზეა,
რომ პოეზია ჩემი აკვნიდან
უპირველესი მამამძუძეა.
მოადგა ზეცას შავი ღრუბელი,
დამრჩა იადგრად ბზა და ბიბლია,
მინდა ჩავიხსნა მგოსნის უღელი,
მაგრამ არ ძალმიძს, არ შემიძლია.
გრძობა-გონების დამაქვს ჭიდილი,
როცა ქევქევით ვაჭენებ ამლაყს,
ანცი ბავშვივით მოვა სიკვდილი
და ჩემს კუბოზე გადავა მალაყს.
შემიდედდება სისხლი, დიდების
და ათინათებს ღამეს გავატან,
ღამევ, უგვანად შემობინდდები
და შემომისევ მუზათ არმადას.
სანამ ცეცხლივით წამეკიდები
და ამენთები გულზე ფთილივით,
სიტყვით „მიყვარხარ“, სიტყვით „მჭირდები“,
დამჭკნარხარ თოვლქვეშ ყარამფილივით.
სანამ სიცოცხლის ხავსს ვეჭიდები,
გულში ჩაგიკრავ მკვდარი ჩვილივით,
მერე ოდესღაც მეც მოგიკვდები,
მკერდზე აგწყდები გიშრის ღილივით.

* * *

როდესაც ჩვენთვის აღარ იწვიმებს,
როდესაც ჩვენში ჩადგება ქარი,
ვით ღვთისმშობელი, მზე მიიძინებს,
სანამდის გული სცემს აჟდაჰარი.
ქარი აშარი ცისფერ ტაროსის,
სულში ჩადგება ღამე თვალშავი,
ქალიშვილივით იაიროსის,
აღდგება მკვდრეთით
თეთრი თაგშალით.
ცა ვარსკვლავებით აზვიადდება,
შეიჭორფლება ზეცა ამაღამ,
მთვარე ხოხბისფრად გაციაგდება,
ჩაიცვამს ღამე ნისლის აღაბანს.
შეეხიზნები უცებ იმედებს,
სიცარიელით ოთახს რა უჭირს?!
დღეგამოშვებით დაბზარულ კედლებს,
ახლა ყოველღამ შენი სუნი სდის.
კარგადო... ისე მითხარი, გავცბი,
აღარ გყვარობო. ჰო, ამ წამიდან,
და მერე ისე უეცრად გაჰქრი,
როგორც მზის სხივი ჭუჭრუტანიდან.

* * *

როდესაც ზეცა შემოიცვამს გიშრისფერ ხალენს,
აყირმიზებულ მზეს დათალხავს ღრუბლის ზვირთები,
უფალო ღმერთო, მომიტევე და შემიწყალენ,
რამეთუ ვეღარ ვეზიდები უღელს, კირთების.
რამეთუ ვეღარ გავექეცი თვითმკვლელის ფიქრებს,
ტორფიან ჭაობს ძუძუს წოვენ ნორჩი ისლები,
გაალმასებულ გველისპირულს უღერენ კისრებს,
პირღია ციდან მოძოწისფროდ მჩქეფი ნისლები.
დასუდრულ ველთა ჭანჭახებში იღვრება შუქი,
მთვარის ცრემლებით აყვავილდა კორდზე სოსანი,
ნაჩუქურთმევ მთებს ჰამაკივით არწევს ქარბუქი,
ფსალმუნობს ზეცა ვარსკვლავების კრიალოსანით.
უფალო ღმერთო, გამაგონო იქნებ შენი ხმა,
გადასკდა გული მარჯნისფერი, ვით ბროწეული
და ყორნის ფრთაზე გარინდული ღამე შეირხა,
ვით ცაცხვის ტოტი ჩემს სარკმელთან ამორწეული.
გადამქრალ გზებზე აშრიალდნენ ხმელი ფოთლები,
ვხედავ უფსკრულებს და უფსკრულში მტირალ
ქალწულებს,
თან შენკენ მქროლავ ორბისფრთიან ქარებს
მოვყვები
და სისხლის ჭავლში ჩაშუქებულ მთვარეს
ვარწყულებ.

Der deserteur

ებაასება წვიმებს სისანი,
თითქოს ჭიკჭიკით ლოცვას აღავლენს,
მიხდის პარაკლისს, ბრმა გულთმისანი
და აფთრებისკენ ვმწყმსავ აღალებს.
აშარიშურდა წვიმით ქაშანი,
მთვარის ცრემლებით ვავსებ გრაალებს,
ვდგავარ პირაქეთ, მწვავს კაეშანი
და ლოცვა სისნის, დროს გაამალებს.
ძველ ფირფიტიდან მღერის ბირმანი,
Der deserteur -ს, მძიმე სუნთქვებით,
წვიმს, მტრედთა გუნდებს მოაქვთ ფირმანი
და ავიწყვიტე ფეხზე ხუნდები.
ცას ლუნატიკურ სიზმრით გადამთვრალს,
აემღვრა ცრემლი, იაგუნდების,
ცოტაც და დავგმობ, ღამეს ნაზამთრალს
და უსაშველოდ გავზაფხულდები.
თითქოს ტილოზე დაჯღაბნილ ხეებს,
მთებსა და ტყეებს ვუცვლი მიმიკებს
და უკალენდროდ გადათვლილ დღეებს
დრო უსაშველოდ გააქილიკებს.
ესალბუნება დახეთქილ კლდეებს,
ნისლი, რომელიც უმრწემესია,
მოჰყავდათ ღრუბლებს მზე,
დაღლილ მხრებით და...
ჭირისუფლად იდგა მესია.
ღამე სარკმელში ამოყვავილდა,
აწრიალებდა ლერწმის ქოხს ქარი,
მზის ცხელი ცრემლით ზეცა აღვივდა,
ვუმზერ ცის ფერფვლას, მონაც, ხონთქარიც
და ცა წვიმებით ვერ გააპრილდა.
ვერ გამარტივდა, ვერ გავერლიბრდა,
რითმული ზეცის მკრთალი თავანიც,
მკვდრის ტუჩებივით, მზე გადალიბრდა,
ველარ უშველის ღმერთიც, შამანიც.
მთვარე, სველ ნისლებს გზებს გაუნათებს,
ცრემლით მოვახშე, ტანჯვის ნოქარი,
დრო გვსაყვედურობს და გვამუნათებს,
ჩაცხრება ბებერ ჭადრებში ქარი.
უკანასკნელი დამრჩა იმედი,
მუზა ჩაიცვამს რძისფერ პუანტებს?!
მესმის მზემკვდარი ცის რექვიემი
და მთვარე მიაქვთ ურმით კურატებს.
მსწრაფლ განქარდება სამზეო დარდი,
ქარი აუშლის მთებს თეთრ კუბასტებს,
აფერუმ! ცაო, ვერ გამოდარდი,
წვიმაც არ წყდება, უფრო უმატებს.
უფრო უმატებს ცრემლს და გოდებას,
მთვარეს სახე აქვს ფრედრიკ მისტრალის,
ნაგოლგოთარი ღამეც ცხონდება,
მტრედთა გუნდებმა ჩახსნეს ცისკარი.
ქარი შემოყრის კარიდან ნამქერს,
მოლურჯო ნათელს ისხლიტავს მინა,
თენდება, ვაქრობ მეათე სანთელს
და მარტოობით ივსება ბინა.
ღამენათევი ვუცქერი სარკმელს,
სიომ ჭალიდან გადმოირბინა,
დღემ ამოირწყა ღამე, ვით აკნე
და მზე ღაწვიდან გადმოიდინა.
ნალმერთალ ზეცას,
ღრუბლებს ნახანძრალს,
შემოაგლიჯა ღამემ ჩადრები
და როგორც ბოლო ქუჩის ამორძალს,
ქარს აშიშვლებენ სველი ჭადრები.

* * *

რტოებშრიალა ხეთა ქორალი,
აფრქვევს მთებიდან სურნელს თურინჯის
და ამ ყომრალი მთების მწვერვალებს,
ნაშამქორალი სისხლის სუნი სდის.
ვიღვიძებ – გნატრობ, ვიძინებ – გხედავ,
სიზმარ-ცხადივით სულში დავანდი,
გარტყია ირგვლივ ღუბლების ფერდა,
თავზე გადგია მზის შარავანდი.
მოედინები ნისლივით მუნჯად,
მიბოძე უნჯად თვალებზე რული,
როგორც იორღა ცხენთა მარულა,
ზეცისკენ მიჰქრის ეს სიყვარული.
ყველა მოთმენის დაიძრა ზვავი,
დამრჩა იმედი ნაცემი სახრით,
როგორ პეოტის მოჭრილი თავი,
მთვარე შემოაქვთ ოთახში ხახლით.

* * *

მთების მაყრიონს აუმართავს მწვანე ხავერდი,
დადგა ზაფხული და ხორშაკნიც ფერხულს აბამენ,
იალაღებზე აბიბინდა ნორჩი ალერდი,
უმალ წარვედი, სადაც მგოსნებს თაჯებს ადგამენ.
აჩონჩხილ კლდეებს მოეხურათ ნისლის საბანი,
ტევრებს კი უბრად სულს ჰბერავდა შორი მარაო,
ზუსტად ის დროა, დაიქუხო შუბლში ნაგანი,
ანდაც, გასცილდე ამ საწუთროს უარარაოს.
ეს პოეზიაც, როგორც სისხლი, ყელში გადამდის,
შორს, ცის ტატნობზე აშრიალდნენ ცაცხვის
რტოები,
ქროდნენ ქარები და მოჰქრონდათ სიცხე ჰამადის,
სადაც სისხლისფრად ელვარებდნენ ყაყაჩოები.

მოსეს შთამომავალი ქართული სულით

წლეულს, ქუთაისში დაისტამბა ცნობილი ექიმისა და პოეტის გია მოშიაშვილის მეორე პოეტური კრებული „მრავალწერტილი 2“ (პირველი წიგნი – „მრავალწერტილი“ გამოიცა 2016 წელს).

გია მოშიაშვილი ქუთაისში დაბადებულ-გაზრდილი ქართველი ებრაელი გახლავთ. სამედიცინო უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა რუსეთში, პენზის საავადმყოფოს კარდიოლოგიურ ცენტრში, შემდეგ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, თერაპიის კათედრაზე მეცნიერ-თანამშრომლად, საიდანაც მალე დააწინაურეს ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჯერ ხარაგაულში, შემდეგ ქუთაისში განაგრძობს სამედიცინო სფეროში მოღვაწეობას. პარალელურად აფუძნებს და ხელმძღვანელობს სამედიცინო კოლეჯს.

2000-2007 წლებში ისრაელში მუშაობს ექიმ-თერაპევტად და ასევე ხელმძღვანელობს მის მიერ დაარსებულ ნარკოლოგიურ კლინიკას.

2008 წელს ჩამოდის საქართველოში და აგვისტოს ომის პერიოდში, როგორც რეზერვისტ-ოფიცერი მიდის პირდაპირ ფრონტზე, ექიმად. შემდეგ მუშაობას იწყებს მშობლიურ ქუთაისში ექიმ-ფსიქოთერაპევტად, აყალიბებს და ხელმძღვანელობს ფსიქოთერაპიულ სამედიცინო ცენტრს. ამჟამად წმ. სერაფიმ საროველის ონკოჰემატოლოგიურ ცენტრში მუშაობს.

ასეთი ბიოგრაფიის მქონე ბატონმა გიამ, სამედიცინო სფეროში წარმატებული კარიერით და პრაქტიკოსი ექიმის დაუღალავი შრომით, ისეთი ლირიკული და ფილოსოფიური ლექსებით და იგავებით გაგვაოცა, რომელიც მოწონებას და სიყვარულს იმსახურებს არა მარტო მეგობარ-ნაცნობებში, არამედ მკითხველთა ფართო წრეში და პროფესიონალ ლიტერატორებში.

„ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს“.. – ასეთი კაცი გახლავთ გია მოშიაშვილი. ის ოთხ სტიქიას ხშირად ახსენებს, ხან რას ადარებს, ხან – რას. მეხუთე სტიქია მისთვის პოეზიაა... წერს, რასაც განიცდის, წერს წუთისოფელზე, წერს ქალზე, წერს შთაგონებით, როცა მისი უდიდებულესობა მუზა მიეახლება... წერს ნატიფ სტრიქონებს ქართულ სულზე, სამშობლოზე... მისი პოეტური ნიმუშები წიგნში „მრავალწერტილი 2“ განახლებული სიცოცხლით მოევლინა პოეზიის სამყაროს. დაგვანახვა ჟანრობრივი მრავალფეროვნება, მხატვრული ხერხების თამამად გამოყენება, წერის განსხვავებული სტილი და მანერა. ადამიანური განცდების, ემოციების, სამყაროს ხედვის, ინტელექტის სინთეზით ეს ლექსები უკვე მოექცა მკითხველთა ყურადღების არეში და დაიმკვიდრა თავისი ადგილი. – წერს წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი, ფილოლოგი ია სულაბერიძე.

გია მოშიაშვილის ლექსები, როგორც თვითონ, ზნეობით, მასშტაბური აზროვნებით, სიმართლით, სათნოებით, მაღალი რეპუტაციით, ინტელექტით და სამშობლოს დიდი სიყვარულის გრძნობით არის დამუხტული. „რა არის სული ქართული? – რეფრენივით გასდევს ეს კითხვა ყველა ლექსს, როგორც ღიად, ასევე ქვეშეცნეულად, სტრიქონებს შორისაც რომ იკითხება. ზოგჯერ, „სიძულვილით“ ნათქვამ რეალურად არსებულ ყოფითი ცხოვრების მამხილებელ ფაქტებშიც ჩანს თუ „რაოდენი სიყვარულია“. მას კარგად ესმის ქართველი კაცის ბუნება და უნდა საზოგადოება გამოაფხიზლოს, გააჯანსაღოს სახელმწიფოს მართვის პოლიტიკა, რომ ყველა იყოს ქვეყნის მსახური და ისეთი საქართველო ნახოს, რომელსაც იმსახურებს ეს ლამაზი ხალხი...

ბატონი გიას შემოქმედებაში აქტუალურია ქალის თემაც. აი, რას წერს წიგნის შესავალში ქუთაისის საპატიო მოქალაქე მერაბ კვიცარიძე:

„...შენს სხეულში სანთელივით შენთან ერთად დავდნებიო, – ეუბნება ქალს და ალბათ, შემდგომ ამ „შენადნობისგან“ გაკეთებული ქანდაკების ნაწილად გახდენას მოგანდომებს ზღვის ნაპირს რომ დამდგარა, დასადევს ციცინათელებს განათებული ცისკენ მზირალი თებერვლის მწყურვალობას მონატრებული“...

არ შემიძლია ორიოდ სიტყვით არ ვახსენოთ ის ადამიანები, ვინც გია მოშიაშვილის წიგნს „მრავალწერტილი 2“ გზა დაულოცა და მისი შემოქმედებითი საღამოები გამართა ქუთაისსა და თბილისში. ამის პრეროგატივას კი თვითონ ბატონ გიას დავუთმობთ, სამადლობლის სახით:

„მეგობრებო, მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მიიღო მონაწილეობა და გაიზიარა ჩემი მეორე წიგნის „მრავალწერტილი 2-ს” პრეზენტაცია. შევეცადე თქვენთვის პერსონალურად გადამეხადა მადლობა, თუ ვინმე გამომრჩა გთხოვთ მაპატიოთ, უამრავი მოლოცვები და სითბო მაჩუქეთ თქვენ და, ეს დაუვიწყარი დარჩა ჩემს გულში!

მინდა ყოველივე თქვენგანს ვუსურვო ყველა ჩანაფიქრის ასრულება ცხოვრებაში და უამრავი წარმატება! იხარეთ იდღეგრძელეთ და იბედნიერეთ!

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლიურ ქალაქს, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას ნარგიზ ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით. „რიონის“ ტელევიზიას თამილა ღვინიანიძის თამადობით და ნინო ნებიერიძეს „რიონის“ ჟურნალისტს, „იმერული დილის“ პროდიუსერს...

მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს დედაქალაქს, თამარ მეფის სახ. უნივერსიტეტს, არქიმანდრიტ მამა ადამის ხელმძღვანელობით, მადლობა ირინა ბიბილეიშვილს, რომელიც უძღვებოდა საორგანიზაციო საკითხებს და რომელმაც ჩაუდგა სული ჩემი წიგნის პრეზენტაციას. მადლობას ვუხდი ლეილა ნოდიას, რომელმაც უზრუნველყო დაუვიწყარი გაეხადა ეს მნიშვნელოვანი მომენტი ჩემს ცხოვრებაში.

მადლობა წიგნის რედაქტორს ია სულაბერიძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო მის გამოცემას. მადლობა მერაბ კვიცარიძეს, რომელმაც მეორე ჩემი კრებული მონათლა თავის წინასიტყვაობაში და სრულიად მოიპოვა უფლება მოვიხსენიო, როგორც ჩემი წიგნების ნათლია... მინდა მადლობა გადავუხადო ელენე სარალიძეს, ლიტერატორს, ესეისტს და ჩემი წიგნის რეცენზეტს...

მადლობა ჩემს მეგობარს, ა. წერეთლის უნივერსიტეტის თანამშრომელს მამუკა აშვეთიას, რომელიც თავიდან ბოლომდე იყო ჩემს გვერდით. მადლობა ყველას, ყველას... მადლობა უფალს, რომ ასეთი მეგობრები მყავს, რომ ასეთი მკითხველები მყავს, რომ ჩვენი გზები ერთ სივრცეში და განზომილებაში გადაიკვეთა ამ საწუთროში“...

გია მოშიაშვილი თავმდაბალი და ღირსეული პიროვნებაა, ამაზე მთელი მისი ცხოვრების გზა მეტყველებს და ისიც, თუ როგორ მიატოვა ეს რამდენიმე თვეა ყველაფერი და უზის სასთუმალთან შეუძლოდ მყოფ დედას და მის მაჯისცემას აყურადებს, არამარტო როგორც ექიმი, არამედ, როგორც მოსიყვარულე შვილი. მინდა, პროფესიული და შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო მომავალში ბატონ გიას და წერილი მისივე ლექსის სტრიქონებით დავამთავრო:

„ნოე, ქართლოსში გაგრძელებული, მე ებრაელად გულში მიზისა,
მოსეს დიადი შთამომავალი, ქართული სულით ჩემში იწვისა“.

ლეილა ნოდია,

სრულიად საქართველოს რუსთაველის
საზოგადოების ქართულ-ებრაულ
ურთიერთობათა ხელმძღვანელი.

პოეზია

ჯუბა ლებელი

* * *

რომ არა ცურტაველი, რომ არა
რუსთაველი,
რომ არა ქეთევანი, თამარი,
რომ არა ქრისტეს რჯული,
ყველაზე უმთავრესი,
ოდითგან რაც იყო და რაც არის...
სამშობლო უპოველნი, ჯოგივით უმართავნი,
არ მქონე წესისა და ადათის...

აკვანს ვერ დავარწევდით, ტაძარს ვერ
ავაგებდით,
ღვინოს ვერ ჩავწურავდით მარანში,
აღარსად გვექნებოდა ხმლებივით ქალაქები,
სოფლები ფარდაგივით ნაქარგი,
რომ არა წინაპრები, მთებივით ლამაზები,
დღეს აქ არ ვიქნებოდით არავინ!

* * *

ლექსი ისე უნდა წერო,
თუში ქალი რომ ქსოვს ფარდაგს,
ყელს რომ მოიღერებს წერო,
ხევსური რომ ტილოს ქარგავს...

მზით რომ აავსებენ ჭერხოს,
შუბლს რომ მოუწვავენ საკლავს,
ქედი მოუხარო ეროსს,
შური მოკლა, „არა კაც კლა“...

ლექსი მაშინ უნდა წერო,
როცა სისხლი შია კალამს!..

ჩანახატები

სალომე ნოხაჯიძე

* * *

ძვირფასო მეგობარო,

სახლში, რომელიც მტვრისა და აურზაურის სუნითაა გაჟღენთილი, დაიბადა ბავშვი. დაიბადა და ატირდა ისე, როგორც არ ტირიან ხოლმე ახალდაბადებულნი და მის ფილტვებში შეიპარა პირველი ნაწილაკი მტვრისა და აურზაურის.

ავდგები და წამოვიყვან!

ავდგები ერთ ქარიან ღამეს და წამოვიყვან, რომ არ ისუნთქოს მთელი ცხოვრება აურზაური. შემდეგ გავუშვებ სამსახურიდან მომავალ ჩემს კაცს, რომელიც, ეჭვგარეშეა, ვერ გაიგებს, რა უნდა უცხო ბავშვს ჩვენთან და იტყვის, უმჯობესი იქნებოდა, გვყოლოდაო ჩვენი.

ავდგები და წამოვიყვან!

ავდგები და წამოვიყვან,რომ არ უყუროს დედამისის ნაადრევად გასრესილ სახეს,რომელმაც სიცოცხლე მაშინაც ვერ იგრძნო, პირველად რომ აიყვანა საკუთარი ჩვილი ხელში. მერე უსიტყვოდ დავკარგავ მეგობარს, რომელიც, არ იტყვის, გაიფიქრებს თუმცა, აუტკივარ თავს რატომ იტკივებსო, ნეტავ.

ავდგები და წამოვიყვან!

ავდგები და წამოვიყვან,რომ არ უყუროს,როგორ წვება მამამისი ყოველ ღამე ცოლის გვერდით უსიყვარულოდ. და დავამტვრევ ტელეფონს,რომელზეც დედაჩემი დამირეკავს და ამოუსუნთქავად მიაყრის, როგორ რცხვენია თანამშრომლების,მეგობრებისა და სულ უცხოებისაც კი,მე რომ ვზრდი ბავშვს სხვისას.

ავდგები და წამოვიყვან!

ავდგები და წამოვიყვან, რომ არ აჭამონ დღეში სამჯერ მტვერი და არ ჩააცვან აურზაური. სახლში ჩემი ხელით მოვუმზადებ სიმშვიდის ბულიონს და ჩემი ხელით შევუკერავ სიყვარულის წინდებს და ჩემი ხელით დავბან სისუფთავით სისუფთავისთვის.

ავდგები და წამოვიყვან!

ავდგები და წამოვიყვან,რომ არასოდეს გააღვიძოს ტირილის საკუთარმა ხმამ, ანდაც კოშმარმა, რომელიც ვერ გაურჩევია, ცხადია, თუ სიზმარი. დიდი დროის შემდეგ სამაგალითოდ დავსჯი ჩემს თავს, რომელიც, ინსტინქტურად, ამ სიკეთის საზღაურს დაელოდება.

ავდგები და წამოვიყვან!

ავდგები და წამოვიყვან და მეყოლება მუდამ ჩემ გვერდით და უარს ვიტყვი ღმერთზე, რომელიც ცდილობს, დამარწმუნოს,ყველა ქურდობა იყოს ქურდობა თითქოს და ქურდს მარქმევს მე-ქურდს ბავშვისას.

და მე, ქურდს, დასჯილს, უღმრთოს, უდედოს, უმეგობროსა და უკაცოს, მეყოლება ბავშვი, რომლის პირველი სიტყვაც არ იქნება დედა და არ იქნება მამა.

და როდესაც ჩემი ბავშვი წამოიზრდება, გამიხდება ავად. და მისი სენი არ იქნება არც შავი ჭირი, არც წითელა და არც ყვავილი. მოვიყვან ყველაზე გამოცდილ ექიმს, ჩემი ხელით დავუმზადებ სამკურნალოდ წამალს და ყოველ ღამეს მის საწოლთან გავათევ ლოცვით, ეგებ, დამეხმაროს ღმერთი, მისი გაბრაზება კი მერე იყოს, ბავშვი რომ გადარჩება.

მაგრამ ღმერთის რა ბრალია, რომ ვერ იცოცხლებს ბავშვი, რომელმაც ფილტვებს პირველად აურზაური ასუნთქა და მტვერი.

და გამოვა, რომ ბავშვი, რომელიც ავდექი და წამოვიყვანე,ჩამაკვდება ხელში. და მის საფლავზე არ მოვა არც დედა მისი, არც დედა ჩემი, არც მეგობარი, არც კაცი ჩემი და არც თავად ღმერთი, რადგან ჩათვლიან, არ იყოო ბავშვი ჩვენი.

მუდამ სიყვარულით, სალომე.

* * *

ძვირფასო მეგობარო,

ერთ დღესაც დაბნეული თუ მკითხავ, რატომ არ მიყვარს შემოდგომა ასე ძალიან და რატომ ვტირი ყოველი აგვისტოს 31-ში, გიპასუხებ, რომ არ მიყვარს და მორჩა!

ამას წინათ ჩემს ეზოში ამოვიდა ყვავილი. სისხლისფერი და კეკლუცი. მას მერე, ყოველ დღე, ნებითა თუ უნებლიეთ, მავალდებულებს,წყალი ვასვა, მოვუარო, ერთი-ორი ლუკმა დრო და ყურადღება მასაც ვაჭამო, თორემ ისე დაჭკნება, ისე მოიკუნტება, თავს ყველაზე საშინელ ადამიანად მაგრძნობინებს სამყაროში, თუ მის გარეთაც, ვინ იცის. მე კი ეს შეგრძნება რაღაც საეჭვო შიშს მგვრის და არა,იყოს, მადლობა,ავიღებ ერთ ბოთლ წყალს და დავუსხამ ამ ჩემს ყვავილს, თავისი ნებით რომ გადაწყვიტა ჩემს ცხოვრებაში შემოჭრა, როგორც სიყვარულმა ჩემი მეზობელი გოგონას გულში.

წყალთან ერთად შეიძლება, რამდენიმე სიტყვაც გავიყოლო და მოვუყვე, როგორ ვცხოვრობ, ვინ ვარ, ანდაც ვინ მინდა, რომ ვიყო. მოგეხსენებათ, თანაცხოვრება რთული რამაა,მაშასადამე, ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ.

ჰოდა, მე სალომე ვარ, აღარც ისე პატარა და

არც ისე დიდი, მიყვარს მზე, ძილი და ჩემი სახელი. სახლსაც არა უშავს რა. ვისურვებდი, მომავალში ვიყო სალომე, რომელსაც ეყვარება მზე, ძილი და თავისი სახელი. არა უშავდეს რა სახლსაც. მზის ხსენებაზე, ჩემი ყვავილი თავმომწონედ ეფიცხება ამ დიადს — მნათობს — მცხუნვარეს და ცდილობს, მიმანიშნოს, რომ ამ სიყვარულში მეტოქე გამომიჩნდა. ის ჯერ ვერ ხვდება, რომ ყველა არსებას თავისი მზე ჰყავს და ყველა მზეს თავისი არსება ურჩევნია სხვა დანარჩენებს.

რადგანაც ახლა უკვე მიცნობს, ხვალ დილას შემიძლია, ავდგე და თან წყალი ვასვა, თან ვუამბო, რამ დამიფრთხო ძილი ამ ღამით. ეს ამბავი მახარებს. მეგობარი მყავს ახალი, ასე მგონია.

რადგან ჩემი ყვავილი ჩემი ახალი მეგობარია, მას ხვალ ახალ ქოთანში გადავრგავ, უფრო დიდში; ახალ მიწასაც მოვუტან, უფრო ნოყიერს; წყალსაც ახალი მზრუნველობით დავუსხამ და დროისა და ყურადღების ახალ, უფრო დიდ ულუფას მივართმევ.

ჩემი ყვავილი, რომელიც ჩემი ახალი მეგობარია, მეტად გაიხარებს და ასე მაგრძნობინებს თავის კმაყოფილებას, თავის სიყვარულს და იმას, რომ მანაც მიმიღო მეგობრად. ვიცხოვრებთ ასე ახლადდამეგობრებულები და პირობას ვდებ, გვეყვარება და ვუერთგულებთ ერთმანეთს, ჩვენებურად მოვყვებით ჩვენ ჩვენს ამბებს და ვიქნებით ერთად, სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს.

მაგრამ, ვაი, რომ სიკვდილი ასე ახლოა.

დადგება ავადსახსენებელი შემოდგომა და ყველა(ს) მზე დღითიდღე მეტად ჩაეფლობა უსასრულო ღრუბლების მორევში და ვაი, რომ ჩემს მეგობარს იმდენად შეჰყვარებია მზე — თავისი, რომ უმისობას ვერ გადაიტანს. და ვაი, რომ მე ჩემი მეგობრის სიკვდილს უნდა ვუყურო. მე, ასე ცოცხალმა და ჯერჯერობით ასე უკვდავმა, ვერაფერი უნდა ვუშველო ჩემ წინ მომაკვდავს, რადგან ვერ შევძელი, ვყოფილიყავი მზე-ჩემი მეგობრის, ანდაც მზეზე უფრო მეტი.

რადგან ასეა და შავ ანგელოზს წინ ვერაფრით აღვუდგები, იმედს ვიტოვებ, რომ მომავალ ზაფხულს ჩემი მეგობარი გაიხსენებს ჩემი ეზოს გზას და ისევ ისე უკითხავად ამოვა და ისევ ისე უსირცხვილოდ მომთხოვს, წყალი ვასვა, მოვუარო, დროისა და ყურადღების ლუკმებით ვკვებო, როგორც ამ ზაფხულს.

და პირობას ვდებ, ვუყიდი ყველაზე დიდ ქოთანს და მოვუტან ყველაზე ნოყიერ მიწას და დედობრივ მზრუნველობაზე დიდი მზრუნველობით დავუსხამ წყალს და უდიდესი ლანგრით მივართმევ ჩემს დროს, ყურადღებასა და ჩემს თავს.

ახლა კი, სანამ შემოდგომა ჯერ კიდევ გზაშია, ისღა დაგვრჩენია, მე და ჩემმა მეგობარმა ერთმანეთს ვაკოცოთ.

მუდამ სიყვარულით, სალომე.

მე, უკაცრავად და, ერთი ბიჭი

ძვირფასო მეგობარო,

ერთხელ ჩემთან ერთი ბიჭი მოვიდა.

გარეგნულად ჰგავდა მსახიობს, გოგოები რომ აჭრელებენ ხოლმე ოთახებს მისი პოსტერებით, ისეთს.

გარეთ იყო თოვლი და გარეთ იყო ყინვა.

ის ამბობდა, რომ უნდოდა ჩემთან.

მე ვიცოდი, რომ მას არ უნდოდა ჩემთან.

ვაცადე.

* ნოემბრის მეცამეტე ღამეს გავანდე, რომ ჩემი კორპუსის წინ მდგარი ლურჯი შენობა მინდოდა, ყოფილიყო წითელი. თავისდა უნებურად, არაფრისმთქმელი გამომეტყველება მიიღო, საკითხის ჩაღრმავება საჭიროდ არ ჩათვალა და თემა შეცვალა. მიყვებოდა თავის სამსახურზე, რომ მათემატიკური გამოთვლები ისე იზიდავს, როგორც ერთ-ორ ჭიქაგადაკრულ კაცს შიშველი ქალის სხეული, რომ თავისი უფროსი ერთი ბეყე კაცია და თუ ასე გააგრძელა, მალე მის ადგილზე თავად მოჯდება, რომ შეუძლია ათიოს ღამეები ამ ერთი და იმავეს კეთებით.

მე, უკაცრავად, ჩამეძინა.

* ერთხელ ჩემთან მოსულს იატაკზე მჯდარი დავხვდი მტირალი. სახიდან კითხვის ნიშნები ჩამოვხსენი და ვუთხარი, რომ ჩემი დეკემბერა გამხმარიყო. მეგონა, რამე სერიოზული მოხდაო, მითხრა და მაკოცა.

მე, უკაცრავად, ვერ ვიგრძენი, რომ მაკოცა.

* იანვრის ორში მითხრა, რომ ერთ თვესა და თოთხმეტ დღეში მისი დაბადების დღეა და ასე საგანგებოდ იმიტომ დათვალა, რომ დაბადების დღეზე პრემია ეკუთვნის.

მე, უკაცრავად, ვერ მივხვდი, როდის ჰქონდა დაბადების დღე.

* თებერვლის დილას ჩემ გვერდით გაღვიძებულს მოვუყევი, როგორ ავედი სიზმარში მთაზე. ეგ რამე ცუდს თუ ნიშნავს, წყალს მოუყევიო — მხიარულად მითხრა და გვერდი იცვალა.

მე, უკაცრავად, არ გამეცინა.

* მარტის შუაში ავწრიალდი, თავის ტკივილები ამიჯანყდნენ, როგორც ყოველთვის. წუწუნს მორჩი, ექიმთან წახვიდე, გირჩევნიაო — თქვა და ძეხვის დიდი ლუკმა მოკბიჩა.

მე, უკაცრავად, უკეთ ვიცოდი, რა მერჩივნა და ექიმებში წოწიალსაც არ ვაპირებდი.

* ერთხელ, არ მახსოვს, როდის, გამომიცხადა, რომ მალე მანქანას მიყიდდა, რადგან სამსახურში საქმეები კარგად მისდის და მისი გოგო რატომ უნდა დადიოდეს ფეხით.

მე, უკაცრავად, არც მისი გოგო გახლდით, არც მართვის მოწმობა მქონდა და ჩემთვის მეტროთი მგზავრობასაც არა უშავდა რა.

* რომელიღაც თვის რომელიღაც ორშაბათს დამირეკა და მითხრა, რომ საღამოს მის მეგობართან იკრიბებიან, ყველა გოგოსთან ერთად იქნება და მეც უნდა წავიდე. ახლა კი უნდა გაიქცეს, დრო აღარ აქვს სალაპარაკოდ.

მე, უკაცრავად, იმ საღამოს სახლში მეძინა.

* ბოლოს ჩემთან რომ მოვიდა, მოსალმების ნაცვლად მისაყვედურა, სახლი დაალაგე, კაცი რომ შემოიხედავს, გული გაუსკდებაო.

მე, უკაცრავად, მიყვარს ქაოსი.

ამას არ დასჯერდა და განაგრძო, რომ ძალიან ცუდად მოვიქეცი, მეტიც, შევარცხვინე ლაშასთან თუ მიშოსთან არმისვლით (მე, უკაცრავად, სახელი ზუსტად არ მახსოვს) და საერთოდ, დავღალე, ძალიან რთული გოგო ვარ ასატანად. პასუხს არც დაელოდა, ძირს დაყრილ სვიტრებს ზიზღით გადააბიჯა და წავიდა.

მე, უკაცრავად, გამეცინა.

მე არ მიყვარდა, მან ეს იცოდა.

მას არ ვუყვარდი, მან ეს არ იცოდა.

** გუშინწინ მოვკარი თვალი მარტივ გოგოსთან ერთად, რომელიც დარწმუნებულია, რომ ორჯერ ორი არის ხუთი და მათემატიკური გამოთვლებისა და ბეყე უფროსის სკამის გაგონებაზე სახე ეშმაკურად უღიმის.

მე, უკაცრავად, არ ვიყავი რთული გოგო ასატანად.

მე, არაუკაცრავად, ის იყო მარტივი.

მუდამ სიყვარულით, სალომე.

ვულოცავთ!

თბილისის სასულიერო აკადემიის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სამების საპატრიარქო ტაძარში, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სასულიერო სასწავლებელში მოღვაწე სასულიერო პირები დააჯილდოვა.

სასულიერო აკადემიისა და ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისა და თავდადების გამო დაჯილდოვდნენ: დეკანოზი გიორგი გუგუშვილი (ბიბლეისტიკის კათედრის გამგე) – მიტრის ტარების უფლებით, დეკანოზი იოანე კვანჭიანი (სასწავლებლის სულიერი მოძღვრის თანაშემწე, ძველი აღთქმის პედაგოგი) და დეკანოზი დავით ჭიღლაძე (ძველი აღთქმის პედადოგი) – გამშვენებული ჯვრებით, მღვდელი ლონგინოზ სუარიშვილი (სასულიერო აკადემიის დეკანი, საეკლესიო სამართლის პედაგოგი) და მღვდელი ვლადიმერ ვახტანგაძე (ძველი აღთქმის პედაგოგი) – აყვანილ იქნენ დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოვდნენ ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

ვულოცავთ დეკანოზ გიორგი გუგუშვილს ამ მაღალ საპატიო ჯილდოს!

თემურ ჩალაბაშვილი,

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე,
ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია

ნინი მენაბდის ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:
მარიკა ზედელაშვილი, დავით შემოქმედელი, შელა ალანია

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“
რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის ნომერია: GE81BG 0000000 306158900

ჰეზო (ემელიანე) ადამია – სეხლიდან: „პოლხეხი ოდა“

ანბანი – ვიზიტიანის ხნული